

K 14 888
4



საქართველოს
ფეოდალური ხანის
ისტორიის
საკითხეი

საქართველოს
ისტორია

ექვნიეა აკადემიკოს
სიმონ ჟანაშიას დაბადების 70 წლისთავს



1972

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ
ФЕОДАЛЬНОЙ ЭПОХИ

II

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

საქართველოს ფეოდალური ხანის
ისტორიის საკითხები

II



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1972


K 14 888
4

9(C41
9(47.922)
ფ426.

კრებულში მოთავსებულ ნარკვევებში განხილულია ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა და საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხები.

სარედაქციო კოლეგია:

- მ. დუმბაძე (მთ. რედაქტორი)
- მ. ლორთქიფანიძე
- ქ. ჩხატარაიშვილი



გ. ჯიბლაძე

სიტყვანი ქიზისანი ღა სინანულისანი

(სიმონ ჯანაშიას ხსოვნას)

როცა სიმონ ჯანაშიას ვიგონებ, უნებლიედ მახსენდება ძველი ბერძნების ნათქვამი: ზევსს ვინც უყვარს, თავისთან ადრე მიისმობსო.

ისე ადრე წავიდა ჩვენგან ეს საყვარელი კაცი, რომ ბევრმა მისთვის ღირსეული მადლობის თქმაც ვერ მოვასწარიტ. დავგრჩა უთქმელი სიტყვები, გამოუხატავი გრძნობები, კრილობანი გულისა...

სიმონ ჯანაშია ისე მომხიბლავი იყო თავისი მოხდენილი გარეგნობით, ტაქტიკითა და ზრდილობით, რომ შეუძლებელია პირველი დანახვისთანავე არ მიეზიდეთ და არ მოგწონებოდათ. მის თვლებში ყოველთვის რაღაც სევდა იხატებოდა, ხოლო სახე უფრო ხშირად გაფითრებული ჩანდა. პირადად მე გულწრფელად მეგონა, რომ მიზეზი წიგნსაცავებსა და მუზეუმებში ხელნაწერებთან მეტისმეტად დიდხანს მუშაობა იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა მართალი. ნეტავი ისე ყოფილიყო, როგორც თავდაპირველად მეგონა. დღეს ყველამ იცის, თუ ნამდვილ მიზეზს რა საშინელი ფორტუნა წარმოადგენდა...

პირველად სიმონ ჯანაშია 1930 წელს ვნახე, როცა სტუდენტო გავხდი. ის პირველი შთაბეჭდილება დღემდე შემორჩა გონებას და დღესაც თითქოს ცოცხლად ვხედავ მას, მოზრდილი პორტფელით უნივერსიტეტის კიბეზე ამავალს, ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსს, რომელსაც დოცენტის წოდებასთან შედარებით განუზომლად უფრო დიდი სახელი და ასევე დიდი ავტორიტეტი უკვე ჰქონდა მოპოვებული. კულუარებში იმასაც გაიგონებდით — ივანე ჯავახიშვილმა აღზარდა როგორც მეცნიერი, და ყველაზე მეტ იმედს, თავის მოწაფეთაგან. სიმონ ჯანაშიაზე ამყარებსო. თავისი ქცევით, ლექციებით, სიტყვებითა და მოხსენებებით სიმონი მართლაც ამართლებდა იმ პანეგირიკს, რასაც ოცდაათიანი წლების სტუდენტობა მის შესახებ ისმენდა. მე ის შემეყვარდა დიდი ადამიანური უანგარობით, თუმცა ჩემთვის ლექციები არ წაუკითხავს. სამაგიეროდ არ გამომიტოვებია მისი იმდროინ-

დელი საჯარო გამოსვლები და ყოველთვის აღტაცებული ვიყავი დინჯი მსჯელობით, აგრეთვე ღრმა ცოდნით, რასაც სიმონი იჩენდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა უნივერსიტეტის კლუბში მისი ერთ-ერთი გამოსვლა, როცა უხეშად ესროლეს ყოველად უსაფუძვლო რეპლიკა; ის შეჩერდა, კიდევ უფრო გაფითრდა, არაფერი უპასუხა რეგვენს და საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სიტყვა განაგრძო...

იმ დროს სიმონ ჯანაშიასთან პირადი ახლო ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ჩვენი ნაცნობობა უაღრესად თბილი იყო, ამჟამად დიდი სიმპატიებით სავსე. არის ხოლმე ადამიანთა ურთიერთობაში ამგვარი რამ — უხმაურო, მაგრამ ნამდვილად გულწრფელი პატივისცემის გრძნობა.

შემდეგ ბედმა ძალიან ახლო დამაკავშირა ამ საყვარელ კაცთან და, ახლა, როცა მისი სიცოცხლის საბედისწერო დღიდან თითქმის მეოთხედი საუკუნე გვიახლოვდება, მინდა ზოგიერთი რამ გავიხსენო...

ბევრი თხოვდა სიმონ ჯანაშიას რაიმე თემაზე მოხსენების წაკითხვას. ჩვენც გვინდოდა ქართველი მწერლებისათვის მას სპეციალურად წაეკითხა მოხსენება საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მივიღეთ თანხმობა და თემის დასახელებაც — ქართველი ერის წარმოშობა. დანიშნულ დღეს, დილის საათებში (მგონი დღის 2 საათი იყო) სიმონ ჯანაშია მოვიდა მწერალთა კავშირში, ყველას მოგვესალმა და გეტხოვა: სავარძელი დამიდგით, მოხსენებას დამჭდარი წავიკითხავეო. ცოტა არ იყოს შეეცბუნდით. არტისტიზმი გვეგონა, მაგრამ თურმე სასტიკად ვცდებოდით. ნეტავი მართალნი ვყოფილიყავით!

ბედმა მარჯუნა სიმონ ჯანაშიასათვის უკანასკნელი ხანგრძლივი შვებულების პროექტი მე დამეწერა. როცა ვკითხე — რამდენი ხნითა და რა მოტივით თქო — მითხრა: ექვსი თვით, ავადმყოფობის გამო. დადგენილების ტექსტიც ისე გაფორმდა, თუმცა არავის სჯეროდა, რომ ეს მართლაც ასე იყო. გვეგონა სიმონი მიდიოდა ხანგრძლივ სამეცნიერო შვებულებაში, რაღაც სპეციალური დავალების შესასრულებლად, თურქების მიერ დიდიხნის წინათ მიტაცებული ქართული მიწების საკითხზე, თუ ჩვენი ეროვნული წარსულის რომელიმე სხვა პრობლემის გადასაწყვეტად. მაგრამ არცერთი ეს მოსაზრება მართალი არ აღმოჩნდა. მაშინ რა ვიცოდით, თუ მზადდებოდა საშინელი კატასტროფა, რომელმაც ჩვენი კულტურისა და მეცნიერების ნამდვილად საიმედო დედაბოძი ახლადტანაყრილ მუხასავით ძირს დასცა ფიზიკურად.

ერთხელ გავიგე, რომ სიმონ ჯანაშია სამკურნალო კომბინატში იწვა გულის ავადმყოფობით. იმ დროს მწერალთა კავშირის მდივანი

ვიყავი, სიმონ ჩიქოვანი თავმჯდომარე იყო (1944 — 1946 წლებში). მე და სიმონ ჩიქოვანი ერთად წავედით ავადმყოფის სანახავედ. სიმონ ჩიქოვანი დიდად აფასებდა სიმონ ჯანაშიას და საავადმყოფოში შეხვედრაც ამას მოწმობდა.

დღე იყო მზიანი, პალატაში, ქვედა საართულზე სიმონი მარტო იყო ჭირისუფალთან ერთად. ჭირისუფლებმა ჩვენ ცალკე დაგეტოვეს და უფრო გულლია საუბრის პირობები შეგვიქმნეს. მაგრამ, არც სიმონ ჩიქოვანს, არც მე, არ გვინდოდა ავადმყოფი გადაგვეღალა. ის კი ისე გამხიარულდა, ისე გვიღიმიოდა, ისე ხალისით ლაპარაკობდა, რომ მე პირველად ვნახე სიმონ ჯანაშია ასე ლალი, ასე უღარდელი, ასე მოლხენილი. საუბარი ეხებოდა როგორც მის ავადმყოფობას, რასაც სერო-ოზულად უჩიოდა, ისე საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ქართული კულტურის საკითხებს. ძალიან მაღალი შეფასება მისცა კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელისა და დემნა შენგელიას პროზას. ნიკო ლორთქიფანიძის ბელეტრისტიკას ბრწყინვალე და ბუნებრივად რაფინირებული უწოდა. ქება უძღვნა შალვა დადიანის დრამატურგიას. ქართულ კრიტიკას ნიკი არ აკლია, მაგრამ პირდაპირი და ღრმა არ არისო. სიმონ ჩიქოვანის სერაფიტას მშვენიერი და უბადლო უწოდა — დაბალი ხმით პოეტს მთელი ლექსი წააკითხა. რამდენიმე თბილი სიტყვა მეც გადმომაწოდა. შენი წერის მანერა და ტექნიკა მომწონსო. დიდი მადლობა ვუთხარი. გვინდოდა წამოვსულიყავით, სიმონ ჩიქოვანმა რამდენჯერმე მანიშნა, მაგრამ ავადმყოფი არ გვიშვებდა. ჭრელი პიჯამო ეცვა, საწოლის კედელზე იყო ჩამომჯდარი ორივე ხელზე დაყრდნობილი და საუბრობდა ტკბილად, დინჯად, რაღაც უჩვეულო გატაცებით.

როცა დავემშვიდობეთ, თვალეზში ისევე სევდა ჩაუდგა, სწრაფად დანალღვიანდა, უფრო მეტად გაფითრდა, წამოდგა, თუმცა ჩვენ არ დავანებეთ და კარებამდე მოგვაცილა. გამოთხოვების შემდეგ, კორიდორში, სიმონ ჩიქოვანმა მითხრა: ხომ ხედავ რა მალე გადაიღალა. ექიმები ფიქრობენ: მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, შეიძლება ყველაფერი მალე და სრულიად მოულოდნელად დამთავრდესო. მეც ასე ვიცოდი, მაგრამ ყოველივე ამის გაგონება მაინც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა.

ამის შემდეგ ავადმყოფი სიმონ ჯანაშია აღარ მინახავს, იგი მხოლოდ სამუდამოდ განსასვენებელ სასახლეში ვნახე უძრავად და უხმოვ მდებარე.

გარდაცვალებამდე ექვსი წლით ადრე, 1941 წელს სიმონ ჯანაშიას რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოვიდა პროფესორ ბორის კუფტი-

ნის ბრწყინვალე გამოკვლევა — „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, რომელმაც სულ სხვაგვარად გაგვიშუქა საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის უძველესი წარსული. წალკის ახალმა მასალებმა მკვეთრად დააყენეს საკითხი, თუ რამდენად სწორი იყო ვირხოვის, მორვანის, შანტრისა და პრევეორსკის მიერ ჯერ კიდევ ადრე დამკვიდრებული შეხედულებანი როგორც საქართველოს, ისე საერთოდ მთელი სამხრეთ კავკასიის უძველესი წარსულის შესახებ. თრიალეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულიად ნათელი გახადეს, რომ ჩვენს ერამდე III ათასწლეულზე უფრო მეტი ხნის წინათ საქართველოს ამ უძველეს თემში მეტად განვითარებული კულტურული კერები არსებობდა, რომ ეს კერები, იმდროინდელი ქართული კულტურა, ესოდენ მრავალმხრივად განვითარებული, მკიდრო კავშირში იყო მთელი აღმოსავლეთის კულტურასთან. ამას ადასტურებდა თრიალეთის სპილენძ-ბრინჯაოს ადრეული ხანის, აგრეთვე რკინისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლების ანალიზი.

გამოვიდა ეს მშვენიერი გამოკვლევა და, ახლაც არ ვიცი რატომ, მე დამევალა — რაც შეიძლება მალე დამეწერა მისი რეცენზია. უარმა არ გასჭრა. ოთხი დღე და ღამე გავათენე საქმაოდ მოზრდილი წიგნის დაკვირვებულ კითხვაში. გამაწამა ტერმინებმა, რომლის სათანადო ცოდნა, როგორც არა არქეოლოგს, ცხადია არ მქონდა. რეცენზია დავწერე, გადავეცი რედაქტორს. შემდეგ, ღამით, როცა კორექტურას ვკითხულობდი, დედანზე ვნახე კალიგრაფიული წარწერა: „წავიკითხე. ს. ჯანაშია“. თურმე რედაქციისათვის ჩემი რეცენზია თვით წიგნის რედაქტორს გაუგზავნეს, ბოლოს ისიც გავიგე (ამ ქვეყნად ხომ არაფერი იმალება), რომ თვითონ სიმონ ჯანაშიას ჩემზე მოუთითებია — რეცენზია მას დაეწერინოთ. მაგრამ რატომ, რისთვის? — დღესაც ვერ ამიხსნია.

ეს რეცენზია შევიტანე ჩემი „კრიტიკული ეტიუდების“ IV ტომში, რომელიც 1963 წელს გამოვიდა. წინასიტყვაობაში კი აღვნიშნე: „მოკლე წერილი — „საქართველოს უძველესი წარსულის კულტურულ-ისტორიული ძეგლები“ გამოქვეყნდა 1941 წელს. აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ მას რედაქცია გაუკეთა, მაგრამ ჩვენ ვერ შევქელით მისთვის მადლობა გამოგვეცხადებინა. სრულიად მოულოდნელად წავიდა ჩვენგან დიდი მომავლის აღმთქმელი სახელოვანი მეცნიერი“^{*}.

წავიდა!

* გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, 1963, ტ. IV, გვ. 4.

მაგრამ წაეიდა არამართო დიდი მეცნიერი, — ეს ცოტაა სტეჟა, — წაეიდა ქართული კულტურის ასევე ერთ-ერთი დიდი ორგანიზატორი და აღიარებული ხელმძღვანელი.

ყველამ იცის, რომ სიმონ ჯანაშია ქართული ფეოდალური სახელმწიფოს უნიკალური მცოდნე იყო; ამ დარგში მისმა შრომებმა პირდაპირ აღმოჩენებთან მიგვიყვანეს.

მაგრამ სიმონ ჯანაშიამ საქართველოს ისტორიის გარდა, ბევრი გააკეთა ქართული ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დარგებშიც. სანიმუშოდ ორ-სამ მაგალითს დავასახელებთ.

ბარათაშვილების გენეალოგიას სიმონ ჯანაშიამ უძღვნა მშვენიერი გამოკვლევა, დასაბუთებული და სარწმუნო. ეს შრომა იმდენად ცნობილია, რომ დახასიათებასაც არ საჭიროებს. ასეთივეა 1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნებული მისი ნაშრომი, რომელშიაც ავტორი ინგოროყვას გენეალოგიას არკვევს, ანიჭებს მას როგორც ისტორიულ, ისე ენობრივსა და ონომასტიკურ მნიშვნელობას, ამასთან, მშვენიერად ასაბუთებს, რომ ეს ჯგაზი დიდი ხნის წინათ (მე-18 საუკუნის დამლევს) ჩამოსახლდა ვურიაში, „ჩერქეზთა ქვეყნიდან“.

მაგრამ სიმონ ჯანაშიამ ყველაზე მეტი ამაგი დასდო პოეტ გიორგი შერვაშიძეს — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის შვილს. რედაქტორის ვრცელი კულტურულ-ისტორიული ნარკვევი — „გიორგი შერვაშიძე“ სანიმუშოა როგორც საკითხის ღრმა ცოდნით, ისე თავისი მრავალმხრივობითაც. ეს არის მშვენიერი მოთხრობა, რომელშიაც ფაქტები და ანალიზი, ანალიზი და სინთეზი, ისტორია და კულტურა, მეცნიერება და ლიტერატურა ორგანულ მთელს წარმოადგენენ. ნარკვევი იკითხება დიდი ინტერესით. ჩვენს თვალწინ დგება საქართველოსა და აფხაზეთის ისტორია მე-19 საუკუნის გარიჟრაჟიდან (1810 წლიდან, როცა აფხაზეთის მთავარმა გიორგიმ — საფარ ალი ბეგმა სცნო „რუსეთის უზენაესი ხელისუფლება“) 1918 წლამდე, როცა გარდაიცვალა მთავრების — შერვაშიძეების უკანასკნელი მოპიკანელი გიორგი შერვაშიძე. მდიდარი ფაქტიური მასალა და მისი ღრმა მეცნიერული ანალიზი სიმონ ჯანაშიას კულტურულ-ისტორიულ ნარკვევს ხელსაყრელად გამოარჩევს, როგორც უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევას.

ახლაც წინ მიდევს სიმონ ჯანაშიას რედაქციითა და ასე ვრცელი კულტურულ-ისტორიული ნარკვევით გამოცემული ეს მშვენიერი წიგნი — „გიორგი შერვაშიძე“. სიმონის ლამაზი ხელით წიგნს შემდეგი

წარწერა აქვს გაკეთებული: „დიდად პატივცემულს ამხ. გიორგი ჯაბ-
ლაძეს რედაქტორისაგან. 3.X.1947“.

მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ ამ ძვირფასი საჩუქრის მიღების
შემდეგ რამდენიმე დღის გასვლა კატასტროფის მომასწავებელი იქნე-
ბოდა.

სიმონი ისე მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, როგორც ჰორიზონ-
ტზე დაისის დროს უზარმაზარი მეწამული მზე უმაღლ ჩაესვენება გა-
მოუცნობ კოსმოსურ შორეთში. მაგრამ რჩება საოცარი შთაბეჭდილე-
ბა, რომლის ეფექტი ჩვენთვის სამყაროს უსასრულობის ძალას ინარ-
ჩუნებს.

სიმონ ჯანაშია ისე მალე წავიდა ჩვენგან, როგორც ცის სივრცე-
ში ქრებიან ცდომილი ვარსკვლავები, უცნაურად რომ ვარდებიან სად-
ღაც შავეთში, თუმცა ჩვენი გონების ეკრანებზე ყოველთვის დიდ ნა-
კვალეებს ტოვებენ. ჩემთვის ასე გაქრა და ასე დარჩა ეს საოცრად
მშვენიერი კაცი, უეჭველად დიდი ქართველი მოღვაწე სიმონ ჯანაშია,
რომლის ნათელი ხსოვნისადმი არასოდეს დაილევინ სიტყვანი ქები-
სანი და სინანულისანი!

მ. დუმბაძე

საბავშვო სიმონ ჯანაშია

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

თითქმის მეთხუთმეტი საუკუნის წინათ მთაწმინდას მიაბარეს უდროოდ გარდაცვლილი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია. შემოდგომის ჩამავალი მზის ქვეშ დაიტირა იგი ქართველმა ხალხმა. დიდი ხანი გასულიყო, რაც ჩვენს დედაქალაქს ისეთი გლოვის დღე არ ენახა.

მეცნიერული ტალანტის სრული აყვავების საფეხურზე, რომოცდაშვიდი წლის ასაკში, შეწყდა სიმონის სიცოცხლე; თუმცა მოკლე დროის განმავლობაში მან იმდენი გააკეთა, რომ ქართველოლოგიის მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა და საქმოდ ვალმოხდელი გამოეთხოვა მშობელ ქვეყანას.

როგორი იყო ს. ჯანაშიას ცხოვრების გზა, რით შეძლო მან ქართველი ხალხის ესოდენ დიდი სიყვარულის მოხვეჭა? — აი კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემას ახლა ვცდილობთ მოკლე მიმოხილვით*.

სიმონ ჯანაშია დაიბადა მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთში, 1900 წ. მასწავლებლის — ნიკოლოზ სიმონის ძე ჯანაშიას ოჯახში. სიმონის მამა ქართული კულტურის საქმოდ ცნობილი მოღვაწე იყო. ნიკოლოზ ჯანაშია ენერგიულად იცავდა ქართულ ენასა და კულტურას ცარიზმის შემორტყევებისაგან და შეძლებისამებრ ეხმარებოდა

* ჩვენი ამოცანა გაადვილებულია იმით, რომ ს. ჯანაშიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ბევრი რამ გამოქვეყნდა. პროფ. შოთა მესხიამ სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა დიდი მეცნიერის ხსოვნას (1960 წ., გამომც. „ნაკადული“), დაიბეჭდა აგრეთვე მრავალი წერილი, რომლებშიაც სიმონ ჯანაშიას მოღვაწეობის სხვადასხვა დარგებია გაშუქებული. ასეთებია, მაგალითად აკადემიკოსების ა. შანიძის, კ. გამსახურდიას, ნ. ბერძენიშვილის, ვ. თოფურას, გ. ჩიტაიას, გ. მელიქიშვილის, პროფესორების ა. აფაქიძის, ა. რობაქიძის, ზ. ანჩაბაძის, გ. ლომთათიძისა და სხვათა წერილები.

სამშობლოს ინტერესებს. პატარა სიმონს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს მშობელი ხალხისა და ქვეყნისადმი თავდადებული სიყვარული.

ბავშვობა სიმონმა ძველ სენაკში გაატარა. მისი მამა იქ სათავად-აზნაურო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად 1901—1910 წლებში.

1911 წლის სექტემბრიდან სიმონი სოხუმის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. ეს სასწავლებელი რუსული იყო. ქართულ ენას იქ კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა და ისიც შაბათს, ბოლო გაკვეთილი, რომელზედაც დასწრება სავალდებულო არ ყოფილა. ამიტომ პატარა სიმონი ბევრ დროს უთმობდა მშობლიურ ენაზე დამოუკიდებლად მუშაობას.

სოხუმის რეალურ სასწავლებელში სიმონი წარმატებით ეუფლებოდა არა მარტო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებს, არამედ აკრძალულ პოლიტიკურ ლიტერატურასაც, აფართოებდა თავის ცოდნას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. სიმონის გატაცება წიგნებით მეტისმეტი ყოფილა. ამის შესახებ იგი 1946 წ. პიონერებთან ერთ-ერთი შეხვედრისას ამბობდა: „ბავშვობისას მამა სწორად მეუბნებოდა: სიმონ, წამოდი ბაღში, ცოტა წაიმუშავე, მუშაობა ჯანმრთელობის უეზარი წამალიაო. მაგრამ მე მას არ ეუჯეროდი, წამოვწყებოდი ოთახში და განუწყვეტლივ ვკითხულობდი ჩემს საყვარელ წიგნებს. ახლა კი ვნანობ, მამისათვის რომ დამეჯერებინა, ჩემი ჯანმრთელობა ასე ნაადრევად არ შეირყეოდაო“.

სიმონ ჯანაშია იმთავითვე იყო აღმუშრვილი არა მარტო ცოდნის დაუფლებისათვის საჭირო უსაზღვრო მონდომებით, არამედ არაჩვეულებრივი ნიჭითაც. მეშვიდეკლასელი სიმონის მიერ დაწერილი ერთი თემის გაცნობის შემდეგ მის მასწავლებელს უთქვამს — „ამის დაწერი დიდი ნიჭისა და მომავლის მქონეაო“, მეორე მასწავლებელმა კი სიმონს უწინასწარმეტყველა, რომ იგი „შრომის გზით მწვერვალებს“ მიაღწევდა.

ქაბუჯობიდანვე დასჩემდა ნიჭიერ ახალგაზრდას თავისუფალი აზრებისადმი მისწრაფება. 1905—1907 წლების რევოლუცია, იმპერიალისტური ომი, დიდი ოქტომბრის რევოლუცია და სხვა ძლიერ გავლენას ახდენდა მის განწყობილებაზე. იგი იმთავითვე გაიმსჭვალა რევოლუციამდელი წყობილებისადმი პროტესტანტული სულისკვეთებით, თითქოს შეგნებული აუცილებლობით აღიარა მარქსიზმი. 15 წლის ასაკში სიმონს დაუკონსპექტებია მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ა. წულუკიძის „ოცნება და სინამდვილე“. იგი ოცნებობდა იმ ბედნიერ დღეზე, როცა არსებული წყობილება დაიმსხვრეოდა და თავისუფლება საამო ფრთებს გაშლი-

და. „მოიცათ და დაჰკრავს საათი, და მამინ ვაი თქვენ, ფარისევლებო“, წერდა 16 წლის სიმონი თავის დღიურებში.

1918 წ. სოხუმის რეალური სასწავლებლის დამთავრებით გამოწვეული დიდი სიხარული სიმონ ჯანაშიას სახელოვანი მამის გარდაცვალებით ჩაუშწარდა. სიმონს უკვე ოჯახური ვაჭირვების პირობებში უხდებოდა მომავალი გზის გაკაფვა.

1918 წ. შემოდგომაზე სიმონი თავის დედასთან ერთად სოხუმიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და აქ ახლადგახსნილ უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იგი ერთდროულად სწავლობდა ამ ფაკულტეტის ისტორიულსა და ენათმეცნიერულ დარგებზე. ამიტომაც მას ორივე საგნიდან მოუხდა სადიპლომო ნაშრომების წარდგენა 1922 წელს, როდესაც მან უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა.

უნივერსიტეტში სწავლის დროს სიმონ ჯანაშიამ ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. სახელოვანმა მეცნიერმა იშუამდგომლა კიდევც, რათა სიმონი უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დაეტოვებინათ. „ოთხი წლის განმავლობაში დაკვირვებამ საისტორიო სემინარში, წერდა ივ. ჯავახიშვილი, დამარწმუნა, რომ მას (სიმონ ჯანაშიას) ცოდნაც, დაკვირვების უნარიცა და სამეცნიერო ძიებისათვის საჭირო ნიჭიცა და მიდრეკილებაც აქვს. ამასთანავე მან დიდი შრომისმოყვარეობა გამოიჩინა, ახალი ევროპული და ძველი აღმოსავლეთის ენები—არაბული, სპარსული და სომხურიც შეისწავლა“... ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. ს. ჯანაშიას მეცნიერული მოღვაწეობისათვის უკვე ფართო საბიძგიო შეექმნა.

ამ დროს თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა იყო გაჩაღებული. ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას საქართველოში მამონ ზელმძვანელოზდენენ ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი. მათი უშუალო ზემოქმედებით აღიზარდა სიმონ ჯანაშია.

სიმონ ჯანაშია უნივერსიტეტში თანმიმდევრულად აღრმავებდა თავის ცოდნას და ფორმდებოდა როგორც ყოველმხრივ შეიარაღებული ისტორიკოსი და ფილოლოგი. ამავე დროს მას ქუდბედად დაყოლილი ავადმყოფობის წინააღმდეგაც უხდებოდა ბრძოლა. 1920 წლის დამლევს, ასპირანტურის მეორე კურსზე, იგი გახდა ავად, როგორც თვითონ წერდა, „უშეწავესი ფორმის დაქანცულობით“. თითქმის 2 წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, შემდეგ კი, 1925 წლიდან, მხო-

ლოდ სანახევროდ მოახერხა შრომის უნარის აღდგენა. ხანგრძლივი დასვენება-მკურნალობისათვის საჭირო სახსრები მას არ გააჩნდა.

1926 წლიდან სიმონ ჯანაშია თბილისის უნივერსიტეტის ლექტორად მიიწვიეს, სადაც იგი კითხულობდა აფხაზური ენისა და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ლექციათა ციკლებს. 1930 წლიდან იგი უკვე დოცენტად აირჩიეს, 1935 წლიდან კი საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ. ამავე წლიდან იგი არჩეული იყო პროფესორად. როგორც პროფ. შ. მესხია შენიშნავს, სიმონ ჯანაშია პირველი პროფესორი იყო თბილისის უნივერსიტეტის მიერ აღზრდილთა ბანაკიდან. იგი 11 წლის განმავლობაში განაგებდა საქართველოს ისტორიის კათედრას.

პირველი სამეცნიერო ნაშრომი ახალგაზრდა სიმონმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პირველსავე წელს (1923) გამოაქვეყნა. 1932 წლიდან კი, უკვე მოწიფული მეცნიერი, თითქმის განუწყვეტლივ აქვეყნებდა სავსებით ნოვატორულსა და ფუძემდებლურ ნაშრომებს, უხვად ასაჩუქრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას, თავისი თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის საქმეშიაც.

სიმონ ჯანაშიას მეცნიერულმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ მალე მიიპყრო ფართო მასებისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკების ყურადღება. თბილისის უნივერსიტეტში მუშაობასთან პარალელურად იგი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებშიაც მუშაობდა. „იგი იყო სალიტერატურო ენის ნორმებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამდგენი ცენტრალური კომისიის მდივანი, ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების ჯერ მდივანი, ხოლო შემდეგ რედაქტორი, რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სწავლული მდივანი“ (შ. მესხია).

1936 წლიდან ს. ჯანაშიას წილად ზედა თავისებური სიახლე შეეტანა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის“ მუშაობაში. ეს ინსტიტუტი ამ დროს ვერ უპასუხებდა ისტორიოგრაფიის წინაშე მაშინ წაყენებულ მოთხოვნებს. საჭირო იყო ამ სამეცნიერო დაწესებულების გარდაქმნა, მარქსისტული მეთოდოლოგიური პრინციპების დანერგვა მის კვლევ-ძიებაში. ს. ჯანაშია ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და საქართველოს ისტორიის სექტორის გამგედ მუშაობდა. 1938

წ. მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა.

„ს. ჯანაშია, — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი 1947 წ., — დიდი საქმის ორგანიზაციის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. არავის ჩვენს წრეში ისე, როგორც მას, არ შეეძლო თავი გაერთვებოდა ურთულესი ორგანიზაციული საქმისათვის, არავის ისე, როგორც მას, არ შეეძლო მოეზიდნა და აემულშავებინა მეცნიერული ძალები რაიმე ამოცანის გადაწყვეტისათვის“.

1936 წლიდანვე ს. ჯანაშია ინიშნება „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის“ ბაზაზე შექმნილი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორად. სულ რაღაც მოკლე ხანში შესძლო ს. ჯანაშიამ ამ ინსტიტუტის გაძლიერება და მისი გადაქცევა ქართველოლოგიის პირველხარისხოვან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებად. გაფართოვდა ინსტიტუტის შტატი, ჩამოყალიბდა ახალი განყოფილებები, გაიზარდა ბეჭდური სამეცნიერო პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. ინსტიტუტი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოსამზადებელ კერად იქცა. 1939 წ. იგი 25 ასპირანტს ამზადებდა.

1939 წლიდან ს. ჯანაშია ინიშნება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ მოვალეობას იგი, ინსტიტუტის დირექტორობასთან ერთად, დიდი წარმატებით ასრულებდა. მისმა დაუღალავმა მუშაობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სათანადო ნიადაგის შემზადებას საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისათვის.

ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი დიდი გარდატეხა აღინიშნა 1941 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებით. ს. ჯანაშია ამ აკადემიის ერთ-ერთი წამყვანი მშენებელი და ორგანიზატორი, პირველი შემადგენლობის წევრი და პირველივე ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ქართველოლოგია წლითი-წლობით აჯამებდა თავის ახალსა და ახალ წარმატებებს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურის ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში. ყველგან ჩანდა სიმონ ჯანაშიას მაღლიანი და მზრუნველი ხელი. ფართოვდებოდა მეცნიერთა კადრების შემართების ასპარეზი, იზრდებოდა ბეჭდური პროდუქცია. ყოველივე ამას თან სდევდა ეროვნული მეცნიერების დისციპლინათა დიფერენციაცია, კვლევის ობიექტების კონკრეტიზაცია.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი 1941 წელს ორად — ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტებად გა-

იყო. ს. ჯანაშია 1943 წლამდე ორივე ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. ამავე დროს იგი წარმართავდა მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს საქმიანობას. ამიტომ ს. ჯანაშია პირადი თხოვნის საფუძველზე განთავისუფლდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობისაგან. იგი დარჩა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

უზომო გადატვირთულობის პირობებში, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობით მოქანცული და ჯანმრთელობა შერყეული სიმონ ჯანაშია ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით ახერხებდა მაღალნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის გავრცელებას. ასეთ პირობებში იტვირთა მან უაღრესად მძიმე ამოცანა — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს თანაავტორობა აკად. ივ. ჯავახიშვილთან და აკად. ნ. ბერძენიშვილთან ერთად. „სიმონ ჯანაშია, წერდა მისი უახლოესი კოლეგა ნ. ბერძენიშვილი, თანაავტორია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსი. მაგრამ ის ამავე დროს ამ სახელმძღვანელოს რედაქტორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წიგნის შექმნის მთავარი სიმძიმე ს. ჯანაშიას აწვა მხრებზე“.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობას აკად. ს. ჯანაშია წარმატებით ამთავრებს 1940 წ., როცა წიგნი ხელნაწერის უფლებით გამოვიდა, ხოლო სამი წლის შემდეგ საქართველოს სკოლებმა უკვე მასობრივი ტირაჟით გამოშვებული საჩუქარი მიიღეს. ეს სახელმძღვანელო უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

გამოჩენილი საბჭოთა ისტორიკოსის სახელი ძალე გასცდა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს. მან ფართო ავტორიტეტი მოიხვეჭა რუსეთის ისტორიკოს-მეცნიერთა შორის, ამას კი 1943 წ. შედეგად მოჰყვა მისი არჩევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. სიხარულით შეხვდა ამ ამბავს საქართველოს მეცნიერული ინტელიგენცია. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები სიამაყის გრძნობით ულოცავდნენ ს. ჯანაშიას მორიგ გამარჯვებას:

„საკავშირო მეცნიერებათა აკადემიას თქვენი სახით ემატება საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს, კავკასიისა და წინა აზიის ისტორიისა და კულტურის გამოჩენილი მკვლევარი. ქართული მეცნიერებისა და საზოგადოებრიობისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი შედეგია თქვენი მრავალმხრივი და დაუღალავი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობისა“.

სიმონ ჯანაშია არა მარტო დიდი მეცნიერი და ორგანიზატორი, არამედ მაღალხეობრივი თვისებებით აღჭურვილი მოქალაქე იყო, რომელიც მთელ თავის ენერგიასა და შესაძლებლობას საბჭოთა საქართველოს კეთილდღეობისათვის სწირავდა. ღრმა იდეური სულისკვეთებით შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში 1940 წ. მეცნიერი და კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკური და საკავშირო მთავრობის საქმიანობაში. საკმაო ითქვას, რომ იგი 1946 წ. საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

სიმონ ჯანაშიას მრავალმხრივი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დააფასა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

1938 წ., თბილისის უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი მოღვაწე, ს. ჯანაშია საქართველოს მთავრობამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა. საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავთან დაკავშირებით, ქართული კულტურის განვითარების საქმეში დიდი ამავისათვის, საკავშირო მთავრობამ იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. 1943 წ. სახელოვან მეცნიერს ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა. 1944 წ. იგი კადრების აღზრდაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეორეჯერ ლეზულობს ლენინის ორდენს. 1945 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის იუბილესთან დაკავშირებით ს. ჯანაშია შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო 1946 წ., როგორც „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს თანაავტორს, მეორედ მიენიჭა სტალინური პრემია. ამავე წელს მან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიიღო.

სიმონ ჯანაშია, ისევე როგორც მისი სახელოვანი წინაპარი და მასწავლებელი ივანე ჯავახიშვილი, ფართო დიპლომატიის მეცნიერი—ქართველოლოგი იყო. უპირატესად ისტორიკოსი, მაგრამ ამავე დროს ენათმეცნიერი, დიდი წარმატებით ათავსებდა საკვლევადიერო საქმიანობაში ამ ძირითადი დისციპლინების სხვადასხვა დარგსა და ეპოქას. მან თითქმის თანაბარი სიძლიერით გაავლო ღრმა ნაკვალევი საქართველოს ისტორიის ყველა უბანზე. იყო ეს საქართველოს ძველი ისტორია და არქეოლოგია, ფეოდალური ხანის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, თავისი ადრეული, შუა და ნაგვიანევი პერიოდებით, თუ კაპიტალისტური ხანის ისტორია. ყველა მათგანი ს. ჯანაშიას მახვილი კალ-
2. საქ. ფეოლ. ხანის ისტორიის საკითხები.



მის არა უბრალო, არამედ სერიოზული შეხების საგანს წარმოადგენდა.

ენერჯის დაუზოგავი ხარჯვის გზით მოახერხა ს. ჯანაშიამ თანამედროვე უმაღლესი ხარისხის მეცნიერისათვის საჭირო შეიარაღებით აღჭურვა. ძველი და ახალი ქართული ენებისა და რუსული ენის შესანიშნავი ოსტატი, ძირითადი ევროპული და აღმოსავლური, არაბულ-სპარსული ენების მცოდნე, აფხაზური ენის კვლევითი მეცნიერი, ჩერქეზულ-ადიღურული მეტყველების მკვლევარი და სომხურ ენაში გაწაფული ისტორიკოსი, შესანიშნავად იცნობდა საქართველო-ამიერკავკასიისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ წარსულს.

სიმონ ჯანაშია აღიჭურვა აგრეთვე სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო მარქსისტული მეთოდით, რომელმაც არსებითად განაპირობა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მისი ესოდენ დიდი წარმატება.

სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისას ქართული ისტორიოგრაფია, ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „ძირითად გადახალისებას მოითხოვდა“.

„თუ რამდენად დიდი იყო საამისო მოთხოვნილება, იქიდანაც ჩანდა რომ ამ ხანებში (საუბარი შეეხება ოცი-ოცდაათიანი წლების მიჯნას) არაერთმა ავტორმა სცადა საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გაშუქება. სამწუხაროდ ყველა ასეთი ცდა მარცხით დასრულდა. ზოგი ავტორი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ იყო, ზოგს კიდევ კვლევის მარქსისტული მეთოდის სწორი გამოყენება არ ეხერხებოდა. ცხადი იყო, რომ ამ დიდი საქმის ღირსეულად წარმართვას ის შესძლებდა, ვინც თანაბრად კარგად დაეუფლებოდა როგორც ტექნიკურ ხერხებს, ისე სამეცნიერო კვლევის მარქსისტულ მეთოდს.“

საქართველოს ისტორიის უბანზე მომუშავეთა შორის ს. ჯანაშია ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თანაბრად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ ორივე პირობას“.

სიმონ ჯანაშია პირველი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც მარქსისტული მეთოდოლოგიის შუქზე გაიაზრა საქართველოს ძველი ისტორიის მოვლენები და მწყობრი, თანმიმდევრული კონცეფცია შეიმუშავა ამ პერიოდის ძირითადი პროცესების შესახებ.

ს. ჯანაშიამ, თავის წინამორბედ მკვლევრებთან შედარებით, უფრო დამაჯერებელი, დასაბუთებული არგუმენტები წამოაყენა ქართველ ტომთა წინაპრებში პირველყოფილ-თემური წყობილების არსებობის შესახებ.

მეტად საყურადღებო და ორიგინალურია, კერძოდ, გვაროვნულ

გაერთიანებათა არსებობის შესახებ ჯანაშიასეული მსჯელობა და ამ შემთხვევაში ენობრივი მასალის მარჯვედ გამოყენება. მკვლევარმა ნათელყო, რომ ქართული ენის სოციალური ტერმინების ანალიზს მეტად საგულისხმო შედეგების მოტანა შეუძლია, რომ იგი იძლევა მასალას ვიმსჯელოთ, ვთქვათ, დედამთავრული და მამამთავრული გვაროვნული ორგანიზაციების შესახებ შორეულ წარსულში. ს. ჯანაშიამ ისტორიის საშენ მასალად შემოიტანა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „სახლი“ (გვარი), „ნათესავი“ (ტომი), „ერი“ (ხალხი, ლაშქარი), „დასახლისი“, „სახლისშვილი“, „გუთნისდედა“, „მამასახლისი“ და სხვ.

ს. ჯანაშიამ ახალ არქეოლოგიურ მასალათა მოპოვების შემდეგ გაბედულად უარყო თავის დროზე მის მიერაც გაზიარებული ძველი შეხედულება, რომ ქართველი ტომების თავდაპირველი სამშობლო კავკასია არ ყოფილა და ისინი დღევანდელ ტერიტორიაზე სამხრეთიდან (მცირე აზიიდან) გადმოსახლდნენ. მან შედარებით უფრო მეტი გარკვეულობა შეიტანა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის გადაწყვეტაში.

შეუდარებელი ალღოსა და ნათელი პერსპექტივების მქონე მეცნიერმა ჩამოაყალიბა ის დიდი, გზის გამკვლევი დებულება, რომლის მიხედვითაც ქართული მიწის წიაღში არსებული ნივთიერი ძეგლები, აღამიანთა ადრეული საფეხურების მაღალ ცივილიზაციაზე რომ მეტყველებდნენ, მეზობელი და უცხო ტომების ნამოსახლარის ნაშთი გავლენის შედეგი კი არ ყოფილა, არამედ ქართველ ტომთა წინაპრების მიერ ოდითგანვე შექმნილი მატერიალური კულტურის დამადასტურებელი იყო. ეს იყო ქართველი ხალხის ცხოვრების ობიექტურ პირობათა ნიადაგზე აღმოცენებული თავისთავადი კულტურა, რომელსაც, რა თქმა უნდა, სათანადო შეხება-ურთიერთობა ჰქონდა საგარეო-კულტურულ სამყაროსთან.

ქართული კულტურული სამყაროს ავტოქტონობის შესახებ დებულებამ, ავტორის თაოსნობით და მისავე სიცოცხლეში, მეტად არსებითი დასაბუთება ჰპოვა. არქეოლოგიურმა გათხრებმა მცხეთა-არმაზში, თრიალეთში და სხვაგან უცილობელი დასაბუთება მოუპოვეს ამ შეხედულებას, რომელიც უკვე მწყობრი მეცნიერული კონცეფციის ძალით შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„მიგრაციის თეორიის“ უარყოფა ს. ჯანაშიას მიერ, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. შ. მესხია, სრულებით არ ნიშნავდა მესოპოტამიის, მცირე აზიისა და ირანის უძველეს მოსახლეობასთან ქართველი ტომების მონათესაობის მტკიცებაზე ხელის აღებას. პირი-

ქით, ს. ჯანაშია მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობასთან ქართველი ტომების ნათესაობის მტკიცებას არა ერთ ნაშრომში შეეცადა“. ს. ჯანაშიას მიერ „ძველი საქართველო განიხილება როგორც უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილი. ამ ვრცელ სამყაროში ვიწრო ასპექტით კავკასია იგულისხმება, ხოლო ფართო გაგებით — ძველი აღმოსავლეთი“... მკვლევარმა დაასკვნა, რომ ქართველი ტომები წარმოშობით ხეთურ-იბერიული მოდგმისანი არიან.

ასლო აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობასთან ქართველი ტომების გენეტიკური კავშირის თეზისს ასაბუთებდა ს. ჯანაშია თავის ნაშრომებში — „თუხალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“, „მესხთა ტომის ისტორიიდან“, „ურარტუ“ და სხვ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ქართველთა პირველსაცხოვრისის“ შესახებ, რომელშიაც „ქართლის მოქცევის“ ცნობა, საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ქართველთა ე. წ. გადმოსახლებას რომ ეხება, ახსნილ იქნა, როგორც ანარეკლი ტომთა სოციალურსა და საგარეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისა; ნამდვილად ადგილი ჰქონდა ხალხის გადასახლებას კი არა, არამედ, კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების თანდთან გადანაცვლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემის უკეთ გადაწყვეტისათვის ს. ჯანაშია წარმატებით სწავლობდა არა მარტო წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან კავშირის დამადასტურებელ მონაცემებს, არამედ წარმატებით იკვლევდა ქართველ და კავკასიელ ტომთა ურთიერთობის საკითხებსაც. ამის მაჩვენებელია მისი წერილები — „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი ქართულ ტომონიმიკაში“, „სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“.

„აჟად ს. ჯანაშიამ, — წერს აჟად. გ. ჩიტაია, — ვერ მოასწრო ქართველი ტომების, ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ პრობლემა ყოველმხრივ გაეშუქებინა და თავისი კონცეფცია საბოლოოდ ჩამოყალიბებინა. მაგრამ ის, რაც ამ კონცეფციისათვის ძირითადი და მთავარია — გაკეთებულია და რაც გაკეთებულია, ისეთ მყარ ნიადაგზეა აგებული, რომ ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერების ბრწყინვალე მონაპოვარს შეადგენს“.

ს. ჯანაშია პირველი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც მარქსისტული მეთოდოლოგიის შუქზე გამოარკვია საქართველოში პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივი

საზოგადოების ჩასახვა-განვითარების ურთულესი და ძნელად შესაძლებელი პროცესები. არსებული საკმაოდ ძუნწი მონაცემების მკაცრი და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია ამტკიცებდა, რომ ქართველი ტომების ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი მონათმფლობელურ საზოგადოებრივ წყობილებას. სტრაბონის ცნობათა ახლებური, წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებული, ინტერპრეტაციის შედეგად ავტორმა დაასკვნა, რომ ძველსა და ახალ საუკუნეთა მიჯნაზე იბერიაში არსებობდა გვაროვნული საზოგადოება კი არა, არამედ კლასობრივი საზოგადოება, რომელსაც გვაროვნული წყობილების გადმონაშთები ახასიათებდა.

აქამებდა რა თავის დაკვირვებებს ჩვენში არქაული კლასობრივი საზოგადოების შესახებ, ს. ჯანაშია წერდა: „წარმოების მონათმფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არ მიუღია, როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, რომსა და საბერძნეთში“. მისივე მტკიცებით, კოლხეთსა და იბერიაში მონათმფლობელური სახელმწიფოები ძვ. წელთაღრიცხვით VI—IV საუკუნეებში წარმოიშვნენ.

ს. ჯანაშია საქართველოს ძველი ისტორიის თანმიმდევრული და ყოველმხრივი მკვლევარი იყო. მას მხედველობიდან არ რჩებოდა ამ დროის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. თავის წერილებში მან დაადგინა იბერია-კოლხეთის პოლიტიკური საზღვრები, ქართული მონათმფლობელური სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრები, გაარკვია არა ერთი გეოგრაფიული სახელწოდების ადგილი და ისტორიული მნიშვნელობა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი წერილები — „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“, „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში“, „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის“, „პარიადრი, სკიდიო, მოსხური მთები“ და სხვ.

დიდა ს. ჯანაშიას ღვაწლი საქართველოს ძველი ისტორიისათვის არქეოლოგიურ მასალათა ძიების საქმეშიაც. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ს. ჯანაშიამ საქართველოს ძველი ისტორიის, კერძოდ კი ძველი ქართული კულტურული კერების ტერიტორიული განსაზღვრისა და ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემებს დაუქვემდებარა. მან მოგვცა ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს არქეოლოგიურისა და ისტორიული კვლევის ერთმანეთთან შერწყმა.

„საქართველოს ახალგაზრდა არქეოლოგიის საქმეში, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — სიმონ ჯანაშიას საპატიო ღვაწლი მიუძღვის, ხოლო მცხეთა-არმაზის დიდი არქეოლოგიური აღმოჩენები, ახალ ეპოქას რომ ქმნიან ქართველი ხალხის ისტორიაში, მის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული“.

განსაკუთრებით დიდია ს. ჯანაშიას დამსახურება ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის საქმეში. მან ჩამოაყალიბა გზისგამკვლევი დებულება იმის შესახებ, რომ ძველი საქართველოს მიწა-წყალზე ადგილი ჰქონდა ბრინჯაოს კულტურის ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ძირითად წრეს—კოლხურსა და იბერიულს. მან მოძებნა კემმარიტი დასაბუთება იმისა, თუ რა საფუძველზე იყო უფრო მართებული ე. წ. „ყოზანის კულტურის“ მაგიერ „კოლხური კულტურის“ სახელდება. კერძოდ, კოლხეთის ძველი წარსულის ძიებამ ს. ჯანაშია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო პირველ რიგში ვანის რაიონის, დაბლაგომის, ყულევის, ურეკის, ანაკლიისა და ოჩამჩირის არქეოლოგიური შესწავლა. მისივე უშუალო მითითებებით დაიწყო საქართველოს ძველი მეტალურგიის, ლითონის დამუშავების ადგილობრივი ცენტრების შესწავლა, გაფართოვდა არქეოლოგიურ ექსპედიციათა მოქმედების ასპარეზი (ზემო რაჭა, შიდა ქართლი და სამხრეთ-ოსეთი, თრიალეთი და სხვ.).

არქეოლოგიური მასალების მოპოვების გზით ივანეზა და გააღრმავეა ს. ჯანაშიამ თავისი დებულებები ქართველ ტომთა წარმოშობისა და მათი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩასახვა-განვითარების შესახებ. იგი პირველი იყო, რომელმაც, პროფ. ა. აფაქიძის სამართლიანი შენიშვნით, წალკის მიდამოებში მოპოვებულ მასალებში ვიწრო-ლოკალური მოვლენა კი არა, არამედ დიდი მეცნიერული პრობლემის ერთ-ერთი ნიშანსვეტი შეიცნო. „ეს ძეგლები წალკისა კი არა, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ფრიალ მნიშვნელოვანი პროვინციის კულტურააო, აცხადებდა განსვენებული აკადემიკოსი. ...იქ აღმოჩენილი ძეგლები განხილულ უნდა იქნეს არა როგორც „წალკის“ არქეოლოგიური ძეგლები, არამედ ქართველთა პირველსაცხოვრისის ცენტრალური რაიონებისათვის დამახასიათებელი კულტურა, რომელსაც ს. ჯანაშია თავის მხრივაც გამოკვლევაში მახლობელი აღმოსავლეთის ადრე დაწინაურებულ ხეთურ-იბერიულ კულტურას, ხეთურ-იბერიული მოდგმის ხალხს მიაკუთვნებდა“.

გასაგები იყო, რომ 1941 წ. გამოქვეყნებული პროფ. ბ. კუფტინის წიგნი თრიალეთის გათხრების შესახებ რედაქტორის, ს. ჯანაშიას,

კვალიფიცირებული სახელითა და ამდენად, მისი იდეით შთაგონებული გამოვიდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან (1940 წ.) ვიდრე სა-
ცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა ს. ჯანაშია არქეო-
ლოგიურ გათხრებს საქართველოში. დიდია მისი ღვაწლი არქეოლოგ-
თა მომდევნო თაობის აღზრდის საქმეშიაც.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ს. ჯანაშიას ღვაწლი საქართველოს
ფეოდალური ხანის, უმთავრესად კი მისი ადრეული პერიოდის, ისტო-
რიის შესწავლის საქმეში.

მისი დამოკიდებულება ადრეფეოდალური ხანის ისტორიის პრობ-
ლემისადმი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის წარსული სხვა პერიოდე-
ბისადმი, სავსებით ახლებური იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. არ-
სებული საქმოდ ძუნწი მონაცემების ღრმა-მეცნიერული ანალიზის
საფუძველზე, ავტორმა გაარკვია საქართველოში ფეოდალური ფორ-
მაციის საწყისი საფეხურებისათვის დამახასიათებელი თავისებურება-
ნი და ფართო ისტორიულ კრილში განიხილა ისინი.

ს. ჯანაშიამ ნათელპყო, რომ საქართველოში ფეოდალური ურთი-
ერთობა, ერთი მხრივ, პირველყოფილ-თემური ურთიერთობის დაშ-
ლის, ხოლო, მეორე მხრივ, მონათმფლობელური ურთიერთობის
რღვევის გზით იკავდა გზას.

ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ძირითადი კლასების
კონსოლიდაციას ჩვენში წინ უძღოდა ეკონომიურ ცხოვრებაში, კერ-
ძოდ კი საწარმოო ტექნიკაში, მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები.
ძველი საქართველოს ისტორიის საუკეთესო ცოდნამ, რა თქმა უნდა,
გაუადვილა ავტორს ნათლად შეემჩნია თვისობრივად ახალი მოვლე-
ნები, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ქართლის წიაღში რომ ისახებოდნენ.

უპირველეს ყოვლისა, ს. ჯანაშიამ დაგვიმტკიცა, რომ ფეოდალუ-
რი ურთიერთობის საწყისები საქართველოში გაცილებით ადრე მო-
ჩანდნენ, ვიდრე ეს მანამდე იყო ცნობილი. რკინის იარაღების გაუმ-
ჯობესება და გავრცელება, ინტენსიური მევენახეობა, მრავალდარგი-
ანი მიწათმოქმედება და სხვ. ის ეკონომიურ-ტექნიკური ხასიათის
მოვლენები იყო, რომლებიც დღის წესრიგში აყენებდა წარმოების
ძველი წესის შეცვლას და ამავე დროს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა
იმისათვის, რომ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა შედარე-
ბით ადრე ჩასახულიყო.

მეტად ორიგინალური იყო ს. ჯანაშიას დაკვირვება ე. წ. „ერის“

დიფერენციაციის შესახებ. ეკონომიური ცხოვრებისა და საწარმოო ძალების განვითარებას თან სდევდა ძველი „ერის“ დაშლა მიწისმოქმედ და მოლაშქრე ფენებად, ერთგვარი ბზარი გაივლო „მეომრებსა“ და „მიწის მოქმედთა“ შორის. „ერის“ მთელი შემდეგდროინდელი ისტორია (იგულისხმება ძველ და ახალ საუკუნეთა მიჯნის შემდგომი ხანა, მ. დ.), — წერდა ს. ჯანაშია, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეუირიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს, ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენში“ — „გლეხობაში გადადის (თავის მდგომარეობის მიხედვით), უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით“.

ადრეფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელ მოვლენათა დასადგენად ს. ჯანაშიამ მოიშველია არა მარტო ანტიკური ხანის წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები, არამედ ნაწილობრივ გამოიყენა კიდევ ნაგვიანვეი ფეოდალური ხანის წყაროთა ჩვენებანიც. მან თვალი გაადევნა „ერის“ შემდეგდროინდელ ევოლუციას საქმაოდ გრძელ, მრავალსაუკუნოვან მანძილზე, გვიჩვენა თუ როგორ თანდათანობით ხდებოდა „ერის“ და თემის საკუთრებაში მყოფი მიწების დატაცება ფეოდალთა მიერ, თემური მფლობელობის რღვევა და მიწის ინდივიდუალური მფლობელობის დამყარება.

ს. ჯანაშიას ფუძემდებლურ მონოგრაფიებში — „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ — ჩამოყალიბებულია საქმაოდ მწყობრი კონცეფცია ამ ფორმაციის დამკვიდრების მრავალსაუკუნოვანი პროცესის შესახებ, მოქმედი ტენილები და ნაბრძნები მისი განვითარების გზაზე. ასეთ ერთ ტენილად ს. ჯანაშია ნამდვილად თვლიდა IV საუკუნეს, როდესაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა.

ს. ჯანაშიამ, პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, სრულიად ახლებურად გააშუქა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება საქართველოში. მან ახსნა ამ რელიგიის შემოსვლის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, მისადმი საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება; აჩვენა მონათმფლობელური ქართლის სახელმწიფოს კრიზისისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ავტორმა ნათელჰყო ის წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარმართული რელიგიის მესვეურ ქურუმებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის IV საუკუნის ქართლში, რომ ეს წინააღმდეგობა ფაქტურად მიწის ნიადაგზე

იყო აღმოცენებული. „მეფე შერთი უყურებდა ტაძრების მემამულეობას“ განსაკუთრებით მაშინ, როცა მონარქიის საკუთარი მიწის ფონდი კლებულობდა. ეს უკანასკნელი გარემოება იყო შედეგი ფეოდალიზაციის აღმავალი პროცესისა, როდესაც სამხედრო-ლენური ურთიერთობა შემოდიოდა. იქმნებოდა კავშირი ახალგაზრდა აზნაურულ კლასსა და მონარქიას შორის. ახალი საარწმუნოება უკვე ამ მოკავშირეთა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მიზნებს უბასხებდა. ქრისტიანობა შემოდიოდა როგორც ახალგაზრდა ფეოდალური კლასის იდეოლოგია, „აზნაურთა რელიგია და ძველი მონარქიის ოფიციალური კულტი“.

ს. ჯანაშიამ ახლებურად ახსნა ქრისტიანობის ვავრცელების არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო-პოლიტიკური მიზეზები. ირანთან და რომთან საქართველოს ურთიერთობის მოვლენები ავტორმა ოსტატურად დაუკავშირა ქვეყნის შიგნით მიმდინარე ფეოდალიზაციის მოვლენებს, აჩვენა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ კლასთა დამოკიდებულება საგარეო ძალებისადმი.

ს. ჯანაშიამ მისთვის ჩვეული საბუთიანობით გაარკვია ცვლილებები V ს. ქართლის კლასობრივ შემადგენლობაში, სხვადასხვა სოციალური ფენების ადგილი და როლი ქვეყნის ცხოვრებაში. ამისთვის მან არსებულ ნარატიულ წყაროებში დაინახა ის, რაც მანამდის შეუმჩნეველი იყო. ამასთან დაკავშირებით მეტად დამახასიათებელია, რომ ჯუანშერის, თუ, ს. ჯანაშიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ სახელს უკან ამოფარებული მწერლის“, თხზულებაში „მერმინდელი, არასწორი და ზოგჯერ ლეგენდარული, შენაზარდების სქელი შრის ქვეშ“ მკვლევარმა „უაღრესად მნიშვნელოვანი“ და „ძალიან ძველი ელემენტები“ აღმოაჩინა. ასეთი ძნელად სავალი გზით ახსნა ავტორმა მრავალნაირი სოციალური ტერმინებისა და ელემენტების ისტორიული მნიშვნელობა და მათ სათანადო ადგილი მიუჩინა ფეოდალურ-წოდებრივ იერარქიაში.

ს. ჯანაშიას დასკვნით, IV—V სს. საქართველოში მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა ფეოდალურ წყობილებასა (რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქ მხოლოდ ერთი ძლიერი ელემენტის სახით“ იყო მოცემული) და მონათმფლობელურ ურთიერთობას შორის (რომელიც „მეორე ძლიერი კომპონენტის სახით“ არსებობდა).

ფეოდალური განვითარების მომდევნო ეტაპზე, ს. ჯანაშიას დასკვნით, კლასობრივი წინააღმდეგობა გამწვავდა, დაირღვა ძველი კავშირი მონათმფლობელური სახელმწიფოს მეთაურსა და აზნაურებს შორის. მწიფდებოდა ახალი, უფრო არსებითი ტენილი ფეოდალიზმის

ისტორიაში. სამამულო მფლობელობისათვის ბრძოლაში აზნაურობა შეფეს უპირისპირდებოდა და საგარეო ძალის მოშველიებით ფიქრობდა საბოლოო გამარჯვების მოპოვებას. და მართლაც, როგორც ავტორმა აჩვენა, მეფობის გაუქმება ქართლში ირანის მთავრობისა და დიდაზნაურთა შეხმატკბილებული მოქმედების შედეგი იყო, რომ ამ აქტის შემდეგ ქვეყანაში ფაქტიურად აზნაურები გაბატონდნენ, შემდეგში კი, როცა ქართლმა პოლიტიკური ავტონომია მიიღო, ავტონომიის მეთაურმა ერისთავები ველარ შეცვალა, რადგან მათ უკვე სპარსთა და ბერძენთა მეფეთაგან ჰქონდათ „სიგელნი მკვიდრობისანი“.

ავტორმა მოხდენილად დაახასიათა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ფინალური ეტაპი, მოგვცა VI საუკუნის უაღრესად რთული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ქეშმარიტი ახსნა. მან დაასკვნა, რომ VI საუკუნე მართლაც მოსაბრუნე ეტაპი იყო საქართველოს ისტორიაში. ამ დროს გამარჯვებით სრულდება ე. წ. ფეოდალური რევოლუცია, აზნაურთა კლასი ქართლის ხელისუფლებას იპყრობს და საფუძველს უყრის ახალ ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელიც ხანგრძლივი დროის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებათა შედეგი იყო. ავტორმა აჩვენა აგრეთვე, თუ როგორ დასჭირდა ახალგაზრდა ფეოდალურ ძალებს ერთი საგარეო მტრის დაპირისპირება მეორის წინააღმდეგ, როგორ იბრძოდა იგი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, როგორ მოხდა, რომ სპარსთა წინააღმდეგ მათ ბერძენები მოიწვიეს და სხვ.

ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემის ასე გადაჭრა იმ დროს უდაოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ სადოქტორო ნაშრომზე უფრო დიდი რამ იყო და სწორედ ამიტომ 1938 წ. 23 ივნისს, როცა სიმონი დისერტაციას იცავდა, მისი ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი ნ. ბერძენიშვილი აცხადებდა — „ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის უბანში ზეიმი არისო“. „შეიძლება დეტალებში შესწორდეს ავტორის ეს დებულებანი, — განაგრძობდა ნ. ბერძენიშვილი, — შეიძლება თარიღიც, განსაკუთრებით მისი (ფეოდალური ურთიერთობის, მ. დ.) დასაწყისი ხანისა, დაზუსტდეს, მაგრამ ძირითადად ეს დებულებანი ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ურყევი დარჩებიან. ისინი საძირკველად დაედებიან საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის დაღრმავებულ კვლევას“.

ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ძირითად ნაშრომს ს. ჭანაშიამ უწოდა „ფეოდალური რევოლუცია“

საქართველოში“ (იგი გამოქვეყნდა 1935 წ., 2 წლის შემდეგ კი მას მოჰყვა ახალი გამოკვლევა, რომელიც პირველს ავსებდა—„საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“). მოტიანილი მოკლე მიმოხილვითაც შეიძლება დაერწმუნდეთ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენდა არა მარტო გახსნილ საიდუმლოებას ფეოდალური ფორმაციისა, არამედ ნამდვილ რევოლუციას ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც მტკიცედ შედგა მარქსისტული განვითარების საფეხურზე.

ფეოდალური ფორმაციის შემდგომი გაღრმავება-განმტკიცების პროცესი ს. ჯანაშიამ გააშუქა ნაშრომში „არაბობა საქართველოში“. აქ, არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ გაჩაღებული ქართველთა ბრძოლის, უცხო ტომთა ბატონობის სოციალურ-პოლიტიკური არსის, მისი ცალკეული ეტაპების ახსნის გვერდით, ნაჩვენებია მიწის ფონდის დაჩემებისათვის მოძრაობის საინტერესო პროცესი. აზნაურები იბრძოდნენ სათემო თუ კერძო მამულების მითვისებისათვის, ქართლის ერისმთავრები კი იწყებდნენ საეკლესიო-სამონასტრო მიწების მითვისებას; მერმინდელ ეტაპზე — VIII ს. მიწურულსა და IX ს. დამდეგს — ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნის შემდეგ, ჩაღდება საშინაო ომი მათ შორის სამფლობელოების გაფართოებისათვის. ეს ბრძოლა კი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით სრულდება. იგივე საკითხები უფრო მეტი სპეციალური სიღრმით გაარკვეია ს. ჯანაშიამ წერილში — „ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში“.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის დამახასიათებელ მოვლენათა ერთი ციკლი ვარკვეულია სახელოვანი მეცნიერის ნაშრომში „О времени и условиях возникновения Абхазского царства“.

ს. ჯანაშიამ სავსებით ახლებურად გაიაზრა ადრეფეოდალური ხანის არა მარტო სოციალურ-ეკონომიური ისტორია, არამედ ამ ეპოქის თითქმის ყველა ძირითადი პრობლემა და ცალკეული საკითხები. როგორც ცნობილია, ს. ჯანაშიამ დაწერა საქართველოს ისტორია, უძველესი ხანიდან მოყოლებული ვიდრე X ს. ბოლომდე. ეს შრომა დაიწერა მრავალტომიან „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისათვის“. მისი ქართული ვარიანტი შევიდა 1943 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. ამავე სახელმძღვანელოს 1946 წ. გამოცემისათვის ს. ჯანაშიამ, როგორც მისმა რედაქტორმა და თანავტორმა, წიგნი დამატებით პარაგრაფებით გაამდიდრა. მან „ხელახლა დაწერა“ „დავით აღმაშენებელი“, ხოლო „ახლად“, ანუ მის მიერ შექმნილი ნარკვევის საფუძველზე — „ქართული ფეოდალური

მონარქიის განვითარება დავით III-ის დროიდან დავით IV-მდე“ და „ქართული ფეოდალური მონარქია მე-12 საუკუნეში“.

საქართველოს ისტორია, დასაბამიდან ვიდრე X—XII საუკუნეებამდე, დაწერილია ღრმა მოაზროვნე ისტორიკოსის მიერ. ავტორის მახვილ ყურადღებას არ გამოარჩენია თითქმის არც ერთი კარდინალური საკითხი. მის ნაშრომში მკითხველი საზოგადოება კმაყოფილების გრძნობით ეცნობა ქართველი ხალხის მოკრძალებულ წვლილს, რომელიც მან მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის საუნჯეში შეიტანა თავისი სამეურნეო-ეკონომიური, სამწერლობო თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრებით.

ს. ჯანაშიასა და მისი თანაავტორების — ი. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის — მიერ დაწერილ საქართველოს ისტორიას, ღრმა მეცნიერულ ღირსებებთან ერთად, მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. როგორც სასწავლო წიგნი, იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს, ხოლო, როგორც სამამულო ომის ვითარებაში დაწერილი, ფართო მასებისთვისაც გამიზნული პატრიოტული ჰიმნი ქართლის წარსულზე, წარმოადგენდა ერთ-ერთ მძლავრ იარაღს საგარეო დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლაში.

ს. ჯანაშიას ბარაქიანი მარჯვენა შეეხო საქართველოს ბურჟუაზიული ხანის ისტორიის საკითხებსაც. როგორც ცნობილია, იგი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ინტენსიურად მუშაობდა XIX ს. II ნახევრის საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, რათა ნ. ბერძენიშვილთან ერთად, შეეცხო ის ხარვეზი, რომელიც საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ახასიათებდა. მასში ხომ ისტორიული თხრობა მხოლოდ XIX ს. დამდეგამდე იყო მოყვანილი. ამ მიზნით, ს. ჯანაშია უაღრესად მდიდარ საარქივო მასალებს გაეცნო. სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა მისთვის ჩვეული სიღრმით გაეშუქებინა ხსენებული ეპოქის ისტორია.

ს. ჯანაშიას ნაშრომში „გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი“ აღძრულია მეტად ორიგინალური, მანამდის ხელშეუხებელი საკითხები. მკვლევარმა ფართო ისტორიული შესავალი წაუმძღვარა მწერალ გიორგი შარვაშიძის ნაშრომთა პუბლიკაციას. შესავალში ავტორმა ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების მიზეზთა შესახებ. იქვე მოცემულია აფხაზეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის უაღრესად საინტერესო მონახაზი. მან დაამტკიცა, რომ აფხაზეთი ფეოდალური ხანის თითქმის მთელ სივრცეზე და გიორგი შარვაშიძის მოლ-

ვაწობის დროსაც, „მთლიანად იყო მოქცეული ქართული კულტურის წრეში“, „მთავრის ოჯახის წევრების მიმოწერის ენაც ქართული იყო“ და თვით გიორგი შარვაშიძეც „მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს უკავშირდებოდა“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ს. ჯანაშიას ნაშრომს „ქართველი ერის წარმოშობა სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შესახებ“ (შემოკლებული სახით დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, 1945 წ. 10 მარტი). მისი ძირითადი დასკვნები შევიდა „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში. ს. ჯანაშიამ სავსებით სწორად მიუყენა ქართულ სინამდვილეს ერის ჩამოყალიბების შესახებ მარქსისტული თეორია და აჩვენა, რომ ერის ჩამოყალიბების პროცესი XIX ს. კულტურული ეპოქის არა, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს ეგონა, არამედ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შემდეგი იყო.

„ს. ჯანაშია, — წერდა აკად. ვ. თოფურია, — იყო იშვიათი მეცნიერი, რომელმაც შეითავსა დიდი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი“. მან წარმატებით გამოიყენა ენობრივი მასალები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემაზე მუშაობის დროს და საგრძნობი წვლილი შეიტანა ქართული და კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლის საქმეში. ს. ჯანაშიამ დაგვიტოვა „ადიდური (ჩერქეზული) ენებისა და მათი დიალექტების ფონეტიკურ-მორფოლოგიური მიმოხილვა“, გარკვევა „ჩერქეზულისა და აფხაზურის ურთიერთდამოკიდებულება, ჩერქეზულისავე გენეტური და ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა ქართველურ ენებთან და პირუკუ... საფუძვლიანმა კვლევა-ძიებამ შუქი მოჰფინა არა მარტო ამ ენების ლექსიკისა და სინტაქსის რიგს ბნელ მხარეს, არამედ, რაც საგანგებოდ აღსანიშნავია, ფონეტიკისა და მორფოლოგიის დღემდე აუხსნელ მრავალ ძირითად საკითხსაც“.

ძალზე შინაარსიანი და მრავალმნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ს. ჯანაშიას პედაგოგიურ-აღმზრდელი მუშაობა ისტორიისა და ენათმეცნიერების დარგებში. მან ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი პლეადა გამოზარდა და ეროვნული მეცნიერების სამსახურში ჩააყენა.

„ს. ჯანაშია, — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, — მეცნიერების არა მარტო ერთგული მსახური იყო, არამედ ის იყო ამავე დროს მისი ღირსებისა და სიწმინდის ერთგული დარაჯიც. მას უკიდურესად სძაგდა ზედპირულობა მეცნიერებაში, ყოვლად დაუნდობელი იყო მეცნიერების გამყალბებელთა მიმართ და დაურიდებლად ამათრახებდა ყალბისმქმნელთ. ასეთია მისი რეცენზიები სსრკ ხალხთა ისტო-

րիս სახელმძღვანელოზე უმაღლესი სკოლებისათვის და ტოკარსკის ნაშრომზე „Архитектура древней Армении“.

მეტად მომხიბლავი იყო ს. ჯანაშიას ადამიანური ბუნება — მაღალი სულისკვეთების, თავმდაბალი, მუდამ თავაზიანი და მოყვასის ღიმილით სახეგანათებული, უაღრესად გულისხმიერი და ამავე დროს მრისხანე, როცა საქმე ეხებოდა დისციპლინას, მოვალეობას. ზომაზე მეტად გადატვირთული, მეცნიერთა დიდი ფრონტის ხელმძღვანელი და საზოგადო მოღვაწე, მაინც ახერხებდა დროის შოვნას, რათა პირადი დახმარების ხელი გაეწოდა თავისი თანამშრომლებისა და მოწაფეებისათვის.

ყოველივე ამის გამო, ს. ჯანაშია კოლოსალური ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. ამიტომაც იყო, რომ მისმა უდროოდ გარდაცვალებამ (1947 წ. 15., XI) ქართველ ხალხში საყოველთაო გლოვა გამოიწვია. ხალხმა კი ს. ჯანაშიას სიყვარულს სიყვარულითვე უბასუხა და იგი მთაწმინდას მიაბარა თავის სახელოვან დიდ მოღვაწეთა გვერდით.



М. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ВИЗАНТИЙСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ НА ГРАНИ X—XI ВВ. *

Грузино-византийские взаимоотношения никогда не являлись для Грузии фактором лишь внешнеполитического характера. Вековые культурно-экономические и политические связи обуславливали большое влияние Византии на исторические судьбы грузинских государств, на внутреннюю историю страны. В силу сложившейся исторической ситуации особенно тесные взаимоотношения существовали между раннефеодальным грузинским государством — Тао-Кларджетским (resp. Картвельским) царством и Империей.

В конце VIII нач. IX вв. в результате социально-экономического развития в условиях напряженной борьбы с внешним врагом (Халифат, Византия) на территории исторической Грузии создаются крупные раннефеодальные царства-княжества (Кахетское, Эретское, Эгрис-Абхазское, Тао-Кларджетское). Организация Тао-Кларджетского (resp. Картвельского) княжества протекала в условиях борьбы с Тбилиским эмиратом при поддержке Византии. Ашот Багратиони, представитель древнего грузинского княжеского рода, потомственный эриस्ताвар Картли, в результате конфликта с арабами эмигрировал из центральной Картли в родовые имения Багратиони, обосновался в Кларджети с резиденцией в Артануджи и при поддержке Византии активно взялся за организацию княжества. В пределы княжества входили провинции Кларджети, Шавшети, Нигали, Адчара, Северная Тао, Самцхе, Джавахети, Артаани...

В Тао-Кларджетском княжестве с самого начала сложилась сложная система иерархического управления. Во главе княжества стояли представители средней линии Ашота Багратиони, носившие титулы «мтавари» (князья) и «куропалата» и затем «царя», а представители побочных линий носили более низкие византийские (магистр) или местные (мампалали, эриставт-эристави и др.) титулы, лишь номинально подчинялись княжес-

* Доклад прочитан на XIV международном конгрессе византистов в Бухаресте 8 IX. 1971 г.

кой воле и считались соучастниками высшей княжеской (а затем царской) власти. Таким образом, власть рода Багратиони была основана на принципе феодального коллегияльного управления¹.

Такая расчлененная иерархическая система управления раннефеодального грузинского государства, Тао-Кларджетского княжества была обусловлена в основном внутренним положением страны, условиями организации княжества и ролью византийской империи.

Указанная система управления способствовала фактически полной независимости входящих в состав царства отдельных единиц.

В Тао-Кларджети после смерти куропалата Ашота Багратиони, его три сына, старший Адарнасе, средний Баграт и младший Гуарам, с согласия (быть может и санкции) Империи старшинство предоставили среднему, Баграту, который и получил титул куропалата. Но как уже отмечалось, власть принадлежала всем трем. Баграт считался лишь номинально старшим, но каждый из них совершенно самостоятельно правил своими владениями. В последующих поколениях дробление власти Багратиони углубляется. Представители старшей ветви утверждают за собой области Шавшети, Кларджети и др. с резиденцией в г. Артануджи, младшая ветвь становится жертвой междоусобной войны, представители средней ветви в конце IX в. получают титул «царя грузин» («Картвелта мепе») и в этой ветви же выделяется еще одна побочная линия владетелей Тао². Дом владетелей Тао из средней линии грузинского рода Багратиони выделился в I пол. X века, но особого могущества и влияния на исторической арене представители этого дома достигли во II пол. X века, во времена Давида куропалата.

Давид куропалат является очень интересной личностью в исторической жизни Грузии II пол. X в.

Царство Тао занимало особое положение среди других грузинских царств и княжеств. С юго-востока оно непосредственно граничило с Византией и граница между Империей и Тао прохо-

¹По данному вопросу см. И. Джавахишвили, История грузинского народа, т. II, 1948, стр. III (на груз. яз.); Е. Такайшвили, Археологическая экскурсия в южные провинции Грузии, Тб., 1952, стр. 30; С. Н. Джаниашвили, Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1946, стр. 26 и др.

²Исследование вопроса и обзор основной литературы см. С. Н. Джаниашвили, Об одном примере... стр. 26 и дальше. Е. Такайшвили, Хроника Сумбата Давитисдзе о Тао-Кларджетских Багратионах, МИГК, вып. 27, Тб., 1949 (на груз. яз.), стр. 16—53 с генеалогической таблицей.

дила по р. Араксу³. С юго-востока Тао граничила с армянскими землями, находящимися под властью мусульманских владетелей. Собственно Тао (рекой Банис-Цкали) была разделена на две части. Северная Тао принадлежала царю картвелов Баграту, а Южная Тао, совместно с северным Басиани, Тортоми и Спери с 60-х годов X века являлась владением Давида куропалата⁴.

В 60-х годах X в. Давид в источниках упоминается как эриставт-эристави⁵ и магистр⁶. С 977 г. Давид именуется куропалатом⁷. Небезынтересно отметить, что этот Давид именуется «Куропалатом всего Востока»⁸; что могло быть связано с переходом в его руки ряда восточных провинций Империи. Он же (Давид) именуется «царем»⁹ и «великим»¹⁰.

Ослабление арабов в X в. предоставило возможность христианским государствам Ближнего Востока активизировать борьбу против них. Византийская империя активно пользовалась в борьбе с арабами помощью христианских владетелей Закавказья, и собственно — владетелей Тао-Кларджети. Грузинские Багратионы успешно боролись с ними и отторгнутые от мусульман земли Византия была вынуждена признавать их собственность. Так присоединил Давид область Басиани к царству Тао¹¹.

В середине X века Византия перешла в наступление и достигла немалых успехов в борьбе с арабами. В имперских вой-

³ Константин Багрянородный, Сведения византийских писателей в Грузии. т. IV, вып. II, Греческий текст с грузинским переводом издал и примечаниями снабдил С. Г. Каухчишвили, Тб., 1952, стр. 271—272.

⁴ Там же, стр. 271—272.

⁵ Сумбат Давитисдзе, Жизнь и известие о Багратидах пер. Е. Такайшвили. См. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. вып. XXVIII. Тб., 1900, стр. 150.

⁶ Е. Такайшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии. Тб., 1952, стр. 59—60.

⁷ И. Джавахишвили, Грузинская палеография, Тб., 1949, стр. 169—170 (на груз. яз.). Е. Такайшвили, Археологическая экспедиция..., стр. 60.

⁸ Ал. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, 1886, кн. I, стр. 90—91; Ф. Жордания, Хроники., I, Тб., 1898 (на груз. яз.), стр. 108.

⁹ Е. Такайшвили, Археологическая экспедиция..., стр. 57, 62 и др.

¹⁰ Сумбат Давитисдзе, стр. 151.

¹¹ Константин Багрянородский, Указ. изд., стр. 869. По данным вопросам см. В. Копалиани, Из истории грузино-византийских отношений, Труды ТГУ, 61, Тб., -956, стр. 113.

3- საქ. უყოფ. ხანის ისტორიის სკოლები.

оках сражались и грузинские части царства Тао, за что владетель Южной Тао получил определенную компенсацию¹². Но ситуация, созданная в Византии в 70-х (976—979 гг.) годах X в., ограничила возможности Империи и последняя была вынуждена обратиться за помощью к грузинскому куропалату¹³.

За оказанную помощь Империя передала Давиду в пожизненное владение значительную территорию, т. н. «верхние земли», т. е. Ерзерумский или Каринский округ, южный Басиан, Чормаир в верховьях р. Аракс, Халдой-Арич вместе с клисурой — в ущелье Западного Евфрата, область Мардалия (в Вел. Армении у истоков р. Аракс) и области Харк и Апахуник (также в Вел. Армении)¹⁴.

Следует отметить, что большая часть этих земель все еще находилась в руках мусульман, и Давид фактически получал лишь право отвоевать эти земли.

Видимо Давид Багратиони не совсем устраивал тот факт, что указанные области он получил лишь в пожизненное владение. Это, а также ряд обстоятельств¹⁵ обусловили участие войск Давида куропалата во втором восстании Варды Склира, а затем Варды Фоки против императора Василия II.

Как известно, в 987 г. Фока провозгласил себя императором, после раздела со Склиром к концу 987 г. он получил всю Малую Азию, но в апреле 989 г. Василий победил Фоку¹⁶.

Указанные события очень тесно соприкасаются с историей Грузии.

Царь Тао Давид куропалат активное участие принимал в политической жизни остальных грузинских государств. В силу исторически сложившихся предпосылок во II пол. X в. назрела необходимость объединения грузинских земель и создания единого грузинского феодального государства. В борьбе за объединение Грузии соперничали между собой владетели Тао-Клард-

¹² В. Копалиани, Указ. раб., стр. 115—116.

¹³ К сожалению, то большое значение, которое сыграло грузинское 12.000-ое войско в деле окончательного поражения Варды Склира, не достаточно отражено в историографии. Несмотря на то, что за последнее время рассмотрению этого вопроса было посвящено несколько специальных исследований (см. Н. Ломоури. К истории восстания Варды Склира, Труды Тбилисского государственного университета, т. 67, 1957, стр. 29—46; В. Копалиани, Указ. раб. и др.). Эта роль недооценена и в вышедшем в 1967 г. II томе Истории Византии (см. История Византии, т. II, М., 1967, стр. 218).

¹⁴ Локализацию данных областей см. С. Н. Джанашиа. Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1946, стр. 29. Н. Ломоури, назв. раб., стр. 40.

¹⁵ Об этих обстоятельствах см. указ. раб. Н. Ломоури и В. Копалиани.

¹⁶ История Византии, т. II, М., 1967, стр. 219.

жети, Эгрис-Абхазети, Кахети... В 70-х годах X в. при активной поддержке Давида Багратиони на престол объединенной Грузии (включавшей Западную Грузию, центральную Картли и большую часть Юго-западной Грузии) был возведен Баграт Багратиони, наследник престола «царя картвелов», по материнской линии единственный наследник трона Эгрис-абхазского царства и приемный сын царя Тао — Давида куропалата (Давид был бездетным). При коронации Баграта (Баграт III первый царь объединенной Грузинской феодальной монархии 975—1014 г.) Давид куропалат торжественно заявил, что Баграт является его наследником¹⁷.

Хотя Давид, царь Тао, сам заявил, что он является лишь помощником Баграта, но, как уже отмечалось, иерархическая структура управления, сложившаяся в Тао-Кларджети, а затем фактическое положение самого Давида, совершенно исключали какую-нибудь форму зависимости Давида куропалата от царя Грузии Баграта III. Несмотря на то, что вся деятельность Баграта III была направлена на централизацию государственной власти, предпринять что-либо против суверенных прав Давида куропалата он вряд-ли посмел бы. Но историческая ситуация, сложившаяся в 987—988 годах, видимо, дала царю Баграту основание выступить против Давида куропалата. По сообщениям Яхьи Антиохийского и Асохика, Давид куропалат оказал военную помощь восставшему Фоке, послав тысячу всадников¹⁸. И именно в 988 году когда император Василий вел жестокие бои с восставшими, царь Грузии Баграт III выступил против союзника врага императора Давида куропалата.

Грузинские историки, видимо, уязвленные неблагодарностью Баграта, стараются обойти молчанием этот факт. Лишь в «Матрианэ Картлиса»¹⁹ имеется указание на то, что в 988 г. царь Баграт собрал войско против своего непокорного вассала владетеля Триалети Рати Багваши. Но враги донесли Давиду куропалату будто пасынок выступает против него. Давид, поверив доносчикам, собрал свое войско, созвал союзников (грузинских и армянских владетелей) и расположился лагерем в ожидании сражения. Но Баграт, узнав о многочисленности войска Давида, сам явился к нему и заявил, что целью его похода было подчинение Рати Багваши. Неизвестно, поверил Давид или его не уст-

¹⁷ Матрианэ Картлиса, Картлис цховреба, I, Тб., 1955, стр. 274.

¹⁸ По данному вопросу см. Н. Ломоури, Указ. раб., стр. 40. В. Копалиани, Грузино-византийские политические взаимоотношения в 970—1070 гг., Тб., 1969, стр. 56 (на груз. яз.).

¹⁹ Летопись Грузии, произведение XI в.

раивало в данный момент завязывать сражение с Багратам, но сделал вид, что поверил, распустил свое войско²⁰.

Что Баграт выступил именно против Давида, в этом сомневаться не приходится, и об этом прямо говорит и Асохик²¹, но вызывает недоумение сам поступок Баграта. Видимо, он рассчитывал на неожиданное нападение, поэтому и пустил версию о походе против Рати Багваши, и на слабость Давида в силу участия его военного отряда в войсках Фоки. Можно предположить, что это выступление царя Баграта было спровоцировано Империей. В то время, когда Василий мобилизовал все силы для борьбы с повстанцами, просил помощи у Киевской Руси, вполне возможно, что он обратился и к Баграту. Хорошо информированный о внутренних делах Грузии императорский двор мог сделать ставку на царя Баграта и его выступлением затруднить положение Давида куропалата.

Расправившись с повстанцами, император разгневался и на Давида. По словам Яхьи Антихийского, «просил Давид, царь грузин, у царя Василия прощения и пощады и обещал ему повиновение и покорность, и что его владения, после его смерти, будут присоединены к его (Василия) государству, так как сам он дряхлый старик и не имеет ни сына, ни других наследников»²². Давид послал своих сановников к императору. Был заключен договор, согласно которому «города по смерти их государя» они должны были передать империи²³.

В этом сообщении арабского историка наше внимание привлекает одна деталь, заявление Давида куропалата, что он «не имеет ни сына ни других наследников», из чего видно, что Давид отрекся от своего завещания, данного при коронации Баграта III, в силу которого Баграт он объявил своим единственным наследником. Не приходится сомневаться в том, что это отречение Давида куропалата могло быть вызвано выступлением Баграта III против него в 988 г. Так что Империя, которую совершенно не устраивало объединение и усиление Грузии, способствовала раздору между царем объединенной Грузии Багратам III и его сильнейшей опорой Давидом куропалатом. Это завещание Давида куропалата, согласно которому после его смер-

²⁰ Карлис цховреба, I, стр. 276—277.

²¹ Всеобщая история Степанова Таронского по прозвищу Асохика, перевод Н. Эмша, М., 1864, стр. 181.

²² В. Розен, Император Василий Болгоробойца. Извлечение из летописи Яхьи Антихийского, 1883, стр. 27. Вопрос о том, подразумевало это завещание все владения царя Давида, или только вознаграждение, полученное им в 978 г. является спорным. Обзор источников и литературы вопроса см. В. Копаляни, Указ. раб., стр. 65—67.

²³ Яхья Антихийский, Указ. соч., стр. 27.

ти его владения должны были перейти к Империи, что и было осуществлено, стало причиной длительной борьбы между Грузией и Византией и нанесло большой ущерб грузинскому государству.

Как уже отмечалось, можно предположить, что выступление царя Баграта было инспирировано Империей. С этой точки зрения привлекает внимание тот факт, что после смерти Давида куропалата, когда император Василий II явился в Тао и занял владения Давида куропалата²⁴, сюда же явились царь Баграт и его отец царь Гурген. Видимо, несмотря на договор, заключенный между Василием II и Давидом куропалатом, царь Баграт III рассчитывал получить наследство Давида. Но на каком основании? Силой Баграт этого добиться не мог и вряд ли собирался. Быть может, имея в виду свою заслугу перед империей (выступление против Давида куропалата в 988 г.) рассчитывал и амилость императора? Но владения Давида куропалата были бы слишком дорогой платой за это выступление, если даже оно было инспирировано Византией и Василий ограничился пожалованием Баграту титула куропалата, а его отцу Гургену — магистра²⁵. По замечанию грузинского историка, этим Василий желал посеять вражду между отцом и сыном, но не добился этого т. к., по словам того же историка, Гурген был честен и далек от таких замыслов.

На базе Южной Тао Империя затем организовала административную единицу Иберийский Катепанат, и создала себе опору против Грузии, собственно в грузинской земле. Переход этих земель в руки Византии наносило большой урон грузинскому государству, чем и объясняется то обстоятельство, что без инцидента дело так и не обошлось. Учитывая сложность положения (несмотря на соглашение не все таойские феодалы собирались передать свои города и крепости Византии), император Василий для получения наследства Давида куропалата явился в Тао с многочисленным войском.

Как и следовало ожидать, грузины потерпели поражение и понесли большой урон²⁶. Несмотря на это, видимо, волнения в Тао продолжались и именно для покорения недовольных таойских феодалов Василий из Армении опять возвращается в Грузию, располагается в г. Олтиси и «покорил под власть свою все

²⁴ Сумбат Давитисдзе, Карлис иховреба, I, стр. 382.

²⁵ Там же, стр. 382.

²⁶ Асохик, стр. 200—201. Источники не совсем ясно передают факты связанные с этим инцидентом, но мы склонны думать, что кровавое столкновение было вызвано недовольством грузин переходом Южного Тао в руки Империи. См. Б. Копалиани, Грузино-византийские политические взаимоотношения, стр. 79—80.

крепости и неприступные места, дав их в руки верным людям»²⁷. Яхья точнее определяет создавшееся положение. По его словам, «И принял царь (Василий — М. Л.) все страны Грузии (т. е. все владения Давида куропалата, — М. Л.) и назначил над ними от себя правителей из греков»²⁸. А тех из феодалов, кого не смог подчинить своей воле, «взял с собою, чтобы поселить их в земле греческой»²⁹, т. е. император правителями бывших владений Давида куропалата назначил своих чиновников, а непокоренных грузинских феодалов переселил в Византию.

Оккупация южной Тао Византией создавала непосредственную опасность северной Тао, владельцем которой являлся отец царя Баграта — царь Гурген. Этим объясняется то, что в 1001 г. к императору Василию вместе с Багратом III явился и его отец Гурген. Гурген конечно был очень уязвлен решением проблемы Южной Тао, и после ухода императора в том же 1001 г. Гурген вступил в Южную Тао и «завладел ею»³⁰. По словам Асохика, «Царь Иверийский Гурген, считая для себя унижением достоинство магистра, пожалованное ему царем Василием, как человек от природы ограниченный, отложился от него и со всем своим войском напав на таойскую страну, завладел ею»³¹.

Хотя грузинский историк утверждает, что пожалованием отцу (Гургену) титула магистра, а сыну (Баграту) — куропалата император не добился своей цели, не смог восстановить отца против сына³², но видимо, сам этот факт имел такое большое значение, что Асохик именно это и считает причиной выступления Гургена. Мы, конечно, считаем, что Гурген смотрел дальше, и он лучше Асохика понимал все невыгодные для себя последствия утверждения византийцев в Южной Тао. Следующим объектом экспансии Византии должна была стать Северная Тао, чем и объясняется вступление Гургена со своим войском в Южную Тао.

К сожалению, наши сведения по данному вопросу очень скудны, мы располагаем лишь единственным и довольно туманным указанием Асохика, в сведениях которого чувствуется недоброжелательное отношение к Гургену³³. Гурген, по словам Асохика, «напав на таойскую страну, завладел ею»³⁴, но по его же словам, «Осадив небольшую крепость Ухтик, малейшего

²⁷ Асохик, стр. 201.

²⁸ Ахья Антиохийский, стр. 41.

²⁹ Асохик, стр. 201.

³⁰ Асохик, стр. 202.

³¹ Асохик, стр. 201—202.

³² Сумбат Давитисдзе, стр. 382.

³³ Асохик, стр. 201—202.

³⁴ Там же, стр. 202.

вреда не мог причинить не только ей, но и никакой другой крепости»³⁵. По словам того же автора, император «приказал магистру, по имени Каникл, со всеми греческими войсками идти на Гургена»³⁶.

Неприятели провели друг против друга целый год. «Тогда Каникл вступил с Гургеном в переговоры, говоря, что император согласен исполнять его желание»³⁷. Затем историк заключает: «Они заключили между собою мир и разъехались каждый в свою страну»³⁸. Непонятно, если Гурген ничего не добился, почему император согласился «исполнить его желание»? В чем заключалось желание Гургена? О чем договорились Каникл и Гурген? Все эти вопросы остаются открытыми, хотя последующие события позволяют предполагать, что Гурген получил какую-то часть Южной Тао, но именно какую-неизвестно. По сообщению Аристарха Ластивертци в 1014 г., когда скончался царь Баграт III и взошел на престол его сын Георгий I, «Император Василий отправил Георгию такое послание: «оставь все, что я пожаловал твоему отцу из владений Куропалата, и владей лишь собственными вотчинами»³⁹. Но о каком пожаловании из владений Давида куропалата Баграту III идет речь, нам неизвестно. В связи с событиями 1001 г. историки ничего о пожалованиях Василия Баграту (кроме титула) не говорят. Как отмечалось, Василий дал Гургену (отцу Баграта) что-то после его выступления в 1001 г., но в этих событиях Баграт III не фигурирует, хотя Баграт III был единственным наследником Гургена, и все его владения после смерти Гургена (1008 г.) перешли к Баграту, но, по словам историка, император Василий говорит о владениях Давида куропалата, данных им именно Баграту III. По замечанию К. Н. Юзбашяна «Часть исконных владений Давида Василий пожаловал (очевидно, пожизненно) царю Баграту III»⁴⁰. Но когда? Здесь две возможности: или при встрече в Басиани после смерти Давида куропалата, или после выступления Гургена Василий дал часть Южной Тао Гургену. Если это произошло при встрече в Басиани, то тогда трудно объяснить как инцидент, происшедший между грузинскими и византийскими войсками (о котором речь шла выше), так и причину последующего выступления Гургена. Мы более склонны думать, что часть

³⁵ Асохик, стр. 202.

³⁶ Там же.

³⁷ Асохик, стр. 202.

³⁸ Там же.

³⁹ Повествование Вардапета Аристарха Ластивертци. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н. Юзбашяна, Москва, 1968, стр. 58.

⁴⁰ Аристарх Ластивертци, Указ. изд. стр. 22.

Южного Тао, (а может и не только часть, а вся Южная Тао?) была передана Гургену в результате договора, заключенного с Каниклом, А т. к. Гурген, видимо, действовал от имени Баграта III, царя объединенной Грузии, то официально эти владения были переданы Баграту III и видимо, именно пожизненно, т. к. в 1014 г. Василий требует их обратно. На этом фоне становится яснее картина начала войны между Василием и Георгием из-за наследства Давида куропалата, война, которая принесла много бед грузинской земле и закончилась поражением Грузии, вся Южная Тао перешла в руки Византийской империи.

Следует указать на то обстоятельство, что государственная политика Давида куропалата носит явно выраженный грузинский характер. Он печется о возращении Баграта Багратиони и возведении его на всегрузинский престол. Свои владения по наследству он желает оставить именно царю объединенной Грузии. В областях, отторгнутых от мусульман, он проводит политику грузинизации края. С этой точки зрения примечательно сообщение Асохика в связи с событиями, разыгравшимся при взятии города Хлата в 997 г. войсками Давида куропалата. По словам Асохика, «Армянскую церковь, бывшую за городской стеною, архиерейский дворец, места, куда в цветущее их время ходили армяне на поклонение, (церкви) во имя святого креста и святого Гамалиила — все это обращено было в конюшни и стоянки для иверийского войска. С городских стен Татчики кричали: «так ли вы, христиане, чувствуете святую христианскую?» Иверийцы отвечали: «мы одинаково смотрим на армянскую церковь и на вашу мечеть». Вследствие этого их постиг гнев божий»⁴¹. Это сообщение Асохика явно указывает на курс государственной политики Давида куропалата. Глава грузинской политической единицы, царства Тао, стараясь извлечь пользу из восточной политики Византии, печется о воссоединении грузинских земель, отвоевании армянских областей, заселении этих земель армянами и грузинами, и грузинизации присоединенных областей.

Византия, в надежде получить эти земли после смерти Давида, не мешала ему. Но как только грузинские цари (Баграт III, Георгий I) проявляли претензии к наследству Давида куропалата, Империя на это отвечала войной.

Как уже отмечалось, в 989 г. Давид куропалат был вынужден заключить с Империей договор, согласно которому его владения после смерти куропалата должны были перейти к Империи.

Такое решение вопроса являлось сильным поражением во внешней политике царя Давида, но на данном этапе сопротив-

⁴¹ Асохик, стр. 193.

ляться Империи было бессмысленно и это был единственный выход из положения.

После этой неудачи Давид начинает наступать на соседние мусульманские владения. Видимо, Империя оставила в силе договор, согласно которому силой отторгнутые у мусульман земли Давид имел право присоединять к своим владениям. Эта борьба царя Давида косвенно укрепляла позиции Византии на Востоке.

Как известно, в эпоху распада арабского халифата ряд армянских городов (Маназкерт, Хлат, Беркри, Арчеш и др.) превратились в резиденции мусульманских эмиров⁴².

Под влиянием мусульман, заселивших эти края, в этих армянских землях постепенно распространился ислам и древние армянские провинции превратились в опорные пункты мусульман.

Куропалат Давид направил свои силы именно против этих мусульманских владетелей. После смерти эмира Маияфаркина (Неперкерта) Бада Давид куропалат в 990 г. «осадил город Маназкерт и голодом и мечом принудил его к сдаче. Он вывел оттуда и отпустил Татчигов и наполнил город жителями из Армян и Иверийцев, признававших власть его»⁴³.

Завоевание Маназкерта совместно с политическим имело большое экономическое значение, и поэтому заселил Давид город грузинами и армянами⁴⁴. Давид куропалат старался в отвоеванных землях создать плацдарм для дальнейшего расширения борьбы.

Взятие Маназкерта, как и следовало ожидать, вызвало тревогу среди мусульман. Давид получил предложение оставить город. Обе стороны готовились к бою. Давид призвал союзников царя картвелов Баграта II, Анийского царя Гагика I, Ванандского царя Абаса. Союзники расположились у Вагаршапата. Эмир Атропатены Мамлан выступил, но по словам Асохика, «Персийские войска, опасаясь вступить в открытый бой, отделились и всю ночь не переставали предавать огню всю страну багревандскую и многие селения, бывшая на востоке от нея; после чего они ушли в свою землю»⁴⁵.

Давид куропалат еще южнее перенес свои военные операции. В 997 г. он осадил г. Хлат (на берегу оз. Ван). Городу был нанесен большой урон, но взять город не смогли.

⁴² В. Скабалаевич, Византийское государство и церковь в XI в., СПб., 1884, стр. 191.

⁴³ Асохик, стр. 191.

⁴⁴ Я. А. Манандян, О торговле и городах Армении., Ереван, 1954, стр. 219; И. А. Джавахишвили, История грузинского народа, II, стр. 87.

⁴⁵ Асохик, стр. 191—192.

Такое усиление царства Тао в затруднительное положение ставило мусульманских владетелей Ближнего Востока. Они теряли свои опорные пункты. Медлить было нельзя и в 998 г. в Тавризе, у эмира Атропатены собрались войска Хорасанского и других эмиров. Они прошли Васпуракан и расположились в апахуникском округе. Давид вновь собрал свое войско, создал своих союзников и враг был разбит и изгнан⁴⁶.

Как уже отмечалось, эта борьба Давида, царя Тао ставила целью изгнание из грузинских и армянских земель мусульманских владетелей и мусульманского населения и заселение этих краев грузинами и армянами.

В источниках ничего не говорится о позиции Византии в данных событиях. Империя и не препятствовала завоеванию Давида и не помогала ему. Учитывая условия договора 989 г. следует предполагать, что Византия фактически дала визу Давиду, т. к. из переданных по договору земель, большая часть находилась все еще в руках мусульман и Давид получал право отвоевать эти земли. Империю тем более должны были устраивать завоевания Давида, что, по условиям того же договора, владения Куропалата после его смерти переходили под власть Империи. При этом можно предположить, что Давид все-таки надеялся изменить условия договора и присоединить свое владение к единой Грузинской феодальной монархии. Больше на это рассчитывал, видимо, царь Баграт III, который после смерти Давида явился в Тао, но как уже отмечалось, его надежды не оправдались. Мы можем лишь предположить, что после вторжения отца Баграта III — царя Гургена в Южное Тао какую-то часть царства Давида куропалата Василий передал Гургену (или Баграту).

Таким образом, на грани X—XI вв., когда происходило объединение грузинских земель и создание единой Грузинской феодальной монархии, Империя заявляла претензии на юго-западные провинции Грузии, создала свою административную единицу. — Иберийский катепанат, обосновалась на самой грузинской земле и создала себе опору для дальнейшего вмешательства в грузинские дела. Византия старалась вмешиваться во внутренние дела Грузии и мешать централизации государственной власти. Борьба за наследство Давида куропалата нанесла большой ущерб Грузии, она тормозила завершение объединения грузинских земель.

⁴⁶ Асохиж, стр. 194—196.

მ. ჩხატარაიშვილი

საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან

(XVIII ს. პირველი მეოთხედი)

XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე დასავლეთი საქართველო თურქეთის პოლიტიკური ზეგავლენის სფეროში იყო მოქცეული. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები: იმერეთის სამეფო, ოდიშის (სამეგრელოს), გურიისა და აფხაზეთის სამთავროები ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოებს წარმოადგენდნენ, რომელთა გამგებლებიც თურქეთის სულთნის უზენაესობას აღიარებდნენ. ამ გამგებელთა შორის არსებული ბოლომოუღებელი ქიშპობა და აშკარა მტრობა ღიდად უწყობდა ხელს ქვეყნის საერთო სისუსტეს და დას. საქართველოში თურქეთის წარმატებებს. დას. საქართველო თურქეთისაგან დაპყრობილი არ იყო, — თურქეთ-საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვარი არსებობდა. საზღვრის ხაზი (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) ასე მიემართებოდა: მდ. კოროზი (კოროზი თურქეთს გურიის სამთავროსაგან გამოჰყოფდა) — აქარა-გურიის ქედი (აქარის ორივე ნაწილი — ზემო და ქვემო აქარა თურქებს ეკავათ) მთა მეფისწყარომდე — მესხეთის ქედი (ვახუშტით: „მთა ფერსათი“, რომელიც თურქეთს იმერეთისაგან ჰყოფდა) ლიხის ქედის ბოლომდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით საქართველოში თურქებს მხოლოდ ორი დასაყრდენი ჰქონდათ — მათი გარნიზონები იდგა ქუთაისისა და ცხუმის ციხეებში.

დას. საქართველოსა და თურქეთს შორის იმ დროს თავისებური პოლიტიკური ურთიერთობა იყო. თურქეთი დას. საქართველოს თავის ვასალ ქვეყნად თვლიდა და თავისი ფორპოსტების — ახალციხისა და ტრაპიზონის საფაშოების მეშვეობით აქტიურად ერეოდა მის საშინაო საქმეებში. დას. საქართველოს მეფე-მთავრებს ტანტზე სულთნები ამტკიცებდნენ, მაგრამ, შექმნილი ვითარებისა

შესაბამისად, ეს წესი ხშირად ირღვეოდა. ქვეყნის ქრისტიანული სასულიერო ხელისუფლება თურქეთზე არაფრით არ იყო დამოკიდებული და ენერგიულად ებრძოდა მაჰმადიანობის ყოველგვარ მოძალებას. ქართულმა ეკლესიამ იმ დროს მარცხი მხოლოდ აფხაზეთში განიცადა, სადაც მაჰმადიანობამ დაიწყო შემოღწევა. მიუხედავად ამისა, XVIII ს. დასაწყისში დას. საქართველოს ყველა გამგებელი ქრისტიანი იყო და თურქებს მათთვის გამაჰმადიანების მოთხოვნა არც უცდიათ, მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი პოლიტიკურ თავშესაფარს და მეტოქეზე შეწვევას თურქეთში ეძებდა.

დას. საქართველოს თურქეთზე დამოკიდებულება სულთნისთვის ყოველწლიურად მისართმეველის გაგზავნაში გამოიხატებოდა, რომელსაც ქართველები „ქრთამს“ ეძახდნენ. ადგილობრივ გამგებელთა მიერ გლეხობაში აკრეფილი გამოსაღები „საური“ ანუ „სათათრო ხარჯი“ სწორედ ამ „ქრთამის“ გადახდას ხმარდებოდა. სათურქო „ქრთამში“ შედიოდნენ „ტყვეები“ — ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი და სხვა მისართმეველი (ძვიროფასი ნივთები, ქორ-შევიარდნები...). მეფე-მთავრებისაგან „ქრთამი“ ამიერკავკასიაში თურქეთის ემისარს — ახალციხის ფაშას ეგზავნებოდა, ფაშა კი მას სულთნის კარზე აგზავნიდა.

დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მიერ ირანის შაჰისადმი გაგზავნილი „ფეშქაში“, რომელიც ქართლ-კახეთში აკრეფილი „საური“ გადაიხდებოდა, საქართველოს მოხარკეობას არ ნიშნავდა. „საური ხარჯი არაა, ისევე, როგორც ხარჯი არაა აღმოსავლური „სავერი“. ჩანს, ქართლი ირანის ხელმწიფეს ხარკს კი არ უხდიდა, არამედ ფეშქაშს—ძღვენის სახით გამოხატულ მისართმეველს... „მისართმეველი“ და „ხარჯი“, ცხადია, სხვადასხვანაირად განსაზღვრავს პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმას: ფეშქაში გულისხმობს უპირობო დამოკიდებულებას ხარკის მაგივრად. ფეშქაშით განსაზღვრულია „მემკვიდრე მეფის“ ხარისხობრივი დამოკიდებულება „ხელმწიფეზე“¹.

„საურის“ მნიშვნელობის ეს განსაზღვრა კიდევ უფრო მეტად შეესაბამება დას. საქართველოს იმდროინდელ ვითარებას.

„ფეშქაშს“ თურქეთის სულთანს ის „ხელმწიფენი“ უგზავნიდნენ, რომლებსაც ტახტზე სულთანი ამტკიცებდა.

ქართლის ან კახეთის მეფეთაგან განსხვავებით, იმერეთის მეფე ან რომელიმე მთავარი თურქეთის მოხელედ („ვალი“, „ხანი“) არასოდეს არ გამხდარა. თურქები დას. საქართველოს გამგებლებს ჩვეულებრივ

¹ ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღებელი“ ფეოდალურ საქართველოში, გვ. 124 (მიმოხილველი, III, 1953 წ.).

„მელოქ“ებად იხსენიებდნენ. მათ არც თურქეთის სულთნისთვის მოლაშქრეთა („ნოქარი“) გაგზავნა და არც თურქეთის ტერიტორიაზე სულთნისთვის ლაშქრით სამსახური ევალეზოდათ. საყურადღებოა ისიც, რომ „საურს“ ჩვეულებრივ განსაკუთრებული გულმოდგინებით ის ხელისუფალნი ჰკრეფდნენ, რომლებიც ხელისუფლების სათავეში თურქთა ხელშეწყობით მოექცნენ. ზღვითა და ხმელეთით თურქეთთან მოსაზღვრე გურიის სამთავრო ზოგჯერ იძულებული იყო სათურქო ხარკი — „სალიანი“ გადაეხადა, მაგრამ, „სალიანის“ აკრეფას თვით გურიის მთავრები აწარმოებდნენ და არა თურქეთის მოხელეები, რაც გურიის ვასალობას და მოხარკეობას თავისებურ ელფერს აძლევდა და გურიელის „ხელმწიფობას“ არ გამორიცხავდა. აღსანიშნავია, რომ გურიელი ზოგჯერ ასეთ ხარკს — „საქართველო სალიანს“ იმერეთის მეფესაც უხდიდა, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ზემოთ ნათქვამს. დას. საქართველოს მთიანი მხარეები (აფხაზეთის მთიანი თემები, ლეჩხუმი, რაჭა, სვანეთი) თურქთა შემოსევებისა და გავლენისაგან თითქმის მთლიანად დაზღვეულნი იყვნენ.

დას. საქართველოს მოსახლეობისათვის თურქთა ძალადობა „საურსა“ და „ქრთამზე“ უფრო ტყვის სყიდვით იყო საშიში. ტყვის სყიდვა ქართველის უცხოელზე (ჩვეულებრივად თურქზე) გაყიდვას ეწოდებოდა. ეკონომიური დაქვეითებისა და თურქეთზე პოლიტიკური დამოკიდებულების პირობებში ქართველი ფეოდალები შემოსავლის მიღების ამ მახინჯ გზას სწირად მიმართავდნენ და ტყვის სყიდვა ზოგჯერ ისეთ ზომებს აღწევდა, რომ ქვეყნის მეურნეობის განვითარებას და სამხედრო ძლიერებას საფრთხეს უქმნიდა. თურქეთის ხელისუფლება, რომელიც თურქულ კატარათა მენიჩბებს, იანიჩართა ახალ-ახალ კადრებს და ჰარემთა დამამშვენებელ ასულებს ჩვეულებრივ „ტყვეთა“ სასით იძენდა, ტყვის სყიდვას აქეზებდა და ტყვის სყიდვის აკრძალვას ქართველ მეფე-მთავრებს ოფიციალურად უშლიდა. ტყვის სყიდვის აკრძალვა, „ქრთამის“ გაგზავნაზე უარისთქმის მსგავსად, თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა და „ბრწყინვალე პორტა“ ასეთ შემთხვევებს სათანადო დამსჯელი ღონისძიებების გარეშე არ ტოვებდა.

XVII—XVIII ს-თა მიჯნაზე დას. საქართველოს მეფე-მთავრები აშკარა ანტითურქულ გამოსვლებს იშვიათად აწყობდნენ; არჩილ მეფემ 1691 წელს სცადა ქუთაისიდან გაეძევებინა თურქთა გარნიზონი, მაგრამ ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ არჩილი იძულებული გახდა პოლიტიკურ ემიგრაციაში შორეულ რუსეთს წასულიყო.

მძიმე იყო იმდროინდელი დას. საქართველოს პოლიტიკური ვი-

თარებაც: მთავრები იმერეთის მეფისაგან სავსებით დამოუკიდებელნი იყვნენ და ზოგჯერ სამეფო ტახტზე ასვლასაც ახერხებდნენ (მაგ. გურიელი). მეფის ხელისუფლება იმდენად დაქვეითებული იყო, რომ მას იმერეთის დიდი ფეოდალებიც კი ეურჩებოდნენ. თურქეთს მხოლოდ საკუთარი სისუსტე და ირანსა და რუსეთთან ურთიერთობის Status quo-ს დარღვევის შიში (რასაც თურქეთისათვის არასახარბიელო შედეგები მოჰყვებოდა) უშლიდა ხელს, რომ დას. საქართველოზე სრული პოლიტიკური ბატონობა განეხორციელებია.

ასეთ ვითარებაში, ერთი შეხედვით სავსებით მოულოდნელად, XVIII ს. დასაწყისში დას. საქართველოს სამეფო-სამთავროები ერთიანად გამოვიდნენ თურქეთის წინააღმდეგ; ამ გამოსვლამ თურქეთის მთავრობა აიძულა 1703 წელს დას. საქართველოში დიდი დამსჯელი ექსპედიცია მოეწყო.

ისტორიოგრაფიაში 1703 წლის ამბები ჭრჭერობით უყურადღებოდაა დატოვებული. აქამდე აუხსნელი და დაუსაბუთებელია, თუ რამ გამოიწვია დას. საქართველოს ასეთი მოულოდნელი გამოსვლა თურქეთის წინააღმდეგ.

როგორც ირკვევა, 1703 წლის „დიდი თურქობა“ დას. საქართველოში უშუალოდ დაკავშირებული იყო იმდროინდელი შავიზღვისპირეთის პოლიტიკურ სიტუაციასთან, კერძოდ, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ახალ ეტაპთან.

XVII ს. 80-იანი წლებიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის წყალობით რუსეთ-საქართველოს დაახლოება გარდაუვალი გახდა. რუსეთის მთავრობა თავისი ერთ-ერთი ძირითადი მიზნის — ზღვაზე გასასვლელის მოპოვების შესრულებას შეუდგა². რუსეთი პირველ რიგში შავ ზღვაზე გასვლას აპირებდა, რაც თურქეთის დამარცხების გარეშე შეუძლებელი იყო. შავი ზღვა თურქეთის შიდა ზღვას წარმოადგენდა. მას თურქეთისათვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა (ისევე, როგორც ადრე ბიზანტიისათვის): თურქეთის დედაქალაქი შავი ზღვის ქვეყნებიდან შეტანილი სანოვაგით სარდლობდა, საემარისი იყო თურქეთს შავი ზღვიდან სურსათი არ მიეღო, რომ კონსტანტინოპოლში მამინევე შიმშილი დაიწყებოდა³.

² А. А. Новосельский, Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII в., 1948, гл. 422-423.

³ Н. Устрялов, История царствования Петра Великого, т. III, 1858 წ., гл. 519; „Состояние народа турецкого“ в 1703 году, описанное графом П. А. Толстым. С предисловием А. А. Сергеева, Симферополь, 1914, гл. 79; М. Богословский, Петр I, т. V, 1848, гл. 16.

შევზღვაზე გასაცვლელის შოვნა იყო სწორედ აზოვის ცნობილი ლაშქრობების (1695—1696 წწ.) მიზანი და ამ მიზანს ემსახურებოდა უკვე 1694 წლიდან პრეობრაჟენსკოესა და ვორონეჟთან ფლოტის ასაგებად და ვოლგა-დონის სანაოსნო არხის⁴ გასაყვანად წარმოებულნი სამუშაოები. რუსეთის ანტითურქული კურსის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს მოსკოვის დახმარების სათხოვნელად იმერეთის მეფე არჩილის და ლევან დადიანის მემკვიდრის გიორგის ჩასვლა (1685 წ.). ქართველი პოლიტიკოსები რუსეთს თურქთა წინააღმდეგ გალაშქრებისავე მოუწოდებდნენ.

საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ დაახლოვებას დიდად შეუწყობ ხელი იერუსალიმის პატრიარქმა (1669 — 1707 წლებში) დოსითეოსმა, რომელიც XVII ს. მიწურულიდან თურქეთის იმპერიის ევროპულ ნაწილში (კონსტანტინოპოლში, ადრიანოპოლსა და ვალახეთში) იმყოფებოდა. „საქართველო, რომელიც დოსითეოსმა რამდენიმეჯერ მოინახულა, მისი მუდმივი ცხოველი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ის ზრუნავდა საქართველოს საეკლესიო კეთილმოწყობაზე, ცდილობდა დაეცვა იგი მართლმადიდებლობის მტრებისაგან, აღედგინა პალესტინაში თითქმის დაცარიელებული ივერთა მონასტრები“⁵. დოსითეოსი პირადად იცნობდა მისდროინდელ საქართველოს საერო და სასულიერო გამგებლებს და აქტიურად ერეოდა მათ საქმიანობაში, დიდად უწყობდა ხელს საქართველოს გამგებელთა ანტი-თურქულ ბრძოლას. დოსითეოსს საქართველოსთან აკავშირებდა მის მიერ ტყვეობიდან დახსნილი და განსწავლული ანთიმოზ ივერიელიც, რომელიც დიდ როლს თამაშობდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში⁶.

⁴ აგებდნენ ქვის რაბებიან დიდ არხს. ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობა მხოლოდ პეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ შეწყდა. Н. Устрялов, История..., т. IV, ნაწ. 1, 1863, გვ. 222.

⁵ დოსითეოსის ურთიერთობაზე საქართველოსთან იხ. М. Броссе, О религиозном и политическом состоянии Грузии по XVII в. (журнал Министерства Народного Просвещения, 1843, № 2 და № 12); Н. Ф. Каптерев, Иерусалимский патриарх Досифей в его сношениях с русским правительством (1665—1707 г.), 891; Послания патриарха Досифей в Грузию (საქართველოს სასულიერო მახარებელი, 1866 წ. აპრილი, გვ. 162—173; მაისი, გვ. 177—183); ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 110; Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного Музея, I, 1903, гв. 204...

⁶ Л. Е. Семенова, Русско-валашские отношения в конце XVII в и начале XVIII в., 1969, гв. 36 და 111—112. საყურადღებოა, რომ რუსეთ-თურქეთის (და ალბათ რუსეთ-საქართველოს) იმდროინდელ ურთიერთობაში მნიშვნელოვან

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქები უკვე XVII ს. შეაწლებიდან თურქეთში რუსეთის საიდუმლო პოლიტიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ და ამ სამსახურის სამაგიეროდ რუსეთის მთავრობისგან დიდ ფულად გასამრჯელოს ღებულობდნენ⁷. თურქეთის მთავრობის რეპრესიებითა და კათოლიკე და გრიგორიანულ სასულიერო პირთაგან უაღრესად შევიწროებულ პატრიარქთა ძირითად დასაყრდენს მართლმადიდებელ გამგებელთა, ძირითადად რუსთა ხელმწიფის, ფულადი „დახმარება“ წარმოადგენდა. პატრიარქთაგან რუსეთისადმი ერთგულებითა და თავგანწირული სამსახურით განსაკუთრებით დოსითეოსი გამოირჩეოდა⁸. პ. ტოლსტოის სიტყვით (1703 წ.) დოსითეოსი „Истинно презирая смертныя страхи, работает великому государю во всех случаях“⁹

დოსითეოსს აგენტების დიდი ქსელი ჰქონდა. იგი რუსეთის მთავრობას აწვდიდა ცნობებს თურქეთის საშინაო ვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა შესახებ; იგი იყო თურქეთში რუსეთის ელჩთა ინფორმატორი და ძირითადი მრჩეველი. დოსითეოსი მნიშვნელოვან რჩევებს აძლევდა რუსეთის მთავრობასაც (მაგ. თურქებთან ომის წარმოების ხელსაყრელი ვიზებისა და ხერხების შესახებ...), უგზავნიდა მას თურქეთის ხელისუფლების ყოველი მნიშვნელოვანი საიდუმლო დადგენილებების ასლს და ა. შ. დოსითეოსი კონტროლს უწევდა აღმოსავლეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა საქმიანობასაც. რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილებში დოსითეოსი ხშირად აღწერდა საქართველოში, ვალახეთში და სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასაც. ერთი სიტყვით, დოსითეოსი „აღმოსავლეთის“ მართმადიდებელთა და რუსეთის სახელმწიფოს შორის კავშირს აბამდა.

აზოვის ალებისთანავე (1696 წ.) პეტრემ თურქეთთან ომისთვის მზადება დაიწყო¹⁰ მან გამოუცხადა ბოიარებს, რომ აზოვის შესანარჩოლს ასრულებდნენ აონის ივერთა მონასტრის ბერებიც. იხ. Н. Каптерев. Характер сношений России к православному Востоку в XVI и XVII столетии Изд. II; Сергиев Посад, 1914, гл. 412, 563—564...

⁷ Н. Каптерев, характер... гл. 277—278, 282 და სხვ.

⁸ Н. Каптерев, Иерусальмский..., гл. IX; М. Боголюбовский, Петр I, т. V, 1948, гл. 263—264.

⁹ იქვე: Письма и бумаги императора Петра Великого, т. I, СПб, 1887, гл. 470—472; т. II, 1889, гл. 55—56, 168, 228, 341, 347—348, 552—553... დოსითეოსის ურთიერთობა საქართველოსთან, სამწუხაროდ, ჯერჯერობით შეუსწავლელია.

¹⁰ აზოვი თურქეთთან ომის დროს რუსეთის ძირითადი სამხედრო ბაზა უნდა ყოფილიყო. А. Е. Семенова, Русско-валашские отношения в конце XVII и в начале XVIII в., 1969, гл. 82.

ჩუნიებლად და თურქეთთან ომის წარმატებით საწარმოებლად მან (პეტრემ) ძლიერი ფლოტის აგება გადაწყვიტა. პეტრემ ევროპელი გემთმშენებლები დაიქირავა. მეფის მითითებით რუსმა ბოიარებმა და ვაჟრებმა შექმნეს „ამხანაგობანი“ („кумпанства“), რომლებსაც უნდა ეცისრათ ფლოტის მშენებლობა. პეტრეს გეგმით სამი წლის განმავლობაში (ე. ი. 1700 წლისათვის) მდ. იაუზასა და მდ. ვორონეჟზე არსებულ რამდენიმე გემთსაშენზე უნდა აგებულყო დიდი ფლოტი: 40 საბრძოლო ხომალდი, 10 დიდი სატვირთო გემი და საბომბარდირო ნაეი, 20 დიდი და 30 პატარა გალერა, აგრეთვე 1300-მდე დიდი ნაეი (струг), 100 ტივი და 30 პატარა ნაეი. გემების აგების ხარჯები დეკისრათ ბოიარებს, მონასტრებს, ქალაქებს, ვაჟრებს და აზნაურებს. ეს ღონისძიება იმდენად გრანდიოზული, უჩვეულო და ძნელი იყო, რომ ბოიარებმა პეტრეს მოკვლის მიზნით შეთქმულებაჲ კი მოაწყვეს¹¹. თურქეთთან ომზე ფიქრი პეტრეს „დიდ ელჩობაში“ ყოფნის დროსაც არ შორდებოდა. 1697 წ. 10 სექტემბერს პეტრე პოლანდიდან წერდა რუსეთის პატრიარქს: ჩვენ აქ ვშრომობთ, რათა გემთმშენებლობაში გავიწაფოთ, რომ ქრისტეს მტრებზე გავილაშქროთ და ქრისტიანები მათგან გავათავისუფლოთ“¹². ელჩობაში პეტრესთან მყოფ ალექსანდრე არჩილის ძე, ცხადია, არანაკლებად ფიქრობდა თურქების წინააღმდეგ მომავალ ლაშქრობაზე.

იმდროინდელი ვითარებისათვის, დამახასიათებელია, რომ თურქეთში კვლავ გაიხსენეს ძველი წინასწარმეტყველება კონსტანტინოპოლის რუსთაგან გარდაუვალი აღების მოახლოების შესახებ. 1697 წელს თურქეთში ამ მოსალოდნელი ამბის თარიღად 1699 წელს ასახელებდნენ. თვით „დიდ ელჩობას“, თურქთა აზრით, ის მიზანი ჰქონ-

აზოვის აღების მნიშვნელობა კარგად გამოხატა არჩილმა პოემაში „მეფეთა“:
 „(პეტრემ თურქებს) სძლო და წარუხენა, კარი განუხენა,
 ზღვითა და ხმელთა კმა საქმარისად,
 . . . აზავი ამან

მოსტაცა ზონთქარს გზად სახმარისად.

მუნითგან თრთიან (თურქნი)“.

არჩილიანი, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., 1936, გვ. 237.

¹¹ Джон Перри, Состояние России при нынешнем царе, გვ. 96—99 (Чтения в Императорском Обществе Истории и древностей Российских при Московском университете, 1871, кн. II, отдел IV); М. М. Богословский, Петр I, ტ. I, 1940, გვ. 360—365; ტ. III, 1946, გვ. 127—175; С. Елагин, История русского флота. Период Азовский, СПб, 1864, გვ. 52—74 და სხვ.

¹² В. Ламанский, О славянах в Малой Азии, в Африке и Испании, 1859, დანართი, გვ. 17.

4. საქ. ფეოლ. ხანის ისტორიის საკითხები.

და, რომ რუსები ევროპის მიღწევებს გასცნობოდნენ, რათა შემდეგ შეძენილი ცოდნა და გამოცდილება თურქებთან ომში გამოეყენებინათ¹³.

1698 წ. 30 დეკემბერს ვორონეჟის გემთსამუნში ყოფნის დროს გენ. გორდონის შენიშვნაზე — ამოდენა ფლოტისათვის შავ ზღვაზე შესაფერი ნავსადგური იქნება საჭიროო, პეტრემ უპასუხა: „ჩემი გემები ნავსადგურს იპოვნიან“¹⁴. პეტრე ხშირად ჩადიოდა ვორონეჟში და პირადად ამოწმებდა მშენებლობის მიმდინარეობას.

უცხოეთი ინტერესითა და შიშით აღევნებდა თვალს რუსეთის საომარ მზადებას. თურქებს ყოველდღიურად მოსდიოდათ ცნობები (ყირიმის ხანისა და ევროპის სანელმწიფოთა ელჩების გზით) ამ მზადების შესახებ. 1898 წ. 20 ივლისს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი პეტრე I-ს ატყობინებდა ადრიანოპოლში ინგლისელთაგან გავრცელებულ ხმებს — რუსეთის თვითმპყრობელმა ინგლისის მეფეს განუცხადა, რომ 1700 წელს წირვას წმ. სოფიას ტაძარში გადავიხდით¹⁵. მართლა თქვა პეტრემ ეს ინგლისში ყოფნის დროს, თუ ინგლისელი დიპლომატები ასეთ ხმებს პროვოკაციული მიზნით ავრცელებდნენ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რუსეთ-თურქეთის ომი ყოველდღიურად იყო მოსალოდნელი.

1699 წ. აგვისტოში თურქებთან ომის მოლოდინი იყო. პეტრემ ჯარში ახალი გაწვევა გამოაცხადა და 20 ახალი პოლკი შეადგინა¹⁶. დაჩქარებით მიმდინარეობდა ვოლგა-დონის არხის მშენებლობა, რომელშიაც პეტრემ უცხოელი სპეციალისტები ჩააბა. სწორედ ამ დროს რუსეთში მეორედ და საბოლოოდ ჩავიდა იმერეთიდან გაქეუებული არჩილი, რომელმაც გზად დაათვალიერა ვოლგა-დონის არხის სამუშაოები. რუსეთში ჩასულ არჩილ მეფეს პეტრემ მისი სამფლობელოების დაბრუნება აღუთქვა¹⁷, (რაც თურქეთთან ომის გარეშე წარმოუდგენელი იყო). როგორც ჩანს, პეტრეს გეგმებში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მიკუთვნებული ალექსანდრე არჩილისძეს.

1699 წ. 14 იანვარს კარლოვიცში ხელი მოაწერეს რუსეთ-თურქეთის დროებით ზავს. რუსეთის ელჩი ვოზნიცინი პეტრეს ატყობი-

¹³ Н. Ф. Каптерев, Иерусалимский патриарх Досифей в его сношениях с русским правительством (1569—1707), 1891 гл. 11.

¹⁴ Н. Устрялов, История... т. III. 1858, гл. 252;

¹⁵ Н. Каптерев, Иерусалимский патриарх..., гл. 11 და 17.

¹⁶ И. И. Голиков, Деяния Петра Великого..., т. 1, მე-2 გამოც., 1837. გვ. 630—631.

¹⁷ Д. Перри, Состояние России..., гл. 63—64.

ნება, რომ თურქები დაზავებდნენ ჩქარობდნენ, რათა რუსეთის ფლოტი შავ ზღვაზე არ გაეშვათ. პეტრე მინც განაგრძობდა ფლოტის შენებას: იქნება თუ არა ზავი, მე შავ ზღვაზე ფლოტს მინც გავიყვანო¹⁸. ვოზნიცინის სიტყვით თურქები იმ დროს სათანადოდ არ უფრთხოდნენ რუსეთის ფლოტს, თურქი მეზღვაურები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის გემები მდინარეთა შესართავებში მეჩეჩებზე გარიყებოდნენ¹⁹.

თურქები მალე დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომაში. 1699 წ. ვორონეჟში უკვე აგებული იყო სხვადასხვა ზომის 86 სამხედრო ხომალდი და 500 დიდი ნავი. სტამბოლს გამგზავრებული თავისი ელჩი ე. უკრაინცევი პეტრემ თვით გააცილა გემებით შავ ზღვაში, შიშით გაღუნებული თურქების თვალწინ თავისი ფლოტი ორად გაჰყო და საცდელი ბრძოლა მოაწყო. უკრაინცევის ხომალდი ისე ჩქარა გაეშურა სტამბოლისაკენ, რომ თურქთა გამყოლმა ხომალდმა მისი მიდევნება ვეღარ შეძლო. თურქებმა აშკარად დაინახეს რუსეთის ფლოტის შესაძლებლობანი და სასწრაფოდ ახალი გემების აგებას შეუდგნენ.

1700 წ. 16 ივნისს დადებული ზავით რუსეთი შავ ზღვაზე გემების ყოლის უფლებას კარგავდა²⁰, მაგრამ აზოვს ინარჩუნებდა. რუსმა მლოცველებმა იერუსალიმში უბაჟოდ შესვლის უფლებაც მიიღეს.

1700 წელს „აღმოსავლეთის“ ქვეყნებისთვის საესეებით მოულოდნელად, დაიწყო რუსეთ-შვედეთის ომი („ჩრდილოეთის ომი“). ამ ფაქტს რუსეთ-თურქეთის ომის საკითხი თითქოს დღის წესრიგიდან უნდა მოეხსნა, მაგრამ ასე არ მოხდა. პეტრე ფლოტის მშენებლობას განაგრძობდა და თურქები დღითი-დღე ელოდნენ, რომ რუსეთი შვედებთან ზავს შეჰკრავდა (ამ ვარაუდს ნარვასთან რუსთა მარცხი უფრო აძლიერებდა) და თურქეთზე ილაშქრებდა. 1701 წელს თურქები ქერჩის სრუტეში ქვეით დატვირთული გემების ჩაძირვას აპირებდნენ, რომ ამით რუსთა გემებისთვის შავ ზღვაში გასასვლელი ჩაეკეტათ²¹.

მეტად საინტერესო ამბები ხდებოდა ამ დროს საქართველოში.

¹⁸ Н. Устрялов, История..., т. III, гл. 252

¹⁹ იქვე, გვ. 273.

²⁰ თურქები არც ევროპელებს აძლევდნენ შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ვაჭრობის ნებას. თურქები ამბობდნენ: „ოტომანთა სახელმწიფო შავ ზღვას იცავს, როგორც უმწიფო და წმინდა ქალწულს და არა თუ მასზე ცურვას, მასთან მიკარებამაც კი არავის დავანებებთ“. Н. Устрялов, История... т. III, гл. 551. თურქეთის დიდმა ვეზირმა განაცხადა: „სულთანს ურჩევნია თავისი სახლის (პარემის) კარები გაღოს, ვიდრე რუსეთის გემებს შავ ზღვაზე გასასვლელი მისცეს“.

В. А. Уляницкий, Дарданеллы, Босфор и Черное море, 1883, гл. 34.

²¹ იქვე, გვ. 36.

1701 წელს „აფხაზეთის“ კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მოთხოვნით გიორგი აბაშიძეს, გიორგი ლიპარტიანსა და, როგორც ჩანს, მამია III გურიელსაც ტყვის სყიდვის აკრძალვის პირობა დაადებინა²². იმავე ხანებში იმერეთისა და სამეგრელოს მსხვილმა ფეოდალებმა: გიორგი აბაშიძემ, გიორგი ლიპარტიანმა, რაჭის ერისთავმა შოშიტამ, წულუკიძემ, მიქელაძემ, ჭილაძემ, ჩიჯავაძემ, ჩხეიძემ, იაშვილმა, წერეთელმა, ლორთქიფანიძემ, ნიკარაძემ და ქვარიანმა, გრიგოლ კათალიკოსის, ევდემონ ქუთათელისა და ნიკოლოზ გენათელის თაოსნობით თურქების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისა და ქუთაისის ციხის გათავისუფლების პირობა დადეს: „ღღეს შემდგომათ იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირი მივსცეთ და ვინ იცის და თათარი ლაშქრით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენ არც მივიღეთ მასთან და უწინამძღროთ და არც მათი ვიწამოთ და ამ იმერეთის წახდენის საქმეზედ და კიდევცა ამ ციხის აღება და წახდენა მართლის გულით მოვიპირვოთ და არ უსუსტოთ ციხის აღების საქმე“²³.

როგორც ვხედავთ, 1702 წელს დას. საქართველოს გამგებლებს უკვე აშკარა ანტითურქული შეიარაღებული გამოსვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი და შესაფერ დროს ელოდნენ.

მალე იმერეთის გამგებელმა გიორგი აბაშიძემ თურქეთს „ქრთამის“ გაგზავნა შეუწყვიტა და ამით ხონთქრის ხელისუფლების უზენაესობის აღიარებაზე აშკარად უარი თქვა. დას. საქართველო (აფხაზეთის გამოკლებით) თურქების წინააღმდეგ აჯანყდა.

ამ ფაქტს უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის იმდროინდელ ანტითურქულ გეგმებთან. როგორც ჩანს, საქართველოს გამგებლები შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის გამოჩენის და მისგან დახმარების მოლოდინში იყვნენ²⁴.

²² საქართველოს სიძველენი, ტ. I, II გამოც., წ. 1, 1920, გვ. 45. გურიელი, როგორც ჩანს, შედარებით ფრთხილ პოლიტიკას მიმართავდა. 1702 თუ 1703 წელს მას თურქეთში ჩვეულებრივი „ქრთამი“ (ტყვეები) და ელჩები გაუგზავნია. გურიელის გულწრფელობაში დაეკვივებულ სულთანს ელჩები დაუბატონებია, ხოლო „ქრთამად“ ჩაყვანილი რვა ვაჟი და ოთხი ქალი მონებდა გაუყიდა, რაც სულთანსაგან გურიელის მოჰანყვედ ჩათვლას ნიშნავდა. „თარხიზ რაშიდ“. II გამოც.

(1282) 1865—1866 წ. ტ. 11, გვ. 561. დას. საქართველოს გამგებელთა მიერ ტყვის სყიდვის აკრძალვაში დოსითეოსის როლის შესახებ იხ. საქართველოს სასულიერო მმართველი, 1866 წ. აპრილი, გვ. 170—172 (დოსითეოსის წერილი) და ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 331.

²³ საქართველოს სიძველენი, ტ. I, მეორე გამოც., წ. 1, 1920, გვ. 45.

²⁴ როგორც ჩანს, რუსეთის თურქეთზე გალაშქრების შესახებ ქართველ მთაერებს პატრიარქი დოსითეოსი ატყობინებდა. ამაზე ქვემოთ.

ქართველთა მოლოდინს სათანადო საფუძველი გააჩნდა. 1702 წელს პეტრემ შემთვნივნილობა ვოლგაზეც გააჩაღა. პეტრეს სამსახურში მყოფი ინგლისელი ინჟინერის ჯონ პერის სიტყვით ამ მშენებლობის მიზანი იყო პეტრეს მიერ არჩილ მეფისთვის მიცემული პირობის — ჯარით დახმარებისა და იმერეთში გაშენების — შესასრულებლად ფლოტის აგება. ვოლგაზე 12 და 16 ზარბაზნიანი 120 გემის აგება დაიწყეს²⁵. თურქები 1702 წელს ამ მშენებლობას რუსეთ-თურქეთის ომის მოახლოების ნიშნად თვლიდნენ²⁶. თურქეთთან ომის აღდრე დაწყებაზე იმ დროს რუსეთშიაც აშკარად ლაპარაკობდნენ (ოლონდ ამ ამბავს შევდებთან დაზავების შემდეგ ვარაუდობდნენ). ავსტრიის ელჩი რუსეთში პლეიერი 1702 წ. 19 თებერვალს ავსტრიის იმპერატორს მოახსენებდა — აქ ყველანი ლაპარაკობენ, რომ შევდებთან ომის დამთავრების შემდეგ²⁷ პეტრე გემებით გაემგზავრება საქართველოში, რათა იმერეთის პრინცი (ალექსანდრე არჩილის ძე), რომელიც რამდენიმე წლის წინ თავისი ქვეყნიდან განდევნეს (თურქებმა) და ახლა შევდებს ჰყავთ ტყვედ, კვლავ თავის ქვეყანაში გაამეფოსო²⁸. ჩანს, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა პ. ტოლსტოის მიერ 1702 წ. სტამბოლიდან გამოგზავნილი „შავი ზღვის აღწერილობა“. რომელშიაც, სხვათა შორის, აღწერილია ნავსადგურები: რიზე, ფასი (ფოთი), ანაკრა (ანაკრია) და პიკსონტა (ბიჭვინთა)²⁹.

იმავე ხანებში რუსეთთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ ბალკანეთის ხალხებიც. 1702 წელს ბუქარეშტში გაიმართა საიდუმლო თათბირი კონსტ. ბრინკოვიანუს, პატრიარქ დოსითეოსის და ვალახეთის დიდებულთა მონაწილეობით (შესაძლოა, მასში ანთიმოზ ივერიელიც მონაწილეობდა). თათბირმა მიიღო

²⁵ Джон Перри, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 64. ეს გემები, რომლებიც ვოლგა-დონის არხით უნდა გადაეყვანათ შავ ზღვაზე, შემდეგ გამოუყენებლად ლებოდა იქვე.

²⁶ В. Е. Ш у т о й, *Позиция Турции в годы Северной войны*, 1700—1709 гг. გვ. 112 (კრებულში „Полтавская победа“, 1959).

²⁷ 1702 წელს რუსეთის მთავრობა შევდებთან დროებითი ზავის დადებას აპირებდა.

²⁸ Н. Устрялов, *История*, т. IV, ნაწ. II, 1863, დანართი, გვ. 572, აღსანიშნავია, რომ 1700 წელს სტამბოლიდან გამოგზავრებულ ე. უკრაინცევს პატრიარქმა დოსითეოსმა წერილი გამოატანა ალექსანდრე არჩილისძესთანაც, ეს ფაქტიც, აშკარაა, საქართველოს საქმეებთან იყო დაკავშირებული. М. Богоразовский, *Петр. I*, т. V, 1948, გვ. 265; რუსების დახმარებით ოდიშში გაბატონებაზე ოცნებობდა ალბათ პეტრეს სამსახურში მყოფი გიორგი ლევანის ძე და დანიელ. Н. Устрялов, *История*, т. IV, ნაწ. I, გვ. 64.

²⁹ Н. Устрялов, *დასახ. ნაშრომი*, т. IV, ნაწ. I, გვ. 337.

დადგენილება, რომ როგორც კი რუსეთი თურქეთთან ომს დაიწყებდა, ბალკანეთის ხალხებს ერთიანი აჯანყება დაეწყოთ თურქეთის წინააღმდეგ. თათბირის მონაწილეებმა მოსკოვს მიავლინეს საგანგებო ელჩი, რომელსაც პეტრე 1-სათვის თურქეთთან ომის დაწყება უნდა შეეთავაზებინა, რისთვისაც, ვალახეთის დიდებულთა აზრით, ხელსაყრელი მომენტი სწორედ მაშინ იყო³⁰. ვალახელებმა პეტრეს თურქეთთან ომის მეტად საყურადღებო სამხედრო გეგმაც შესთავაზეს³¹.

თურქეთის მთავრობა, რომელსაც რუსეთის აგენტურაზე არანაკლები საიდუმლო აგენტთა შტატი გააჩნდა, ასეთ ვითარებაში გულხელდაკრეფილი არ იჯდა. თურქებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთთან ომის დაწყებისთანავე მისი (თურქეთის) ხელკვეითი ქრისტიანი ხალხები რუსეთის ერთგულ მოკავშირეებად გამოვიდოდნენ. პ. ტოლსტოი 1702 წელს სტამბოლიდან წერდა თურქთა შესახებ პეტრე 1-ს:

«К тому же еще и страх и ужас прибавляется им от царского величества российского, еже множество бесчисленное внутр их единовѣрныхъ российскому народу христиан... Турки их умеют себе всегда за внутреннихъ враговъ и не верят им в то, что они страхомъ ихъ побеждены»³².

თუ ვის თვლიდნენ თურქები, უპირველეს ყოვლისა, თურქეთთან ომში რუსეთის მომავალ მოკავშირეებად, კარგად ჩანს დოსითეოს პატრიარქის წერილიდან პეტრე 1-სადმი: „Также в грузинской земле суть пристани великия и добрыя, и суть и христиане богобоязливые и сильныя, и подзирают (подозревают — К. Ч.) их турки, да не како великое твое царствие, наступив на них (т.е. натурок — К. Ч.), будет иметь великую помощь от грузинцов и суда ваши будут имети пристани довольныя...»³³.

თურქეთის შიში უფრო გააძლიერა 1702 წლის მარტში ყირიმის ხანის მიერ სულთანისთვის გაგზავნილმა ცნობამ, — რუსეთი ომის დაწყებას აპირებსო. თურქეთის მთავრობამ მაშინვე შეიყვანა თავისი ფლოტი შავ ზღვაში³⁴ და რუსეთის მოსალოდნელი მოკავშირეების,

³⁰ თურქეთი იმ დროს მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა.

³¹ Л. Е. Семенова, Русско-валашские отношения в конце XVI—начале XVII в., р. 1969, გვ. 87—88.

³² М. Р. Арунова, „Описание..“ П. А. Толстого как источник по истории Османской империи, გვ. 37 (კრებული: Ближний и Средний Восток 1968).

³³ Н. Каптерев, Иерусалимский патриарх, გვ. 50.

³⁴ იქვე, გვ. 40.

პირველ რიგში ქართველების, დასჯა განიზრახა.³⁵ ასეთ ვითარებაში დას. საქართველოს გამგებლებმა უხეში პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინეს, — სასურველი რეალურად წარმოიდგინეს და რუსეთის ფლოტის დახმარებით თურქების დამარცხების სურვილს აშკარად აცხადებდნენ. პ. ტოლსტოის სიტყვით: „...От тех бедных во Иверской земле жителей от неискусных³⁶ отнеслось слово такое, что они говорят, — ежели де московский флот на Евксинпонт выйдет, мы де колико можем ему будем помогать и сами де ударим на Восток“³⁷.

საქართველოს გამგებელთა ასეთ პოლიტიკურ სიბეცეს სათანადო შედეგიც მოჰყვა: 1703 წ. გაზაფხულზე პ. ტოლსტოი ატყობინებდა პეტრე I-ს, რომ თურქებმა გადაწყვიტესო, „Иверскую землю воевати в подданство себе привести“³⁸, „Турки умыслили покорить Грузию, рассуждают так: если московский флот выйдет в Черное море, то из Грузии по рекам, впадающим в это море, будет ему всякая помощь людьми и запасами потому, что грузины с русскими единоверцы“³⁹.

ქართველები (და მათი კეთილისმსურველი მრჩეველი დოსითეოსიც) აჩქარდნენ, როცა ზემოაღნიშნული ანტითურქული გამოსვლა წამოიწყეს. მაშინდელი საერთაშორისო სიტუაცია სრულიადაც არ იყო ისეთი, როგორც იგი ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ. 1703 წ. 1 მაისს რუსებმა აიღეს შვედების ციხე ნიენშაცი, სადაც 1703 წლის 16 მაისს პეტრემ სანკტ-პეტერბურგი დააარსა. რუსეთი სხვა, — ბალტიის, ზღვაზე გავიდა. რუსეთისათვის შავი ზღვის პრობლემა არ მოხსნილა, მაგრამ დროებით (1703 წლისთვის მაინც) მეო-

³⁵ როგორც ზემოთ დავინახეთ, თურქეთს ამისათვის სხვა საფუძველიც საკმაოდ ჰქონდა.

³⁶ ცხადია, პოლიტიკოსი!

³⁷ Т. К. Крылова, Русско-турецкие отношения во время Северной войны, გვ. 256 (Исторические записки, 10, 1941 г.).

³⁸ იქვე, გვ. 255, 101, 1941 წ. გაიხსენოთ ქუთაისის აღების გეგმა!

³⁹ С. М. Соловьев, История России с древнейших времен, к. III (II изд.), столбец 1331. პ. ტოლსტოის სიტყვები თურქთაგან საქართველოს დაპყრობის განზრახვის შესახებ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს თურქეთ-საქართველოს იმდროინდელი ურთიერთდამოკიდებულების ფორმის დადგენისათვისაც.

რე პლანზე გადავიდა. ვალახეთსა და საქართველოში კი 1703 წელს, როგორც ჩანს, არაფერი იცოდნენ⁴⁰.

1703 წლის ზაფხულში (ივნისში) თურქეთის არმია და ფლოტი დას. საქართველოს დასაპყრობად დაიძრნენ.

ვახუშტი ბაგრატიონისა, რაშიდის და თანადროულ ქართველ ქრონიკოართა ცნობებით დას. საქართველოში 1703 წლის თურქთა დიდი ლაშქრობა ასე წარიმართა:

სულთანმა არზრუმის ბეგლარბეგად დანიშნულ ვეზირ ქოსა ხალილ-ფაშას სერასკერობა უბოძა და 1703 წ. იანვრის ბოლოს დასაუღლეთ საქართველოზე გალაშქრება უბრძანა. სულთნის ბრძანებით ხალილ-ფაშას აჯანყებულ მხარეებში ციხეები უნდა აეღო და დაენგრია, ხოლო ბაღდადსა (იმერეთში) და ბათომში ციხეები უნდა აეგო და შიგ მეციხოვნეები ჩაეყენებია⁴¹. ვახუშტის ცნობით სულთანს თურქეთის ლაშქრისთვის უბრძანებია, „რათა დაჰყონ წელი შვიდი იმერეთს და მოაოხრონ სრულიად ციხეებითურთ“⁴². ლაშქრობის მასშტაბი მართლაც იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ამ „დიდ თურქობას“ მიზნად დას. საქართველოს თურქთაგან საბოლოოდ დამორჩილება (დაპყრობა) ჰქონდა, სულთნის ბრძანებით ხალილ-ფაშას ლაშქრობის დროს ექვემდებარებოდნენ: ტრაპიზონის ბეგლარბეგი სალიჰ-ფაშა, აღმოსავლეთ ყარა-ჰისარის სანჯაყის მეთესარიფი მუსტაფა-ფაშა, გონიის სანჯაყის

40 რუსეთის მთავრობა 1703 წელს თურქეთთან ომის დაწყებას რომ არ აპირებდა, კარგად ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ იმ დროს რუსეთს მყოფი მეფე არჩილი რუსეთის მთავრობისაგან მოსკოვში ქართული სტამბის გახსნის ნებართვას ითხოვდა (...:печатать книги на нашем языке ради церковныя и гражданския пользы нашему Иверскому народу, а наипаче в тиранстве под турком и персом сушним). ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, გვ. XIII; წიგნში: არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, 1937. ეს დოკუმენტი 1703 წ. 2 ივლისსაა დაწერილი, იმავე წლის 11 აგვისტოს არჩილმა სათანადო ნებართვა და ფულადი დახმარებაც მიიღო (იქვე). მაშინ თურქეთთან ომის მოლოდინი რომ ყოფილიყო, არჩილისა და რუსეთის მთავრობის ურთიერთობის იმდროინდელ დოკუმენტებში იგი აუცილებლად აისახებოდა. სხვა რომ არ იყოს რა, 1703 წელს თურქეთთან ომის დაწყება არ შეეძლო წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც: ბალტიისპირეთში წარმატებითი ოპერაციების თანადროულად რუსეთს თურქეთთან ომის წარმოების ძალა არ შესწევდა და ასეთი რამ სტრატეგიულადაც გაუმართლებელი იყო.

41 „თარიხი რაშიდ“, II გამოც., ტ. III, გვ. 130—131. Joseph von Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, IV Band. Pest, 1836. გვ. 57. ამ ამბების გადმოცემისას ჰამერი, რაშიდი „თარიხის“ გარდა, მიუთითებს მეორე წყაროსაც — ბერლინის ბიბლიოთეკის ზელნაწერ „ისტორიას“.

42 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 263 და 333.

ბეგი აჰმედ-ალა⁴³, იანიჩართა 5 ოლა⁴⁴, ორასი ჯებეჯი⁴⁵, ასი არტილე-რისტი, ზარბაზნის ლაფეტების 50 შზიდავი, ტრაპიზონის ეიალეთში მყოფი იანიჩრები, ორი ნიჩბიანი და 40 იალქნიანი ზომალდი, გირე-სუნსა და გონიას შორის ზღვისპირას მდგარი მოლაშქრეები და სხვა ყველა, ვისაც კი სამიანი თოფი გააჩნდა, ჩილდირის (ახალციხის) ბეგ-ლარბეგი ისაყ-ფაშა, ახალციხის გარნიზონი, აწყურისა და ხერთვისის ციხეთა იანიჩარ-აღები, მოხალისეები⁴⁶; აგრეთვე ბეგები იმ 14 სანჯაყისა, რომლებიც იურთლუკად და ოჯაკლიკად⁴⁷ ითვლებოდნენ, ყარსის ბეგლარბეგი მუსტაფა-ფაშა, ყარსის, მალაზბერდის, გეჩევანისა და კალიზმანის მეციხოვნეები და მოხალისეები, ყარსის ეიალეთის 15 სანჯაყის ბეგები, არზრუმის ეიალეთის 8 სანჯაყის ბეგი და ალაი-ბე-გი⁴⁸, ქილის, კალიზმანის, ბაიაზეთისა და ალაშქერტის სანჯაყ-ბეგები⁴⁹. ყველა ზემოჩამოთვლილ ხელისუფალს თან უნდა წამოეყვანა მათი ხელქვეითი ყველა მოლაშქრე (ზაიმი და თიმაჩიოტი). ვახუშტის სიტყვითაც, არზრუმის ფაშა საქართველოში შემოსულა „სპითა დიდითა“⁵⁰. წინამძღვარ გრიგოლ მახაძის ცნობითაც (1729 წ.) „ხალი(ლ)-ფაშა გა-მოაზახა ხვანთქარმან 3 (80) ათასი კაცი(თ)“⁵¹. აქ ნაჩვენები რაოდე-

⁴³ ვახუშტის ცნობით 1689 წლის ახლოს (წინ) გურიიდან გონიას მისულ გი-ორგი XI-ს „მოეგება თაღვირიძე აჰმედ-ბეგ, რამეთუ იყო გამაჰმადიანებული და დიდითა პატივითა დაასაღებურა და წარსაგებლითა თვისით უმასპინძლებდა რაოდენსავე ფაშა“ (ვახუშტი, საქ. ცხოვრება გვ. 323). ჩვენი აზრით ეს თავდგირიძე ის აჰმედ-ბეგია, ბათუმის სანჯაყ-ბეგი, რომელსაც ჰიჯრის 1124 წ. 13 საფარს (1712 წ. 22 მარტს) სულთან აჰმედ III-საგან მიღებული ბარათით დაუშტკიცდა სავაშე-ბლო და შემოსავალი. იხ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის ფონდი, ს. 33, ფურც. 12; სტია, ფ. 231, ს. 99, ფრც. 7. Д. Бакрадзе, Исторический очерк турецкой системы землевладения, 1889 гв. 13. 1889 гв. 13. რამილი, როგორც ჩანს, არაზუსტად გადმოგვეცემს ბათუმის (გონიის) სანჯაყ-ბეგის სახელს, უწოდებს რა მას მეჰმედ-ალას.

⁴⁴ იანიჩართა მსხვილი სამხედრო შენაერთი.

⁴⁵ „Waffenschmiede und Zeugwarte, welche in den Arsenalen und bei den Pulvermühlen beschäftigt waren“. I. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reiches in Europa V, Gotha, 1857, გვ. 247.

⁴⁶ მოხალისეთა ლაშქრად წაყვანა თურქებს წესად ჰქონდათ, სწორედ ისინი მარცხედნენ და აწიოებდნენ ძირითადად დამარცხებულ მტერს.

⁴⁷ საგვარეულო მემკვიდრეობითი ქონება.

⁴⁸ ალაი-ბეგი — სიპაჰთა რაზმის (1000-მდე მოლაშქრის) მეთაური.

⁴⁹ „თარიხი რაშიდ“, ტ. II, გვ. 580—581.

⁵⁰ ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 263 და 333.

⁵¹ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878, стр. 209.

ნობა, ცხადია, გაზვიადებულია, მაგრამ რაშიდის მიერ ამ ლაშქრობის მონაწილე თურქ ხელისუფალთა ჩამოთვლა ცხადად გვიჩვენებს 1703 წ. დას. საქართველოში შემოსულ თურქთა სიმრავლეს.

სწორედ იმ დროს, როდესაც თურქთა ლაშქრის ძირითადი ნაწილი საქართველოსკენ მოდიოდა, კონსტანტინოპოლში თავი იჩინა შინაპოლიტიკური კრიზისის აშკარა ნიშნებმა, რაც უკვე დიდხანია გამწვავებული ეკონომიური კრიზისით იყო გამოწვეული. 1703 წ. ივნისის შუა რიცხვებში ორასმა თუ სამასმა ჯებეჯიმ და იანიჩართა ოთხმა ოდამ საქართველოში მიმავალ გემებში ჩასხდომაზე უარი თქვეს და მათთვის უკვე 10 კვარტალის განმავლობაში მიუტეველი ჯამაგირი მოითხოვეს. სულთანმა იძულებული გახდა აჯანყებული ჯებეჯებისა და იანიჩრების მოთხოვნა მაშინვე დაექმაცოფილებია. როგორც კი გემები საქართველოსკენ გაემართნენ, სულთანმა აჯანყებულთა გამგებლები — ჯებეჯიბაში და კაიმაკამი თანამდებობებიდან გადააყენა, რასაც ჯებეჯთა და იანიჩართა ახალი მღელვარება მოჰყვა⁵².

თურქეთის ლაშქარი საქართველოში „მარიამობის თთქში“ (ავგისტოში) შემოიჭრა⁵³.

თურქები საქართველოს სამი მხრიდან შემოესივნენ: „წარმოემართა არზრუმის ფაშა კერძოთა გურიისათა... გამოვლო ჭოროხი ნავის ხილითა“⁵⁴ და დასდგა გურიის⁵⁵; თურქთა მხარეს დადგა აფხაზეთის სამთავროც. აფხაზთა ლაშქარი ნაევბით გურიის სანაპიროს მიადგა და „თე(თ)როსანი აფხაზმა მაშინ აგვართვა“⁵⁶. არზრუმის ფაშის ქება-

⁵² „თარიხი რაშიდ“, ტ. II, გვ. 589—591; I. Zinkeisen, Geschichte... ტ. V, გვ. 247; I. Hammer, Geschichte..., ტ. IV, გვ. 57; N. Iorga, Geschichte des osmanischen Reiches, IV B., Gotha, 1911, გვ., 288 (იორგას წყარო: Rivista Romina, I, გვ. 677,—კონსტანტინე ბრინკოვიანუს ჩანაწერები, ჩვენთვის ხელმეორეხელმეტი აღმოჩნდა).

⁵³ ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 383 (ქორონიკონები). მ. ბროსე ამ ამბის თარიღად, რატომღაც, 1707 წლის ავგისტოს ასახელებს. იხ. Histoire de la Georgie, II, P., II., გვ. 301.

⁵⁴ ე. ი. ჰონტონის ხილით, (ქ. ჩ.).

⁵⁵ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263 და 333.

⁵⁶ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие..., გვ. 209. დიშ. ბაქრაძის აზრით, „აფხაზები, როგორც ჩანს, ხალილ-ფაშის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ“. იქვე, გვ. 210. აფხაზთაგან თურქთათვის მხარდაჭერა სავსებით „გამართლებული“ ჩანს, თუ იმდროინდელ დას. საქართველოში შექმნილ სიტუაციას (ლიპარტიან-შერვაშიძის ბრძოლა და დას. საქართველოს სხვა გამგებელთაგან ლიპარტიანისთვის მხარის დაჭერა) გავითვალისწინებთ. იხ. ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 333.

იამ⁵⁷ და ახალციხის ფაშა ისაყმა ახალციხიდან თავიანთი ხელქვეითი ჭარბით ფერსათის გადასასვლელი გადავლეს და ხანისწყლის ხეობით, იმერეთის შუაგულისკენ დაიძრნენ.⁵⁸ თურქეთის ფლოტი სამეგრელოს სანაპიროსკენ გაემართა.

თურქთა შემოსევისთანავე გიორგი აბაშიძემ ქვეყნის დასაცავად ენერგიული საქმიანობა გააჩაღა, „შემოიფიცა სრულიად იმერნი, გურიელ-დადიანიურთ და დახიზნა იმერეთი“,⁵⁹ იმავე დროს იმერეთის მოლაშქრეებმა ქვეყნის ცენტრისკენ მიმავალი გზები დაიკავეს, კაკას-ხილთან სიმაგრე შეჭრეს (საფარი მოაწყვეს), ხოლო გურიიდან იმერეთისკენ მივებზე გადასასვლელი გზები ისე ჩაკეტეს, რომ სერასკერსა და მის ქეპაიას შორის ამბის მიმტანსაც კი არ უშვებდნენ.⁶⁰

ომი თავიდანვე თურქთა სასარგებლოდ წარიმართა. თავი იჩინა როგორც თურქთა რიცხოზობა და სამხედრო-ტექნიკურმა უპირატესობამ (თურქებს „დიდროვანი“, „დიდ-დიდი“ თოფები ჰქონდათ და მათი ფლოტი შავი ზღვის სრული ბატონ-პატრონი იყო), ისე ფეოდალური საქართველოს უკუტრეზვლამ სენმა — ფეოდალურმა დაშლილობამ და ცალკეულ ფეოდალთა ინტერესების სიციფროვემ. სამხრეთიდან იმერეთში შემოსეულმა თურქებმა ბრძოლით აიღეს კაკას-ხილთან სახელდახელოდ შეკრული სიმაგრე, ს. ბაღდადს დადგნენ, სულთნის ბრძანებისამებრ იქ თხმელის ციხე ააგეს და შიგ გარნიზონი შეაყენეს⁶¹. მალე თურქები დას. საქართველოს მესამე მხრიდანაც შე-

⁵⁷ «Кеаиа... Наместник главных чинов в Порте...». Статьи из энциклопедии, принадлежащие к Турции, т. I, СПб, 1769, стр. 132.

⁵⁸ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 333; ი. ჰამერი, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 49. «გარდავალს აქედამ გზა კაკას ხილზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით (ე. ი. მთის გამო ქ. ჩ.), რეინის ჟვარი». ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 125; «(ხანისწყალზე), მთაში არს კაკას-ხიდი, ფრიალ მაღალსა კლდეა ზედა, და გზა სამცხისა». იქვე გვ. 150.

⁵⁹ ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 333.

⁶⁰ იქვე. ამაზე აღრე ქართველებს, როგორც ჩანს, თურქთა ჭარის ერთი ნაწილი დაუმარცხებიათ. 1703, აგვისტოს პეტმანი მახება კანცლერ თ. ა. გოლოვინს ატყობინებდა: „В земли Грузинской гораздо побито войска Турского и один паша и новые турские войска тула посланы против грузинцов“, (Письма и бумаги императора Петра Великого, т. II, 1889, გვ. 576). შესაძლოა აქ იმერეთში (ქუთაისში) მდგომ თურქთა ჭარზე იყოს ლაპარაკი.

⁶¹ ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 263; განსაკუთრებულ, ე. წ. „უკუნ“ დღეებში მოჭრილი და შემდეგ დამდგარ წყალში ნამყოფი თხმელის ფიცარი განსაკუთრებული სიმტკიცითა და გამძლეობითაა ცნობილი. ვახუშტის სიტყვით, თურქებმა ბაღდადში ქუთაირის ციხე „შემდგომად (ე. ი. 1703 წ. შემდეგ, ქ. ჩ.) აღაშენეს“ ვახუშტი, აღწერა... გვ. 150.

მოციხეებში. მათი ფლოტი ოდიშის სანაპიროს მოადგა და დესანტი გადმოსხა. გურიელი, რომელიც მანამდე თურქებს შეუპოვრად ებრძოდა (ხალილ-ფაშამ⁶² ციხეები დაგვიტეხა“-ო აღნიშნავს წინამძღვარი გრიგოლ მახაძე⁶³, ორცეცხლსშუა მოექცა — თურქები მის სამფლობელოს ჩრდილოეთიდანაც დაემუქრნენ. ასეთ ვითარებაში მამია III გურიელი იძულებული გახდა აბაშიძისათვის მიცემული ფიცი გაეტეხა; იგი ხალილ-ფაშას „ეახლა“ (ე. ი. დამორჩილდა)⁶⁴. გურიაში შესულმა თურქებმა, სულთნის ბრძანებისამებრ, 1703 წელს ბათომში ციხის საძირკველი ჩაყარეს, ციხე ააგეს და შიგ შეციხოვნეები ჩააყენეს.⁶⁴ იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა 1704 წ. 10 ივნისს ბუქურესტიდან წერილით შეატყობინა პეტრე I-ს, რომ (გასულ წელს) თურქები შეიჭრნენ საქართველოში „обрушили многия и достославныя монастыры и церкви их, попленив многия грады, и особливо множество душ христианских. Поставили купно и город на большой пристани, которая называется Батона...“⁶⁵

იმავე ხანებში აბაშიძის ერთგულ მოკავშირე⁶⁶ ლიპარტიანთან პირადი მტრობის გამო⁶⁷ იმერეთის თავადმა გიორგი მიქელაძემ (ვიორგი აბაშიძის დედის ძმამ და ლიპარტიანის ცოლის ძმამ) თავისი ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დააყენა, ხალილ-ფაშას ქვპაიას ეახლა, მას ყოლაუზობა (მეგზურობა) გაუწია და ამავე დროს გუ-

⁶² Д. Бакрадзе, Археологическое путешествие... стр. 209.

⁶³ ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 333.

⁶⁴ „თარიხი რაშიდ“, ტ. III, გვ. 131; ეს იყო ის „ციხე ახალი ბათომი“, რომელიც დღევანდელი ბათომის ფარგლებში იქნა აგებული, „ძველი ციხე ბათომის“ (რომელიც მამინ დანგრეული იყო) სამხრეთით. იხ. Д. М. Бакрадзе, Исторический очерк турецкой системы землевладения, გვ. 14, აღსანიშნავია, რომ აქამდე გამოსულ საცნობარო ლიტერატურაში (საბჭოთა თუ უცხოური ენციკლოპედიები, ენციკლოპედიური ლექსიკონები...) ბათომის თურქთაგან დაკავების სხვადასხვა თარიღია ნაჩვენები—XVI ს. შუაწლებიდან XVII ს. დასაწყისამდე!

⁶⁵ Н. Ф. Каптерев, Иерусалимский патриарх Досифей в его сношениях с русским правительством (1669—1707). 1891, стр. 51. Письма и бумаги императора Петра Великого, т. II, стр. 341, 347—348.

⁶⁶ გ. აბაშიძის სამხედრო დახმარებით ოდიშის გამგებელმა გიორგი ლიპარტიანმა 1701 თუ 1702 წ. დაიბრუნა აფხაზთაგან „მიღებული“ (წართმეული, ქ. ჩ.) ქვეყანა და „მძევალი“. ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 333. ეს იყო ტერიტორია მდ. ენგურსა და ლალიძგას შორის. აბაშიძე და ლიპარტიანი ადრევე იყვნენ მეგობარნი მტკიცენი“. ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 331.

⁶⁷ ამ მტრობის მიზეზის შესახებ იხ. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი გვ. 331.

რიაში მყოფ სერასკერს ქეპაიას ამბავი აცნობა. თურქთა სარდალმა ჯარები იმერეთისკენ დასძრა და ქეპაიას არგვეთის დალაშქერა უბრძანა. ოსმალებმა არგვეთი მოაოხრეს, მოწვეეს და გიორგი აბაშიძის კუთვნილ ქალატყის ციხეს მიადგნენ, რომელიც აბაშიძეს თხრილების შემოვლით გაემაგრებია. ქალატყის ციხე ძლიერი სიმაგრე იყო. მის ქვეთკირის სამ კოშკში გამაგრებული ქართველები მტერს მტკიცედ დახვდნენ და „მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა“⁶⁸. ისაყ-ფაშამ იერიში მიიტანა ციხეზე; მოიერიშეებმა თხრილებს მიაღწიეს, გადალახეს და ციხეს მიადგნენ. თურქმა მესანგრეებმა („მთხრელნი“) ციხის კედლებს ძირი შეუთხარეს, ქვეშ დენთი ჩაუდეს და ააფეთქეს. ნაღმის აფეთქებამ ციხის სამივე კოშკი ძირიანად გადმოაყირავა და დაშალა; მეციხოვნეთაგან აფეთქების დროს მხოლოდ ერთი მეციხოვნე გადარჩა. მალე თურქებმა აიღეს საბეკას ციხეც, „მრავალი ქუეყანა დაწვეს, დააფეს და ააოხრეს“⁶⁹; მრავალი ქართველი დატყვევდა. თურქები იმერეთში მტკიცედ დამკვიდრდნენ.

იმავე დროს დიდ წარმატებას მიაღწიეს თურქებმა ოდიშშიაც. მათ აიღეს რუხის ციხე, შიგ გარნიზონი ჩააყენეს და ზღვისპირას ახალი დასაყრდენიც შეიქმნეს—ანაკრიის ციხე ააგეს და იქაც მეციხოვნეები ჩააყენეს.

დას. საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა: ქვეყნის მეტი ნაწილი თურქთაგან ფაქტიურად ოკუპირებული იყო. რაიმე ისეთი ძალა, რომელიც ქვეყანას გაოსმალეებისაგან იხსნიდა, არსაიყო ჩანდა. ადგილობრივი ანტითურქული ძალები პარალიზებული იყო.

ხსნის იმედი თითქმის დაკარგული იყო, როდესაც თურქეთში მომხდარმა ამბებმა ვითარება ძირეულად შეცვალა (ვახუშტის თქმით „შეიწყალა ღმერთმა ქვეყანა ესე“⁷⁰).

დიდი ხნის განმავლობაში მომწიფებულ უკმაყოფილებას თურქეთში მძლავრი აჯანყება მოჰყვა. 1703 წ. ივლისის შუა რიცხვებში (ე. ი. მაშინ, როცა თურქეთის ჯარები საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდნენ), ჭებეჯების კორპუსში კვლავ მღელვარება დაიწყო. დამფრთხალმა ახალმა კაიმაკამმა მათ 3 წლის გადაუხდელი ჯამაგირი მისცა და 20 ქესაც საჩუქრად უბოძა, მაგრამ იანიჩართაგან წაქეზებულმა ჭებეჯებმა ფულის მიღებაზე უარი თქვეს, აჯანყდნენ და ათ-

⁶⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

⁶⁹ ძველი საქართველო, ტ. 11, 1913, განყ. III, გვ. 72. (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების № 381 ხელნაწერის ქრონიკა, 1703 წ. ქვეშ.).

⁷⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 334.

მეიდანზე დაბანაკდნენ⁷¹. აჯანყებულებს იანიჩრები, თოფები, სიპაჰები და ბოსტანჯები, აგრეთვე ულემები, ემირები, სუხტები, იურიდიული სკოლის მოსწავლეები და სხვები შეუერთდნენ. სულთან მუსტაფა II-ის მმართველობით გამოწვეული უკმაყოფილება საერთო აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი, აირჩიეს ახალი დიდი ვეზირი — გურჯი აჰმედ-ფაშა, ახალი მუფთი, იანიჩარ-ალა, რეის-ეფენდი და სხვა მოხელეები. ახალმა მთავრობამ აღრიანოპოლში⁷² მყოფ სულთანს ღვთის სამართალში გამოსვლა ე. ი. ხალხის წინაშე თავის მართლება და მისი ერთგული მუფთის გადაყენება მოსთხოვა⁷³.

აგვისტოს შუა რიცხვებში სულთანი მუსტაფა გადადგა და ტახტი მის ძმას—აჰმედ III-ეს დაუთმო. ახალი სულთანი იძულებული გახდა თითქმის დაცლილი ხაზინიდან უკანასკნელი მონეტები ამოეღო და აჯანყებულებისათვის დაერიგებინა⁷⁴.

თურქეთში ხელისუფლების შეცვლამ და მწვავე ეკონომიურმა კრიზისმა დას. საქართველოში მყოფი ლაშქრის წარმატებებს საზღვარი დაუდო. ახალმა სულთანმა ლაშქრობის შეწყვეტა და ჯარის უკან დაბრუნება ბრძანა⁷⁵.

სულთნის ბრძანების მიღებისთანავე გურიაში მდგომმა ხალილ-ფაშამ თავის ქეპაიას აბაშიძესთან ზავის დადება და უკან გაბრუნება უბრძანა⁷⁶ (ქეპაიასა და აბაშიძეს შორის მოლაპარაკების წარმატების ერთ-ერთ პირობად ვახუშტი მათ ნათესაობას მიიჩნევს). ქეპაიამ აბაშიძისგან შორაპნის ციხის დანგრევა და მასთან (ქეპაიასთან) შეხვედრა მოითხოვა. წინასწარი შეთანხმების შემდეგ გიორგი აბაშიძე 500 რჩეული მხედრის თანხლებით პირადად შეხვდა ქეპაიას და მასთან

71 ი. ცინკაიზენი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 247. ათ.მეიდანს იუსტინიანეს მიერ აგებული ჰიპოდრომის თურქული სახელწოდებაა.

72 აღრიანოპოლი 1361—1453 წლებში სულთნების რეზიდენციას წარმოადგენდა, მომდევნო ხანებში კი თურქეთის მეორე დედაქალაქად ითვლებოდა.

73 ი. ცინკაიზენი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 249; „ოქმენა შფოთი დიდი სტამბოლს“. ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 334—335.

74 П. Каптеров, Иерусалимский патриарх..., стр. 46.

75 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263 (ხონთქარმა „უბრძანა სარასკარს უკუქცევა იმერეთიდან“ (და 335; В. Е. Шутин, Позиция Турции в годы Северной войны. 1700—1709, გვ. 115 (კრებულში „Полтавская победа“, 1959). საყურადღებოა, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში გადაყენეს დიდი ვეზირი გურჯი აჰმედ-ფაშა. Т. К. Крылова, Русско-турецкие отношения во время Северной войны. . 260 (Исторические записки, 10, 1941).

76 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

საზავო მოლაპარაკება გამართა. აბაშიძე და თურქეთის წარმომადგენელი შეთანხმდნენ, რომ იმერლები დაანგრევდნენ შორაპნის ციხეს და თურქებს მძევალსა და „ქრთამს“ (ე. ი. მორჩილების, ავტონომიური ვასალობის ნიშანს) მისცემდნენ. ქეპაიამ იმერეთის მეფედ ალექსანდრე IV-ის ვაჟი გიორგი დატოვა. აბაშიძე, რომელსაც თურქებმა გიორგი ალექსანდრეს ძე აწვილებინეს, ახალი მეფის „მოურნედ“ რჩებოდა. აბაშიძე იძულებული გახდა საზავო შეთანხმების პირობები შეესრულებია.

ამ დროს, როგორც ჩანს, საქართველოში უკვე გაიგეს თურქეთში მომხდარი ამბები და სათანადო დასკვნაც გადაკეთეს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ უკან მიმავალ თურქეთის ჯარს ქართველებმა ბრძოლა გაუმართეს; აბაშიძის ბრძანებით იმერლებმა ფერსათის გზა შეკრეს, ოსმალებს მთაზე დაეწივნენ და თავს დაესხნენ. ბრძოლაში იმერლებმა „მოსრნეს... მრავალნი“⁷⁷, „მოკლეს კოლის ფაშა და დაჰკოდეს ხელსა შინა ისაყ ახალციხის ფაშა, აოტეს ოსმალნი და აღიღეს ალაფნი ურიცხვნი, ცხენნი, ჯორნი და აქლემნი კიდებულნი“⁷⁸. ვახუშტის სიტყვით, თურქეთის მოლაშქრენი „არღარა უკუბრუნდნენ ბრძანებისა და ზამთრისათვის“⁷⁹. აქედან ჩანს, რომ თურქთა ეს დიდი შემოსევა 1703 წ. გვიან შემოდგომაზე (ან ზამთრის პირას) დამთავრებულა.

ახალციხეში თურქთა ლაშქარი ორად გაიყო: მაჰმადიანი ქართველები (მესხები) იქვე დარჩნენ, ქეპაია კი ღანარჩენი ჯარით არზრუმისკენ გაემართა.

იმერეთიდან თურქთა გასვლამდე ხალილ-ფაშამაც ბათომის გავლით „გავლო გურია“. თურქეთის გზას დაადგნენ ოდიშში მყოფი თურქებიც⁸⁰. თურქთა გარნიზონები დარჩნენ ქუთაისის, ბაღდადის და ბათომის ციხეებში, მაგრამ დას. საქართველო თურქთაგან დაპყრობას გადაურჩა.

საქართველოზე ამ ლაშქრობის ჩაშლა დაქვეითების გზაზე მყოფი თურქეთის კიდევ უფრო დასუსტების აშკარა მაჩვენებელი იყო⁸¹. მიუხედავად ამისა, დას. საქართველოში გაჩაღებულმა შინაომმა თურქეთს მალე საშუალება მისცა იქ კვლავ თავისი გავლენა აღედგინა. სამეფო თუ სამთავრო ტახტისათვის ურთიერთშორის მებრძო-

⁷⁷ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

⁷⁸ იქვე, გვ. 335.

⁷⁹ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

⁸⁰ იქვე, გვ. 335.

⁸¹ B. Sumner, Peter the Great and the Ottoman empire, Oxford, 1949, გვ. 11.

ლი ფეოდალები დახმარებისათვის თურქეთს მიმართავდნენ და დაახლ. 1712 წლიდან თურქები კვლავ აქტიურად ჩაებნენ დას. საქართველოს საშინაო საქმეებში; მეფე-მთავართა ტახტზე ასევე კვლავ თურქთა ნებითა და განკარგულებით ხდებოდა.

ამავე დროს დას. საქართველოს გამგებლები კვლავ განაგრძობდნენ თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეთა ძიებას. ამ მიზნით რუსეთთან დაკავშირების ცდები შემდეგშიაც გრძელდებოდა.

თურქეთზე ლაშქრობას პეტრე 1-ის სამხედრო გეგმებში მომდევნო ხანებშიაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. რუსეთის მთავრობა კვლავ განაგრძობდა ვალახეთისა⁸² და საქართველოს გამგებლებთან ანტითურქულ კავშირს. პეტრე 1-ს (რომელმაც კარგად იცოდა 1703 წელს საქართველოსა და თურქეთში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები⁸³) 1704 წ. მიწურულს იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსისთვის გაუგზავნია წერილი, რომელშიაც მეფეს პატრიარქისთვის ქართველებთან ურთიერთობის შესახებ მიუწერია.

პეტრეს წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ 1705 წ. იანვარში დოსითეოსის მიერ გამოგზავნილ საპასუხო წერილიდან კარგად ჩანს, რომ პეტრე დოსითეოსის მეშვეობით ქართველებთან თურქთა წინააღმდეგ კავშირს ეძიებდა. აი, რას წერდა პატრიარქი პეტრეს:

«О грузинцах добрый совет есть, и мы будем писать туды и пошлем и человека ныне вскоре на святой пасце, и скажем и действовать будем богу благоволящему, нужная потому, что тамошние начальники суть наши знакомцы и друзья и имеют к нам склонность, благовенне и любовь. Однакож сыскати тамо людей, которые бы знали по русски, невозможно, только как придет тот благословенный человек, тамо вельможный государь грузинский, господин Арчил, имеет многих, которые знают по русски, и мирских и старцов, и пойдут вкупе некоторые из их переводчики, наипаче будет поедет вместе господин Арчил, или сынего господин Александр, имут утвердити большая»⁸⁴.

თუ გავიხსენებთ პლეიერის მტკიცებას, რომ პეტრეს 1702 წელს განზრახული ჰქონდა იმერეთში (ტყვეობიდან დახსნილი) ალექსანდრე არჩილის ძის გამეფება, და დოსითეოსის მიერ 1700 წელს ალექ-

⁸² Л. Е. Семенова, Русско-валахские..., стр. 91—160.

⁸³ Письма и бумаги..., т. II, стр. 553.

⁸⁴ Н. Каптеров, Иерусалимский патриарх..., стр. 54.

სანდრე ბატონიშვილისთვის წერილის გაგზავნას, — ცხადი გახდება ალექსანდრეს როლი რუსეთ-საქართველოს იმდროინდელ ურთიერთობაში⁸⁵. ამას კარგად გვიჩვენებს მეფე არჩილის იმ დროს შექმნილი ნაწარმოებებიც, რომელთა მიხედვითაც არჩილი მწვავედ განიცდიდა პეტრეს მიერ აღთქმული დახმარების დავიანებას:

(„პეტრე) მცემს რა სმ იმედსა, სიტკბოთი მელსა,⁸⁶
იქნებამც მრავალთ კარგ შემსწრობელი.

ჩემსარგებლსა, გარიგებლსა
ბრძანებს, მე საღლა შევესწრებია?

ასეთს დროს შევხვდი, ვეღარვის ვაგებდი,
ყოფა ამისთვის დამმწარებია.

გვიანობს საქმე, ვითა შესაქმე
წინ გვიძე გარე მოსადებარე.

რალას შევესწრა, ან თუ დავესწრა
სიკაბუკისა ქვე დამდებარე“⁸⁷

არჩილის შიში საფუძვლიანი აღმოჩნდა — მის იმედებს განხორციელება არ ეწერა. 1710 წ. გარდაიცვალა ალექსანდრე ბატონიშვილი, 1711 წელს კი თურქებზე გალაშქრებულმა პეტრე I-მა მდ. პრუტის პირას საშინელი მარცხი განიცადა და იძულებული გახდა აზოვის ზღვისპირა სიმაგრეები მოეშალა, აზოვის ციხე თურქებისათვის დაებრუნებია და კონსტანტინოპოლიდან თავისი რეზიდენტი გაეწვია. 54 წლის არჩილი ამ ამბებს გადაჰყვა, იგი მოსკოვში გარდაიცვალა 1713 წ. აპრილში.

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა იმერეთის სამეფომ 1722 წ. განაახლა. ვახტანგ VI-ის ელჩს, იმერეთის გავლით რუსეთს მიმავალ მიტროპოლიტ პაულეს, იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ რუსეთის მთავრობასთან მისი სახელით მოლაპარაკებაც დაავალა⁸⁸. კან-

⁸⁵ სავარაუდებელია, რომ პეტრეს თურქეთზე გალაშქრებას ალექსანდრე არჩილისძის ტყვედ ყოფნაც აფერხებდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შესაძლოა გასაგები გახდეს, თუ რატომ ამბობდა უარს ალექსანდრეს ტყვეობიდან გათავისუფლებაზე (მიუხედავად მეტად ხელსაყრელი პირობების შეთავაზებისა) თურქეთის მოკავშირე შეედითი. ხომ არ ერია ამაში თურქეთის დიპლომატთა ხელი?

⁸⁶ ე. ი. თავლს (მეძ).

⁸⁷ არჩილიანი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. 1, 1936, 33-388.

⁸⁸ М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российским государями от 1639 по 1770 г., 1801 г., стр. XXX—XXXI и 147. 5. საჭ. ფეოლ. ხანის ისტორიის საკითხები.

პიისპირეთში პეტრე I-ს ლაშქრობის დროს 1721—1722 წლებში იმერეთის ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის სამხედრო ლონისძიებებში, კერძოდ განჯაზე გალაშქრებაში⁸⁹.

პეტრეს მიერ 1722—1723 წლებში „ირანში ლაშქრობას“ დასაყვლეთ საქართველოსათვის სავალალო შედეგები მოჰყვა: აღმოსავლეთ საქართველოს დაკავების თანადროულად თურქეთის ფლოტმა საქართველოს შავი ზღვისპირა ნავსადგურები და გამაგრებული პუნქტები (ციხისძირი, ქობულეთი, სეფა, გრიგოლეთი, ანაკრია...) დაიკავა. თურქეთის ხელში აღრევე მყოფ ციხეთა მსგავსად ამ პუნქტებშიაც თურქთა გარნიზონები ჩააყენეს. საქართველო შავ ზღვას მოწყდა.

ამ უბედურების მიზეზად ქართველ პოლიტიკოსებს ერთმორწმუნე რუსეთისადმი ერთგულება მიაჩნდათ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V 1737 წელს იმპერატორ ანა ივანეს ასულს 1723 წლის შესახებ წერდა:

„...მაგათი ერთგულობის ნდობა რა შეგვატყვეს და სჯულისა ერთობა, წარმომართნენ საბრძანებელნი ხონთქრისანი, ფაშანი და მთავარნი მათნი და ჩვენი საზღვრები ზღვით პონტოთ კერძო პირები ციხითა და გოდლებით აღავსეს და მოუთმენელსა ხარჯსა და ტყეობას ქვეშე დაგვამწყვდივეს“⁹⁰.

პეტრე I თურქეთზე ძლევამოსილი გალაშქრების გეგმებს მაინც არ ეშვებოდა. ვოლგა-დონის არხის გაყვანა და ვორონეჟსა და ვოლგაზე ფლოტის მშენებლობა კვლავ გრძელდებოდა. 1723 წელს მიხეილ რომანოვის ცნობილი ბოტის (ნავის) საიუბილეოდ გამართულ სადილზე პეტრემ ასე მიმართა პაპისეულ ნავს: „გამარჯობა ბაბუა! შენი ჩამომავალნი მდინარეებსა და ზღვებზე დაცურავენ და სასწაულებს ახდენენ! დრო გვიჩვენებს — გამოჩნდებიან თუ არა ისინი სტამბოლის წინა“⁹¹! თურქეთზე დიდი ლაშქრობის ეს გეგმა პეტრემ სამარეში ჩაიყოლა.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ. კაპტერევი, ვანიხილავდა რა რუ-

⁸⁹ შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა, წ. 1, 1958 წ., გვ. 51; „მოგზაური“, 1902 წ., № 2, გვ. 57 (ისაია პასან-ჯალაღანის ცნობა).

⁹⁰ Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г.; под ред. М. Броссе. 1861 г., стр. 196.

⁹¹ В. Ламанский, О славянах в Малой Азии, в Африке и в Испании, стр. 17.

სეთის სახელმწიფოს „აღმოსავლეთის“ ქრისტიან ქვეყნებთან ხანგრძლივ ურთიერთობასა და მის შედეგებს, ასევე იცხადებს:

«Не мог московский царь, до более позднего времени, оказывать покоренным турками православным народам какую-либо действительную помощь и, в качестве крупной и влиятельной политической силы, не мог защищать и ходатайствовать за них пред турецким правительством, потому что не был еще так силен, чтобы вмешаться во внутренние дела и отношения в то время еще могущественной и страшной для всех Турции. Поэтому наши государи, до самого XVIII столетия, ни разу не решались открыто выступить пред турецким правительством в качестве естественных защитников и покровителей всех православных, конечно в том убеждении, что всякая попытка в этом роде кончилась бы вполне безуспешно, если не прямо с вредом, даже и для самой России. Таким образом московскому царю оставалось единственное доступное для него средство оказывать помощь и покровительство страждущим православным на Востоке — это давать и посылать им более или менее щедрую милостыню и, в крайнем случае, предлагать преследуемым на Востоке убежище и приют на Руси. В этой именно двойной форме и выражалось русское покровительство православному Востоку в течение XVI и XVII столетия»⁹².

ეს დასკვნა სავსებით შესაფერისია რუსეთისა და „აღმოსავლეთის“ ქრისტიანული ქვეყნების ურთიერთობათა ხასიათისთვისაც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედშიაც.

P. S. როგორც ზემოთ დავინახეთ, რაშიდისა და პატრიარქ დონსიტოსის პირდაპირი ცნობებით ბათუმის აღება ექვემდებარებოდა დათარიღებული. მაგრამ არსებობს ერთი ქართული ცნობა, რომელიც უკვე 1878 წელს გამოქვეყნდა. მაგრამ მისი თავისებური გადმოცემის გამო აქამდე გაუგებარი (გაუშიფრავი) რჩებოდა.

1873 წელს გურიაში მოგზაურობის დროს დიმიტრი ბაქრაძემ ვანისქედის ეკლესიაში ნახა გრიგოლ შუბალიძის მიერ გადაწერილი ორი წიგნი: „მცირე ეამნი“ და „ეამნ-გულანი“. ეამნ-გულანს დართული ჰქონდა „ასწლიანი კვინკლოსი“ და ცალკე — „ქორონიკონი“ 1729 წლიდან 1749 წლამდე. „ქორონიკონის“ ბოლოს ასეთი მინაწერი იყო (ქარაგმების გახსნით):

„ამ ქორონიკონის დაწერამდე 6 (სამოცი) წლის კაცი მე გრიგოლ მ (48) წინამძღვარი მახაძე⁹³; მდ (44) წლით გურიელი გიორგი;

⁹² Н. Каптерев, Характер сношений России к православному Востоку в XVI и XVII столетиях, стр. 104.

⁹³ სწერია: მხ^რე, რაც ბაქრაძემ მახაძე დ წიკითხა.

მა (41) წლით მაშინ გურიელი; კვ (26) წლით ხალი(ლ)-ფაშა⁹⁴ გამოაზახა ხვანთქარმან პ(80) ათასი კაცი(თ), ციხეები დაგვიტეხა. ბათომი მაშინ წაგვეერთვა. თე(თ)როსანი აფხაზმა მაშინ აგვართვა. ა(1) წლით ომი. კ(20) მწიფობისთვის თოვლი მოვიდა, ფრინველი მოხვია, რო(მ) ნახევარი კაცმა ვერ იცნა ხისა და მიწის ნამუშიერი განაქარვა. ბეჟან დადიანიც იმ წელიწადს მოკლა თათარმა ქუთაის(ს). ესენი ყოველი ამ ქორონიონის დაწერამდე იქმნა⁹⁵.

ეს საინტერესო, მაგრამ მეტად ლაკონიური მინაწერი მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული. დ. ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ მასში ჩამოთვლილი ყველა ისტორიული ფაქტი ერთსადაიმაცე — 1726 წელს მოხდა. ხ. ახვლედიანის აზრით გრიგოლ წინამძღვრის მინაწერი ასე უნდა გაიფიქრულიყო: გამოანგარიშების საწყისად აღებული 1726 წელს (ამ წელს მოჰკლესო ბეჟან დადიანი (!) უნდა გამოკლებოდა 26 წელი, რაც მოგვემდღა საძიებელ თარიღს — 1700 წელს⁹⁶. ვ. იაშვილიც ამავე პრინციპის გამოყენებით, ამ მინაწერის მიხედვით, ბათომის თურქთაგან აღებას XVIII ს. დასაწყისით ათარიღებდა⁹⁷. აკად. ნ. ბერძენიშვილი, აღწერდა რა 1723 წელს აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალბის“ დაწყებას და თურქთაგან შავიზღვისპირა პუნქტების დაკავებას, აღნიშნავდა, რომ „ამავე დროს ... (ოსმალბე მამა) დაიპყრეს ქვემო გურია (ქახაბერი, ბათომი)“⁹⁸. ი. სიხარულიძის სიტყვით, „არსებული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკული შესწავლა ცხადყოფს, რომ ბათუმის საბოლოო მიტაცება 1726 წელს მოხდა“⁹⁹.

⁹⁴ როგორც ჩანს, ქართველები ხალილ-ფაშას ხალი-ფაშას ეძახდნენ. ასეა შემოკმედის გულანის ქორონიონებშიაც. იხ. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. СПб., 1878, გვ. 152, ვახუშტი 1703 წელს საქართველოში შემოკრილ თურქთა სერასკერის სახელს არ იხსენიებს. ალბათ ამის გამო იყო, რომ დ. ბაქრაძემ განაცხადა—ხალი-ფაშა და მისი იმერეთში შემოჭრა მატიაწეებში ცნობილი არაა. იქვე, გვ. 210.

⁹⁵ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 209. ფრჩხილებში მოთავსებული ასოები და ციფრები ჩვენს მიერაა ჩამატებული.

⁹⁶ ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1944 გვ. 167.

⁹⁷ ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალეთის ბატონობის პერაოდში, 1948 წ., გვ. 21.

⁹⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 133 (მნათობი, 1959 წ., №6).

⁹⁹ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. 11, 1959 გვ. 8.

როგორც ვხედავთ, მკვლევართ მხედველობიდან გამორჩათ არა მარტო კარგახნის წინათ ორ ორჯერ გამოქვეყნებული ეკუმპიტანელი ცნობები (ჩაშიდი, დოსითეოსი...) არამედ ის გარემოებაც, რომ ბათომის ციხეები და ბათომის მხარეც, თურქეთის ხელში მყოფი და დავთარში შეტანილი იხსენიება უკვე ჰიჯრის 1124 წლის 13 საფარს (1712 წ. 22 მარტი) და 1129 წლის 17 მუჰარამს (1717 წ. 1 იანვარი)¹⁰⁰. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ო. სიხარულიძემ, მაგრამ მან მიიჩნია, რომ გიორგი IV გურიელმა (მთავრობდა 1713—1716 და 1717—1726 წლებში. ქ. ჩ.) თურქებს წაართვა ადრე დაპყრობილი ბათომი, თურქებმა შემდეგ იგი ხელახლა დაიბრუნეს და დ. ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიც ამ მეორედ დაპყრობის შემდეგ შეიქმნა¹⁰¹.

ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევართაგან ძიების სწორ გზაზე იდგნენ ხ. ახვლედიანი და ვ. იაშვილი, მაგრამ მათი გამოთვლა სწორი არ იყო. გრიგოლ მახაძის მინაწერი ასეთი პრინციპითაა შედგენილი: საანგარიშო საწყის წლად აღებულია 1729 წელი, როცა დაიწერა ეს „ქრონიკონი“, ხოლო შემდეგ უკუსვლით უნდა ვიანგარიშოთ მინაწერში ჩამოთვლილი ამბების თარიღები. მართლაც, 1729 წლის წინა („ა წლით“) ე. ი. 1728 წელს ომი იყო, — იმერეთში ჯარით შემოიჭრა ახალციხის ფაშა ისაყის ვაჟი — უსუფ-ფაშა¹⁰², იმავე წლის 20 ოქტომბერს გურიაში მოსულა დიდი თოვლი, რასაც მრავალი უცხო ფრინველი მოჰყოლია, რომლებსაც მოსავალი გაუოხრებიათ; იმავე წელს მოკლეს ბეჟან დადიანი¹⁰³. 1729 წლამდე 26 წლით ადრე — 1703 წელს ხონთქრის მიერ დიდი ჯარით გამოგზავნილმა ხალილ-ფაშამ გურიის ციხეები აიღო და გურიის სამთავროს ბათომი მაშინ „წაერთვა“. იმავე დროს ქვემო გურიას ზღვის გზით აფხაზები შესევნიან და თეთროსნის მონასტერი დაუბრუნებიათ.¹⁰⁴

¹⁰⁰ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის ფონდი, ს. № 33, ფურც. 12—13; ეს დოკუმენტები შემოკლებითა და მცდარი დათარღვებით დაიბეჭდა 1889 წელს. იხ. Д. Бакрадзе, Исторический очерк турецкой системы землевладения, გვ. 13—14.

¹⁰¹ ო. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

¹⁰² ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 1913 წ. (ზ. კუიანიძის გამოც.), გვ. 352.

¹⁰³ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352 და 387.

¹⁰⁴ შესაძლოა, გამოთქმა „თეთროსანი აფხაზმა მაშინ აგვართვა“ აფხაზთაგან „თეთროსანი წმ. გიორგის“ განთქმული ხატის გატაცებას ნიშნავდეს. ანალოგიური ამბავი მოხდა XIX ს. დასაწყისშიაც. აფხაზები მოულოდნელად დაესხნენ

1729 წელზე 41 წლით ადრე ე. ი. 1688 წელს გურიელად დამჯ-
დარა მამია III (ვახუშტის მიხედვით ეს 1689 წ. მოხდა. 1 წლით
შეცდომა შესაძლოა ვახუშტის მოუვიდა, თუმცა არც გრიგოლ მახა-
ძის შეცდომაა გამორიცხული); 1729 წელზე 44 წლით ადრე — 1685
წელს გარდაიცვალა გიორგი III გურიელი (ახლა მიღებულია
1683 წ.). ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს გამოთქმა „მე გრი-
გოლ მ(48) წინამძღვარი მახაძე“.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ მახაძის მინაწერი ზუსტად ათარი-
ლებს გურიის სამთავროს XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნის პოლიტი-
კური ისტორიის რამდენიმე საყურადღებო ფაქტს, მათ შორის თურქ-
თაგან ბათუმის დაპყრობას*.

ლანჩხუთის წმ. გიორგის საწინამძღვროს, წმ. გიორგის ხატი გაიტაცეს, იღორს და-
ასვენეს და საკუთარ სალოცავად აქციეს. იხ. (Сборник сведений для описания
местностей и племен Кавказа, ტ. XXII, განყ II, გვ. 227. საყურადღებოა, რომ
XVII—XIX საუკუნეებში კვემო გურიიდან გურიის ქრისტიანულ ნაწილში გაღმო-
ტანილ ხატებს შორის თეთროსანი წმ. გიორგის ხატი არ ჩანს.

გრიგოლ მახაძე, შესაძლოა, ადრე თეთროსნის წინამძღვრად იყო და თურქთა
შემოსივის შემდეგ ვანისქედს გაღმოვიდა.

* ეს სტატია უკვე აწყობილი იყო, როცა გამოქვეყნდა ს. ორეშკოვას წიგნი
„Русско-турецкие отношения в начале XVIII в.“ М.—1971. ს. ორეშკოვა
ი. პ. უზუნარშვილის „ოსმალთა ისტორიის“ სათანადო ადგილზე მითითებით აღნი-
შნავს: „სულთნის მთავრობამ, რომელსაც ეშინოდა, რომ
შესაძლო იყო რუსეთს დახმარება გაეწია 1703 წლის აჯან-
ყებისათვის საქართველოში, განსაკუთრებული სიჩქა-
რით ჩააქრო ეს აჯანყება და სხვა მღელვარებანი თურ-
ქეთის ხელში მყოფ ქართულ პროვინციებში“ (ს. ორეშკოვა,
დასახ. ნაშრომი, გვ. 51).

შეტად საყურადღებოა, რომ ცნობა 1703 წელს საქართველოში ანტითურქული
აჯანყების შესახებ უკვე იმავე წლის ივნისში (!) გამოქვეყნებულა გაზეთ „ვე-
დომოსტის“ № 18-ში (იქვე).

А. Г. ПИРЦХАЛАИШВИЛИ

ЦАРЕВИЧ ПААТА*

(сын царя Вахтанга VI-го)

В истории каждого народа есть лица, действия которых недостаточно понятны исследователю-историку по причине скудости или неполноты рассказывающих о них исторических документов. К таким «загадочным» личностям, в истории Грузии XVIII-го века, относится сын царя Вахтанга VI-го царевич Паата.

В 1725 году, будучи ещё мальчиком, Паата вместе с семьей, свитой и преданными его отцу князьями и дворянами прибыл в Россию и здесь обучался в военной школе. Как известно, Вахтангу на содержание его семьи и свиты, правительство Екатерины I-й назначило 24 тысячи рублей в год, помимо снабжения хлебом, фуражом, дровами и пр. Но, три года спустя по смерти Вахтанга, в 1740-м году указом императрицы Анны Иоанновны, на содержание семьи Вахтанга было определено вдвое меньше, именно 12.750 рублей в год. Из этой суммы вдове царя Русудан отпускатось в год 2½ тысячи рублей; царевичу Бакару, старшему сыну Вахтанга, помимо его жалования, как генерал-лейтенанта артиллерии, — 2.000 рублей; его братьям Вахушти — 1.500 рублей, Георгию, сверх жалования генерал-майора — тоже 1.500 рублей; наконец, Паате было почему-то назначено всего 300 рублей¹. Таким образом, семья покойного царя была обеспечена не-

* განსვენებული პროფესორის ალექსანდრე ფირცხალაიშვილის ეს ნაშრომი ქვეყნდება მისი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ვაღმოგვცა განსვენებულისავე დისშილიმა გურამ ნაკიძემ. ქვეყნდება უცვლელად.

¹ П. Баранов. Архив пр-го Сената, т. II, Описание указам за 1725—40 гг., СПб, 1875, № 7813.

равномерно². Спрашивается, почему Паата по сравнению с братьями был так обижен? Может быть, правительство Анны Иоанновны, при определении членам семьи Вахтаंगा размера жалования, исходило из тех сумм, которые при жизни он сам выдавал своим сыновьям на их содержание, а Паата среди них был самый младший? А, может быть, тут сыграл роль юный возраст Пааты, которому тогда должно было быть не более 18—20 лет — нам в точности неизвестно.

Не будучи в состоянии при таком скромном жалованье сводить концы с концами, Паата в мае 1745 года подал импе-це Анне Иоанновне «челобитную» (прошение — А. П.). В ней он пишет следующее: «В малых летах (я) при оном родителе моем в Россию прибыл и по кончину его (т. е. до его кончины — А. П.)... от него содержание имел... А по смерти родителя моего, в 1740 году, по именному блаженные памяти государыни императрицы Анны Иоанновны указу... определено мне на содержание мое в год по 300 рублей, кои я и ныне получаю... А понеж (а так как — А. П.) ныне при помощи божьей Грузии... в покойном находится состоянии... купно (к тому же — А. П.) и правление имеет сестры моей муж Теймураз, то я возьмел намерение и желание во отечество мое отсюда отправиться, ибо я в службе Вашего императорского величества никуда не определен... Далее Паата просит: «Дабы высочайшим Вашего импер. велич. указом повелено было меня... и обретающихся (находящихся — А. П.) при нем дворян и прочих служителей во отечество мое в Грузию с надлежащим абшитом (увольнением — А. П.) отпустить и для проезда моего до границ ямскими подводами и на них прогонными деньгами снабдить... Мая дня 1745 г.

Челобитную писал Вятского пехотного полку солдат Дмитрий Климов»³.

В ответ на эту челобитную 30 января 1746 года (т. е. через

² Чтобы мы могли конкретно представить себе, каков был жизненный уровень Пааты, приведем из дневника купца Аладжалова цены на продукты питания и др. товары в 1785 году, т. е. 25 лет спустя после побега Пааты, когда жизнь уже несколько «вздорожала». В 1785 году, — записывает Аладжалов, — один фунт баранины стоил 1 коп., говядины — 1 1/4 копейки, сыра — 4 коп., сливочного масла — 5 коп., 12 штук яиц — 2 коп., фунт винограда — 3 коп., курица — 10 коп., воз дров — 60 коп., хорошие немецкие сапоги — 1 руб. 60 коп., кожаный тулуп — 1 р. 80 к., стельная корова — 6 руб. и т. д. («Из дневника купца Аладжалова», «Голос минувшего», 1913 год, № 7, стр. 187).

Таким образом, Паата на получаемое им месячное жалование (25 руб.) мог купить только четыре коровы или 15 пар «немецких» (т. е. заграничных — А. П.) сапог, братья же его Вахушти и Георгий — в 5—6 раз больше.

³ АВПР, ф. Сношения России с Грузией, оп. 110/11, д. 4, 1745 г., на 1 л.

полгода — А. П.) Паате от имени Сената было объявлено, не желает ли он поступить на службу в Российской империи? На это предложение Паата объяснил сенату, что желает ехать в свое отечество «из-за скудности (малого размера — А. П.) получаемого (им) пропитания» (300 руб. в год), на которое он с трудом себя содержит. Но если милостью Её импер. велич-ва будет награжден так, как его братья, то службу Её импер. велич. принять желает. На определенные же ему 300 руб. он с находящимся при нем дворянами и служителями жить никак не может и пришел уже в такую крайнюю нужду, что «и из самого подлого (низкого — А. П.) народа такую терпеливость снести надобно с немалой трудностью» (т. е. такую бедность самому низкооставленному человеку терпеть невозможно — А. П.). Эта-то нужда и заставляет его просить отпуска в отечество. Далее он просит, чтобы приняв его в службу, дали ему на содержание «яко иностранному, находящемуся в протекции Ее импер. велич-ва человеку», сверх положенного по служебному рангу оклада особое денежное жалованье, хотя бы такое, какое получает «обременяющийся (состоящий — А. П.) в подданстве Её императорского велич-ва, а в службу еще не определенный» брат его царевич Вахушти (т. е. 1500 руб. в год — А. П.). А «ежели Её импер. велич. всемилостивейше оного ему пожаловать не соизволит», то чтобы повелено было отпустить его с его людьми в отечество.

На эту просьбу Пааты, сенат. — поскольку ему стало известно, что «царевич Паата обучен науке принадлежащей до артиллерии и фортификации» — повелел «генерал-фельдцейхмейстеру и Её импер. велич-ва генерал-адъютанту кн. Репнину его, Паату, в науках освидетельствовать (испытать — А. П.) и определить в службу при артиллерии, а какой ему ранг (чин — А. П.) по наукам его дать надлежит, о том ему, генерал-фельдцейхмейстеру, представить в сенат».

Выполнив этот приказ, кн. Репнин донес сенату, что Паата, согласно свидетельству проэкзаменовавших его артиллерийских штаб-офицеров, «обучался арифметике, геометрии и тригонометрии и артиллерийские чертежи объявил (выполнил — А. П.)... и в теории отвечал порядочно; что же касается до снятия пушек и мортир, наружное все умеет, а каморы, бутылки и оральные... снять не мог; а о литье пушек и о заводнении... показал, как надлежит точно...; что же принадлежит до нарядки бомб, гранат... о том не показал и при практике не бывал, а фортификации, — как то сам оный царевич Паат... письменно объясил, — не обучался. И для того... ежели б он был партикулярный (простой — А. П.) человек, то б надлежало его определить нижним офицерским чином... а в рассуждении знатной его природы, хотя и можно бы определить в артиллерию подпоручиком или поручиком, но к произвождению его в те чины при артиллерии поро-

зних (свободных — А. П.) тех рангов—вакансий не состоит. Того ради не соизволит ли правительствующий сенат помянутого грузинского царевича Паата, за неимением к произведению его при артиллерии мест, награждая рангом, определить в армейские полки».

Правший сенат, выслушав это донесение, приказали: «Доложить её им. вел-ву, понеже (так как — А. П.) царевич Паата артиллерийской науке, будучи в России, обучался и хотя он при свидетельстве (на испытании — А. П.) в артиллерии и показал, яко бы он при артиллерийских практиках не бывал, но, может быть, хотя (он) то и совершенно (в совершенстве — А. П.) знает, но для получения жалаванья себе в отечество отпуска оное (т. е. знание — А. П.) и нарочно таит (скрывает — А. П.), ибо и о той его науке сенат посторонние (со стороны — А. П.), а не от него сведал. Главная же опасность в том состоит, чтобы он, Паата, получа из России паспорт, с той артиллерийской наукой для больших себе авантажей (выгод — А. П.) не принял службы у шаха персидского и тамо оного артиллерийского учения не распространил. Да хотя бы он, Паата, персидской службы и не пожелал, то шах, сведав о той его науке, может и неволею в свою службу его взять. И для того, по рассуждению Пр-го сената, из России отпускать его не надлежит. А для удовольствия его (для удовлетворения — А. П.) и чтоб он намерение свое о поездке в отечество совершенно отложил, не соизволит ли её имп. велич-во принять его в свою службу и, за неимением в артиллерии порозжих (свободных — А. П.) вакансий, определить в армейские пехотные полки по должностям и ко м с надлежащим по тому чину жалованьем, рационами и денщиками, которого (жалаванья — А. П.) по табели 1720 года имеет быть 466 руб. 80 коп. В рассуждении ж его чужестранства и знатной его природы, чтоб он мог себя в довольствии содержать, сверх того подполковничьего жалаванья давать ему и прежде определенное жалаванье по 300 руб. на год (всего 766 руб. 80 коп. — А. П.) и о том просить ее имп. вел-во высочайшего указа»⁴.

14 декабря 1748 г., т. е. спустя почти два года после вышеприведенного постановления сената, посланного им на апробацию (на утверждение — А. П.) императрице, сенат слушал новую челобитную Пааты. В ней он пишет, что ожидая «немалое время» (почти 2 года — А. П.) резолюции императрицы, он задолжал (займовцам — А. П.) «великую сумму»; во-вторых, что месяц тому назад, в минувшем ноябре этого года, он поднес её импер. величеству челобитную, прося «об учинании высочайшей конфирмации (утверждения — А. П.) сенатского доклада (решения — А. П.) на его челобитную, но никакой милостивой ре-

⁴ Сенатский архив, VII, С-Петербург, 1895, стр. 45—48.

ლი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ფართო კომპაქტური ჯგუფე-
ბის სახით სამუდამოდ აპირებდა საქართველოში გადმოსახლებას. საქ-
მეს სერიოზული ხასიათი მიუღია. ერეკლე მეორე ყაბარდოელთა ამ
ინიციატივას სიხარულით შეხვდა. მან ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნა
კიდევაც სპეციალური ელჩები ივანე ბოჩიელოვი, აზნაური თარხანი
და სომეხი ზურაბი. საქართველოში გადმოსახლების მსურველი ორი-
ვე ყაბარდოში (როგორც მცირე, ისე დიდ ყაბარდოში) საკმაოდ ბევ-

³ იოსებ ემინის „ავტობიოგრაფიიდან“ ჩანს, რომ ერეკლე მეორის მიმართეხს
მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში უდიდესი პოპულარობა და ავტორიტეტი
ჰქონდა. მაგ., დასავლეთ სომხეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ეპის-
კოპოს ოენანის აზრით, ერეკლე მეორეს მხოლოდ წერილობითი მიმართვა (პროკ-
ლამაცია) საკმარისი იყო სომხების, იეზიდებისა და თვით ქრთული ტომების მასი-
ური გამოსვლების დაწყებისთვის. იხ. „Life and adventures of Ioseph Emin“.
Kalkuta, 1918.

⁴ Грамоты, т. II, в. III, I, гл. 60—61.

რი აღმოჩნდა (გადმოსახლებას აპირებდნენ ძმები კაიტუკი და კელმეტი, ასლან-ვირეი მურტაზანი, აგრეთვე აზნაურები მურთაზოვები, კოგოლოვები, ანზოროვები, მოზოროვები. ალიუხოვები და სხვები...⁵).

ქართველმა მეფემ მათ სამოსახლო ადგილებიც შეურჩია. გადაწყვეტილი იყო დაესაბლებინათ ისინი ახალციხის საფაშოსა და იმერეთის სამეფოს საზღვრების გასწვრივ. ყაბარდოელთაგან უნდა შემდგარიყო ნახევრად რეგულარული ცხენოსანი პოლკი. ერეკლე მეორემ დიდი სამზადისი ჩაატარა: გამოყო სასრები, გაწმინდა დარბაზი, შეაკეთა ხიდეები არავესა და თერგზე (ბუნებრივი ასოციაციით ყაბარდოელთა ეს განზრახვა და მისი პრაქტიკული განხორციელების ცდა გვახსენებს ანალოგიურ ღონისძიებას მე-12 საუკუნიდან — დავით აღმაშენებლის მიერ ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ყივჩაღთა მასიურ გადმოსახლებას, რომელსაც, როგორც ცნობილია, მეტად დადებითი შედეგებიც მოჰყვა). მაგრამ რუსეთის ოფიციალური პოზიცია ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიისა და ქართლ-კახეთის პოლიტიკური დაახლოვების ასეთი ფორმის სასტიკი წინააღმდეგი აღმოჩნდა. სწორედ ამ ეტაპზე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ეს უკვე მეორეჯერ დროებით „გაცივდა“ რუსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობაც (პირველი ასეთი „გაცივება“ აღინიშნება 60-იანი წლების დასაწყისში, რაც მოჰყვა თეიმურაზ მეორის უშედეგო ელჩობას პეტერბურგში!). ქართლ-კახეთის სამეფოს 1776 წლის საიდუმლო შეთანხმებამ კონსტანტინოპოლთან გააღიზიანა რუსეთი. სწორედ ამიტომ და იმის გამოც, რომ თვით ყაბარდოს შემოერთებაც უკვე დღის წესრიგში იდგა, — ბუნებრივია რუსეთი წინ აღუდგა ერეკლე მეორის განზრახვას. ქართველი ელჩები მოზდოკში დააპატიმრეს და ყაბარდოელებს აუკრძალეს ურთიერთობა ქართლ-კახეთის მეფესთან⁶.

მე-18 საუკუნის მთელ სივრცეზე საქართველოზე ორიენტაციას ვხედავთ ანატოლიელ ბერძნებში, უღინებში, აზერბაიჯანელებსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხებში. მაგრამ ყველაზე დასრულებული სახის იგი გაჩნდა სომხურ მოსახლეობაში. ამჭერად გვაინტერესებს სწორედ „მოკავშირეობის“ იდეის სომხური ვარიანტი. ასირიე-

⁵ П. Г. Бутков, Материалы... ч. II, гл. 52, Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв., т. II, док. № 238, гл. 343, док. 119, гл. 334 т. ბოკვაძე, „საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1963, გვ. 114—117.

⁶ П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 года, ч. вторая, гл. 52; т. ბოკვაძე, დასახ. შრომა, გვ. 117.

7. საქ. ფეოლ. ხანის ისტორიის საკითხები.

ლების, იეზიდების, ყაზარდოელების ინტერესები შეზღუდულია, იგი სახელმწიფოებრივი რანგის ურთიერთობაც კი არაა. „აღბანეთის“ აღდგენის საკითხი (ყარაბაღელი სომხებსა და უღინებს მთავარი მისწრაფება) არ გამოძინანარეობს ადგილობრივი ინიციატივიდან ამ იდეას არც აზერბაიჯანელები ეკიდებიან დიდი სიმპათიით და არც ერეკლე მეორე. ასე რომ, ყველაზე დასრულებული სახით მოცემული გვაქვს ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა, მისი განხორციელების პროექტები და პრაქტიკული ცდები. ეს მოვლენა, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოს დროებითი აღმავლობის პირდაპირი შედეგია, ხოლო მეორე მხრივ, სომხეთის განმათავისუფლებელი მოქრაობის თვისობრივად ახალი ეტაპი მთავარი შინაარსიდანაა გამომდინარე. ქართველი მეფე უდიდესი ენთუზიაზმით და სიხალისით ეკიდებოდა სომეხთა ინიციატივას. იწვევდა მათ საქართველოში, ჰპირდებოდა მიწებს, დიდ პრივილეგიებსა და პრეროგატივებს. სომხური საეკლერო ფენების ქართლ-კახეთში მოსაზიდად სცემდა მანიფესტებს. შემონახული მანიფესტები შემდეგდროინდელ ჰეროდებს განეკუთვნებათ (1770, 1790 წ), მაგრამ სწორედ 60-იანი წლების ეროვნული პოლიტიკის მთავარ სულსკვეთებას ასახვენ. მოგვყავს ერთ-ერთი ასეთი მანიფესტი, რომელსაც თვით მისი ავტორი ერეკლე მეორე უწოდებს აღთქმას:

.....მაგალითი სახელმწიფოსა წიგნისა, მადლთა დამცველებისა, უავლუსტესის უფლისა, მეორე ირაკლი მადლთა მდთისათა ხელმწიფისა, ქართველთა კახთა და სხვათა, და სხვათა, საზოგადო გვართა სომეხთა.

მოწყალებითა ღვთისათა, ჩვენ იესიან დავეითიან სოლომონიან პანკრატოვან ცხებულს თეიმურაზს მეფის ძემან ირაკლი მეორე მეფემან, ქართველთა, კახთა და სხვათა, და სხვათა და სხვათაგან.

შეუცვლელი აღთქმანი ესე ჩვენნი, წარმოვაველინეთ ყოველთა გვართა მიმართ, სომეხთასა, რომელნიცა დამკვიდრებულ ხართ შორსა ქვეყანასა შინა რომელ არა ვარ დამვიწყებელი სამკვიდრებელისა თქვენისა, აღმდის (არამედ მარადის?) გვაქვს განუყოობილი წიალი, მკელობისა მიმართ თქვენისა, განუშორებელათ ცხოვრებისაგან ჩვენისა, და ოღესაცა შეიკრიბებით, სამკვიდრებელსა ქვეყანასა შინა თქვენსა ქვეშე მფარველობისა ჩვენსა, მიიღეთ თვისუფლებრივ ცხოვრებასა, ყოველთა მონაგებთა თქვენთა ზედა, მქონებელნი ჩვენგან სიყვარულისა, პატივისა და მოწყალებისა, თვითეულსამებრ პატივისა, ვითარცა მკვიდრნი ერნი, ჩვენისა სამეფოისანი, ხოლო გვართნი ქართველთა და ჩვენ მხოლოდ კმაყოფილ ვიქნებით თქვენგან,

ჩვენს სამეფოსა ჰსჯულისა, ხოლო სხვათა სახითა აღვითქვამთ მოწყალებასა ამას, ვინათგან ვუწყ, რამეთუ მოწყალებასა ამას, ვინათგან ვუწყ, რამეთუ ცვლილებითა გრძელ ეამთასა და სათ თოდ (სათვი-თაოდ?) ეამსა ნადირ შაჰისასა, გვარნი თქვენნი რომელნი დამკვიდრებულ იყვნენ სპარსეთსა შინა დაითრგუნენ, და განიცარცვენ, და პირისპირ (ე. ი. საწინააღმდეგოდ) ნებათა თვისთათა უსჯულოებრივ წარჰყვენს მონაგებნი მათნი, და მრავალნი ვალდებულ ჰყვენს უნებლიეთ, და ძალდატანებით ხელწერილნი და თამასუქნი მიიღეს, და ესე ვითარმან მწუხარებისა მტვირთველობამან იძულებულ ჰყვნა წარსულად უწორესა ქვეყანასა, გარნა მის საქმისებრ საზოგადოებრივ მოგამდლათ ჩვენგან, ეგევითართა კაცთა ვალთა თავისუფლებათ, რამეთუ უწინარეს, უფროს ათას შვიდას, სამოცდა ათას რიცხვსა, მაცხოვრისა ჩვენისა ქორონიკონსა, სადაცა ეგევითარნი ნაწერნი რომლასამე სახელობითა განცხადნეს პირსა ქვეყანისასა, ანუ სპარსეთსა, ანუ ადრიბეიქანსა, ანუ თუ ქალაქსა, ანუ თუ სოფელსა, ყოველივე არა ღირსად და შემწყნარებლად ვჰქმენით, რამეთუ ნუ ოდესმე შემოვიდეს იგი სამართალსა ჩვენსა, და არცაღათუ აქენდა ეს აღგილი, თანა ნადებსა თხოვად ეგევითარისა კაცთაგან, რომლისათვის დასამტკიცებლად, ამის აღთქმისა ჩვენისა ხელსა ვაწერთ, საკუთარ ხელთა ჩვენთა, და დავბეჭდავთ სამეფოსაბეჭდითა ჩვენისა, პალატსა ჩვენსა, დედაქალაქსა შინა ჩვენსა ტფილისს, ეამსა მეფობისასა ჩვენისასა წელსა უფლისასა 1790, დეკემბრის დღესა.

ბრძანებითა მისის უმაღლესის მეფობისათა, ქართულ დაბეჭდვლის თანახმად ვსთარგმნე და დავსწერე მისის უმაღლესის მეფობის სომხურ მწერალმან და მთარგმნელმან, ტერ დავითა ტერ-ოზანიანმან.

დაიბეჭდა ინდოეთის დედაქალაქსა შინა მატრასს, სტამბასა ტერ არუთინ შამონიან შირაზელისასა, ათასი ცალი, დასამწვენებლად სომეხთ გვარისა. წელსა 1792: დიმიტრი მღვდლის ოქროაშვილისა არის გადმოწერილი მანიფესტი 1829 წელსა, მარტის 27 დღესა“⁷.

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის 50—70 წლების ქართლ-კახეთ-

7 იხ. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 227, საქმე 1300. აქვეა მითითებული, რომ ანალოგიური მიმართვა ინდოეთში ვაგუზავანაჭერ კოდექს 1770 წელს. როგორც ჩანს, იმ პირველ „აღთქმაში“ სომხებისადმი ნაკლები პრივილეგიები იყო გათვალისწინებული. ეგვიპე თარიღი, ოღონდ ჩვენთვის უცნობი წყაროები, დასაბუღებული აქვს ზაქარია კვიციანძეს. იგი ლაბარაკონს, რომ ზემოთ მოყვანილი „აღთქმა“ თავდაპირველად დაწერილი ყოფილა სომხურ ენაზე მე-19 საუკუნის დასაწყისში, სომხებსავე უთარგმნიათ ქართულად. სწორედ ამიტომაც, რომ შედგენილია ასეთი დამახინჩებული და გაუგებარი ენით. სამწუხაროდ აქამდის ამ „აღთქმის“ დედანი (ისევე როგორც 1770 წლის „აღთქმა“) აღმოუჩენელია.

თის სამეფოს ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის და ამიერკავკასიის ხალხებთან ორმაგი ბუნებისაა: ერთი მხრივ, ქართული სამეფოს სიკლიერე ამ ხალხებისათვის ხდება მიმზიდველი. ამას ხელს უწყობს, როგორც უკვე არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, ერეკლე მეორის დიდი პოპულარობაც. მეორე მხრივ, კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართლ-კახეთის სამეფო თვითონაც დაინტერესებულია გამოძებნოს ადგილობრივი მოკავშირე „აღდგენა-გამოხსნისათვის“ წარმოებულ ბრძოლაში. პროტექტორის ძიების გადავადების ირანული გეგმების ჩაშლის პირობებში საქართველოში გულწრფელად მისწრაფოდნენ ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების მჭიდრო შეკავშირებისაკენ. ასეთ პირობებში ერეკლე მეორე მთელი არსებით ჩაეჭიდა ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის პოლიტიკურ პროგრამებს.

ვრცლად შევეხთ ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეას. აღნიშნული აზრი გვიანფეოდალური კავკასიის საერთო პოლიტიკური სიტუაციის პირშოა. იგი მე-18 საუკუნის ქრონოლოგიური ჩარჩოებით არის შემოზღუდული. გაერთიანებული მონარქიის („რუალისტური“: საქართველო — სომხეთი, ან „ტრიალისტური“: საქართველო — სომხეთი — ალბანეთი (აზერბაიჯანი). საკითხი აღნიშნულ ეპოქამდე არ დასმულა და, რასაკვირველია, არც შესაბამისი იდეოლოგიური გაფორმება მიუღია. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე კავკასიის ხალხებმა სახელმწიფოებრივი თანამშრომლობის არაერთი ფორმა დაამუშავეს, მაგრამ არასოდეს არცერთ ეპოქაში მათი ურთიერთობა პოლიტიკური ფედერაციის პრინციპებზე აგებული არ ყოფილა. ახალ, ჩვენთვის საინტერესო ეტაპზე ქართულ-სომხურ დაახლოებების მთავარ პროპაგანდისტად გამოდიოდა ინდოეთის სომხური ბურჟუაზია. ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან სომეხი კომერსანტები ინდოეთში თანდათანობით გამოუვალ ჩიხში მოემწყვდნენ. ეკონომიურად დაწინაურებული ვაჭარ-მრეწველთა მძლავრი ფენა (ფაქტიურად თითქმის ერთიანი სოციალური თვალსაზრისითაც კი) აღმოცენდა უცხო ტერიტორიაზე. მას არ შეეძლო დაყრდნობა ადგილობრივ ეთნიკურ ბაზას (სომხები შორს იდგნენ ეროვნული, სარწმუნოებრივი, სოციალური მოტივებით ინდოეთის თითქმის ყველა ხალხისაგან) ანუ არ შეეძლო ბოლომდე შეესრულებინა კომპრადორული ბურჟუაზიის როლი, ეროვნული კი ვერასოდეს ვერ გახდებოდა. ინგლისელებში გათქეფვა შეუძლებელია დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმისათვის ესოდენ დამახასიათებელი კარჩაყ-

ტილობის წყალობით). ეს პროცესი ბუნებრივად გამოიწვევდა სომხების ეთნიკური სახის გაქრობას.

ვიწროა ოსტ-ინდოეთის კომპანიის მეპატრონეთა წრე. იქ მეტოქეს (მით უმეტეს არაინგლისელს) არ დაუშვებდნენ.

ამასთანავე დამთავრდა ბრიტანელებთან მეგობრული თანამშრომლობის (1688 წლის ქართიით განსაზღვრული) ეპოქა⁸. ოსტ-ინდოეთის კომპანიაც მომძლავრდა. მან თითქმის მთელი ინდოეთის ნახევარკუნძული დაიპყრო, სასტიკად დაამარცხა ევროპელი მოწინააღმდეგენიც (ფრანგები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები). იგი აღარ საჭიროებდა მოკავშირეს და, ბუნებრივია, სომხები ზედმეტნი აღმოჩნდნენ, რასაც მოჰყვა ამ უკანასკნელთა შევიწროებაც. ამავე დროს სომეხი ვაჭარ-მრეწველებიც მსხვილ კაპიტალისტებად გადაიქცნენ, ეკონომიურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავეს. გაზრდილი ფინანსიური შესაძლებლობანი შეუსაბამობაში აღმოჩნდა შეზღუდვებთან. სომხებმა სკადეს ადგილობრივ მოსახლეობაში ფეხის მოკიდება. ამის დამადასტურებელია 1763 წლის ანტიინგლისური აჯანყება ინდოეთში, სადაც სომეხ კომერსანტთა ერთი ნაწილი ინდოელთა მხარეზე აღმოჩნდა. ამას მოჰყვა ის, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიამ სომხებს წაართვა 1688 წლის ქართიით მინიჭებული პრივილეგიები. არც ინდოელებმა დაუფასეს ეს დახმარება სომეხ ვაჭრებს. ინდოეთში უკვე იწყებოდა სასოფლო თემის დაშლა, კაპიტალიზმის გენეზისი ისახებოდა და ყალიბდებოდა ადგილობრივი ინდური ბურჟუაზია, რომელიც სომეხი შუამავლების გარეშე ცდილობდა მოეგვარებინა ურთიერთობა ინგლისელებთან. ერთი სიტყვით, ინდოსტანის ვრცელ ნახევარკუნძულზე სომხებისათვის ადგილი აღარ რჩებოდა.

ასეთ პირობებში დაიწყო მძლავრი ნაციონალური მოძრაობა. გუშინდელი „ვაჭარუკანები“, ოქროს ფეტიშმა შორეულ ინდოეთში რომ გადაისროლა, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის თავწამკვდარი პროპაგანდისტები გახდნენ. მხოლოდ მას—ეროვნულ სახელმწიფოს—შეეძლო სომეხ ვაჭარ-მრეწველთა ქონების გარანტირება. ეკონომიური ინტერესებით შეპირობებულმა ობიექტურმა ფაქტორებმა დააჩქარეს ეროვნული თვითშეგნების გარდაქმნა. ვაჭრობისა და რეწვის რაინდები (კოსკანიანები, მურადიანები, შამირიანები, კარაამიანები, ორბელიანები და ა. შ.) ხარბად დაეწაფნენ საკუთარი ქვეყნის ისტორიას,

⁸ 1688 წელს სპეციალური ქართიით ინგლისელებმა სომხებს დიდი პრივილეგიები მიანიჭეს ინდოეთში. იხ. M. Seth, „Armenians in india from the earliest times to the present day“, Calcutta, 1937, გვ. 233, 239.

ლიტერატურას და სომხეთის აღდგენის პრაქტიკული გზების ძიება და-
იწყეს.

ეს პროცესი ინდოეთში ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა
და სომეხი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პერიოდში უდა-
ვოდ პროგრესული მოვლენა იყო. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეროვ-
ნული სახელმწიფოს აღდგენა? რა ძალებს უნდა შეესრულებინათ გან-
მათავისუფლებელი საპატიო და ღირსეული მისია? — აი, რა კითხვები
დადგა დღის წესრიგში. ინდოეთის სომხური ბურჟუაზია პარალიზებუ-
ლი იყო, მეტისმეტად შორს იმყოფებოდა სამშობლოსაგან, მას არ ჰქონ-
და საყრდენი სომხეთში. იქ ბრძოლის ბურჟუაზიული მეთოდები გა-
მორიცხული იყო, მასიური სახალხო აჯანყების მოწყობა კი შეუძლებე-
ლი. არსებობდა რიგი სერიოზული დაბრკოლებები: 1. დაქუცმაცებუ-
ლი სომხეთის საერთო აჯანყება გამოიწვევდა დიდი მაჰმადიანური კოა-
ლიციის ბუნებრივ შეკავშირებას ამბოხებულთა წინააღმდეგ, 2. მო-
სახლეობა გაფანტული, დიდ სივრცეზე იყო გაშლილი; ამასთან სომხე-
თის ტერიტორიაზე მძლავრად იყო წარმოდგენილი უცხო ელემენტი,
რომელიც აუცილებლად მტრულად იქნებოდა განწყობილი ქრისტიან-
ული სახელმწიფოს აღორძინების ყოველგვარი ცდისადმი. თვით ე. წ.
„სიმბოლური სომხეთი“, არარატის ველი უფრო მეტად თურქმანულ-
ქურთულ ტომებს ჰქონდათ დაკავებული. ამ მხარეში სომხური მოსახ-
ლეობის მტკიცე კომპაქტური მასა მოგვიანებით გაჩნდა⁹.

გადამწყვეტი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო რომელიმე დიდი
ევროპული სახელმწიფო-პროტექტორი (რუსეთი ან ინგლისი). ამ უკა-
ნასკენლის პოლიტიკა თავის მხრივ აუცილებლად საჭიროებდა ქართლ-
კახეთის სამეფოზე დაყრდნობას. ქართლ-კახეთი ერთადერთი რეალუ-
რი ძალა იყო ამიერკავკასიაში და ბუნებრივია პროტექტორი სახელ-
მწიფოს პრაქტიკული საქმიანობა მის პოლიტიკას უნდა შეერთებოდა.
ორიენტაცია რუსეთზე და ალბათ ინგლისზეც
მე-18 სეუკუნის სომეხი მოღვაწეებისათვის
ნიშნავდა ერთდროულად ორიენტაციას საქარ-
თველოზე (ქართველებთან კავშირზე). სწორედ ამიტომ სომეხთა
პოლიტიკურ პროგრამებში დიდი ადგილი დაიკავა საქართველოს სა-

⁹ დასაწყსში ინდოეთის სომხური ბურჟუაზია გადაქარბებული იმედით უყუ-
რებდა ყარაბაღს. მაგრამ ამ პერიოდისათვის ყარაბაღელი მელიქების წონა დაცვა ყა-
რაბაღის სახანოს შექმნის გამო (გვეანშირი ელების სახელმწიფოებრივი წარმონაქმ-
ნი), ამავე დროს ყარაბაღის ქრისტიანულ მოსახლეობაში ჭერ კიდევ ბოვინობდა „ალ-
ბანეთის“ აღდგენის იდეა, რაც თვით ყარაბაღელ სომხებს უფრო განსხვავებულად
წარმოედგინათ ვიდრე „სომხური სახელმწიფო“.

წლიან ომში (მონაწილეობდა პრუსიის დასახმარებლად გერმანიაში გაგზავნილ ინგლისურ კორპუსში, ე. წ. „რაინის არმიაში“). იქვე დაამუშავა სომხეთის განთავისუფლების პროექტები, რომლებიც თავიდანვე ქართველებთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის პრინციპებზე იყო აგებული.

ინგლისში იოსებ ემინს მფარველ თანამგრძნობთა მცირერიცხოვანი მაგრამ ავტორიტეტული ჯგუფი აღმოუჩნდა. მისი მოღვაწეობისაღმდეგ ინტერესი უკვე გვაძლევს ერთ-ერთ პირველ მითითებას, რომ ამ პერიოდის ბრიტანელი არისტოკრატებისა და კომერსანტების გარკვეული ფენა უკვე უყურებდა კავკასიას როგორც ინგლისური იმპერიალიზმის პერსპექტიულ მიმართულებას.

იოსებ ემინის ძირითადი იდეაა ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში და ამ გაერთიანებულ მონარქიაზე რომელიმე ევროპული სახელმწიფოს პროტექტორატის დამყარება. ბუნებრივია, თავდაპირველად ემინს ასეთ პროტექტორად მიანიხნდა ინგლისი, რომლის ადგილი მის პროგრამაში მოგვიანებით დაიკავა რუსეთმა. ასეთი პროექტით იგი თავის გავლენიანი ნაცნობების შეშვეობით წარსლდა ღიდი ბრიტანეთის სახელგანთქმული პრემიერის უილიამ პიტის წინაშე¹². მაგრამ აქ იოსებ ემინმა სრული ფიასკო განიცადა. ოფიციალურ ინგლისს არ შეეძლო იოსებ ემინის პოლიტიკური პროგრამა მიეღო¹³. ენერგიულმა მოღვაწემ ბედი ახლა პეტერ-

¹² იხ. „ავტობიოგრაფია“, გვ. 92.

¹³ უილიამ პიტის უარყოფითი დამოკიდებულება იოსებ ემინის გეგმებისადმი გამოწვეული იყო შემდეგი ძირითადი მიზეზებით: ინგლისი არ აყენებდა XVIII საუკუნის 50—60-იან წლებში კავკასიის ანექსიის საკითხს, ა) კავკასია შორსაა და ინდოეთის დამყარება დაუშვავებელია, ბ) ინგლისის შეჭრას კავკასიაში არ დაუშვებენ იურქეთი, ირანი და რუსეთი. გარდა ამისა, მიმდინარეობდა შვიდწლიანი ომი ინგლისის მთავარი მიზანი იყო საფრანგეთის დამარცხება; ამიტომ ის ფინანსურად კვებავდა პრუსიას და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გადაეხიზებინა საფრანგეთის ტრადიციული მოკავშირე თურქეთი, რათა ეს უკანასკნელი ზურგიდან თავს დასხმოდეს ავსტრიას—საფრანგეთის ძირითად მოკავშირეს. ასეთ პირობებში სომხური საკითხის გამო უილიამ პიტი არ გაანაწევებდა სულთანს, მნიშვნელოვანია ის მძაფრი ანტიპათია, რაც შეინიშნებოდა ამ პერიოდში სომხთა მიმართ ევროპაში, რომელიც გამოწვეული იყო სომეხი ვაჭრების დიდი კონკურენტით ევროპელთაღმდეგ აღმოსავლეთის ბაზრებზე. ემინი გრძნობდა თავისი პოზიციის სისუსტეს, ამიტომაც ზემოაღნიშნული ანტიპათიის გასაწვრივებლად პიტის ელაპარაკებოდა არა მხოლოდ სომეხი კომერსანტების, არამედ ქართველი მეფის ერეკლე მეორის სახელთაყ, რომელთანაც მას კავშირი ჰქონდა დამყარებული უკვე ვუეღიჩის აკადემიაში სწავლის დროიდან. დიდი ბრიტანეთის ოფიციალური დამოკიდებულება თითქოსდა სიმბოლურად გამოხატა მეფე ჯორჯმა, მან ემინს 25 გინეა აჩუქა, რითაც თითქოს აგრძნობინეს, რომ სომეხთა საკითხი ლონდონში 25 გინეაზე მეტი არ უღირდა!

ბურგში სცადა, მაგრამ ამაოდ. რუსეთის იმპერია იმ პერიოდში ევროპული საქმეებით იყო გადატვირთული და კავკასიისათვის არ ეცალა. 1763 წლის აპრილში იოსებ ემინი დიდი სახელმწიფოების მფარველობისაგან იმედგადასწრული თავისი პატარა სამხედრო რაზმით დარიალის გზით ჩამოვიდა თბილისში და წარუდგა ერეკლე მეორეს.

იოსებ ემინი ქართველი მეფისაგან მოითხოვდა აზერბაიჯანული სახანოების (განჯა, ყარაბაღი, ნახჩევანი, ერევანი) გრიგორიანული მოსახლეობის გათავისუფლებას. მისი აზრით, აქ შეიქმნებოდა სახელმწიფო, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდებოდნენ თურქეთისა და ირანის სომხური პროვინციები. შემდგომში გათვალისწინებული იყო სომხე-ქართველთა საპატიო კავშირი, ფედერაცია, რომელსაც პირადი უნიის წესით სათავეში უნდა ჩადგომოდა ერეკლე¹⁴.

საქართველოში ემინმა საკმაოდ ენერგიული მუშაობა გააჩაღა. მის მოწოდებას გამოეხმაურა დასავლეთ სომხეთში ქალაქ მუნშის მახლობლად მდებარე წმინდა კარაპეტის მონასტრის წინამძღვარი ოვანანი—60-იანი წლების სომხეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე მოღვაწე. ოვანანი კავშირი დაამყარა იეზიდ ქურთებთან და ნესტორიან აისორებთან, ამავე დროს მიიმხრო დასავლეთ სომხეთის თითქმის მთელი მოსახლეობა (თითქოს მზად ჰყავდა 40 ათასამდე შეიარაღებული კაცი). იოსებ ემინის ცნობით, ერეკლემ მხარი დაუჭირა აჯანყებას. გადაწყვეტილი ყოფილა 10 000 ქვეითი და 5 000 ცხენოსანი ქართველი მეომრის შეჭრა დასავლეთ სომხეთში¹⁵...

მაგრამ ერეკლე მეორე არ წავიდა ასეთ რისკზე. ამავე დროს აჯანყების წინააღმდეგ გაილაშქრეს თბილისელმა სომეხმა ვაჭრებმა და ენშიაძეებმა. კათალიკოსმა სიმეონ ერევნელმა სასტიკად უარყო ემინის წინადადება, ოვანანი შერისხა და განკვეთა ეკლესიიდან. ამის შემდეგ იოსებ ემინს მაინც არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა, მან სცადა მოეწყო პროვოკაცია თურქეთთან, რათა ეს უკანასკნელი დაჯახებოდა

14 იოსებ ემინის ეს პროექტი ერთდერით არ იყო. მან სცადა სომხეთის ადგილების სხვა გზების გამოხახვაც, მსინჯა ასირიელების, იეზიდების, ჩეჩენების, ინგუშების, დაღესტნელების, ყარაბაღელი მელიქების გამოყენება. შეეცადა დამოუკიდებლად შეექმნა არმია და თვითონ აღედგინა სომხური სახელმწიფო. რომლის ტანტრიც საკუთარი თავისთვის ჰქონდა გამოზნული. მაგრამ ყოველი ცდის დროს აცუღლებლად ყველგან წინ ხვდებოდა საქართველოს და მის უაღრესად სახელგანთქმულ მეფეს.

15 იოსებ ემინის „აეტობიოგრაფია“ ამ ამბების აღწერისას გვაძლევს უაღრესად საინტერესო მითითებას აღმოსავლეთის ხალხებში ერეკლე მეფის ჰუმანიტარულ პოპულარობის შესახებ.

ქართლ-კახეთს (ამით ემინი ფიქრობდა, რომ თურქეთის წინააღმდეგ სომეხთა გამოყენების მიზნით ერეკლე მეორე დაუბრუნდებოდა შის გეგმებს). მეფემ იგი საქართველოდან გააძევა.

მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის პროგრამით გამოვიდა ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის ყველაზე ძლიერი და ავტორიტეტული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ მადრასელი მილიონერები იაკობ და შაამირ შაამირიანები¹⁶. მადრასის ჯგუფის საქმიანობა ტიპიურ ბურჟუაზიულ გამოსვლად შეიძლება ჩაითვალოს. შაამირიანები ინდოეთის სომეხი კომერსანტების ყველაზე მაღალ ფენას ეკუთვნოდნენ. მათი უძრავი და მოძრავი ქონება მრავალ ათეულ მილიონ რუპიად იყო შეფასებული. მადრასის წრე დასაწყისში ინდოელ სომეხთა კულტურულ-ლიტერატურული გაერთიანება იყო. შემდგომში მათი სამოქმედო პროგრამა გასცდა განმანათლებლური მოღვაწეობის საზღვრებს და მიზნად დაისახა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა. მამა-შვილი, იაკობ და შაამირ შაამირიანები, ისევე როგორც მათი წინამორბედი იოსებ ემინი, ობიექტურად მივიდნენ ქართველებთან პოლიტიკური გაერთიანების აღიარებამდე. ისინი დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკულად სომხური სახელმწიფოს აღდგენა მხოლოდ საქართველოს თანამონაწილეობით იყო შესაძლებელი. ამიტომაც მადრასის წრემ 1770 წელს ოფიციალურად დაამყარა ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამეფოსთან (სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ზემოთ მოყვანილი პირველი მანიფესტის გაგზავნა ინდოეთში). თუ იოსებ ემინის პოლიტიკური მრწამსი უკიდურესად არათანმიმდევრული და გაურკვეველი იყო, შაამირიანებს უფრო ნათლად ჰქონდათ დამუშავებული პერსპექტიული ეროვნული სახელმწიფოს მომავალი სტატუსი და მისი კავშირი ქართულ მონარქიასთან¹⁷. მეტიც, მადრასში დამუშავებული იქნა ახალი სახელმწიფოს კონსტიტუციაც, რომელიც თავისი შინაარ-

¹⁶ შაამირიანთა პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ იხ. А. Р. Иоанниси, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII-го столетия, Ереван, 1947.

¹⁷ მადრასელ საქმისანთა პოლიტიკური წრის პროგრამებში თვალსაჩინოდ ისახა ახალგაზრდა ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი ჰუმანიტური, მაკრამ უტოპიური რომანტიკა. შაამირიანები არ ითვალისწინებდნენ სომეხთის მშობნულ სოციალურ-ეკონომიურ დონეს და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ილუზიებზე ჰქონდათ. თუ ადრე იოსებ ემინი ერეკლე მეორეს რუსეთის დიდი რეფორმატორის პეტრე I-ის შავალითით ამხნეებდა, მადრასელი მეოცნებენი ქართველ მეფეს მოუწოდებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონისათვის მიეზამა. ასეთი იყო რეალურ საფუძვლებს მოკლებული ფანტაზია.

სით უფრო განვითარებულ სახელმწიფოს შეეფერებოდა ვიდრე დაქუცმაცებულ და უკიდურესად ჩამორჩენილ სომხეთს.

შაამირიანებმა სომხეთის სახელმწიფოს აღდგენის რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული პროექტი შექმნეს, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური სიტუაციისათვის ჰქონდათ მომარჯვებელი. საქმე იმაშია, რომ მადრასის ჯგუფი ერთნაირად ამყარებდა იმედს ინგლისზე, რუსეთსა და საქართველოზე. ამავე დროს საერთაშორისო ვითარების ცვლილებისდა მიხედვით, მათი გეგმები მეტამორფოზას განიცდიდა (როდესაც ვლადიკავთ მეთამორფოზაზე, უპირველესად იგულისხმება პროტექტორ-სახელმწიფოს შერჩევის ხარისხი, თორემ ძირითადი საკითხი — ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის აუცილებლობა უცვლელი რჩებოდა). როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში, „ბერძენულ“ პროექტთან დაკავშირებით, დაიწყო ამიერკავკასიაში ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნის გეგმათა დამუშავება, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი იყო დამოუკიდებელი სომხეთი რუსეთის პროტექტორატით. პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა — სომხეთში ლაშქრობისათვის სპეციალური საექსპედიციო კორპუსის მომზადებაც კი დიველასახელგანთქმულ სარდალს ალექსანდრე სუეოროვს. ასეთ პირობებში სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გეგმებში ქართლ-კახეთის სამეფოს როლი ცოტათი დაიჩრდილა კიდევ. რუსეთის აზრით ერეკლე მეორის 1779 წლის ლაშქრობა ერევანზე მხოლოდ ურჩი ხანის დასჯის მიზნით კი არ იქნა მოწყობილი, არამედ ქართველების იმ სურვილითაც, რომ დაესწროთ რუსეთისათვის და აღმოსავლეთ სომხეთი თვითონ შემოერთებინათ. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას ის უცნაური და გაუგონარი მოვლენაც, რომ ამ ლაშქრობისას სომხურმა მოსახლეობამ თითქმის უერთგულა ყიზილბაშ ხანს და ქართველთა მიმართ ინდიფერენტულობა გამოიჩინა. ახალმა სიომ დაჰბერა ქართულ-სომხური ერთობის იდეაშიც... შაამირ შაამირიანის პროექტებში სომხეთის სახელმწიფოს აღდგენა უკვე ან უშუალოდ რუსეთთან კავშირში განიხილება ან სრულიად დამოუკიდებლად. იქ ლაპარაკია მხოლოდ ქართველებთან კავშირზე — არის ადვილად მისახვედრი მუხლიც, რომელიც რომელიმე ქართველ ბაგრატიონს (უფრო ერეკლე მეორის ვაჟს ვფიქრობ) გარკვევით სთავაზობს სომხეთის ტახტს, მაგრამ ასეთივე შეთავაზება იგრძნობა თვით თავად დ. პოტიომკინისადმიც კი! 80-იანი წლების ეს განწყობა მალე შესცვალა უფრო რეალისტრმა იდეებმა: სომხური სახელმწიფოს აღდგენის რუსული ვარიანტი გაურკვეველი დროით გადაიდო. ერეკლე მეორე კვლავ „მოღაში შემოვიდა“ და მად-

რასელებიც დროს შესაბამისად დაფაციურდნენ — ქართველ მეფეს პრაქტიკული საქმიანობის ფართო და უღარესად საინტერესო პროგრამა წამოუყენეს. შაამირ შაამირიანი ძალზე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ სანამ სომხეთის განთავისუფლების დიდ და რთულ საქმეს დაიწყებდა, აუცილებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს განმტკიცება-აღორძინება. მისი აზრით, მეფეს დაუყოვნებლივ უნდა მოეხდინა რეფორმები ქვეყანაში, გაეთავისუფლებინა გლეხები (თვით მეფის, ეკლესიისა და ფეოდალების სასარგებლოდ ბატონყმობის გაუქმების გამო საკომპენსაციო ფულად გამოსასყიდს თვითონ სომეხი მილიონერები კისრულობდნენ), დაეარსებინა სამხედრო და სამოქალაქო სკოლები, ფაბრიკები, ქარხნები, მოეწესრიგებინა გზები, შეექმნა ძლიერი რეგულარული არმია. ამის შემდეგ გაძლიერებული საქართველო, შაამირიანის აზრით, თავად შეძლებდა დაპირისპირებოდა ირანს და ატურქეთს და გამოეგლიჯა მათი ხელიდან სომხური პროვინციები. ყოველივე ამისათვის შაამირ შაამირიანი სდებდა ათ მილიონ რუპიას ოქროთი, მთელი თავისი ქონებით და მონებით (10 000 ინდოელით) აპირებდა საქართველოში გადმოსახლებას. აქ იგი კისრულობდა დაენერგა ახალი ტექნიკური კულტურები — შაქრის ლერწამი, ზამბა და ა. შ. და მოეწყო მათი გადამუშავება. ერეკლე მეორე უდიდესი ენთუზიაზმით ჩაეჭიდა შაამირ შაამირიანის ამ გრანდიოზულ გეგმას. სპეციალური სიგელით მიანიჭა მას ქართველი თავადის ტიტული და მის მფლობელობაში გადასცა ლორეს ოლქი, შაამირ შაამირიანს უფლება მიეცა შემოეკრიბა ამ მხარეში სომხური მოსახლეობა და შეექმნა მომავალი სახელმწიფოს ბირთვი. თითქოს ხორცს ისხამდა ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ოცნება. ინდოეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობა გაიბა. მადრასიდან ხშირად ჩამოდითდნენ შაამირიანის მოციქულები მდიდრული საჩუქრებით და ათასგვარი დაპირებებით. ერეკლე მეორემ რამდენიმეჯერ გააგზავნა ინდოეთში რაფიელ დანიბეგაშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე არ ვასცილებია ურთიერთბატონისციემის გამოხატვას. შაამირ შაამირიანი არ ჩქარობდა... (ამ სომეხი „კრზის“ გარდაცვალების შემდეგ მისი უზარმაზარი ქონება სრულიად უაზროდ განიავდა). ხანგრძლივ ყოყმანში გადიოდა დრო, თანდათან ძლიერდებოდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური კრიზისი, რაც მალე ვითარების ძირფესვიანად შეცვლით დამთავრდა.

ა. ბაჩრაძე

მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის

(საკათალიკოსო ბეჭდები)

ივ. ჯავახიშვილი XIII—XV სს. ქართული ისტორიული დოკუმენტების შესწავლისას ქართული საბუთების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ხელრთვებს ასახელებს. ხელრთვები გვიანდელ ხანაშიც დოკუმენტების მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. მათ შესწავლას საბუთის სინამდვილისა და ექვემდებარებულობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. XV საუკუნიდან ხელრთვებთან ერთად, მათ პარალელურად, საბუთის ბოლოს ბეჭდები ჩნდება. ხოლო XVIII საუკუნიდან საბუთებში ხელრთვების ნაცვლად თითქმის ყოველთვის ბეჭდები იხმარება. წარმოდგენილ ნაწილში ჩვენ განხილული და შესწავლილი გვაქვს ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის (ცსსა) ფონდებში დაცული ისტორიულ დოკუმენტებში შემონახული საკათალიკოსო ბეჭდები.

კათალიკოსები, ისევე როგორც საბუთის გამცემი სხვა პირები, სიმტკიცის ნიშნად საბუთს ხელს ურთავდნენ ან ბეჭედს უსვამდნენ. სასულიერო პირთა ბეჭდები საერთოდ, და საკათალიკოსო ბეჭდები კერძოდ, სხვა ბეჭდებთან შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. სულ ჩვენს მიერ აღწესხულია სასულიერო პირთა 150 ბეჭედი.

საკათალიკოსო ბეჭდებიდან აღმოსავლეთ საქართველოში 11 ბეჭედი, ხოლო დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ოთხი ბეჭედიცაა ცნობილი. საბუთების შესწავლის საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ კათალიკოსები და სხვა სასულიერო პირები უფრო ხშირად ხელს ურთავდნენ ხოლმე დოკუმენტებს. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ანტონ ერეკლეს ძის სახელობითი ბეჭედი არც ერთხელ არ ჩანს. რაც შეეხება ანტონ იესეს ძეს, მის მიერ გაცემულ ყველა საბუთს მისი ვრცელი ხელრთვა აქვს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სადაც ხელრთვასთან

ერთად მისი ლეგენდიანი ბეჭედიც გვხვდება. სამწუხაროდ, ამ ბეჭდის ლეგენდა არ იკითხება. ის ფაქტი, რომ საკათალიკოსო ბეჭედები მცირე რაოდენობით გვხვდება, არ გამოირიცხავს იმას, რომ არ გააჩნდათ ბეჭედები.

კათალიკოსებს, ისევე როგორც სამეფო საგვარეულოს წევრებს და დიდგვარიან ფეოდალებს ორი ან რამდენიმე ბეჭედი ჰქონდათ. მასალის სიმცირის გამო ასეთი შემთხვევები იშვიათად გვხვდება. კათალიკოსებიდან ორი ან მეტი ბეჭედი ჰქონდათ იოანე დიასამიძესა და ბესარიონ ორბელიშვილს. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებიდან ცნობილია გრიგოლ ლორთქიფანიძის ოთხი სხვადასხვა ბეჭედი. ერთი-დაიმავე პირის სხვადასხვა ბეჭედი განსხვავდება ერთიმეორისაგან ზომით, ფორმით და ლეგენდების შინაარსით. ლეგენდა იშვიათად არის ერთნაირი, როგორც მაგ., დომენტი კათალიკოსის ბეჭედები. ფორმის მხრივ საკათალიკოსო ბეჭედები ქართული ბეჭედების საერთო წესს ემორჩილებიან და ძირითადად კუთხოვანი ფორმის არიან ორიოდ გამონაკლისის გარდა (ბესარიონ ორბელიშვილისა და დიდი მრგვალი საკათალიკოსო ბეჭედი). როგორც წესი საკათალიკოსო ბეჭედებზე გამოსატულია ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო—ჯვარი და ზოგჯერ გამოხატულებანი ძველი და ახალი აღთქმიდან. ამ მხრივ კირილე კათალიკოსისა და ანტონ იესეს ძის ბეჭედები გამონაკლისს წარმოადგენენ.

ლეგენდების შინაარსის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ბეჭედები სხვა ბეჭედებთან შედარებით მარტივი შინაარსისა არიან. ლეგენდებში ბეჭდის მფლობელები ყოველთვის ტიტულით არიან მოხსენებული, არის შემთხვევები, როდესაც ლეგენდაში მოცემულია თარიღი. მაგ., დომენტი კათალიკოსის, ბესარიონ ორბელიშვილისა და იოანე კათალიკოსის ბეჭედები. ლეგენდებში მოცემული თარიღი ბეჭდის მოჭრის თარიღს უნდა აღნიშნავდეს. მაგ., ბესარიონ ორბელიშვილის ბეჭედზე აღნიშნულია თარიღი—1731 წ. იმ დროს, როდესაც ბესარიონი კათალიკოსად ეკურთხა 1725 წ. ზოგჯერ ბეჭდის მოჭრისა და ბეჭდის მფლობელის ზეობის დასაწყისი ერთმანეთს ემთხვევა, როგორც ეს დომენტი კათალიკოსის ბეჭედზეა აღნიშნული 1705 წ. არის შემთხვევები, თუმცა ძალიან იშვიათი, როდესაც ერთი მოღვაწე სმარობს მეორე მოღვაწის ბეჭედს. ასეთი შემთხვევა ჩვენ გვაქვს სამეფო ბეჭედებში, როდესაც კახეთის მეფეები ალექსანდრე I და II სარგებლობენ ერთიდაიგივე ბეჭდით¹. საკათალიკოსო ბეჭედებიდან ანალოგი-

¹ ა. შაქრაძე, ქართული სამეფო ბეჭედები, პალეოგრაფიული ძიებანი, წ. II, 1969, თბილისი.

ურ შემთხვევას ვხვდებით კათალიკოს იოანე დიასამიძის მიერ გაცემულ დოკუმენტებში. იოანე დიასამიძე, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ხმარობს ორ ბეჭედს, ორივეს ოთხკუთხას, ზომით სხვადასხვას (2X1, რ: 1, 1X1). ორივე ამ ბეჭედის ლეგენდა ერთნაირია „კათალიკოსი იოანე“, მხოლოდ განსხვავებით, რომ ერთ ბეჭედზე მოცემულია თარიღი „ტ“, რაც 1612 წ. უდრის. თარიღის მიხედვით ეს ბეჭედი ეკუთვნოდა კათალიკოს იოანე ავალიშვილს, რომელსაც იგი მოუტრია თავის კათალიკოსად კურთხევის წელს და ეს თარიღი ამოუკვეთია ბეჭედის ლეგენდაში. ამ ბეჭედს ხმარობს უფრო გვიან იოანე დიასამიძეც. ამ ბეჭედის ხმარებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ იოანე დიასამიძე ამ ბეჭედით უფრო ხშირად სარგებლობს, ვიდრე თავის საკუთართ. ამ ბეჭედების ხმარების ქრონოლოგიური ფარგლების გამოიჭენა არ ხერხდება, ვინაიდან ისინი პარალელურად გვხვდებიან დოკუმენტებში².

სამეფო ბეჭედებისაგან განსხვავებით საკათალიკოსო ბეჭედები თავისი ხასიათით ორგვარია. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ე. წ. სახელობითი ბეჭედები, რომელთა ლეგენდები სახელით იხსენიებენ ბეჭედის მფლობელს. კათალიკოსის უძველესი სახელობითი ბეჭედი 1612 წლისაა და ეკუთვნის იოანე ავალიშვილს. საკათალიკოსო ბეჭედების მეორე ჯგუფში შედის ე. წ. ზოგადი ხასიათის, შინაარსის ბეჭედები. ასეთ ბეჭედს წარმოადგენს დიდი სწორკუთხა ბეჭედი, რომლის შუაში ჯვარია გამოსახული, ხოლო ჯვრის მკლავებში თითო ასოა მოთავსებული. ბეჭედს კიდევზე მისდევს ასომთავრული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „რომელი განკსნათ ქვეყანასა ზედა, მსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე, 16/19). ეს ბეჭედი სასულიერო პირთა ბეჭედებში, და საერთოდ, ქართულ სფერაგისტიკაში, ერთ-ერთი ყველაზე ძველი

² ვაუქებრობას იწვევს ანტონ კათალიკოსის მიერ მაღალაძისათვის მიცემული 1798 წ. წყალობის სიგელში შემონახული ანაბეჭდი. ამ საბუთს ბოლოში აქვს ანტონის ხელრთვა, ხოლო თავში უზის ბესარიონ ორბელიშვილის ოვალური ბეჭედი თარიღით 1731 წ. გასარკვევია აგრეთვე ბესარიონ ორბელიშვილის ბეჭედის საბუთში დასმის ადგილი. ეს ბეჭედი გვხვდება ოჩქერ და ორივეჭერ იგი საბუთის თავშია დასმული. ერთი—ზემოთ მოხსენებულ ანტონ კათალიკოსის მაღალაძეებისათვის მიცემულ წყალობის სიგელში, (Ad—1574), და მეორე—თვითონ ბესარიონ კათალიკოსის მიერ თაზიშვილებისათვის მიცემულ წყალობის სიგელში, რომელსაც ვამცემის ორი ბეჭედი უზის, ბოლოში ბესარიონის რვაკუთხა ბეჭედი ლეგენდით „მონა ღვთისა ბესარიონ“. ხოლო თავში მისივე ოვალური ბეჭედი (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსსა ფ. 1448 № 2771).

ბეჭედი. იგი პირველად ჩანს 1470 წელს დავით კათალიკოსის მიერ გაცემულ შეწირულების წიგნში (Hd—1352) და კათალიკოსთა ზოგადი შინაარსის ბეჭედს წარმოადგენს. ეს ბეჭედი XV საუკუნიდან მოყოლებული განუწყვეტლივ ჩანს XVI, XVII და XVIII სს დასაწყისში სხვადასხვა კათალიკოსთა მიერ გაცემულ დოკუმენტებში. ამავე ხანებში დიდ საკათალიკოსო ბეჭედთან ერთად, მის პარალელურად გვხვდება კათალიკოსთა პირადი ხელრთვები ან მათ ნაცვლად დასმული სახელობითი ბეჭედები.

აღსანიშნავია, რომ საბუთის გამცემთა ბეჭედები, როგორც წესი დასმულია საბუთის ტექსტის ბოლოს. ეხება რა ბეჭედების დოკუმენტებში დასმის ადგილს, ს. ბარნაველი აღნიშნავს: „ქართული საბუთების თავში ვხედავთ მხოლოდ საკათალიკოსო დიდ საბეჭდავებს, რაც უნდა განიხილებოდეს როგორც მათი სრული სუვერენობის ნიშანი თავიანთ სფეროში“. კათალიკოსების მიერ გაცემული დოკუმენტების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭედი უმეტესად საბუთებს უზით ტექსტის ბოლოს. XV—XVII სს. მანძილზე ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ეს ბეჭედი გვხვდება 18-ჯერ, აქედან 15-ჯერ იგი საბუთის ბოლოშია (Ad 1588, Hd 1352, 252h, 1353, 14682, Sd 407, Qd 31). არის ორიოდე გამოჩაკლისი, როდესაც ხსენებული ბეჭედი საბუთის თავშია. ეს დოკუმენტებია შპანავაზის მეფობაში გაცემული მაისურაძეებისა და გამყრელიძეების დავის გადაწყვეტილების წიგნი, რომელსაც ამტკიცებს კათალიკოსი საბუთის თავში ბეჭდის დასმით. (Qd 8925). და 1690 წ. იოვანე კათალიკოსისა და ერთობით ეპისკოპოსთა მიერ გაცემული დავით გარეჯის მონასტრის განწყების წიგნის ბოლოში ეპისკოპოსთა ხელრთვებით, თავში კი საკათალიკოსო დიდი ბეჭდით (Ad 349).

ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ჰქონდათ თუ არა XV—XVI სს მოღვაწე კათალიკოსებს თავიანთი სახელობითი ბეჭედები, თუ ისინი მხოლოდ ამ ზოგადი ხასიათის ბეჭდის ხმარებით კმაყოფილდებოდნენ. სახელობითი ბეჭდის არსებობის ფაქტი 1612 წლამდე არ არის დადასტურებული, რაც შეიძლება ამ პერიოდის საბუთების სიმცირითაც აიხსნას, ერთი კი ცხადია, რომ საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭედი XV საუკუნის 70-იანი წლებიდან XVIII ს. დასაწყისამდე ხმარებაშია (1719 წ.).

3 ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიტიკური მასალა, გვ. 85, თბილისი, 1966.

ტაბულა II

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

1

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

2

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

3

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

4

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

5

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

6

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

7

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

8

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ

9



1



2



3



4



5



6



8



9



7



10



1



2



3



4



5



6



7



8

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სეიფში № 3202 დაცულია ბეჭედი, რომლის შესახებაც შემონახული ცნობებით იგი ანტონ კათალიკოსისა ყოფილა. ამ ცნობას ეთანხმება ს. ბარნაველი და აღნიშნავს, რომ საბეჭდო ეკუთვნოდა ანტონ I და ანტონ II-საც⁴. ამ ბეჭდით დაბეჭდილია ანტონ II-ის მიერ გაცემული საბუთი, მის მიერვე ხელმოწერილი (ცსსა ფ. 1448 № 3137) და ანტონ I-ის მიერ გაცემული საბუთი (ხელნ. ინსტ. Hd 889). იგი გვხვდება უფრო აღრეც, სახელდობრ, ნიკოლოზ ამილახვრის მიერ გაცემულ საბუთში, რომელიც 1680 წ. თარიღდება (ცსსა ფ. 1448 № 123). ყველაზე ძველი დოკუმენტი, რომელშიც ამ ბეჭედს ვხვდებით, არის 1672 წლის კათალიკოს დომენტი ჭაიხოსრო მუხრანბატონის ძის მიერ გაცემული საბუთი (Ad 1689). ეს ბეჭედი მომდევნო საუკუნეებში უფრო ხშირად იხმარება დოკუმენტებში, სახელდობრ, 1753, 1764, 1768, 1780, 1763, 1789 წწ. (ცსსა ფ. 1448 №№ 16, 17, 19, 5104, 5567). ეს ბეჭედი ყოველგვარი გამონაკლისის გარდა უზის დოკუმენტებს თავში, იმ დროს, როდესაც საბუთის ბოლოში ყოველთვის არის კათალიკოსების ხელრთვა. აღსანიშნავია ისიც, რომ დომენტი მუხრანბატონისა და ნიკოლოზ ამილახვრის შემდეგ ამ ბეჭედს ხმარობენ მხოლოდ ანტონ I და ანტონ II. 1753 წ. ანტონ I-ის მიერ გაცემულ საბუთზე, რომელსაც თავში ეს ბეჭედი უზის, ბოლოში ანტონის პირად ხელრთვასთან ერთად ვხვდებით ანტონის სახელობით ბეჭედს, რომელიც საბუთებში ჩანს 1750—53 წწ. ბეჭედი, რომელზეც აქ საუბარია, მრგვალი ფორმისაა, ს. ბარნაველი მას მსხლისებურს უწოდებს... ანაბეჭდის შუაში წმინდანთა და წინასწარმეტყველთა გამობატულებათა, რაც დაწერილებით აქვს აღწერილი ს. ბარნაველს⁵. კიდევზეუ ბეჭედს აქვს წარწერა, ცალმხარეს — ასომთავრული, მეორე მხარეს — ბერძნული. ს. ბარნაველი ბერძნულ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „დემეტრიოს კათალიკოსი იბერიისა“, რაც სავსებით შეესაბამება ამ ბეჭდის პირველ მომხმარებელს — დომენტი კათალიკოსს. ასომთავრული ლეგენდის შინაარსი იგივეა, რაც საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭდისა, რომელიც ზოგად ხასიათს ატარებდა და, რომელსაც ხმარობდნენ სხვადასხვა კათალიკოსები. „რომელი განკსნათ ქვეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

4 ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 123—124.

5 იქვე, გვ. 123—141.

8. საქ. ფოლ. ხანის ისტორიის საკითხები.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ს. ბარნაველის აზრით საკათალიკოსო დიდი საბეჭდავები გადადიოდა ერთი კათალიკოსის ხელიდან მეორეში XVII—XVIII სს. და მათ განსაკუთრებული როლი ჰქონდათ, რადგანაც მათ საბუთის თავში ვხვდავთ. ლეგენდის ქართული ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ აქაც საკათალიკოსო ზოგადი ხასიათის ბეჭედთან უნდა გვქონდეს საქმე. აღსანიშნავია ისიც, რომ ის კათალიკოსები, რომელთა საბუთებშიც ჩანს საკათალიკოსო მრგვალი დიდი ბეჭედი, ძალიან იშვიათად, თითქმის არასდროს არ ხმარობენ თავიანთ სახელობით ბეჭედებს. არცერთხელ არ ჩანს მაგ., დოკუმენტებში ანტონ ერეკლეს ძის სახელობითი ბეჭედი (გარდა ერთი უწარწერო ბეჭდისა, რომლის მფლობელის სახელი ბეჭდის წინ წამძღვარებული ტექსტის მიხედვით ირკვევა. იგი ანტონ კათალიკოსისაა). რაც შეეხება ანტონ იესეს ძეს, მისი მხოლოდ ერთი ბეჭედი დადასტურებული და ისიც მხოლოდ ოთხჯერ.

ამრიგად, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭედი იხმარებოდა როგორც კათალიკოსთა ზოგადი ხასიათის ბეჭედი 1470—1719 წწ. ხოლო დიდი მრგვალი ბეჭდის ხმარების ქრონოლოგიური ფარგლებია 1672 წლიდან. XVIII საუკუნის ბოლომდე, და ეს ბეჭედიც ზოგადი ხასიათისა იყო. აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნის ბოლოსთვის ორივე ეს ბეჭედი გვხვდება. მაგ., კათალიკოს ნიკოლოზ ამილახერის 1678 წ. საბუთზე არის საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭედი, 1680 წლის საბუთს კი უზის საკათალიკოსო დიდი მრგვალი ბეჭედი (Qd 45, ცსსა ფ. 1448 № 123). ამრიგად, როგორც ჩანს, ეს ორი ბეჭედი გარკვეულ პერიოდში, ძალიან მცირე ხანს, ერთად იხმარებოდა XVII საუკ. 70-იანი წლებიდან XVIII საუკ.

6 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 1740.

7 ს. ბარნაველი არჩევს ანტონ კათალიკოსის ორ ბეჭედს. ორივე ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ტფ. № 21/ა, ბ). ორივეზე გაკეთებულია წარწერა. ერთი მათგანი მოჰყავს ს. ბარნაველს „კათალიკოსი ანტონ“. ლეგენდა შესრულებულია ასომთავრული ჩართული ასოებით და როგორც აღნიშნავს ს. ბარნაველი განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს იძლევა. მეორე ლეგენდა ორსტრიქონიანი ასომთავრულით მას არ მოჰყავს, თუმცა აღნიშნავს, რომ „ორსტრიქონიანი წარწერა ქვემო ზედაპირზე მოწმობს, რომ საბეჭდავი კათალიკოს ანტონს ეკუთვნის“. პირველი საბეჭდავი სტილისტურად XVIII საუკ. დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს და ანტონ I-ის უნდა იყოს. მეორე XVIII საუკ. შუა წლებისაა, მაგრამ ამის დადასტურება შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ ხელნაწერი საბუთების მიხედვით (ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 87—92).

დასაწყისამდე. 1719 წლის შემდეგ საკათალიკოსო სწორკუთხა ბეჭედი გამოდის ხმარებიდან და მის ადგილს იჭერს დიდი მრგვალი ბეჭედი, რომელიც თავისი ხასიათის გამო იცვლის საბუთში ადგილმდებარეობას. თუ საკათალიკოსო სწორკუთხა ბეჭედს ჩვენ საბუთის ბოლოში ვხვდებით, საკათალიკოსო მრგვალი ბეჭედი ყოველთვის საბუთის თავშია. საკათალიკოსო ზოგადი ხასიათის ბეჭდის დოკუმენტის თავში დასმა ტრადიციად იქცევა და ამ ტრადიციის ჩანასახი ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს უნდა ჩანდეს, როდესაც საკათალიკოსო სწორკუთხა ბეჭედსაც ორიოდე შემთხვევაში საბუთის თავში ვხვდებით (Ad 349, Qd 8925, 9087).

სხვა ზოგადი ხასიათის ბეჭედს ქართულ საბუთებში ჩვენ ვერ ვხვდებით. ს. ბარნაველი აღნიშნავს, რომ წერილობით წყაროებში არის სხენება სახელმწიფო დიდი ბეჭდისა და ხელმწიფის ბეჭდისა. 1677 წ. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფესთან გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „სახელმწიფო დიდი ბეჭდის დასმა გინდოდა, მაგრამ რადგანაც ხელმწიფის ბეჭედი ვიშოვეთ, ამისთვის დიდი ბეჭედი ვერ ვკადრეთ...“⁷ თუ რა ხასიათის იყო ხელმწიფის ბეჭედი და ხელმწიფის დიდი ბეჭედი, ჩვენთვის გაურკვეველია. დიდი ბეჭდის არსებობა აფიქრებინებს ივ. ჯავახიშვილს, რომ არსებობდა პატარა ანუ მცირე ბეჭედი, რომელიც სანიადაგოდ ხმარებაში იქნებოდა.⁸

ზოგადი ხასიათის ბეჭედების არსებობის თვალსაზრისით საინტერესოა ბიზანტიური საეკლესიო ბეჭედები. როგორც წესი ბიზანტიურ სამყაროში ყოველ მონასტერს თავისი საკუთარი ზოგადი ხასიათის ბეჭედი ჰქონდა. ის წარმოადგენდა მონასტრისა თუ ეკლესიის საერთო ბეჭედს. ამ ბეჭედების ლეგენდებში იკითხება ამ მონასტრის ან ეკლესიის სახელწოდება. გარდა ამ ბეჭედებისა მონასტრის ყოველ მსახურს თავისი საკუთარი ბეჭედი ჰქონდა, რომლის ლეგენდაში ბეჭდის მფლობელის სახელი იყო ამოჭრილი⁹.

დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ბეჭედები აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ბეჭედებთან შედარებით კიდევ უფრო მცირეა. ჯერჯერობით სულ სამი კათალიკოსის ბეჭედიც ცნობილი: ბესარიონ რაჭის ერისთავის ძისა, გრიგოლ ლორთქიფანიძისა და მაქსიმე აბაშიძისა. ბესარიონ და მაქსიმე კათალიკოსების ბეჭედების ლეგენდ-

⁷ ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 73—74.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 72, თბილისი, 1926 წ.

⁹ Laurent V, Le corpus des sceaux de l'Empire Byzantine Paris, 1966.

ბი თითქმის ერთნაირია. ორივე მათგანი მათ იხსენიებს „ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოსად“. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ოთხი ბეჭედი ცნობილი. ეს ბეჭედები საბუთებში გვხვდება თითოჯერ და ისიც დაუთარილებელ დოკუმენტებში. ამის გამო ძნელდება მათი ხმარების ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა. ძნელდება იმის გარკვევა, თუ რა ხასიათის დოკუმენტებისათვის იხმარებოდა თითოეული მათგანი.

არის შემთხვევები და საკმაოდ ხშირი, როდესაც დოკუმენტს გამცემის ორი ან რამდენიმე სხვადასხვა ბეჭედი უზის... ეს ძირითადად ეხება საკათალიკოსო და სამეფო ბეჭედებს. მაგ., 1753 წ. კათალიკოს ანტონ იესეს ძის მიერ გაცემულ წყალობის წიგნს ბოლოში ანტონის ხელრთვა და მისი სახელობითი ბეჭედი უზის. ამავე საბუთს თავში საკათალიკოსო დიდი ბეჭედი აქვს დასმული (ცსსა ფ. 1448 №313). აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლის მიერ გაცემულ დოკუმენტს ბოლოში უზის გრიგოლის ოვალური ბეჭედი მხედრული წარწერით, ხოლო თავში მრგვალი ბეჭედი ასომთავრული ლეგენდით და თარიღით. ლეგენდების შინაარსი სხვადასხვაა (ცსსა ფ. 1448 № 1510). ბესარიონ კათალიკოსის მიერ 1736 წ. თაზიშვილებისათვის მიცემულ წყალობის წიგნს ბოლოში აქვს ბესარიონის ბეჭედი მხედრული ლეგენდით „მონაღვთისა ბესარიონ“. თავში საბუთს უზის მისი მეორე ბეჭედი ასომთავრული ლეგენდითა და თარიღით 1732 წ. (ცსსა ფ. 1448 № 2771)¹⁰.

წარმოდგენილ წერილში მოცემულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ბეჭედების აღწერილობა — ზომა, ფორმა ლეგენდის წაკითხვა, ბეჭდის ხმარების ქრონოლოგიური ფარგლები (მითითებულია ამ საბუთების ნომრები), ბოლოში დართულია ტაბულები ლეგენდების ფაქსიმილებითა და ფოტოსურათებით.

აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ბეჭედები

ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ო დ ი დ ი ბ ე ჭ ე დ ი. სწორკუთხა, 3,9×2,8; 3,9×3,1, შუაში ჭვრის გამოსახულებაა, რომლის მკლავებში და აგრეთვე კიდეებზე მოთავსებულია ასომთავრული ლეგენდა. „ქ. რომელი განქსნათ ქვეყანასა ზედა, მსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (Hd 2526)¹¹. საბუთებში ეს ბეჭედი გვხვდება 1470 წლიდან 1719 წლამდე (Hd 1352, Ad 1652). ტაბ. I, III სურ. 1, 1.

¹⁰ ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვთ იმამყული-ხანის, ერეკლე მეფისა და XVIII საუკუნის ზოგიერთი ბატონიშვილის მიერ გაცემულ საბუთებში.

¹¹ ჭვრის მკლავებში მოთავსებული ასოები შემდეგნაირად იკითხება: „იესო ქრისტეს ძლევაჲ ნებითა ქრისტესითა ქართლისა „პატრიარხი“ (ი ქ მ ქ ქ 3) (Qd 9663 პირი).

საკათალიკოსო დიდი ბეჭედი. მრგვალი 5,2×5; ბეჭდის შუაში წმინდანების გამოსახულებაა, რომლის დაწვრილებითი აღწერილობა მოცემული აქვს ს. ბარნაველს „საქართველოს საბეჭდაეები და სხვა გლობტიკური მასალა გვ. 123—140. ბეჭდის გარშემო—მარჯვენა მხარეს არის ასომთავრული, ხოლო მარცხენა მხარეს ბერძნული წარწერა. ქართული წარწერა იგივეა რაც საკათალიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭდისა: „რომელი განჯსნათ ქვეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა“. ბერძნულ ტექსტში იკითხება „დემეტრიოს კათალიკოსი იბერაისა“. ბეჭედი იხმარება 1672 წლიდან XVIII საუკუნის ბოლომდე (Ad 1689, ცსსა ფ. 1448, №5104). ტაბ. I, III, სურ. 2, 2.

ანტონ. იესე მეფის ძე. რვაკუთხა 2, 1X1, 8; შუაში და გარშემო ასომთავრული ლეგენდით, რომელიც არ იკითხება. 1750—1752 წწ. (Sd 229, Ad 703). ტაბ. III, სურ. 3.

ბესარიონ ორბელიშვილი. რვაკუთხა; მხედრული ლეგენდით „მონა ღვთისა ბესარიონ“. 1736 წ. (ცსსა 1448 № 2771). ტაბ. II, III, სურ. 2, 4.

(ბესარიონ ორბელიშვილი). ოვალური 3,6×2,8; შუაში პორტრეტული გამოსახულების ზევით გვირგვინია, ხოლო ქვევით მოცემულია თარიღი 1731. გარშემო ასომთავრული ლეგენდაა: „საქართველოს პატრიარქი ყოვლისა ჩუენ წმიდის კათოლიკე ეკლესიისა საკეთუმპყრობელი [ბესარიონ]“. ბეჭედი თარიღით 1731 წ. უზის ანტონ კათალიკოსის 1798 წ. წყალობის წიგნს, რომელსაც აქვს ანტონის ხელრთვაც—კათალიკოსი ანტონ (A d1574). ჩანს 1736 წ. (ცსსა ფ. 1448 № 2771). ტაბ. I, III, სურ. 5, 8.

დომენტი. ლეონ ბატონიშვილის ძე. რვაკუთხა 1,9×1,7; ბეჭდის ზედა ნაწილში პორტრეტული გამოსახულებაა ტაძართან, მის ზევით გვირგვინით¹². ბეჭდის ქვემო ნაწილში ორსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდაა. „კათალიკოზ მამამთავარი დომენტი ქრისტეს აქათ ჩლე“ ამ ბეჭდითდომენტი კათალიკოსი ამტკიცებს 1672 წლის საბუთს (Ad 1689). ტაბ. I, III, სურ. 3,5.

ამავე ლეგენდით, მხოლოდ ოთხკუთხა ფორმით და დანსხვავებული გამოსახულებით¹² დომენტი კათალიკოსის ბეჭედი გვხვდება 1710—13 წწ. მისი ზომებია 2,2×2 (Ad 319). ტაბ. I, III, სურ. 7, 6.

დომენტი. ლეონ ბატონიშვილის ძე. რვაკუთხა 2,6×2,1; ზედა

¹² ბეჭდის დაწვრილებითი აღწერილობა იხ. ს. ბარნაველის დასახ. ნაშრ. გვ. 42—146.

ნაწილში პორტრეტული გამოსახულება¹³, ქვემო ნაწილში ორსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდა: „კათალიკოზ პატრიარქი დომენტი ქრისტეს აქათ ჩლე“. 1736—1739 წწ. (Qd 341, Hd 2445). ტაბ. I, III, სურ. 4,9.

ე ვ დ ე მ ო ზ დიასამიძე. ოთხკუთხა 2×1,5; მხედრული ლეგენდით: „კათალიკოზი ევდემოზ“. 1701—1702 წწ. (Ad 326, 340). ტაბ. II, IV, სურ. 1, 2.

ი ო ა ნ ე დიასამიძე. ოთხკუთხა I, IXI; მხედრული ლეგენდით: „კათალიკოზი იოანე ტ“. 1612 წ. (Ad წ. 1708). ტაბ. II, IV, სურ. 3, 1.

ი ო ა ნ ე დიასამიძე. ხმარობს იოანე ავალიშვილის ბეჭედს. 1692—1700 წწ. (Hd 1305, 13131).

ი ო ა ნ ე დიასამიძე. ოთხკუთხა I, IXI; მხედრული ლეგენდით: „კათალიკოზი იოანე“ 1690 წ. (Ad 349). ტაბ. I, III, სურ. 6, 7.

კ ი რ ი ლ ე. რვაკუთხა 1,6×1,2; ასომთავრული ლეგენდით: „კათალიკოზი კირილე“. 1739 წ. (Ad 1685). ტაბ. I, III, სურ. 8, 10.

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსო ბეჭედები

ბ ე ს ა რ ი ო ნ [რაჰის ერისთავის ძე]. ოთხკუთხა, ზემოდან უდგას ვეირგვინი 2,9×2,1; გარშემო მხედრული, შუაში ასომთავრული ლეგენდით: „ლთით პატრიარქმან ჯვრით ვადილო იმერი პონტ აფხაზი ჩრდილო ბესარიონ“ ჩანს დაუთარიღებელ დოკუმენტებში, (Hd 14040, 14183). ტაბ. II, IV სურ. 4,4, ბ. ლომინაძე მის მოღვაწეობას ათარიღებს 1742—1769 წწ¹⁴.

გ რ ი გ ო ლ [ლორთქიფანიძე] ოთხკუთხა 2,1×1,9. მხედრული ლეგენდით: „აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ“. ჩანს დაუთარიღებულ საბუთში (ცსსა 1448 № 1529). ბ. ლომინაძე მის მოღვაწეობას ათარიღებს 1696—1742 წწ. ტაბ. II, IV, სურ. 6, 3.

გ რ ი გ ო ლ [ლორთქიფანიძე]. ოთხკუთხა 2,7×2. გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „გრიგოლ მკემსი ქრისტეს მიერ ყოველისა საქართველოსა კათალიკოზი“. ჩანს დაუთარიღებულ საბუთში (ფ. 1448 № 1530). (1696—1742 წწ.).¹⁴ ტაბ. II, IV, სურ 8, 5.

¹³ ს. ბარნაველი დასახ. ნაშრ., გვ. 142—146.

¹⁴ ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის, კათალიკოსთა რიგი. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 31, თბილისი.

გ რ ი გ ო ლ [ლორთქიფანიძე]. ოვალური 3,8×3,3, მხედრული ლეგენდით: „მონა ღვთისა აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ“. 1731 წ. (ცსსა 1448 № 1510). ტაბ. II, IV, სურ. 5, 7.

ბეკედი საბუთს უზის ბოლოში, თავში კი მას გრიგოლ კათალიკოსის მეორე მრგვალი ბეკედი უზის ფაქსიმილეს სახით. ლეგენდა ასომთავრულია: „ქ მეფე და მღვდელთმთავარი აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ ქქს ტბდ“. ტაბ. II, IV, სურ. 7, 6.

მ ა ქ ს ი მ ე [აბაშიძე]. რვაკუთხა 1,9×1,7; გარშემო მხედრული. შუაში ასომთავრული ლეგენდით: „ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოსი მაქსიმე“ 1787 წ. (Hd 8957). ბ. ლომინაძე მის მოღვაწეობას ათარიღებს 1776—95 წწ.¹⁵ ტაბ. II, IV, სურ. 9, 8.

¹⁵ ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი. ეს ბეკედი უზის სოლომონ მეფის 1762 წ. გაცემულ წყალობის წიგნს (Qd 9281). და უნდა წარმოადგენდეს კათალიკოსის შერ-მინდელ დამტკიცებას.

თ. ზომბაძე

ჩრდილო კავკასიის ხალხები რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობაში (XVI—XVIII სს.)

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მეტად ხანგრძლივი და დიდი ისტორია აქვს, რომლის ცალკეული მხარეების შესწავლას დღემდე არაერთი ნაშრომი და დოკუმენტების კრებული მიეძღვნა.

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობათა გავების იმდენად მყარი ტრადიციითაა შექმნილი, რომ ძნელია მისთვის რაიმე ახლის დამატება, ან მასში რაიმე ცვლილების შეტანა, მაგრამ როგორც საკითხის შემდგომმა შესწავლამ დაგვანახა, აღნიშნული ტრადიციით, მიუხედავად მისი მაგისტრალური ხაზის სისწორისა, მაინც მოითხოვს ერთგვარ გადასინჯვას.

ეს არსებული ტრადიციით იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, როგორც წესი, მხოლოდ ორი ძირითადი მიმართულებით განიხილებოდა — საქართველოს ურთიერთობით რუსეთ-თურქეთ-ირანთან და მეორე — რუსეთ-თურქეთ-ირანისა საქართველოსთან ან მთელ კავკასიასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, იმ დროს შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით.

ურთიერთობათა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიოგრაფიაშიც. ხოლო ის, რამაც უკვე დღეს მოითხოვა ზემოაღნიშნულ ტრადიციებში ერთგვარი რეკონსტრუქცია, სხვა არაფერია თუ არა საკუთრივ კავკასიის ხალხთა შორის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების გათვალისწინება, მისთვის გარკვეული ადგილის მიჩენა ურთიერთობათა მთელ ამ რთულ კომპლექსში, რომელიც დღემდე ჯეროვნად არაა შესწავლილი და რომლის გარეშეც დღეს შეუძლებელია კონკრეტულად და ზოგადად არა მარტო რუსეთ-საქართველოსა თუ თურქეთ-ირან-საქართველოს ურთიერთობის წარ-

მოდგენა, არამედ უფრო მეტისაც — რუსეთ-თურქეთ-ირანისა მთელ კავკასიასთან დაკავშირებით.

კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობანი, თავის მხრივ, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული სამი ნაწილისაგან შედგება: ერთი — ჩრდილო კავკასიურის, რომელიც მოიცავს ადიღე-ყარაჩაი-ბალყარეთ-ყაბარდო-ჩდილო ოსეთ-ჩაჩნეთ-ინგუშეთ-დაღესტნის ურთიერთობას, მეორე — ამიერკავკასიურის — საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანისა და მესამე — ჩრდილო კავკასიურისა და ამიერკავკასიური ურთიერთობებისაგან.

საკუთრივ კავკასიის ხალხთა შორის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობას ის ობიექტური ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი ანელებდა ან არქარებდა, ანდა სულაც ცვლიდა როგორც რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობას საერთოდ, ისე რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობას ცალ-ცალკე კავკასიურ ერთეულებთან, რასაც ახლა უკვე თავის მხრივ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი გარკვეულ დაღს ასვამდა თვით კავკასიურ ერთეულების სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას.

ასე რომ, კავკასიასთან დაკავშირებით საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა ფაქტიურად სამი ძირითადი კუთხით უნდა იქნეს განხილული: პირველი — რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობის კუთხით კავკასიასთან დაკავშირებით, მეორე — რუსეთ-თურქეთისა და ირანის ცალკეულ კავკასიურ ერთეულებთან ურთიერთობის კუთხით და, ბოლოს, თვით კავკასიური პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობის კუთხით, რათა ურთიერთობათა მთელ ამ რთულ კომპლექსზე შედარებით სრული სურათი მივიღოთ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ღრმად და ფართოდ შევდივართ ამ ცალკეული საკითხების შესწავლის საქმეში, მით უფრო მეტად იგრძნობა მათი ერთმანეთთან დაკავშირების აუცილებლობა და ამდენადვე მათი ერთ კომპლექსში მოქცევა. ასეთი მდგომარეობის ძირითადი საფუძველი ისაა, რომ კავკასია, მიუხედავად მისი გეოგრაფიული პირობებისა, რომ იგი კავკასიონით ორად იყო გაყოფილი და ამასთან აქ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი სამეფო-სამთავროები, სასულთნო-სახანოები თუ თემობრივ-ფეოდალური გაერთიანებები იყვნენ, რუსეთის, თურქეთისა და ირანისათვის, მისი საბოლოოდ ხელში ჩაგდებას თვალსაზრისით, მაინც ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა და ეს, რასაკვირველია, უმნიშვნელო ფაქტორი არ იყო როგორც მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებაში, ისე საკუთრივ კავკასიურ ერთეულებთან მათ დამოკიდებულებაშიც.

საქმე ისაა, რომ ამ ფაქტორმა თავის მხრივ სამივე დიდი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები კავკასიაში იმდენად პრინციპულად დაუპირისპირა ერთმანეთს, რომ მან იმათეთვე გამორიცხა მათ შორის რაიმე შეთანხმების მიღწევა კავკასიის გავლენის სფეროებზე განაწილების საქმეში.

მეორე საფუძველი ასეთი საერთო მდგომარეობისა ის იყო, რომ თვით კონკრეტული კავკასიური ერთეულები, ეს იქნებოდა საქართველო თუ ყაზარღო, დაღესტანი თუ სომხეთი და სხვ., ობიექტური პირობების გამო XVI—XVII საუკუნეებში, რათა უზრუნველყოთ თავიანთი არსებობა და თავიანთი შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური განვითარება, ნებით თუ უნებლიეთ ორგანულად აღმოჩნდნენ დაკავშირებულ-დამოკიდებულნი თურქეთ-ირანსა თუ რუსეთზე და, რასაკვირველია, ესეც თავისთავად არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებაში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში, XVI ს. მეორე ნახ—XVIII ს-ში, მართალია, კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა დამოკიდებულება დროდადრო იცვლებოდა ხოლმე რომელიმე დიდი ქვეყნის მიმართ, ან მათი უშუალო ძალმომრეობის შედეგად, ან ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის დასებებს შორის ბრძოლით, ან კონკრეტულ სიტუაციაში დიპლომატიური მანევრირების გამო და სხვ., მაგრამ, ამისდა მიუხედავად, კავკასიის ქვეყნების მიერ უკვე XVI ს. მეორე ნახევარში შემუშავებული საგარეო-პოლიტიკური კურსი, თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ერთგვარად შენარჩუნების მიზნით, ძირითადად მინც უცვლელი დარჩა, რაც, რასაკვირველია, შემთხვევითი გარემოება არ იყო.

ყოველივე ამის გამოა, რომ დღევანდელ ეტაპზე XVI—XVIII სს. კავკასიის ქვეყნების, საერთოდ თუ ცალკეულად აღებული, საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების სრულყოფილად წარმოდგენა უკვე შეუძლებელია, თუ მისი სამივე მხარე ერთმანეთთან ორგანულ დაკავშირებაში არ იქნა განხილული: პირველი — რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობა საერთოდ და კერძოდ კავკასიასთან დაკავშირებით, მეორე — ურთიერთობა რუსეთ-თურქეთ-ირანსა და კავკასიურ ერთეულებს შორის და მესამე — საკავკასიათაშორისო ურთიერთობა. დღეს კავკასიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საკითხის ასე დასმა გაპირობებულია არა ჩვენი სუბიექტური მოსაზრებებით, არამედ ობიექტურ გარემოებათა გამო.

საქმე ისაა, რომ თვით რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობათა უფრო ღრმა შესწავლამ კავკასიასთან დაკავშირებით, ისევე როგორც

რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობებისა კავკასიურ ერთეულებთან, თავისთავად მოითხოვეს საკუთრივ კავკასიელ ხალხთა ურთიერთობების შესწავლაც, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში მისი გათვალისწინების გარეშე ზემოთ ხსენებული ურთიერთობების მთელი რიგი კარდინალური საკითხები ან პირდაპირ აღუსნელი რჩებოდნენ, ან კიდევ დიდი წინააღმდეგობის გამო დამატებით ახსნა-განმარტებას მოითხოვდნენ. კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობის შესწავლის შესახებ, მართალია, არაერთხელ აღინიშნა საბჭოთა ისტორიკოსების ნ. ბერძენიშვილის, ზ. ანჩაბაძის, ვ. კრიკუნოვის, ვ. მაჭარაძის, ნ. ნაკაშიძის, გ. ბაიჭაძის, ა. ფაღვევისა¹ და სხვების მიერ, რომ მის გარეშე შეუძლებელია რუსეთისა და კავკასიის ხალხების ურთიერთობათა შემდგომი შესწავლა, ისე როგორც თურქეთ-ირანისა კავკასიელ ხალხებთან და სხვ., მაგრამ ამ მიმართებით ჯერ კიდევ მცირე რაზმა გაკეთებული.

წინამდებარე ნაშრომში — „ჩრდილო კავკასიის ხალხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში“ (XVI—XVIII საუკუნეები) — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ვიხილავთ არა მარტო ტრადიციულად მომდინარე ორი კუთხით, არამედ მესამე — საკუთრივ კავკასიის ხალხთა ურთიერთობის კუთხითაც, რაშიც, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უნდა გამოაჩინოს თვით ამ უკანასკნელის მნიშვნელობაც.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის ასეთ ჭრილში განხილვა პირველად აკად. ნ. ბერძენიშვილმა მოგვცა, როდესაც იგი მთელი სიღრმით შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XVI — XVII საუკუნეების მიჯნაზე და საჭიროდ ჩათვალა ანგარიში გაეწია

¹ Н. А. Бердзенишвили, З. В. Анчабадзе, Назревшие задачи изучения исторических корней дружбы грузинского народа с братскими народами Северного Кавказа, Краеведческие записки Кабардино-Балкарского краеведческого музея, вып. I, Нальчик, 1961, стр. 36—37. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII საუკუნეების მიჯნაზე საქ-ისტ. აკ. ტ. IV, თბილისი, 1968, გვ. 6—7; В. Крикунов, За научную разработку истории грузинско-кабардинских отношений, Труды Инст. истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН ГССР, т. I, Тбилиси, 1955, стр. 423—424; Ма ч а р а д з е В. Г. Материалы по истории русско-грузинских отношений второй половины XVIII века, Автореферат диссерт. на соиск. уч. ст. докт. ист. наук, Тбилиси, 1968, стр. 6; Н а к а ш и д з е Н. Т., Грузинско-русские политические отношения в пер. пол. XVIII в., Тбилиси, 1968, стр. 31; П а й ч а д з е Г. Г. Русско-грузинские политические отношения в пер. пол. XVIII века, Автореферат диссерт. на соиск. уч. ст. докт. ист. наук, Тбилиси, 1967, стр. 15; Ф а д з е в А. В., Россия и Кавказ в пер. трети XIX века, Москва, 1961, стр. 23—24.

ჩრდილო კავკასიური პოლიტიკური წარმონაქმნებისათვის, რომლებიც იმხანად არც თუ ისე უმნიშვნელოდ აღმოჩნდნენ სწორედ რუსეთისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორბიტაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ნ. ბერძენიშვილის მიერ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა კვლევისადმი ასეთი სწორი და სრულყოფილი მიდგომა შემდგომ არ განვითარებულა, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ² არაერთი მონოგრაფია თუ კრებული იქნა გამოცემული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბერძენიშვილს საკუთრივ საკავკასიათაშორისო ურთიერთობა მაინც შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ხედვრითი წონით ჰქონდა წარმოდგენილი და, რაც მთავარია, იგი მას შეეხო ურთიერთობათა განვითარების მხოლოდ ერთ ეტაპზე; ხოლო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი კვლევა-ძიებისათვის თუ რატომ გამოვეყავით მაინცადაშინც საკავკასიათაშორისო ურთიერთობაში საქართველო-ჩრდილო კავკასიური ურთიერთობა (უმეტესწილად ყაზარღო-დაღესტანთან), ეს გარემოება, რასაკვირველია, თავისი ობიექტური მიზეზებით აიხსნება.

ასეთი მდგომარეობის საერთო საფუძველი ისაა, რომ საქართველო, რომელიც XV—XVI საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაიშალა და ამასთან ერთად მტრული გარემოცვის რკალშიც მოექცა (თურქეთ-ირანი და ყირიმის სახანო), ახალ ვითარებაში თავისი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიურ ინტერესებიდან გამომდინარე საერთოდ რუსეთზე აღმოჩნდა დამოკიდებული.

თავისთავად საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება მთელი რიგი ობიექტური პირობებით იყო გაპირობებული და ამდენად იგი არ წარმოადგენდა რაიმე შემთხვევითობას.

პირველი: საქართველოს თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური პირობების გამო უკვე აღარ გააჩნდა ის საკუთარი ძალები, რომლებიც დაშლილ ქვეყანას ხელახლა გააერთიანებდა და ამასთან თავსაც დააღწევინებდა თურქეთ-ირანის მიერ შექმნილი მტრული გარემოციდან.

მართალია, XVI—XVIII საუკუნეებში საქართველო ენერგიულ ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ საკუთარი ძალები ახლა მას კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციებში ყოფნიდა მხოლოდ თავის გადარჩენისათვის.

² ივლისსმება 1944 წელი, როდესაც გამოიცა ნ. ბერძენიშვილის აღნიშნული ნაშრომი. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1944, ნაკვეთი 1.

მისი ძალები ყოველი დიდი ომის შემდეგ (მარტყოფი, ბახტრიონი, ყვარელი, ასპინძა და სხვ.) სულ უფრო ილეოვნენ და საქართველო საგარეო მამველ ძალაზე სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა („საკუთარი სისუსტის ღონედ“).

მეორე: თურქეთისა თუ ირანის ყმა-ვასალობა საქართველოსათვის იმთავითვე ყოველად მიუღებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, მარტო იმ საფუძვლით, რომ საქართველოსათვის მტრული გარემოცვა სწორედ მათ შექმნეს, ხოლო მეორე, რაც მთავარია, ორივე მათგანი განსაკუთრებით საქართველოს მიმართ ისლამიზაციის, სრული ინკოპორაციისა და თვით გენოციდის პოლიტიკასაც კი აწარმოებდნენ და ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, მათდამი ყმა-ვასალობას შეიძლება მხოლოდ უფრო დაეჩქარებინა „ქართველობის“ გაქრობა, ვიდრე მისი გადარჩენა.

მართალია, აღნიშნულ საუკუნეებში დროდადრო ქართველი პოლიტიკოსები ირანის წინააღმდეგ ოსმალეთს იყენებდნენ და პირიქით — ირანს ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ საერთოდ ქართული დიპლომატიის ეს სარბიელი (ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობა) დიდ სერიოზულ საფრთხეს შეიცავდა და ქართველებიც ამიტომ მასზე თავიანთ იმედებს საბოლოოდ არასდროს არ ამყარებდნენ.

მესამე: ევროპასთან დაახლოების ცდები. მიუხედავად ქართველების მხრიდან ამ პოლიტიკური ხაზისადმი ერთგულებისა, მაინც მხოლოდ ცდებად რჩებოდნენ. ამის ძირითადი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის იყო, რომ საქართველო თურქეთ-ირანის მიერ შექმნილი ზღუდით მოწყდა ევროპას, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ევროპული ინტერესებიც იმხანად უკვე სხვა მიმართულებით წარიმართნენ, ვიდრე ეს საქართველოსათვის იყო საჭირო და სასურველი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ნიშანდობლივი გარემოება. საქმე ისაა, რომ ახალ ვითარებაშიც საქართველოსათვის მთავარი თუ არა, ერთადერთი გზა მაინც მოსკოვისაკენ მიემართებოდა და, რასაკვირველია, ამასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა იმავე რუსეთთან დასახლოებლად.

3 ვ. ჩოჩიევი, კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს. 60-იან წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, თბილისი, 1967, გვ. 253.

4 Н. А. Бердзенишвили, Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Вопросы истории Грузии, кн. II, Тбилиси, 1965, стр. 89.

მეოთხე: ყველაზე მთავარი და განმსაზღვრელი იყო თვით რუსეთი თავისი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობით, თავისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანებით, რომლებიც მთელი რიგი ფაქტორების გამო ქართველი პოლიტიკოსებისათვის ხშირად მისაღები იყო.

მუსლიმანური თურქეთისა და ირანის ცენოციდის პოლიტიკამ ქართველების მიმართ, ბუნებრივია, საქართველოს მხრიდან გამოიწვია ერთმორწმუნე მოკავშირის ძებნა, ეს იქნებოდა მართლმადიდებელი რუსეთი თუ მართლმადიდებელი ან კათოლიკური ევროპა. საქართველოსათვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „მის სულიერ საზრდოს“ გზა არ გადაკეტოდა და ამასთან გარემოცვიდანაც თავი დაეღწია.

რაკი რუსეთი ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის უფრო ახლო აღმოჩნდა, ვიდრე ევროპა, ამანაც საქართველოს ერთადერთი არჩევანი რუსეთზე განაპირობა.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, გარდა ერთნაირი რელიგიისა, საფუძვლად ედო აგრეთვე ამ ორი მხარის „მონათესავეობა“ მათი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების დონის თვალსაზრისით (ირანსა და თურქეთთან განსხვავებით).

XVI—XVIII საუკუნეებში თურქეთ-ირანის მხრივ გამუდმებული აგრესიის ვითარებაში რუსეთი, რომელიც თავისთავად გამოდიოდა თურქეთის, ყირიმის სახანოსა და ირანის წინააღმდეგ მებრძოლ მხარედ, არ შეიძლებოდა ქართველებს არ მიეჩნიათ ერთ-ერთ საიმედო მოკავშირედ, მით უფრო, რომ ქართველებისათვის რუსეთი, თავისი კოლონიალური პოლიტიკით, ჯერ უცნობი იყო.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც საქართველოს რუსეთზე საბოლოო ორიენტაციის საკითხში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა. ეს იყო საქართველო-ჩრდილო კავკასიური ურთიერთობა, რომელმაც, ერთი მხრივ, თავისთავად ანუ საქართველოს თურქეთთან და ირანთან ურთიერთობების პარალელურად და მათთან ერთად არანაკლებ განსაზღვრა აგრეთვე საქართველოს საგარეო პოლიტიკა XVI—XVIII საუკუნეების მთელ მანძილზე.

საქმე ისაა, რომ აღნიშნულ საუკუნეებში საქართველო ჩრდილო კავკასიის საშუალებით ორნაირად აღმოჩნდა რუსეთთან დაკავშირებულ-დამოკიდებული: პირველი, რუსეთთან სამიმოსვლო გზების ფაქტორით, ხოლო მეორე, თვით საქართველოს ურთიერთობის ხასიათის ფაქტორით საკუთრივ ჩრდილო კავკასიურ პოლიტიკურ წარმოსაქმნებთან, განსაკუთრებით ყაზარდოსა და დაღესტანთან, რომელმაც თა-

ვის მხრივ მხოლოდ სხვადასხვა კუთხით განაპირობა საქართველოს რუსეთთან დაახლოების აუცილებლობა.

მართალია, საქართველოს გარე სამყაროსთან დასაკავშირებლად მრავალი სასმელეთო თუ საზღვაო მაგისტრალი აკავშირებდა, რამდენადაც ის კავკასიაში თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ერთნაირად ესაზღვრებოდა კავკასიის ქვეყნებს ადიღე-ჩერქეზეთს, ყარაჩაის, ბალყარეთს, ყაბარდოს, ჩრდილო ოსეთს, ჩეჩნეთ-ინგუშეთს, დაღესტანს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, რომლებზეც თავის მხრივ გადიოდნენ აგრეთვე სხვა დიდი მაგისტრალები შორეულ ქვეყნებთან დასაკავშირებლად, მაგრამ XVI საუკუნისათვის, როდესაც საქართველო მოექცა თურქეთ-ირანის მტრულ გარემოცვაში, ამ მხრივ მისი შესაძლებლობანი მეტად მკვეთრად იქნა შეზღუდული და გზის პრობლემამაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიიღო. საქართველოსათვის შექმნილი ვითარება საერთოდ ისეთი იყო, რომ ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი ელჩის სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოსათვის მართლაც „ყველა გზა ჩაიკეტა და გასაველიც არააით იყო“⁵.

თურქეთი XV ს. მეორე ნახევარში შავ ზღვაზე გაბატონდა, დაიმორჩილა ყირიმის სახანო, რის შედეგადაც საქართველოს გადაუჭრა გზები—ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ხოლო, როდესაც საქართველოს თურქეთთან ერთად ირანიც მოადგა, საქართველოს ახლა სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზებით სარგებლობაც გაუძნელდა (ყრჩოლ, შემახა-დერბენტ-ვოლგა-ასტრახანისა და შემახა-გილან-თავრიზ-ალეპოს გზები).

საქმე ისაა, რომ XVI ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი XVII—XVIII საუკუნეებში კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციათა გამო საქართველოს ამ ზემოთ მოხსენებული მაგისტრალების თავისუფლად გამოყენების საშუალება თუ მთლიანად არა, იმდენად მაინც შეეზღუდა, რომ მან ქვეყნის მომავალ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. მართოს ფაქტი, მაგალითად, რომ XVI ს. შუა წლებიდან მოყოლებული XVIII ს. შუა წლებამდე თურქეთი და ირანი დროისა და ძალის შესაბამისად ცდილობდნენ ამიერკავკასიისა და მისი სავაჭრო მაგისტრალების ან სრულად დაპყრობას, ან კიდევ დაპყრობილის ხელშეწყობას

⁵ С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом. Материалы извлечения из Московского Главного архива Министерства иностранных дел. вып. 1. 1578—1613 гг., М., 1889, стр. 39.

გადანაწილებას, რის ნათელი დადასტურებაცაა სწორედ მათ შორის 1555, 1592, 1612, 1639, 1727, 1736, 1746 და სხვ. წლებში დადებულ საზავო ხელშეკრულებები, უკვე იმისი მანიშნებელი იყო, რომ შემახა-დერბენტ-ვოლგა-ასტრახანისა და შემახა-გილან-თავრიზ-ალეპოს გზების გამოყენება საქართველოსათვის, ისე როგორც მას ეს სურდა, ვერ ხერხდებოდა. ამის ტიპური მაგალითია, სხვათა შორის, თავად მიშეცკის ელჩობა საქართველოში 1639—1642 წლებში ასტრახან-დერბენტ-შემახას გზით და მისი უკან დაბრუნების ისტორია, როდესაც შემახას მფლობელმა არაპ-ხანმა იგი შემახაში 26 დღით დააყოვნა, ვიდრე მან საამისო ნებართვა თვით ირანის შაჰისაგან არ მიიღო; უკან დაბრუნებისას კი ელჩებს იგივე შემახაში მთელი ზამთარი ტანჯვაში გაატარებინეს და მერე ასტრახანისაკენ სულ სხვა გზით გაუშვეს. ეს გარემოება მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ამ ელჩობის თაობაზე თვით შაჰი და მისი კასპისპირეთის პროვინციების მმართველები რუსეთის მხრიდან სპეციალური სიგელებით იყვნენ წინასწარ გაფრთხილებულნი.

საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად ტიპურია აგრეთვე ის მემორანდუმი, რომელიც 1714 წელს შეიქმნა საფრანგეთში საქართველოს შესახებ. მემორანდუმის ავტორები საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნებები იყვნენ და ამდენად მემორანდუმში გატარებული მათი აზრიც უდაოდ ანგარიშგასაწევიცაა, მით უფრო, რომ იგი მართლაც მთელი სისრულით შეესაბამება რეალურად არსებულ მდგომარეობას. აღნიშნული ავტორები კი იყვნენ საფრანგეთის გალერებისა და ვაჰრობის გენერალური ინტენდანტი მარსელში პიერ დე არნუ, სულხან-საბა ორბელიანი, დავით მეგრელი და ჟან რიშარი.

როდესაც ქართველებმა საქართველოში საფრანგეთის დანტერესების ერთ-ერთ მთავარ მომენტად საფრანგეთისათვის საქართველოს გზით, ანუ გილან-შემახა-საქართველო-სმირნა-კონსტანტინეპოლის მარშრუტით⁶ აბრეშუმის გატანის სარგებლიანობის პროექტი და ამასთან ერთად საქართველოს მეშვეობით საფრანგეთ-ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ წარმონაქმნებთან ურთიერთობის განვითარებაც წამოაყუ-

⁶ М. А. Полневков, Посольство князя Мышечкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг., Тифлис, 1828, стр. 26, 69—70, 105—127, 155—179.

⁷ ი. ტაბაღუა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში, „მაცნე“, № 3, თბილისი, 1965, გვ. 90.

⁸ ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 94—95; იხ. მ. ჭიქოძე, ვაჰრობა XVIII ს. 1 მეთოხედის ქართლის სამეფოში, „მაცნე“, № 1, თბილისი, 1965, გვ. 198.

ნეს, ფრანგებმა იმთავითვე კატეგორიულად განაცხადეს, რომ ყოველივე ამას თურქეთი და სპარსეთი არ დაუშვებენო. „ისინი, — აღნიშნულია მემორანდუმში, — მიიღებენ ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, რათა ხელი შეუშალონ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას...“ წარმოიდგენენ მოსალოდნელ ზიანს თავიანთთვის და საერთოდ მთელი მაჰმადიანობისათვის, ისინი გაერთიანდებიან ერთი საერთო საქმისათვის, რათა ხელი შეუშალონ და ქართველებს გასანადგურებლად შეუტონ“⁹.

ასე რომ, შემახა-ვოლგა-ასტრახანისა და შემახა-თავრიზ-ალეპოს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალეებით სარგებლობა და მათი გამოყენება განსაკუთრებით რუსეთ-დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დასაახლოვებლად საქართველოსათვის მეტად გამწვანებული იყო.

საქართველო თურქეთ-ირანის წყალობით XVI—XVIII საუკუნეებში მტრული ვარემოცვის რკალში იყო მოხვედრილი და მათგან მუდმივ ძალმომრეობას განიცდიდა. ამიტომ ჩვენ მთლად სწორად არ გვეჩვენება ვ. გამრეკელის დებულება, რომლის მიხედვით თითქოს აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრებს XVII—XVIII სს. სავარეო ვაჭრობისათვის მეტად ფართო პორიზონტები ეშლებოდათ, პირველ რიგში, სამხრეთითა და აღმოსავლეთით, რამდენადაც დასავლეთით ზღვა ჩაკეტილი იყო თურქეთის მიერ, ხოლო ჩრდილოეთით—დიდი კავკასიონი ვაჭრობისათვის ყრუ კედელს წარმოადგენდა¹⁰.

ვ. გამრეკელის მიხედვით, აღმოსავლეთით ეს იყო კონკრეტულად კასპისპირეთის გზა — განჯა-შუშა-ნუხა-შემახა, რომელიც აკავშირებდა საქართველოს ინდოეთ-ირან-ალმ. კავკასიას — რუსეთსა და დასავლეთ ევროპასთან, ხოლო სამხრეთით — გზა, რომელიც ასევე აკავშირებდა საქართველოს თურქეთსა და დას. ევროპასთან¹¹.

ასე რომ, შემახისა და შემახიდან მიმავალი მარშრუტების გამოყენების საკითხი, როგორც ვხედავთ, საქართველოსაგან დამოუკიდებ-

⁹ ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

¹⁰ В. Н. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в. ч. I, Тбилиси, 1968, стр. 403.

¹¹ В. Н. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в. ч. I, Тбилиси, 1968, იქვე გვ. 103, აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ დიდი კავკასიონი ვაჭრობისათვის სრულებითაც არ წარმოადგენდა ე. წ. „ყრუ კედელს“. რამდენადაც საკმაოდ ინტენსიური ვაჭრობა მიმდინარეობდა საქართველო-ყაზახ-ბალყარეთ-ყარაჩაი-ჩრდილო ოსეთ-ჩეჩენ-ინგუშეთთან და დაღესტანს შორის, ხოლო მეორეც, რაც მთავარია, რატომ იყო, რომ XVI ს. მეორე ნახევარი—XVIII საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მმართველი წრეები, როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთისა, დაყინებით ცდილობდნენ ამ „ყრუ კედლის“ გარღვევას და რუსეთ-დას. ევროპასთან დაკავშირებას, რატომ ცდილობდნენ თავის პოლიტიკურ და ეკონომ. საქ. ფორმ. ხანის ისტორიის საკითხები.

ლად მეტად რთულ მოვლენებზე იყო დამოკიდებული, ხოლო თავის მხრივ კი საქართველოს მიერ მისი მოგვარება აშკარად აღემატებოდა თავით ქვეყნის შესაძლებლობებს. ამიტომ იყო სწორედ, რომ აღნიშნულ საუკუნეებში ქართველები, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემახა-დერბენტის გზის საკითხს თავიანთ საგარეო პოლიტიკაში მაინცადამაინც დიდ როლს არ ანიჭებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსათვის მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

რაკი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაც საქართველოსათვის შემახა-დერბენტ-ვოლგა-ასტრახანისა და შემახა-გილან-თავრიზ-ალეპოს გზებიც დაბრკოლდა, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებისათვის ორი ძირითადი გზა-მაგისტრალია დაჩაჩა, კერძოდ, თერგ-კახეთისა და ხევ-ყაბარდოსი თავისი მიმდგომი გზა-ბილიკებით¹², ანუ კონკრეტულად ჩრდილო-ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლური კავკასიის გზები.

მაგრამ თავისთავად აღნიშნულ საუკუნეებში საქართველოსათვის ამ უკვე სასიცოცხლო მაგისტრალებისა და მათი მიმდგომი გზების გამოყენების საკითხიც არც თუ ისე იოლად გადასაწყვეტი იყო. ეს უკანასკნელი გარემოება თავის მხრივ ორი არც თუ ისე უმნიშვნელო ფაქტორით იყო გაპირობებული. ჯერ ერთი, იმის გარდა, რომ საქართველოს აღნიშნულ საუკუნეებში უკვე დაკარგული ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში ის ზეგავლენა, რომელიც მას ადრე — XI—XV საუკუნეებში ჰქონდა¹³, თავისთავად აღნიშნული გზების მოქმედებაც თავისი გე-

მიურ ინტერესებიდან გამომდინარე მაინცადამაინც თერგ-კახეთის გზით ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალზე გასვლას და არა, ვთქვათ, შემახა-თავრიზ-ალეპოს ან შემახა-ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალზე თუ კი მათ, რასაკვირველია, ასეთი ფართო პირობებში ჰქონდათ გადაშლილი სამხრეთ-აღმოსავლეთით?

12 თერგ-კახეთის გზა ისტორიულად ადრე ცნობილი „ბელაქნის გზაა“ და მისი ზარზრუტი XVI—XVIII საუკუნეებში დაახლოებით ასეთი იყო: ბელაქანი-კახი-ელი-სუ-სარუბაში-წახური-ყაზი-ყუმუხი-ყაზა-ნიჩი-ქიაფირ-ყუმუხი-ტარკი-ტიუმენი-თერგ-ქალაქი; რაც შეეხება ხევ-ყაბარდოს გზას, ეს თავის მხრივ ის გზა-მაგისტრალია, რომელიც ადრე წყაროებში ძირითადად „ღარიალის გზის“ სახელით იყო ცნობილი.

13 ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნისა და XIII საუკუნე 1 ნახევარში კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბილისი, 1966; გ. თოგოშვილი, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი, 1958 წ. А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами (с древнейших времен до XV века), Грозный, 1963; М. Р. Гасанов, Из истории дагестано-грузинских взаимоотношений (с древнейших времен до конца XIV в.), канд. дисерт., Махачкала, 1965.

ოგრაფიული პირობების გამო საერთოდ ბუნებრივ-სოციალური იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გამოწვევის თხილი ზამთრის გარდა ყველა ისინი თითქმის 2—3 თვე და ხშირად მეტი ხნითაც იკეტებოდნენ; ხოლო მეორე ის იყო, რომ ჩრდილო კავკასიაში XVI საუკუნისათვის სხვებთან შედარებით ორი მსხვილი ფეოდალური, პოლიტიკურად დაქუცმაცებული წარმონაქმნები ყაბარდო და დაღესტანი დაწინაურდნენ და ამას კი ახალ ვითარებაში საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩრდილო კავკასიაში ყაბარდოსა და დაღესტნის დაწინაურებას მოჰყვა არა მარტო მათ შორის ბრძოლა იქ არსებულ შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ სხვადასხვა ფეოდალურ-ტომობრივ ერთეულებზე გაბატონებისათვის, არამედ თვით ყაბარდო-დაღესტნით თურქეთ-ყირიმის სახანოს, ირანისა და რუსეთის დინტიერეებაც. საქართველოსათვის სრულებითაც არ იყო სულერთი, თუ ვინ გაბატონდებოდა ჩრდილო კავკასიაში, ერთი მხრივ, ყაბარდო თუ დაღესტანი, ხოლო, მეორე მხრივ რუსეთი, თურქეთ-ყირიმის სახანო თუ ირანი.

პირველ შემთხვევაში საქართველო ორი გარემოების გამო ვერ იყო გულგრილი. ჭერ ერთი, რუსეთთან დასაკავშირებლად ჯარჩენილ ხევ-ყაბარდოსა და თერგ-კახეთის მაგისტრატებსა და მათ მიმდგომ გზებზე სრულ კონტროლს ფაქტიურად ყაბარდო და დაღესტანი ახორციელებდნენ¹⁴ და ამდენადვე მათზე იყო დამოკიდებული საქართველოსათვის ამ გზებით სარგებლობა; ხოლო მეორეც, ყაბარდო-დაღესტნის ურთიერთობამ, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ კი ყაბარდო-დაღესტნის ურთიერთობამ ცალ-ცალკე რუსეთ-თურქეთ-ირანთან საქართველოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ამოცანებისათვის საერთოდ ისეთი ხსიათი მიიღო, რომ არ შეიძლებოდა ამ ურთიერთობებისა და მისი საქართველო გულგრილი დარჩენილიყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თვით დააჩქარებდა თავის პოლიტიკურ გაქრობას.

მეორე გარემოების ძირითადი საფუძველი კი ის იყო, რომ თურქეთისა და ირანის აგრესიისას, მოყოლებული XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე XIX საუკუნემდე, დაღესტნის ფეოდალები და

¹⁴ მართალია, ხევ-ყაბარდოს მაგისტრატზე და მის მიმდგომ გზა-ბილიკებზე მკაცრი კონტროლის დაწესება ძნელდებოდა ხოლმე ყაბარდოელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ ამ გზებზე მცხოვრები ოსებისა და ჩეჩენ-ინგუშების დროდადრო აჯანყებების შედეგად ან არაგვის ერისთავებისაგან, რომლებიც ყაბარდოელებს ეცილებოდნენ ამ გზაზე, ან კიდევ დაღესტნელი ფეოდალების ხშირი თავდასხმების გამო, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, შეიძლება ითქვას, რომ XVIII ს. 80-იან წლებამდე შედარებით სრულკონტროლს მაინც ყაბარდოელი ფეოდალები ახორციელებდნენ.

ტომთა ბელადები მათ ხელში გადაიქცნენ სწორედ იმ ძალად, რომლის მეშვეობითაც ისინი ცდილობდნენ საქართველოსათვის ჩრდილოეთის მხრიდან მტრული გარემოცვის შექერას და შიგ „ქართველობის“ მოზრჩობას. დაღესტნელ ფეოდალთა გამუდმებული თავდასხმები თავისი სპეციფიკურობის გამო, ეს იქნებოდა თურქეთ-ირანის ხელშეწყობით თუ მათგან დამოუკიდებლად, ქართული საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის არანაკლებ გამანადგურებელი აღმოჩნდა, რასაც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ქართველებში განგავი არ გამოეწვია.

მართალია, დაღესტანი დროდადრო თვით იბრძოდა ხოლმე თურქეთ-ყირიმის სახანოსა და ირანის წინააღმდეგ, ან მისი გაერთიანებათა მფლობელები ასევე დროდადრო იყვნენ ხოლმე რუსეთის ქვეშევრდომობაში თუ მფარველობაში შესულნი, მაგრამ მათი საკუთარი ინტერესები საქართველოს მიმართ მაინც არ იძლეოდნენ საქართველოსათვის იმის საშუალებას, რომ მას დაღესტნის გზით გაერღვია ეს მტრული გარემოცვა.

დაღესტნის ფეოდალთა კერძო ინტერესები საქართველოსადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ თუ მათ ამ ინტერესებს რამდენადმე არ შეესაბამებოდნენ რუსეთ-დაღესტნის თუ დაღესტან-თურქეთ-ირანის ინტერესები, მაშინ ყოველივე ეს აუცილებლად იწვევდა დაღესტნის ინტერესების აშკარა დაპირისპირებას როგორც რუსეთისადმი, ისე თურქეთ-ირანისადმი.

ამის გამო იყო, რომ დაღესტნის ფეოდალები, მიუხედავად მათზე თურქეთ-ყირიმის სახანოს, ირანისა თუ რუსეთის მიერ პერიოდულად მოპოვებული ზეგავლენისა, მაინც ხშირ შემთხვევაში საქართველოს მიმართ საკმაოდ დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომელიც საქართველოსათვის არანაკლებ საშიშროებას ჰქმნიდა ჩრდილოეთის მხრიდან მტრული გარემოცვის რკალის შექერის თვალსაზრისით.

ასე რომ, „ლეკური საკითხი“ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა და მან საქართველოს საგარეო პოლიტიკაშიც ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაიჭირა.

რამდენადაც „ლეკური საკითხის“ მოგვარებაში XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოსათვის ერთადერთ რეალურ დამხმარე ძალად იგივე რუსეთი ჩანდა, რადგან ის თავის ინტერესებისათვის დაღესტანს საქართველოს წინააღმდეგ ისე არ იყენებდა, როგორც, მაგალითად, თურქეთი ან ირანი, და, რაც მთავარია, თვით რუსეთი ცდილობდა დაღესტნის შემოერთებასა თუ მორჩილებაში მოყვანას, ბუნებრივ

ეია, რომ ამ თვალსაზრისითაც რუსეთი საქართველოსათვის იმთავითვე განსაკუთრებული მნიშვნელობისა გახდა. ხოლო იმის გამო, რომ აღნიშნულ საუკუნეებში რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობანი თანმიმდევრულად და პროგრესულად ვითარდებოდნენ რეგრესის გზაზე დამდგარ თურქეთ-ყირიმის სახანოსა და ირანთან შედარებით, ამან, რასაკვირველია, ქართველ პოლიტიკოსთა ორიენტაციაც რუსეთზე, მიუხედავად კავკასიაში მისი დროდადრო წარუმატებლობისა, ურყევი გახადა.

ისეთ საერთო ვითარებაში კი, როდესაც ჩრდილო კავკასიის ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური წარმონაქმნი — ყაბარდო არანაკლებად განიცდიდა თურქეთის, ყირიმის სახანოსა და დროდადრო ავრეთვე ირანის აგრესიას, ხოლო, მეორე მხრივ, იგი საქართველოსაგან დამოუკიდებლად დაღესტანთანაც არანაკლებად იყო დაპირისპირებული, ამან, ცხადია, საქართველო-ყაბარდოს სამოკავშირეო დაახლოებისათვის საკმაოდ კარგი საფუძველი შექმნა, მით უფრო, რომ ყაბარდოც თავის ხსნას იმავე რუსეთთან დაახლოებაში ეძებდა.

ამასთან ერთად, რამდენადაც ყაბარდომ აღნიშნულ საუკუნეებში სხვებთან შედარებით უზრუნველყო თავისი ზეგავლენა თუ ბატონობა ყარაჩაი-ბალყარეთზე, ჩრდილო ოსეთზე და ჩეჩნეთ-ინგუშეთზე ანუ იმ სოციალურ-პოლიტიკურ ერთეულებზე, რომლებზეც გადიოდა ხევ-ყაბარდოს მაგისტრალის მიმდგომი გზა-ბილიკები, რითაც საქართველო პრაქტიკულად ახორციელებდა ურთიერთობას რუსეთთან, ყაბარდომ საქართველოსათვის კიდევ უფრო მეტი სასიცოცხლო მნიშვნელობა მიიღო.

თუმცა აქვე შემდეგაც უნდა აღინიშნოს. მართალია, ყაბარდოსთან ურთიერთობით საქართველომ XVI—XVIII საუკუნეებში გაინაღდა რუსეთთან თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის ხევ-ყაბარდოს მაგისტრალისა და მისი მიმდგომი გზა-ბილიკების გამოყენება, მაგრამ, რამდენადაც ამ გზების სპეციფიურობა მას არ აძლევდა დიდ საშუალებას რუსეთთან უფრო ფართო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისათვის, ამდენად ხელსაყრელი გზის პრობლემა მის წინაშე კვლავაც მთელი სიგრძე-სიგანით იდგა.

საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა წინაშე აქტუალურ ამოცანად იდგა არა მარტო ქვეყნის გამოსხნა აღმოსავლეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენა-ბატონობისაგან, არამედ

ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება¹⁵: ასეთი დიდი მიზნებისათვის კი ხევ-ყაბარდოს გზა მისთვის გამოუსადეგარი იყო (ჯერ ერთი, იმ ცვალებადი ქვეშევრდომულ-ვასალური დამოკიდებულების გამო, რომელსაც იჩენდნენ ყაბარდოელი მთავრებისა და ქართველი მეფეებისადმი ყარაჩაი-ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი და ჩეჩნეთ-ინგუშეთი. გარდა ამისა, რაც მთავარია, ყაბარდოსა და ვოლგა-ასტრახანის დიდ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს შორის იგივე დაღესტანი იყო). დაღესტნელი ფეოდალები არა მარტო საკუთრივ დაღესტნის ჯზებს ზღუდავდნენ საქართველოსათვის, არამედ დროდადრო ხევ-ყაბარდოს მაგისტრალსაც სწვდებოდნენ ხოლმე.

მტრული გარემოცვის პირობებში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს თავისი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების შესაფერის გზად მხოლოდ თერგ-კახეთის გზა მიაჩნდათ, რომელიც უშუალო მეზობლად მდებარე დაღესტანზე გადიოდა და ამასთან ერთად ხევ-ყაბარდოს გზასთან შედარებით გაცილებით უფრო მოხერხებული იყო.

ასე მაგალითად, თერგ-კახეთის მაგისტრალი, ივარდა იმისა, რომ საქართველოს დაღესტნის თითქმის ყველა შიდა რაიონთან და ამასთან მთელ ჩრდილო კავკასიასთანაც აკავშირებდა, რაც მთავარია, შემახადერბენტის¹⁶ გვერდის ავლით თავისუფლად გადიოდა ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე და ამდენად, ბუნებრივია, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაშიც.

ამიტომ იყო სწორედ, რომ ქართველი ელჩები, რომლებიც ასე თუ ისე, მაგრამ პრაქტიკულად უკვე მიმოდიოდნენ რუსეთში ხევ-ყაბარდოს გზით¹⁷ და მიმდგომი გზა-ბილიკებით, რუსეთისაგან დაეინებოთ მაინც თერგ-კახეთის გზის გახსნას მოითხოვდნენ, რომელიც მათთვის დაღესტანთან გამწვავებული ურთიერთობის გამო ფაქტიურად ჩაეკტილი იყო.

საქმე ხშირ შემთხვევაში იქამდისაც კი მიდიოდა, რომ ქართველი ელჩები მოსკოვში რუსეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის ერთ-ერთ პირობად რუსეთის მეფეებისაგან დაღესტნის დამპყრობასა და

¹⁵ ე. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966. გვ. 164.

¹⁶ თუ დერბენტი თავისუფალი იყო, მაშინ, სხვათა შორის, თერგ-კახეთის სამარ-შრეტო გზის ორი პუნქტიდან წახუტიდან და ყაზი-ყუმუხიდან ცალ-ცალკე შეიძლება აგრეთვე დერბენტშიც მოხედრა (ახლა უკვე შემახას გვერდის ავლით) და აქედან კი კვლავ ასტრახანში როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზით.

¹⁷ ამის გამო მოხდა, სხვათა შორის, რომ დარიალის ანუ ხევ-ყაბარდოს გზას ამხანად „რუსეთის გზასაც“ უწოდებდნენ ხოლმე. ან კიდევ „ასტრახანისას“.

იქ რუსული ციხე-სიმაგრეების ჩადგმას მოითხოვდნენ; ხოლო დრო-დადრო იმასაც დასძენდნენ, რომ საქართველო თითქოს რუსეთს მხოლოდ ამ მიზნით დაუახლოვდა და სწორედ ამ მიზნით ითხოვა მისგან ინფარველობაც.

მათალია, საქართველო-დაღესტნის გამწვავებულმა ურთიერთობამ რამდენადმე განაპირობა საქართველოს რუსეთთან დაახლოება, მაგრამ პრინციპში თვით საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა სრულეებით არ იყო გაპირობებული რუსეთთან დაახლოების ინტერესებით. როგორც ამას ჰქონდა ადგილი საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობასთან დაკავშირებით. პირიქით, საქართველოსა და დაღესტანს ერთმანეთისაგან ძალზედ განსხვავებულად ესმოდათ რუსეთთან თავიანთი ურთიერთობა და მისი როლიც თავიანთ ისტორიულ განვითარებაში. ასე, მაგალითად, ქართველ და ყაბარდოელ პოლიტიკოსთა მიზანი ნათელი იყო: რუსეთთან დაახლოება, მისი დახმარებით ქვეყნის გაერთიანება, მისი შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ეკონომიური განვითარება, თურქეთის, ყირიმის სახანოსა და ირანის ძალმომრეობის აღკვეთა და, რასაკვირველია, „ლეკური საკითხის“ გადაჭრაც.

თვით დაღესტანიც რუსეთთან ურთიერთობით რამდენიმე საკითხის მოგვარებას ცდილობდა. ჯერ ერთი, იგი ამით თურქეთის, ყირიმის სახანოსა და ირანის თვალში თავის ხვედრით წონას ზრდიდა და ამით გარკვეულ შეღავათს მოელოდა; მეორე, ასევე გარკვეულ შეღავათს ელოდა იგი რუსეთისაგან ეოლგა-ასტრახანის დიდ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე, რომელთანაც მეტად ორგანულად იყო დაკავშირებული; მესამე, რუსეთთან თავისი ურთიერთობით იგი მის წინააღმდეგ იმ აქტიურობის განელებას აპირებდა, რომელსაც რუსეთი იჩენდა ყაბარდო-საქართველოს გამო; დაბოლოს, რუსეთის თურქეთთან, ყირიმის სახანოსთან და ირანთან დაპირისპირებით იგი თავისი დამოუკიდებლობის რამდენადმე შენარჩუნებასაც ლაშობდა, რასაც, სხვათა შორის, უმეტეს შემთხვევაში უფრო მეტად აღწევდა კიდევ, ვიდრე საქართველო და ყაბარდო.

საქმე ისაა, რომ დაღესტნელები უფრო მოხერხებულად იყენებდნენ რუსეთ-თურქეთ-ყირიმის სახანოსა და ირანის წინააღმდეგობებს, ვიდრე ქართველები და ყაბარდოელები, რაშიც მათ, გარდა შინაგანი ფაქტორებისა, ობიექტურად მათივე მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობაც დაეხმარა. იმის გამო, რომ დაღესტანი თურქეთის, ყირიმის სახანოსა და ირანისაგან კავკასიაში სხვა კავკასიურ ერთეულებთან შედარებით გაცილებით შორს მდებ-

რეობდა, ამან, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განაპირობა თურქეთ-ირანის ურთიერთობის ხასიათი და დღესტინის გაერთიანებებთან. ასე მაგალითად, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციებისა და მიზეზებით, დაღესტნელები ყმობდნენ და ვასალობდნენ თურქეთს, ყირიმის სახანოსა და ირანს. მათი ასეთი პოლიტიკა დამპყრობლებსაც ესმოდათ, მაგრამ ყოველთვის სათანადო რეაქციით ვერ პასუხობდნენ, — განსაკუთრებით მაშინ, როცა დაღესტნელები დროდადრო რუსეთის ქვეშევრდომობა-მფარველობაშიც შედიოდნენ.

ასე რომ, ხშირად დაღესტნის მთავრები ერთდროულად სამ ბატონს მორჩილებდნენ, ხოლო სამივე ბატონი კი თავის მხრივ ხან საჩუქრებით, ხან დაპირებით, ხან ძალმომრეობით და ხანაც გამოქონებით ცდილობდა როგორმე მაინც შეენარჩუნებინა ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მხარე, რათა ამით უზრუნველყო შემდეგ თავისი მომავალი ბატონობა კავკასიაში.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ეს დაღესტნის მთავრებს დიპლომატიური მანევრებისათვის გარკვეულ შესაძლებლობას აძლევდა, რასაც ისინი არც თუ ისე ურიგოდ იყენებდნენ ხოლმე თავიანთი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად; მაგრამ ამასთან ერთად იყო აგრეთვე ერთი გარემოება, რომელიც არანაკლებ უწყობდა ხელს დაღესტნის ამ ერთგვარ დამოუკიდებლობასაც: ეს იყო კავკასიელი ხალხების თავდადებული ბრძოლა, რომელიც რამდენადმე ამრკოლებდა თურქეთის, ყირიმის სახანოსა და ირანის აგრესიულ ძალებს.

ამრიგად, საქართველოს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას, როგორც ვხედავთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკიზა; ჯერ ერთი, საკუთრივ საკავკასიათაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, ხოლო მეორეც, იმის გამო, რომ მათთან ურთიერთობის მიღმა „დიდ სამეულთან“ — რუსეთ-თურქეთსა და ირანთან მისი უშუალო ურთიერთობის საკითხებიც წყდებოდა და ამდენად მისი მომავალიც. ძირითადი საფუძველი ასეთი მდგომარეობისა ის იყო, რომ აღნიშნულ საუკუნეებში, როგორც ჩრდილო კავკასიური პოლიტიკური წარმონაქმნების, ისე საქართველოს ისტორიული ბედობალი პირდაპირ დამოკიდებული აღმოჩნდა რუსეთზე, თურქეთსა და ირანზე.

აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, რომ საქართველოსათვის სულერთი აღარ იყო ჩრდილო კავკასიაში ვინ გაბატონდებოდა — ყაზარღო თუ დაღესტანი ან მათი საშუალებით თუ მათგან დამოუკიდებლად — რუსეთი, თურქეთ-ყირიმის სახანო თუ ირანი.

საქმე ისაა, რომ თუ თურქეთი ჩრდილო კავკასიაში გაბატონდებო-

და, იგი ერთდროულად თავის ორ მთავარ მიზანს მიღწევდა, რაც, რასაკვირველია, საქართველოსათვის იმთავითვე მიუღებელი იყო. თურქეთი ამით, ჯერ ერთი, რუსეთს უჭრიდა გზას სამხრეთით — შავი და კასპიის ზღვებისაკენ და აღმოსავლეთით — შუა აზიისაკენ, ხოლო მეორეც, საკუთრივ თურქეთი ჩრდილო კავკასიიდან უკვე თავისუფლად იკვლევდა გზას ერთი მხრივ ხევ-ყაბარდოსა და დერბენტ-შემახას გზით საქართველოსა და ირანში, ხოლო მეორე მხრივ კი შუა აზიაში.

ასე რომ, თურქეთისა და მისი ვასალის ყირიმის სახანოს გაბატონება ჩრდილო კავკასიაში საქართველოსათვის რუსეთისა და დასავლეთ ევროპიდან საბოლოოდ მოწყვეტას ნიშნავდა.

ასევე მიუღებელი იყო საქართველოსათვის ირანის ჩრდილო კავკასიაში გაბატონებაც, კერძოდ, ყაბარდო-დაღესტნის ხელში ჩაგდება. რითაც ირანი თავის სასარგებლოდ დაახლოებით ორ ძირითად პრობლემას გადაჭრიდა. ჯერ ერთი, თავის მოქიშპე თურქეთს განდევნიდა კავკასიიდან და ამდენად ერთპიროვნულად დაეუფლებოდა ამიერკავკასიას, ხოლო მეორე, რაც მთავარია, კასპიის ზღვაზე თავისი გაბატონებით იგი უკვე რეალურ შესაძლებლობას მიიღებდა რუსეთთან უფრო აქტიური პოლიტიკის წარმოებისათვის.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, სულ სხვა იყო საქართველოსათვის ჩრდილო კავკასიაში რუსეთის მოსვლა. რუსეთსაც ჰქონდა კავკასიის მიმართ თავისი დამპყრობლური მიზნები, მაგრამ რაკი მისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები რამდენადმე ეხმაურებოდნენ საქართველოს სასიცოცხლო საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს, ამდენად რუსეთი საქართველოსათვის სულ სხვა აღმოჩნდა, ვიდრე თურქეთი და ირანი.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გაბატონებით საქართველოს არა მარტო რუსეთთან უშუალო ურთიერთობა გაუადვილდებოდა, არამედ „მარად მაწუხებელი და მაშფოთებელი“ „ლეკური საკითხიც“ მოუგვარდებოდა, რომელსაც ასე დიდის აუცილებლობით მოითხოვდა საქართველოს ინტერესები¹⁸. ამიტომაც მოხდა, რომ XVIII საუკუნის 70—80-იან წლებში რუსეთ-თურქეთის ომისა და ომის შემდგომ წლებში, როდესაც რუსეთმა ჩრდილო კავკასიაში სანახევროდ მოიკიდა ფეხი, შეიერთა ყაბარდო, ჩრდილო ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი და სხვ., საქართველომ მის წინაშე დასმული ალტერნატივა ბოლოს მაინც რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ალტერნატივა კი ის იყო, რომ სა-

18 ნ. ბერძენიშვილი, აღმოს. კახეთის წარსულიდან, საქ-ისტ. საქ., ტ. 111, თბილისი, 1966, გვ. 275.

ქართველო ან ჩაყლაპული უნდა ყოფილიყო შაჰის სპარსეთის მიერ და გასპარსებულიყო, ან სულთნის თურქეთის მიერ და გათურქებულიყო. ან არა და ის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა გადასულიყო.

1783 წლის რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი მფარველობითი ტრაქტატი მართლაც, ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, არსებულ პირობებში ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იყო, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით წაეყვანა. მეორე მხრივ, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა დემარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგენის საქმის გამარჯვება¹⁹.

დასასრულს, დიდი შეცდომა იქნებოდა XVI—XVIII საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა წარმოგვედგინა რაღაც ერთ მთლიან ჰარმონიად ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე. წინააღმდეგობას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი და იგი ვარკვეულ დღესაც ასეაშადა ქვეყნის საშინაო და სავარეო-პოლიტიკურ ცხოვრებას²⁰.

ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, საკმარისია თუნდაც იმ თავისებურების აღნიშვნა, რომელიც არსებობდა, ჯერ ერთი, თვით რუსეთ-თურქეთ-ირანს შორის საერთოდ კავკასიასთან დაკავშირებით და, მეორეც, მათ საკუთრივ ურთიერთობაში თითოეულ კავკასიურ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან. ასე მაგალითად, იმის გამო, რომ რუსეთ-თურქეთ-ირანის ინტერესები კავკასიასთან დაკავშირებით პრინციპულად დაეჯახნენ ერთმანეთს და ფაქტიურად გამოირიცხა მათ შორის დიპლომატიურ საფუძველზე კავკასიის გავლენის სფეროებად დაყოფა, ამან, რასაკვირველია, უკვე თავისებურად განაპირობა თავის მხრივ მათივე ურთიერთობა საკუთრივ კავკასიურ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან. მართალია, რუსეთ-თურქეთ-ირანს შორის დროდადრო ადგილი ჰქონდა ურთიერთსაწინააღმდეგო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებსაც, მაგრამ ეს უფრო კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციით გამოწვეული მანევრები იყო, ვიდრე საკითხის გადაწყვეტა ან მორიგება. ობიექტურად ამას თავისი საფუძველი ჰქონდა.

მთელი სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ირანი ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთისათვის ერთსა და იმავე დროს მოკავშირესაც წარ-

19 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, თბილისი, 1954, გვ. 138—139.

20 მ. დუმბაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი (მას. საქ. და კავ. ისტ. ნაკვ. 33, 1960, გვ. 245).

მოადგენდა (ოსმალეთისა და ბუხარის წინააღმდეგ ბრძოლაში) და მოწინააღმდეგესაც (კახეთისა და საშამხლოს მიმართ დამოკიდებულების საკითხში);²¹ ასევე თურქეთიც. იგი რუსეთისათვის თითქოს ერთგვარ მოკავშირეს წარმოადგენდა ირანის წინააღმდეგ, ხოლო იმავე დროს კი მოწინააღმდეგესაც საქართველო-ყაზახ-დაღესტნის მიმართ დამოკიდებულებაში.

ასეთმა საერთო ვითარებამ, ბუნებრივია, რუსეთ-თურქეთსა და ირანს კავკასიური პრობლემის გადაწყვეტის თავისებური დიპლომატია გამოუმუშავა, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა სწორედ მათ ურთიერთობაში ცალკეულ კავკასიურ ერთეულებთან. ასე მაგალითად, თითოეული მათგანი მოქმედებდა თითქოს თვით საქართველოს, ყაზახ-დაღესტნის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა კავკასიურ ერთეულთა მოთხოვნით და მათი, ასე ვთქვათ, საგარეო—პოლიტიკური ამოცანების მიხედვით ისე რომ, გადამწყვეტი სიტყვისა და მოქმედების უფლებაც ვითომცდა საკუთრივ მათ ეკუთვნოდათ; სინამდვილეში დიდი სამეულის თითოეული წევრი დროისა და ძალის შესაბამისად მხოლოდ თავის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს ახორციელებდა; ამასთან, თუ ეს ამოცანები თავისთავად ემთხვეოდნენ კავკასიელთა ამოცანებს, ხომ კარგი, თუ არა და ამას ისინი მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდნენ, რაც არც თუ ისე იშვიათად იწვევდა ხოლმე კავკასიელთა ინტერესების მათი ინტერესებისათვის შეწირვას²².

ასეთი პოლიტიკის მიზანი ის იყო, რომ თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის დახმარების გარეშე ხელთ ევდოთ კავკასიის ქვეყნები, რათა შემდეგ ამ უკანასკნელებს თავის მხრივ ეთქვათ უარი დანარჩენი ორის ყმობა-ვასალობასა თუ მფარველობა-ქვეშევრდომობაზე. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია მთელი პასუხისმგებლობა კავკასიურ ერთეულებს ედებოდათ და ისინიც უკვე მოქმედებდნენ ისე, როგორც ამას თავის გადარჩენის აუცილებლობა მოითხოვდა — ან კვლავ საკუთარ ხმალს მიმართავდნენ, ანდა, მომენტის შესაფერისად, საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას იცვლიდნენ.

ამიტომაც იყო, რომ XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოც, მიუხედავად მისი თანმიმდევრული დამოკიდებულებისა რუსეთთან, დროდადრო მაინც იძულებული ხდებოდა ხოლმე თავის საშველად

²¹ თ. ტივაძე, ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში XVI—XVII სს. მიჯნაზე, თსუ შრომები, ტ. 113, თბილისი, 1965, გვ. 207.

²² მ. დუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 247.

იგივე თურქეთის სულთანისა თუ ირანის შაჰის კარზე მისულიყო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესეც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ხდებოდა. როცა რუსეთი კავკასიაში თურქეთ-ირანთან „ძალთა წონასწორობის“ დაცვისა თუ დროის მოგების მიზნით, დროებით უგულვებელყოფდა ხოლმე საქართველოს ინტერესებს და საქართველოსაც მეტი აღარა რჩებოდა-რა, გარდა საკუთარი ხმლისა და სულთანის თუ შაჰის კარზე თავის დაკვრისა. სხვა ძირითად შემთხვევებში კი, როგორც ცნობილია, იგი რუსულ ორიენტაციას არ დალატობდა.

ამრიგად, საქართველო-ჩრდილო კავკასიური ურთიერთობის როლის შეფასებისას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსათვის შექმნილ მძიმე ისტორიულ სიტუაციაში ყაბარდო და არა დაღესტანი აღმოჩნდა სწორედ ის ხიდი, რომელმაც საქართველო დაახლოვა რუსეთთან და ამასთან საშუალებაც მისცა მტრული გარემოცვიდან თავი დაეღწია.

Р. С. МЕПИСАШВИЛИ

АРХИТЕКТУРНЫЕ ПАМЯТНИКИ КУДАРО

Памятники Кванса-джвари, Надарбазеви и Касагина, а также Кобети, которые являются предметом нашего исследования, расположены в местности исторически именуемой Кударо, (табл. 1), недалеко друг от друга¹. Они представляют, как в хронологическом, так и в стилистическом отношении, одну тесную группу, каждое из сооружений которой является интересным и значительным примером. Возведенные во второй половине X века эти памятники свидетельствуют о том, что Кударо, этот высокогорный район Грузии представлял, в упомянутом перио-

¹ На основании исторических данных границы Кударо Ив. Джавахишвили определяет следующими: «... к северо-востоку от Джебжора, к востоку от Цедиси и до Часавали и еще восточнее Часавали и севернее Джебжора» (Ив. Джавахишвили, Историко-этнографические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока, Тб., 1950, стр. 60, на груз. яз.). Кударо до XVIII века включительно сохраняла свои границы и историческое наименование (Вахушти Багратиони, География Грузии, Тб., 1941, стр. 160, на груз. яз.). По современному административному делению Грузии Кударо занимала юго-восточную часть Онского района и северо-западную часть Джавского района Юго-Осетинской АО.

Памятники Кударо были исследованы В. Цицадзе и мною в 1946 году. Этот материал был доложен в Институте истории грузинского искусства АН Грузинской ССР в 1948 году. Добытый тогда материал на сегодняшний день сделался уникальным, т. к. значительная его часть уже исчезла.

Сведения о памятниках Кударо см. И. Мегрелидзе, Надписи и другие древности Паца и Джебжора, Труды Сталинградского государственного пединститута, VII, 1959, стр. 170, на груз. яз.; два рельефа Надарбазеви и Кванса-джвари опубликованы Н. Аладашвили, Рельефы Никорцинда, Тб., 1957, табл. 33.

де, в культурном и экономическом отношении высоко развитую единицу. Отдельные орнаментированные детали памятников выполнены в XIII—XIV веках и в эпоху позднего средневековья свидетельствуют о строительной деятельности грузинского народа в этот поздний период.

Состояние памятников Кударо сегодня очень тяжелое. На месте Надарбазеви имеем поросшую травой груду засыпанных землей камней, вокруг которой разбросано большое количество архитектурных деталей, украшенных орнаментами и рельефами (табл. 13). В Касагина большая часть камней церкви употреблена на строительство школы, расположенной тут же рядом и много интересных деталей украшает сегодня фасады этой школы (табл. 16). Место самого памятника засыпано землей и скрывается под высокой крапивой. В Кванса-джвари сохранилась лишь нижняя часть стен церкви. Внутри здания и вокруг него было много значительных фрагментов, от которых уже почти ничего не осталось².

Кобети в сегодняшнем виде является, в основном, произведением XIX века (табл. 23), но в стены здания вставлены древние орнаменты, рельефы и кресты с надписями.

По дошедшему до нас материалу удается, с наибольшей вероятностью установить, что Надарбазеви, Касагина и Кванса-джвари представляли один и тот же тип культовых сооружений, а именно, трехцерковные базилики. Этот тип зданий был создан в Грузии и, в VI—VII веках получил свое законченное архитектурное решение³. В IX—X веках трехцерковные базилики имеют широкое распространение в Шида Картли. Большая группа этого типа сооружений возведена в Боржомском ущелье (Недзви, Квирик-цминда⁴, Потоleti, Читахеви, Ликани, Тадзриси и др.), сохранились примеры расположенные в долине р. Мтквари (Ниаби); немалое количество подобных памятников находится в ущельях рек Большой и Малой Лиахви и в прилегающих к ним

² В течении последних лет фрагменты Кванса-джвари стали подвергаться уничтожению. В 1969 году с нашей стороны были приняты меры для спасения оставшегося уникального материала. Было решено перевезти фрагменты в г. Цхинвали в Гос. музей Юго-Осетинской АО. Однако выполнить это решение не удалось в виду решительного сопротивления одного из местных работников. Мы вынуждены были вернуться обратно, оставив памятник Кванса-джвари на произвол судьбы.

³ Г. Чубиниашвили, История грузинского искусства, Тб., 1936, стр. 288 (на груз. яз.). Его же, Архитектура Кахетии, Тб., 1969, стр. 143.

⁴ Р. Мепишавили, Строительная деятельность учеников Григория Хандзтийского в Картли, Вестник Отделения общ. наук АН Груз. ССР, № 4, Тб., 1963, стр. 232 (на груз. яз., резюме на русск. яз.).

местностях (Кусирети, Эредви — церковь св. Георгия⁵, Эредви — Берис сакдари⁶, Плависа и др.).

Памятники Кударо включаются в группу трехцерковных базилик Грузии не только общим решением, но и широко распространенной для данного типа сооружений аркатурой входа. Памятники Кударо по характеру декоративного убора фасадов и по рисунку и выполнению орнаментальных украшений тесно связываются с сооружениями других районов, в частности, с памятниками прилегающей к нему исторической провинции Рача, а также с памятниками расположенными в ущельях рек Паца и Большой и Малой Лиавхи и в более отдаленных местностях.

На дарбазеви расположено недалеко от места слияния р. Джеджора с р. Гломула, среди высоких деревьев. Та часть плана, которая в 1946 году намечалась лучше чем теперь, дает основание полагать, что памятник представлял трехцерковную базилику, размером приблизительно 12×13 м. Южная часть базилики была открыта тремя арочными проемами (табл. 1₂). Размеры храма и большое количество фрагментов разбросанных вокруг свидетельствуют о том, что там мы имели богато убранный орнаментами сооружение.

Для того чтобы получить представление о первоначальном обрзе Надарбазеви, обратимся к сохранившимся его фрагментам.

На месте в 1946 г. нами были зафиксированы следующие детали здания:

1. Две круглые колонны, диаметром в 63 см, высотой в 129 см. Обе находятся, по-видимому, на своих первоначальных местах (табл. 2₁). Базы колонн состоят из парных валиков, с переходом в виде выпуклых, удлинённых фигур по углам на квадрат основания.

2. Две капители (обе лежат на земле), размером 76×76××30 см. Нижняя круглая часть капителей покрыта ромбами. Верхняя квадратная украшена трехугольниками. Поверху капители завершаются неширокой полочкой. Рисунок и выполнение орнаментов очень четкое (табл. 2₂).

3. Тимпанный камень с изображением процветшего креста. Основание тимпана равно 100 см, высота плиты 52 см (табл. 4₂). Тонкий крест с длинными рукавами и пуговками на концах, невысокого рельефа, хорошо вписывается в отведенное для него поле. Изящный силуэт креста дополняют прорисованные мягким изгибом листья. Поверхность рельефа плоская, т. е. совершенно

⁵ Р. Мелисашвили, Памятник архитектуры в сел. Эредви (906 г.), *Ars Georgica* (Разыскания Института истории грузинского искусства), 4, Тб., 1955, стр. 104 (на груз. яз., резюме на русск. яз.).

⁶ Р. Мелисашвили, Трехцерковная базилика X в. Берис сакдари, *Ars Georgica*, 7 А, Тб., 1971, стр. (на груз. яз., резюме на русск. яз.).

лишена моделировки. Нижняя плоскость тимпана имеет широкий зубец, не для укрепления ли этого камня в архитрав?

4. Фрагмент с изображением Прославления Богоматери. Низ камня равен 67 см, высота 56 см (табл. 5₁). Верхнее закругление фрагмента говорит за то, что он является частью тимпана, состоящего из трех или более камней. Такой тимпан должен быть снизу поддержан архитравом, т. е. мы здесь можем представить решение схожее, например, с западным порталом Вале⁷ или южной дверью Гурджаани⁸. Можно назвать, также пример Теловани⁹.

Богоматерь изображена в сидячем положении с младенцем на коленях. Трон подразумевается. Нет и подножья. Наверху два ангела. На боковых, утеряных частях тимпана могли быть изображены, согласно традиции Петр и Павел, но возможно, по примеру Кумурдо (1964 г.)¹⁰ или Вале (последняя четверть X века)¹¹ здесь были помещены надписи.

Исходя из контура камня левый ангел изображен выше правого.

Богоматерь и младенец изображены фронтально, только ноги их повернуты. Туловища и крылья ангелов имеют крутые, но мягкие изгибы, передающие состояние легкого парения.

Рельеф всех фигур графически — плоскостной, выполненный в двух основных планах. Тенденция к усложнению рельефа проявлена в фигурах ангелов, у которых наиболее высоким рельефом — 3,5 см высечены головы, рельеф туловища и крыльев понижен до 2 см, а к концу крыльев сходит до 1 см. Слабо моделированы лица — легкие заглабления вокруг глаз, небольшие выпуклости передающие нос и др. Моделировка поверхности фигур параллельными линиями имеет декоративный характер.

5. Два фрагмента арок покрытых мотивом ленточного плетения (табл. 4₁). Поверху они окаймлены парными валиками. Кривые этих фрагментов совпадают с кривой тимпана, на котором изображен крест, т. е. фрагменты, по-видимому, относятся к наверхшю тимпана. Плетение орнамента выполнено лентой разделенной желобком. Прием резьбы характерный для памятников X века¹².

6. Два оконных наверхшия, с рельефными изображениями. Одно с длинными отворотами, покрыто мотивом переплетающих-

⁷ *Ars Georgica*, 3, табл. 11.

⁸ Г. Н. Чубинашвили, *Архитектура Кахети*, табл. 193₂.

⁹ *Ars Georgica*, 5, табл. 60.

¹⁰ Г. Н. Чубинашвили, Н. П. Северов, *Кумурдо и Никоримнда*, М., 1947, табл. VII.

¹¹ *Ars Georgica*, 3 табл. 12₃. Надписи ныне сильно повреждены.

¹² Р. Шмерлинг, *Грузинский архитектурный орнамент*, Тб., 1954, стр. 21.

ся кругов. Среднее поле кругов выпуклое. Над навершием — поясные изображения ангелов, с взметнувшимися вверх крыльями (табл. 52). Рисунок крыльев соответствует дуге бровки. Здесь нет строгой симметрии, но наличие слаженности линий и форм. Рельеф с многими кривыми хорошо вписывается в прямоугольный абрис камня. Фигуры ангелов по выполнению повторяют аналогичные фигуры тимпана. Фрагмент находится в хранилище камней Армазисхеви Гос. Музея Грузии им. С. Н. Джанашиа.

აქედან დაწყებული საქართველოს ერთიანობის მომხრე ძალები სამცხიდან თანდათან გაიქცნენ. იგივე ვახუშტი საქართველოს გეოგრაფიაში მიუთითებს ციციშვილებისა და ჯავახიშვილების ქართლში დასახლების ადგილს. „ხოლო მცხეთის დასაუღლით და მტკვრის სამჭრით ციციშვილი, რომელი ძველადვე მოვიდა ფანასკეთიდან. ჯავახიშვილი... ჯავახეთიდან“¹⁴.

ამრიგად, ცხადია, შაქში არემის ვაჟრის დასჯა ან ლეგენდაა, ანდა შესაძლოა ეს იყო საბაბი ყვარყვარე ათაბაგისთვის ქართლში სალაშქროდ, რათა სამაგიერო მიეზლო კონსტანტინე მეფისათვის, რომელმაც იმერეთსა და სადაღიანოსთან გაერთიანებული ძალებით ილაშქრა სამცხეზე. ჯერ 1481 წელს, ხოლო მეორედ 1483 წელს. ამ ლაშქრობის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „...კონსტანტინე მეფე-შან შემოიკრიბა სპანი, მივიდა მოსწრაფედ სამცხეს. გარნა მანუჩარ კვალად ვერ იკადრა ბრძოლა, არამედ ნებითა მისითვე ეწყო ყვარყვარე მეფესა და იქმნა ბრძოლა ძლიერ და ფიცხელი, ქს. ჩუპგ, ქრ. როა

¹² ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), 1961, გვ. 31—36.

¹³ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II 1913, გვ. 235.

¹⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 24.

(171—1483 წ.), იძლია მეფე და მოვიდა ტფილისის¹⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, მართალია, ამ ტექსტში ბრძოლის ადგილად არადეთს არ ასახელებს, მაგრამ, ჩვენი აზრით ნიშანდობლივ ეს ბრძოლა აქვს მხედველობაში. არადეთის ბრძოლაში მეფე კონსტანტინეს დამარცხებით ისარგებლა ალექსანდრემ და იმერეთის სამეფო ტახტზე დაჯდა. აი რას წერს ვახუშტი: „ქრისტეს აქეთ ჩუბგ. ქრონიკონს რთა, იძლია მეფე და მოვიდა ტფილისს: მხილველ-მან ალექსანდრემ, ძე-მან ბაგრატიან-მან აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მეფედ იმერთა და დაიპყრო იმერეთი“¹⁶.

1483 წლის არადეთის ბრძოლა იყო სამცხის მთავრის ფეოდალური სეპარატიზმის ერთ-ერთი გამოვლინება. ვახუშტი, ეხება რა სამცხე-საათაბაგოს ისტორიის ამ ეპიზოდს, წერს: „...ათაბაგმან, შეიკრიბა სპანი და წარუხენა კონსტანტინე მეფესა მტკვრის აღმოსავლეთი კვალად: ამისი მსმენელი მეფე კონსტანტინე მოსწრაფებით მივიდა სპითა: გარნა მანუჩარ კვალად არა ინება ბრძოლა მეფისა. არამედ ყვარყვარემ ბიძის ძისძე-მან მანუჩარისა-მან სთხოვა, რათა იგი ეწყოს მეფესა და მიეგება ესე ყვარყვარე, ნებითა მანუჩარისათა, მეფესა და სპითა თვისითა, ეწყო ძლიერად და იძლია მეფე კონსტანტინე ყვარყვარესა-გან ქს. ჩუბგ. ქრ. რთა (171—1483წ.) და მივიდა გამარჯვებული ყვარყვარე: მაშინ მეფე კონსტანტინე ეზრახა ერთობა-მორჩილებასა, არამედ მანუჩარ ყვარყვარეს გამო არა ინება“¹⁷.

არადეთის ბრძოლის ამბავს მეფე კონსტანტინესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის ადასტურებს ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორი¹⁸.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არადეთის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს სოციალური ბრძოლის ანარეკლია და იმ შინა ფეოდალური ბრძოლის გაგრძელებაა, რომელიც ჭერ კიდევ XV საუკუნის შუაწლებში დაიწყო. მაშინ ბრძოლის უშუალო ასპარეზი სამცხეში იყო, 1483 წელს კი შუა ქართლში. არადეთის ველზე გაღმობინაცვლა—აქ ფეოდალთა ორი მტრული ჯგუფი იბრძოდა: ჯაყელები და ციციშვილები ურთიერთ დაუძინებელი მტრები იყვნენ, რაც არეკლილია „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში: „შეიყარნეს გაღმართელნი, და გამოღმართელნი ციციშვილები, და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა. მაშინ დაუხდნენ ათაბაგს და აუწყეს ქართველთა გაუშუებლობა“¹⁹.

¹⁵ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, 1913, გვ. 19.

¹⁶ იქვე.

¹⁷ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, 1931, გვ. 237.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 481.

¹⁹ იქვე, გვ. 346.

ციციშვილები, რომ ჭაყელების დაუნდობელი მტრები იყვნენ, ამას მხარს უჭერს ვახუშტის ცნობაც: შაქელი ვაჭრის დასჯის შემდეგ ყვარყვარე „...მოვიდა შიდა-ქართლს ჰსცნა ესე ციციმ ციცი-შვილ-მან, აცნობა შიდა-ქართველთა, შემოკრბენ და მოეწივნენ ათაბაგს, ვითარცა მდევარნი“²⁰.

გარდა აღნიშნულ ორი მტრულად განწყობილი ფეოდალური სახლისა, ამავე ბრძოლის ველზე ხვდება მეორე მტრული საგვარეულოთა წყვილი: შალიკაშვილებისა და მაჩაბლების. ამათ შორის მტრობა და შუღლი სამამულო ბრძოლის ხასიათს ატარებდა. ეს ორი ფეოდალური სახლი ფლობდა დიდ მამულებს ასპინძის მიდამოებში. მათი საზღვარი მდინარე მტკვარს იყო; ოთიდან თმოგვის მიდამოების ჩათვლით, მტკვარს მარჯვენა ნაპირი შალიკაშვილების სამფლობელო იყო. XVI ს. სამცხის თავადების ნუსხაში ვკითხულობთ: „თმოგველნი, სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა ელის-ბაალს და იოთამს აქუს“²¹. ხოლო მტკვარს მარცხენა მხარე კი, დაწყებული ღობიეთიდან — ზედა თმოგე-ნიალის მიდამოები ეკუთვნოდათ მაჩაბლებს²². ამ ორ ურთიერთ მოსისხლე ფეოდალთა მონაწილეობაზე არადეთის ბრძოლაში ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „კვალად ჰკრა შუბი შალიკაშვილმან მაჩაბელსა და გარდაჰკრუნა ცხენიდან და შესძახა: „აწყვრის ლუთისმშობელმან, თუმცა უარს (ე. ი. გაუხედნავს. — ს. ხ.) კვიცს არ მჯდარ ვიყავე, გამეთხარამცა მუნით კერძ“ მაშინ მაჩაბელ-მან მჩოქარე-მან მოუკრა ხრმალი და წარუკვეთა კისერი ცხენსა მისსა და დაასო ხრმალი უნავისა ტახტსა მეტყველ-მან: „სპარმან წმიდა-მან გიორგიმ, არათუმცა ყოფილ ყვეგ ჩამოვარდნილი შუამცა-განმკვეთე“ (არამედ იქმნენცა სხვგანცა მრავალნი სახსოვარნი, გარნა სიგრძისა-თუს დავიდუმეთ)²³. იგივე ბრძოლის ამბავი აქვს მოთხრობილი ბერ ეგნატაშვილს²⁴.

არადეთის ბრძოლის მიზეზი უკვე აღნიშნეთ, ხოლო საბაბად შესაძლოა. შაქელი ვაჭრის დასჯა გამოიყენა ყვარყვარე ათაბაგმა (თუ ეს ლეგენდა არ არის). უკან დაბრუნების დროს კი თავისი ძველი მტრის—

²⁰ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, 1913, გვ. 239.

²¹ ჭრ. შარაშენიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, (XV—XVI სს.), 1961, გვ. 34, 64.

²² საქართველოში მენშევიკთა ბატონობის პერიოდშიც კი ფლობდნენ ამ მხარეს მაჩაბლები, რომელთა სამყოფელი სოფლები შალოშეთი და დანიეთი იყო, ასპინძის რაიონში.

²³ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, გვ. 240.

²⁴ ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 347.

ციციშვილების მამულზე შემოიარა, ყვარყვარეს თუ მხოლოდ სამცხეში დაბრუნება უნდოდა, უფრო მოკლე იმ გზით წავიდოდა, რომლითაც იქ მივიდა: ქვემო ქართლი, დმანისი, თრიალეთი, ჭავჭავეთი, ეს გზა მისთვის უფრო უხიფათო, ნაცნობიცა და მოკლევ იყო.

ბერი ეგნატაშვილის ცნობა ყვარყვარეს ლაშქრის რაოდენობაზე: ყვარყვარე „...წამოვიდა განარისებული სუთასითა რჩეულითა სპითა...“²⁵ საეჭვოა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტი პირდაპირ ამბობს, რომ ყვარყვარე ათაბაგი შურისსაძიებლად წავიდა მეფე კონსტანტინეზე²⁶. საეჭვოა მეფის წინააღმდეგ სალაშქროდ წასულ ყვარყვარეს მართო 500 მეომარი წაეყვანა. უნდა ვიფიქროთ, ამ ლაშქრის რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

გამორიცხული არ არის, რომ ყვარყვარემ იმ მესხი მოსახლეობის უკან დასაბრუნებლადაც ილაშქრა, რომელიც უზუნ-ჰასანის 1476 წ. ლაშქრობის შემდეგ გაიხიზნა სამცხიდან ქართლში: „აღდგეს ყველანი და შთაეიდეს ქართლს, ვიდრემდის მწირობდენ მუნ შვდ წელ“-ს²⁷. ქრონოლოგიაც ზუსტად ემთხვევა: უზუნ-ჰასანის შემოსევიდან (1476 წ.) არაღეთის ბრძოლამდე (1483 წ.) გადის 7 წელი. შესაძლებელია ყვარყვარეს არაღეთის ბრძოლაში დახმარებას უწყვედნენ სამცხიდან უზუნ-ჰასანის შემოსევის დროს გადახვეწილი მესხები, რომლებსაც „მეფე კონსტანტინე აყენებდა და არა უტევებია წარმოსეულად“ — უკან სამცხეში²⁸ (შესაძლოა სპეციალური ყარაულები ჰყავდა მეფეს დაყენებული, რათა უკან არ წასულიყვნენ მესხები). არაღეთის ველზე ყვარყვარე ათაბაგის გამარჯვების შედეგად „ეთიარცა ჰპოვეს ეამი მარჯუე, აღდგეს ღამესა ერთსა და წარმოემართნეს ყოვლით სახლეულით მათითურთ“, სამცხეში²⁹.

ამრიგად, არაღეთთან გამარჯვებით ყვარყვარემ ორი ამოცანა გადაწყვიტა:

1. მეფე კონსტანტინეზე და მესხეთიდან გადახვეწილ მოწინააღმდეგე ფეოდალებზე (ციციშვილი, მაჩაბლები) გაიმარჯვა;
2. უზუნ-ჰასანის 1476 წ. სამცხის დარბევისა და აოხრების შედეგად ქართლში გახიზნულ მესხებს დაეხმარა, რათა უკან სამცხეში დაბრუნებულიყვნენ. უკან დაბრუნებულთა შორის შეიძლება თვით ციციშვილებიც იყვნენ.

²⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 346.

²⁶ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, 1931, გვ. 237.

²⁷ ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 479.

²⁸ იქვე, გვ. 481.

²⁹ იქვე, ტ. II, გვ. 481.

ბის, მაჩაბელებისა და სხვა მესხ დიდგვარიანთა ყმა-გლეხებიც იყვნენ, რომლებიც ქართლში დიდ გაჭირვებასა და უმირიყყოლობას განიცადებდნენ და ახლა უნდოდან, ყვარყვარეს დახმარებით, ძველ მამაბაბურ მამულსა და კერას დაბრუნებოდნენ.

არადეთის ბრძოლის შედეგმა კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს დამლა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „არადეთის ბრძოლამ სრულის სიციხადით გამოარკვია კონსტანტინე მეფის სისუსტე და ამით რასაკვირველია, მისმა მეტოქე მოწინააღმდეგეებმა მაშინვე ისარგებლეს“³⁰. ამ მოწინააღმდეგეთა შორის ცხადია, ყვარყვარე ათაბაგს გარდა სხვებიც იგულისხმებოდნენ. „კონსტანტინე მეფის დამარცხებით უმაღლესე ისარგებლა რაჟა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატი-ძემ, და იმერეთი ჩაიგდო ხელში. ამნაირად, საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას უკანაყენელი საყრდენი გამოეცალა“³¹.

ამრიგად, არადეთის ბრძოლამ საქართველოს პოლიტიკურ-ერთიანობას საბოლოოდ ბოლო მოუღო. ამ დროს საქართველო ფეოდალურ-ბატონყმურ რღვევის რელსებზე იყო შემდგარი და დამდაული გზით მიექანებოდა. ქვეყანა ჩიხში იყო მოქცეული. ქვეყნის შიგნით აღარ იყო ის ძალები, რომ შესძლებოდათ შეჯახებოდნენ რეგრესულ ძალებს და ჩვენი ქვეყანა კვლავ გაეერთიანებინათ ერთ სამეფოდ.

მე-15 საუკუნის ბოლოსათვის სამცხე-საათაბაგოს საზღვარი ბექა ჯაყელის დროინდელთან (მე-13 საუკუნის ბოლოს) შედარებით რამდენადმე შემცირებულია: ჭანეთი და აჭარა გურიას ეპყრა, ქვიშხეთიდან, ტაშისკარიდან სოფელ დვირამდე ქართლის სამეფოში შედიოდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროების ზოგიერთი თემი უკვე ოსმალებს მიეტაცნათ. ამრიგად მესხეთის მთავარს „ათაბაგს ეპყრა: გურიელის საზღვარს ზეითი ფერსათის მთის გარდაღმართი დვირს ზეითი აქათ ქართლის საზღვრამდის, იქით კარის საზღვრამდის, აზრუმისაკენ გურჯი-ბოლახს აქათი“³².

საქართველოდან განცალკევებისა და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ქცევამ სამცხე-საათაბაგოს სიკეთე არ მოუტანა. პირველი უბედურება საგარეო მტრებისგან მას დაატყდა თავს და გარეშე მაჰმადი-

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1967, გვ. 140.

³¹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1958, გვ. 263.

³² ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 349.

ანური ქვეყნების პირველივე მსხვერპლიც იგი შეიქმნა უზუნ-პასანიდან დაწყებული (1476 წ.), ოსმალეთის მთავარსარდლის ლალა ფაშას შემოსევის (1578 წ.) ჩათვლით. „სულთან იაყუბის რაზმებმა ორგზის ილაშქრეს საქართველოში. პირველად (1486 წ.) პირადად იაყუბის სარდლობით მათ აიღეს ახალციხე და აწყური, მეორედ კი თბილისიც დაიკავეს 1489 წ. თებერვალში“³³.

ახლახან აღმოჩენილი სპარსელი ისტორიკოსის ფადლალაქ იბნ რუზბეჰანის მეტად ძვირფას და საინტერესო ცნობებს გვაწვდის იაყუბ ყაენის შემოსევის შესახებ მესხეთში, რომელიც დაიწყო 1486 წლის 31-აგვისტოს და დამთავრდა 29 სექტემბერს (რამაზანის—მაჰმადიანთა მარჯვის დროს). სპარსელი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ საზაფხულო სადგომიდან დაბრუნებულმა იაყუბმა საქართველოსაკენ სამცხეზე გალაშქრა, რადგან ყვარყვარე არაერთხელ იყო შენიშნული ცულ საქციელში (მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლაში). იაყუბ ყაენს ამ ლაშქრობაში თან ხლებია აზერბაიჯანისა და დიერბეჭირის რაზმები. იბნ რუზბეჰანის ცნობით თოვლმა და ყინვამ გააძნელა ლაშქრობა. მტერი ქალაქ ახალციხეში დადგა, ეკლესია დაანგრის, განძეული კი გაძარცვეს. თურქმანთა ლაშქარი ახალციხის სიმაგრის გარემოცვას შეუდგა. სპარსელ ისტორიკოსის სიტყვით ეს ციხე მაღალ მთის წვერზეა აღმართული და ძალიან მტკიცეა. ამასთან ერთად ციხის აღების დროს ხანძარი გაჩნდა და ქართველები იძულებული გახდნენ მტერს დამორჩილებოდნენ. ამ ბრძოლას აუარებელი მსხვერპლი მოყვა: ახალციხე მთლიანად გაძარცვეს და დაანგრის, ყიზილბაშებმა აუარებელი ტყვე და სიმდიდრე იგდეს ხელთ და ისე გაეცალნენ მესხეთს.

2. მურჯახეთის ბრძოლა

ამრიგად, 1483 წლის არაღეთის ბრძოლით დამთავრდა სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური გამოყოფა საქართველოდან, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები — ქართლისა და იმერეთის მეფეები ამის შემდეგაც არაერთხელ ცდილან სამცხის კვლავ შემოერთებას და საქართველოსთან შემომტკიცებას. ასეთი იყო XVI ს. 1 ნახევარში მურჯახეთის, ქარაღაქისა და სოხოისტას ბრძოლები.

მურჯახეთის ბრძოლა ერთ-ერთი ეპიზოდი იყო საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ბრძოლების ისტორიიდან, სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთებისათვის. უფრო ადრე ამ მიზნით არა ერთი

33 რ. კ. ი. ნაძე. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, ტ. 11, 1952, გვ. 286.

და ორი ბრძოლა ჩატარებულა, მაგრამ უშედეგოდ: სამცხის მთავრების ფეოდალური პარტიკულარიზმი იმარჯვებდა. ზუსტად 52 წელი გავიდა არაღეთის ბრძოლიდან (13 აგვისტო 1483 წ.) მურჯახეთის ბრძოლამდე, რომელიც მოხდა 1535 წლის 13 აგვისტოს. ორივე ბრძოლის მიზანი ერთი და იგივე იყო — სამცხე-საათაბაგოს შემოერთება საქართველოსთან.

სამცხის მთავარი ყვარყვარე II და მისი მემკვიდრეები პარტიკულარიზმის გზას დაადგინენ, სამცხე-საათაბაგო—საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ციხე-სიმაგრე მოსწყვიტეს საქართველოს. თავიანთი ფეოდალური პარტიკულარიზმის ინტერესების კარნახით ისინი არ მოერიდნენ ორი მტაცებელი მაჰმადიანური ქვეყნის, ირანისა და თურქეთის მოწვევას ქართველ მეფე-მთავართა წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ცნობილია, 1510 წელს ოსმალთა დიდ ლაშქარს მზეჭაბუკი მეგზურობდა იმერეთში გადასვლის დროს. მტერმა ააოხრა და გაძარცვა ქუთაისი და მისი მახლობელი სოფლები, ცეცხლი წაუქიდა და დააქცია ბაგრატიისა და გელათის ტაძრები. სამცხის პატრონის მზეჭაბუკის ოსმალეთთან დაზავება დიდ საფრთხეს უქმნიდა არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოსაც, ამიტომ სამცხის შემომტკიცება სასიცოცხლო აუცილებლობა იყო. საქართველოს მეფე-მთავრები შესაფერის მომენტს ელოდნენ.

მურჯახეთის ბრძოლის დროს მზეჭაბუკი ცოცხალი აღარ იყო³⁴. საათაბაგოს განაგებდა მისი ძმისშვილი ყვარყვარე III. იმდროინდელი დოკუმენტები მას ახასიათებენ როგორც „...მკნესა, ახოვანსა და ქველპირმეტყუფლსა, აგარიანთა მომსრველსა, გულოვანებით სახელგანთქმულსა, მტერთა შემადრწუნებელსა, ქრისტეს ჭეშმარიტისა სჯულისა მტკიცედ მპყრობელსა“³⁵.

ყვარყვარე III თავის წინაპრების პოლიტიკურ ხაზს გაჰყვა: ისიც მიისწრაფოდა პოლიტიკური განცალკევებისაკენ, თუმცა ქართლის კათალიკოსის მტკიცე ღონისძიებების შემდეგ იგი იძულებული გახდა ხელი აეღო მცხეთის ეკლესიიდან სამცხის ეკლესიის გამოყოფის თავისი ბიძის მზეჭაბუკის მიერ წამოწყებულ პოლიტიკაზე. ყვარყვარეს დასასჯელად 1535 წ. „მოიხსენა შური იმერთა მეფე-მან ბაგრატ მზეჭაბუკ

³⁴ მზეჭაბუკი, ბერობაში იაკობი, გარდაიცვალა 1516 წელს.

³⁵ ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 74.

³⁶ თ. კორდანიას აზრით ქართველებს ერთობლივი ლაშქრით 1527 წ. აღლიათ იერუსალიმი და შაჰმადიანებისაგან გაუნთავისუფლებიათ ქართული ეკლესიები („ივერია“, 1893, №12).

ათაბაგისა, რაჟამს (ე. ი. 1510 წ. ს. ხ.) მიჰყვა ოსმალთა იმერეთსა ზედა და კვალად ყვარყვარესიცა, რამეთუ მიჰყვა გიორგი მეფესა იერუსალიმს და არა ბაგრატს³⁶ და კვალადცა იხილა შეეება სამცხისა შაჰისმ-ილისაგან და მოოხრება, ... ამის-თვის ეზრახა დადიან-გურიელსა და აღუთქვა გურიელსა, რომელიცა ეპყრა პირველ სამცხისანი. ესე განიხარა გურიელმან და მიერთო ბაგრატს. ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისა-თვის მოერთო იგიცა ბაგრატს⁴⁰.

დასავლეთ საქართველოს ერთიანი ლაშქარი იმერეთის მეფის ბაგრატის სარდლობით, ფერსათის მთაზე გადმოვლით ახალციხეში ჩამოვიდა, შემდეგ კი ჯავახეთში, ახალქალაქში ავიდა, რათა ყვარყვარე ათაბაგი დაესაჯა: „ამასვე ქრონიკონსა (1535 წ.) მურჯახეთს შეიბნეს; აგვისტოს იგ(ვ) დღესა ხუთშაბათსა, შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე ახალქალაქსა, და დაიკოცნეს მრავალნი კაცი, და გამარჯუა მეფესა, და ჰელთ დარჩა ყუარყუარე და მისი ლაშქარი, და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძმამან ალექსანდრესმან“—ბაგრატ-მა³⁸.

ამ ომისა და ყვარყვარეს დატყვევების ამბავს უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი: „...მიუტყდნენ ყურყუარე ათაბაგსა მურჯახეთს და დახუდა ათაბაგიცა და შეიბნეს და ეწყუნეს ურთიერთას, და იოტნეს ბანაკნი ათაბაგისანი. და მერიქიფეძახ კახაბერის გურიელისამან, ისაკ ართუმელაძემან, ჩამოაგდო ათაბაგი ყუარყუარე, დაიპირა და მოართუა გურიელსა და გურიელმან მოართუა ბაგრატს. მპყრობელსა იმერეთისასა. და დაიპყრო ბაგრატ საათაბაგო³⁹. ამავე ომის შესახებ მოგვითხრობს რამდენიმე ძველი ქრონიკა⁴⁰. ერთ-ერთი ქრონიკა მურჯახეთის ომს „ქრისტიანეთა წაჭდენის“ მიზეზად მიიჩნევს⁴¹.

მურჯახეთის ცნობილი ისტორიული ტრაგედია მართლაც, რომ ქართველობისა და ქრისტიანობის წარხდენის მიზეზად გადაიქცა. ამ ბრძოლაში დატყვევებული ყვარყვარე III-ს შვილი ქაიხოსრო II-და მისი ანალოლები თავიანთი ქვეყნის დამლუბველ გზას დაადგენენ: იმერეთის მეფის ბაგრატისა და ქართლის მეფის ლუარსაბის წინააღმდეგ არაერთხელ მოიპატიყეს ჯერ თურქი დამპყრობლები და შემდეგ ირანელი ყიზილბაშები. „მურჯახეთის ომმა ძმათა შორის სისხლისმღვრელმა შეტაკებამ, რომელიც საპატიო პოლიტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული,

37 ვ ა ბ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, II, 1913, გვ. 243.

38 ახალი ქართლის ცხოვრების, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 497.

39 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 354.

40 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 331.

41 ბ. ი., s-252, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 6—7.

მოწინააღმდეგეთა შუა უფსკრული გააღრმავა და შერიგების გზა დაანშო. სწორედ ამის გამო უწოდებს ერთი თანამედროვე მურჯახეთის ომს „ქრისტიანეთა წარკვლევის მიზეზს“. ამ დამარცხებამ უდიდესი ზიანი მი-
აყენა საათაბაგოს ოდინდელ ძლიერებას. 1535 წლიდან სამცხისათვის ახალი, განსაკუთრებით მძიმე და არა საპატიო პერიოდი იწყება⁴². სამ-
ცხე-სათაბაგოს დამოუკიდებლობა, რომელიც მან ჯერ კიდევ 1451
წელს მოიპოვა, შეწყდა რამდენიმე წლით.

ამ დროს სამი მურჯახეთი იყო: დიდი, შუა და პატარა მურ-
ჯახეთი⁴³, ისინი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ყოფილან. პა-
ტარა მურჯახეთს დილიფის წყალი ჰყოფდა მარცხენა ნაპირ-
ზე დასახლებულ შუა მურჯახეთისაგან. მოსახლეობის სიმჭიდ-
როვეს მოწმობს იმ დროს დიდ მურჯახეთში 4 წისქვილის არსებო-
ბა და ის დიდი გადასახადები, რომელიც ოსმალებმა შეაწერეს დიდ
მურჯახეთს: ის ყოველწლიურად იხდიდა 10.755 ახჩას, პატარა — 2.000,
ხოლო შუა მურჯახეთი — 3.000 ახჩას.⁴⁴ ამ გადასახადებში საყურად-
ღებოა გამოსაღები სელის თესლზე. ამის უტყუარსაყოფად დღემდე ამ
სოფელში შემორჩენილია ზეთის სახდელი. მურჯახეთშივე შემორჩენი-
ლია სამღებრო სახელოსნოს ნარჩენებიც. ამ სოფლის მკვიდრებს მამა-
პაპათა გადმოცემებით, დღემდე ახსოვთ მურჯახეთის 1535 წლის ომის
სამწინელება. მოსახლეობის გადმოცემით მურჯახეთის მიდამოები ომში
დაზოცილთა გავამებით ვავსილა. დაზოცილთა სისხლი ამ სოფელში ჩა-
მომდინარე პატარა მდინარე დილიფის წყალს შეერთებია. თვით სოფ-
ლის მოსახლეობას, ბრძოლის შედეგად, ზარალი განუცდია. მეორე
დღეს მურჯახეთის მეზობელ სოფლების მცხოვრებთა დახმარებით დი-
დი მურჯახეთის (მდინარის მარჯვენა მხარეს) მცხოვრებლებს ომში
დაზოცილთა გვამები დაუმარხავთ, დღესაც ეტყობა, ძველ ნასოფლარ-
თან ერთად, ძველი სასაფლაო, მიწასთან გასწორებულ ეკლესიითურთ.⁴⁵

ეხება რა მურჯახეთის საკითხს, აკად. ს. ჯიქია წერს: მურჯახეთის
„კომლთა რაოდენობის ეს სიმცირე და შუა მურჯახეთის სრული გავე-
რანება, რა თქმა უნდა, შედეგია იმ ისტორიული ძნელბედობისა, რომე-
ლიც ამ კუთხეს დაატყდა თავს. შემდეგში ამ სოფლების დაქვეითება
კიდევ გაგრძელებულა ისე, რომ ჩვენ დრომდე მოაღწია მხოლოდ ერთ-

42 ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, (XV—XVI სს.), გვ. 149—50.

43 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1941, წ. II, გვ. 231—236.

44 ოსმალური ფულის ერთეული (მანეთის 86 კაპიკს უდრის).

45 ზემოთ აღნიშნული გადმოცემა ჩაგვაწერინა სოფ. მურჯახეთის მკვიდრმა 70 წლის მოხტემა ნ. ინსარიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ.

მა სოფელმა — მურჯახეთმა“⁴⁶. დღეს ამ სოფელში 45 კომლი ცხოვრობს, მაგრამ აქედან მარტო 15 კომლია ქართველები (წინწკალაძეები, ინასარიძეები, ბერიძეები, ჩილაძეები), დანარჩენი კი სომხებია. ამ სოფელში არის ისტორიული ძეგლები: ე. წ. „ძიქვა“, ეკლესია, „ძველი ეკლესია გადაუტყვებიათ ალბათ XVIII საუკუნეში... მურჯახელები სიძველეთა მოყვარული ხალხია, მათ იცოდნენ, რომ მურჯახეთი ძველად აწინდელს ზემოთაც, ე. ი. სამხრეთით ყოფილა ახალქალაქის (დილიფის) წყლის ორსავე მხარეს ...ორივე საქმოდ მოზრდილი ნასოფლარია. თვით სოფელში შარშან⁴⁷ ზამთარს აღმოუჩენიათ „დარანა“, ე. ი. მღვიმე, ფრიად ღრმა და განიერი... ეხლა ეს ლეკებისაგან თავდასაცავად გაკეთებულად მიიჩნიათ, მეტად დიდია ლეკიანობის კვალი, რომ ხალხი ივიწყებს უძველეს გადმოცემებს და ლეკიანობას უკავშირებს ყოველივე ახეთს“⁴⁸.

სოფელი მურჯახეთი გარდა თავისი ისტორიული ძეგლებისა, შესანიშნავია თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც. ის სამცხე-საათაბაგოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მოხერხებულად უკავშირდება სამხრეთ საქართველოს დანარჩენ კუთხეებს. სოფლები დიდი, პატარა და შუა მურჯახეთი მდებარეობდა იმ გზების ახლოს, რომლებიც ძველი ჯავახეთის ზეგანს სერავდნენ. აღნიშნული სოფლები ქ. ახალქალაქთან განუყრელ კავშირში იყვნენ. ახალქალაქიდან გზა ერთის მხრივ თრიალეთ-სომხეთის მიმართულებით მიდიოდა, მეორე მხრივ ჩილდირ-ერზერუმის მიმართულებით, მესამე გზით ახალციხე-დასავლეთ საქართველოში შეიძლებოდა ჩასვლა, ხოლო მეოთხე გზა კი, ბაკურიან-ბორჯომის გავლით, შიდა ქართლში ჩადიოდა.

ჯავახეთის გზაჯვარედინზე მდებარე სოფ. მურჯახეთში 1937 წ. ნაწილქვილარში მიწის თხრის დროს ამ სოფლის მცხოვრებმა თ. ვალოიანმა იპოვა თიხის ქილა 355 თურქული ვერცხლის მონეტით სავსე, აღნიშნული მონეტები ძირითადად XVII—XVIII საუკუნეშია მოჭრილი⁴⁹. ამ განძის აღმოჩენა კი იმას ადასტურებს, რომ თურქ-დამპყრობთა ბა-

⁴⁶ ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვალაიეთის ღიდი დავთარი, წ. 111, 1958, გვ. 334—335.

⁴⁷ იკად. 5. ბერძენიშვილი ამ სოფელში ყოფილა 1932 წელს.

⁴⁸ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1, 1964, გვ. 58—59.

⁴⁹ მ. ა ნ თ ა ძ ე, თურქული მონეტების მურჯახეთის განძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVIII, 1969, გვ. 132—133.

ტონობის დროსაც სოფ. მურჯახეთს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

3. ქარაღაქისა და სოხოისტას ბრძოლები

სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთებისათვის ბრძოლების „ციკლს“ მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ ეკუთვნის ქარაღაქისა და სოხოისტას ბრძოლები, მაგრამ ამ ბრძოლებში დიდი პრინციპული ხასიათის ცვლილება შეიმჩნევა მურჯახეთის ბრძოლასთან შედარებით: კონფლიქტში უკვე მონაწილეობს მესამე ძალა—ოსმალები. სამცხე-საათაბაგოს მესვეურებმა გამოიყენეს თურქეთი თავისი სეპარატიზმის დასაცავად: 1543 წელს ათაბაგი ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო და მესხეთის ყველაზე ძლიერი ერისთავი ოთარ შალიკაშვილი თურქეთში გაიქცნენ და სულთანს დახმარება სთხოვეს იმერეთის მეფის ბაგრატის წინააღმდეგ. ამ დროს თურქეთი ირანთან ომში იყო ჩაბმული და სამცხის ლტოლვილებისათვის არ ეცალა. ოსმალეთმა, როცა ირანთან ომში მდგომარეობა შეიმსუბუქა, გადაწყვიტა დახმარება აღმოეჩინა სამცხის ათაბაგოს შემოვიდრისათვის. ამ პერიოდში კი ბაგრატ მეფემ მთლად მოშალა საათაბაგო და კვლავინდებურად იგი საქართველოს სამეფო ტელისუფლებას დაუქვემდებარა. მეფე ბაგრატმა განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრისპირა ციხე-სიმაგრეთა გამაგრებას. „ამისთვის განაჩინნა სულტანი სულეიმან და წარმოატანა მუსტაფა ფაშა სპითა დიდითა და ხარბაზნებითა დიდითა“⁵⁰ მოვიდნენ სამცხეს და გაჩერდნენ ქარაღაქის მიდამოებში. იმერეთის მეფე ბაგრატი მტრის შემოსვლას წინასწარ გრძნობდა და ემზადებოდა მტრის დასახვედრად თურქთა შემოჭრისას თავი იჩინა. ფეოდალურმა სეპარატიზმმა და ლევან დადიანმა უარი უთხრა მეფეს დახმარებაზე⁵¹. მეფე ბაგრატს მიუმართავს გურიის მთავრისათვის, რომელიც სასწრაფოდ დახმარებია და იმერეთ-გურიის შეერთებული ლაშქრით მტერს მომზადებული დახვედრიან. აი რას წერს ახალი ქართლის ცხოვრების შემავსებელ-გამაგრებელი ქარაღაქის ბრძოლის შესახებ: „ქრონიკონსა სლა (231—1543 წ.) ხვანთქრის ფაშეები მივიდეს კბ (22) ათასი და სრულიად ტაო ამოსწყედეს. მოუქდა ბაგრატ მეფე და ეწყყენეს ურთიერთას, იქმნა ბრძოლა ძლიერი. მისცა ღმერთმან გამარჯვება ბაგრატს და იოტნეს ოსმალნი, მოსრნეს მრა-

50 ეახსუტო, საქართველოს ისტორია, II, 1913, გვ. 243.

51 იხ. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის შვილი, ს. ჭან-შია, საქართველოს ისტორია, I ნაწილი, 1950, გვ. 317.

ვალი პირთა მახლისათა. მაშინ მოკლეს თვთ მუსტაფა ფაშა, და სხუანი ივლტოდეს ოსმალნი, და იშოვნეს მრავალნი საგანძურნი, და დაიპყრა მტკიცედ საათაბაგო“ ბაგრატი იმერთა მეფემა⁵².

როგორც ამ ამონაწერიდან ირკვევა, მტერი მუსტაფა ფაშას სარდლობით სამცხეში შემოქრილა, ტაო მთლად აღუხრებია, მაგრამ ქართველებს მტკიცედ, გულდაჭერებით შეუტევიათ და სასტიკად დაუმარცხებიათ ოსმალთა 22.000 კაცი, თვით მათი მთავარსარდალი მუსტაფა ფაშაც ბრძოლის ველზე მოუკლავთ. დამარცხებული ათაბაგის შვილი ქაიხოსრო და მისი მფარველი და ხელის შემწყობი ოთარ შალიკაშვილი ხონთქარს გამოეცხადნენ და მისგან კვლავ დახმარება ითხოვეს.

ქარალაქის ბრძოლის შესახებ ქართული წყაროების გარდა, უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდიან თურქი და სპარსი ისტორიკოსები: იბრაჰიმ ფეჩევი და ჰასან რუმელსი. იბრაჰიმ ფეჩევი წერს: „ამას წინეთ ტახტბედნიერი ფადიშაჰი ჯიუტ არნაბუდთა დასაპყრობად მიემგზავრებოდა; ქართველ არნაბუდთაგან (ჯიუტთაგან.—ს. ხ.) რამდენიმე ათასი წყეული მოულოდნელად დაესხა თავს არზრუმის ბეგლარბეგს მუსა-ფაშას, მოჰკლა იგი და კიდევ ბევრი ისლამის სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირი გაუყენა სამარადისო ბედნიერების (სამოთხის) გზას. ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა ეპოვა შემთხვევა და შური ეძია წყეულებისათვის“⁵³. ქართველებს კერძოდ კი იმერეთის მეფე ბაგრატს, 1536 წლის 4 ივლისს თურქეთთან სასტიკი დამარცხება გაუთვალისწინებია და მტერს მომზადებული დახვედრია. იგი კარგად იყო დარწმუნებული, რომ ოსმალეთში გადახვეწილი ყვარყვარე ათაბაგის შვილი ქაიხოსრო და მისი მომხრე მესხი ფეოდალები ყოველთვის შეეცდებოდნენ მის წინააღმდეგ ოსმალთა ლაშქარი მოეწვიათ.

აღნიშნულ ბრძოლის შესახებ სპარსელი ისტორიკოსი ჰასან რუმელს უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს. იგი წერს: „სულთან სულეიმანმა მუსა ფაშა, რომელიც არზრუმის მმართველი იყო, 60 სანჯაყის ამირათი საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნა. ოსმალები, ბრძანების თანახმად, დიდი ელისაყენ გაემართნენ, მეფე ბაგრატმა, რომელიც ბაშო-აჩუკად არის ცნობილი, ციხე გაამაგრა, აზნაურების ერთი რაზმი შიგნასვა და თვითონ მთას და ტყეში წავიდა. ოსმალებმა ციხეს ალყა შემოარტყეს და ათი დღის შემდეგ აიღეს. იქიდან განწყობილი ჯარით ოლთისში მოვიდნენ და ციხეებს გარს შემოადგნენ. იანიჩარებმა წა-

⁵² ქართლის ცხოვრება, ტ. 11, 1959, გვ. 498.

⁵³ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 26-27.

12. საქ. ფოლ. ხანის. ისტორიის საკითხები.

წამოიწიეს, საბები გამართეს და ევროპული ზარბაზნებით და სხვა იარაღით დაუწყეს ციხის ბრძოლა⁵⁴.

როდესაც მეფე ბაგრატმა ნახა, რომ ოსმალთა ლაშქარი მის ქალებს ბევრად სჭარბობდა, ხერხს მიმართა, იგი ფაშას მოციქულს უგზავნის დიდი საჩუქრებით და სთხოვს: „მე როგორ შემოძლია ხონთქარის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა. თუ ფაშა უკან გაბრუნდება, ციხის კლიტეებს ვისაც მიბრძანებთ, ხმას გადავცემთ. მისი სიტყვებით მოტყუებული ფაშა ოლთისის ციხიდან აიყარა და არზრუმს წაივდა, სანჯაყის ამირთა რაზმი კი თოფხანაში დატოვა, რომ შემდეგ მას გააყოლოდა და არზრუმში მიეტანა (თოფხანა). როცა ბაში აჩუქმა (ბაგრატ მეფემ ს. ხ.) ფაშის უკან გაბრუნების ამბავი გაიგო, სხვა ქართველ სარდლებთან ერთად თოფხანაში დატოვებულ ოსმალებს მოულოდნელად უბედურებასავით თავს დაესხა, (ოსმალებს) ყოველ მხრიდან გარს შემოერტყნენ, ასე, რომ ათასიდან ერთიც არ გადაარჩენილა, ამის შემდეგ ფაშას დაედევნა და მისი ლაშქარიც გაანადგურა. შემდგომ ქართველებმა მრავალი ოსმალი, მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოსმალებთან ერთად დახოცეს, ზოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს“⁵⁵.

სულთან სულეიმანი დიდად განრისხდა, როდესაც თავისი ლაშქრის ასე უსახელოდ დამარცხება შეიტყო; მან საგანგებოდ გასცა ბრძანება დიდი ლაშქრით წასულიყვნენ სამცხეზე, არზრუმისა და დიარბექირის ფაშები, როგორც ეახუშტი ბაგრატიონი წერს: ქარაღაქის ბრძოლის შემდეგ „...ქაიხოსრო და ოთარი (შალიკაშვილი ს. ხ.) ლტოლვილნი წარვიდნენ კვალად სტამბოლს. ამისი მსმენელი სულტანი განრისხა მოწყვეტისათვის სპათა თვისთა და წარმოაგლინა არზრუმისა და დიარბექირის ფაშანი სპითა სუაზს აქათითა და ქაიხოსრო და ოთარი მათ-თანავე“⁵⁶.

არ გასულა ქარაღაქის ბრძოლიდან 2 წელი, რომ ოსმალთა სულთანმა არზრუმისა და დიარბექირის ფაშების სარდლობით, დიდი ლაშქარი გამოაყოლა ყვარყვარე ათაბაგის შვილს ქაიხოსრო II, რათა შტური ექია იმერეთის მეფე ბაგრატზე. მტერი ბასიანში მოვიდა და დაიწყო ამ მხარის აკლება.

იმერეთის მეფე ბაგრატი თავის მხრივ წინასწარ სამზადისს შეუდგა. მოსალოდნელ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მან დასმარება სთხოვა ქართლის მეფე ლუარსაბს. ლუარსაბი მხურვალედ გამოეხმაურა ამ მოწოდებას: „დადიცათუ არვინ ეშუელებოდა უსჯუ-

54 ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 23—24.

55 იქვე, გვ. 24.

56 ეახუშტი, საქართველოს ისტორია, II, 1913, გვ. 244.

ლოთა ზედა, არამედ თვთ რაოდენ ძალ-ედვა არა დაწოგის თავი და წარვიდის და მიეშველის, რამეთუ ეძ-ნე-ბოდა საქართველოსათვის, ვართარცა მამასა შვილთათვის, და შეიყარა სპა თვისი და წარვიდა ბაგრატიანა⁵⁷.

ბაგრატიმა დახმარება სთხოვა გურიელსა და დადიანსაც, გურიელი თავის ლაშქრით დაუგვიანებლად გამოცხადდა მეფე ბაგრატიანს. დადიანმა კვლავ უღალატა და ლაშქრით მიშველებასზე მეფეს უარი შეუთვალა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დადიანი წინასწარ ათაბაგის შვილმა ქაიხოსრომ გააფრთხილა და სთხოვა იმერეთის მეფე ბაგრატს არ დახმარებოდა. შესაძლოა სწორედ ამის შედეგი იყო, რომ როდესაც ბაგრატიმა ლევან დადიანი შეიპყრო და გელათში გამოკეტა, ქაიხოსრო ათაბაგის მოსყიდულმა ზოფილანდრე ჩხეიძემ გააპარა გელათის სამარეკლოში გამოკეტილი ლევან დადიანი და ახალციხეს გადაიყვანა.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიანი ლაშქრისათვის (ოდიშისა და კახეთის გამოკლებით) ეს უკანასკნელი ბრძოლა იყო.

საქართველოს შეერთებული ლაშქარი მტერს ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვარზე, ბასიანში შეხვდა ბრძოლის დაწყების წინ ქართლის ლაშქარს მოუთხოვია მეწინავედ მისვლა ბრძოლაში. ამით მესხები განაწყენებულან და დაეინებით მოუთხოვიათ მეწინავედ მისვლა. მათ განუცხადებიათ: „თუელითგანვე მეწინაობად მისვლა მესხთათჳს განწყენებულ არს და აწცა ჯერს-არს ჩუენდა მისლვაო, და რამეთუ რიგი ესე და წესი ძუელითაგანვე გუაქუსო“⁵⁸.

მესხეთი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და მტრისკენ იყო მიქცეული. ამ მხარეზე უნდა გამოეყო მტერს, რომ საქართველოს შიდა მხარეში შემოჭრილიყო, სწორედ ამიტომ იყვნენ მესხები მოწინავენი. ი. გედევანიშვილი მესხების მეწინავეობას ასე ხსნის:

იმ კუთხის მცხოვრები, სადაც უფრო ხშირად ხდებოდა ბრძოლები ისინი უნდა ყოფილიყვნენ მეწინავედ მიმსვლელნი. „ამ მცხოვრებთ, რა თქმა უნდა, კარგად ჰქონდათ შესწავლილი, შეთვისებული ბრძოლის ასპარეზი, გაცნობილი იყვნენ ადგილობრივ პირობებს, კარგად იცოდნენ ყველა გზები, გადასასვლელი, საფარი და გაშლილი ადგილები, ფონი, ხიდი და ადგილის ყველა თავისებურებანი. რა თქმა უნდა

⁵⁷ ბე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 358.

⁵⁸ ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება II, 1959, გვ. 499.

სწორედ ასეთი ხალხი უნდა ყოფილიყო ნაწილში, რომელიც კარის მსვლელობის დროს წინ მავალი (ავანგარდის) როლს ასრულებდა ბრძოლის დროს, წინ მებრძოლი იყო⁵⁹.

დავით აღმაშენებლის დროიდან შემუშავებული იყო სამხედრო წყობის ბრძოლის ახალი ფორმა. მთელი საქართველოს ლაშქარი ოთხ სადროშოდ ერთიანდებოდა და ბრძოლასაც თავთავის დროს იწყებდა. პირველად ბრძოლას მესხები იწყებდნენ და მეფის სადროშო, ქართლის ლაშქარი ამთავრებდა. მარჯვნივ მომსვლელი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი იყო, ხოლო მარცხნივ ჰერეთ-კახეთის. ყველა სადროშოს თავთავისი რეზერვი ჰყავდა. ეს კარგად ჩანს მესხეთის მეწინავე სადროშოს მავალითიდან: „რამეთუ წინამბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი“, ხოლო სათადარიგო რეზერვი, როგორც ვახუშტი წერს:

„და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხეთისა, რომელნი ეპყრათ“⁶⁰; ასეთი ბრძოლის ხერხი ყოველ ნაწილს უფლებას აძლევდა დამოუკიდებელ, თავისუფლად და გეოგრაფიული მდებარეობისდა მიხედვით ემოქმედათ. აი რას მოგვითხრობს აღნიშნულის შესახებ XVIII საუკუნის სახელოვანი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი:

„ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხეთისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვენე მომსვლელმცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჩიქითურთ; მემარცხენე მომსვლელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა აღმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი ჩოქით სპანი ეპყრნეს მეფესა“⁶¹.

ქართველმა მეფეებმა ბაგრატმა და ლუარსაბმა გაითვალისწინეს რა მტრის რაოდენობა და შეიარაღება, ის რომ ოსმალთა იმ დროინდელი ლაშქარი არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიც კარგად შეიარაღებულ ლაშქრად ითვლებოდა მტერს ბასიანში დახვდნენ, რათა მისთვის საშუალება არ მიეცათ შუა მესხეთში შემოღწევისა, საიდანაც საქართველოში ყველა მიმართულებით გადასვლა შესაძლებელი იყო.

⁵⁹ ი. გედევანიშვილი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში, 1915, გვ. 62.

⁶⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 22.

⁶¹ იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ლაშქარში ერთსულოვნება არ ყოფილა, მტერთან შებმა მაინც გადაუწყვეტიათ. ბრძოლის მთავარ ასპარეზად სოხოისტას ველი გადაქცეულა. ისტორიკოსი ბერი ეგნატა-შვილი ამ ბრძოლას 1545 წლით ათარიღებს⁶². ბრძოლა დილიდან დაწყებული და საღამომდე გაგრძელებულა სოხოისტას ომის შესახებ ყველაზე დაწვრილებით მოგვითხრობს: „ახალი ქართლის ცხოვრების“, მესამე ტექსტის ავტორი. იგი წერს: „ხოლო მოვიდეს ოსმალნი ურაცხუნი ბასიანსა, ...ხოლო უმეტეს ქართველთა არა უსმინეს, და იქმნა ცილობა ურთიერთშორის, და აღეგზნა შური დიდი.

აჰა იხილეთ მსმენელნო, გაბედვა და მკუთეთულობა საქმისა. ვითარ იგი ჰყვეს მაშინ ლომ-გეფხეებრ მკეც-ქმნილთა რჩეულთა მათ სპათა ქართველთა ურჯულოთა მათ ზედა, და მიეტევნის ქართველნი, ვითარცა ელვა ქუხილისა ცისა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და შეიბნეს სოხოისტს ზედა იმერელი მეფე ბაგრატ, და ქართლის მეფე ლუარსაბ, და ათაბაგი პატრონი ქაიხოსრო, და სრულიად საქართველო იყო. და ორი ფაშა იყო, და მეფენი მოეტ იქმნეს“⁶³.

ბრძოლა განსაკუთრებით მაშინ გამწვავებულა, როდესაც მესხებს ბრძოლის ველი მიუტოვებიათ და უკან გაბრუნებულან. „მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება, და აღარა მიჰყვენ ოსმა შინა. ხოლო სცნეს რა განდრეკილება მესხთა, უფროსად განიწირნეს თავნი თვსნი ქართველთა და იმერელთა, და განგრძელდა ომი, და მოისრნეს მრავალნი იმერ და ამერ, და უფროსლა მოსწყადნეს ოსმალნი, ვიდრე ოთხი ზომა მოისრა. მაშინ მოკლეს ჰე გურიელისა ქაიხოსრო და სხუანი მრავალნი ქართველნი და იმერელნი“⁶⁴.

ამ უთანასწორო და საშინელ ომში ქართველების უმეტესობა მტერს შეაკვდა. ღამის სიბნელემ გათიშა მოწინააღმდეგენი. კარბმა ძალამ თავისი გაიტანა, ოსმალებმა იმ ბრძოლაში გაიმარჯვეს. ქართველებმა „ქმნეს სახელი დიდი, და შემუსრეს ყოველივე საომარი საპურველი, და ესრეთ დარჩნენ, რომ საბრძოლველი იარაღი აღარ ჰქონდათ. და იყო ომი ძლიერი დიდიდგან ვიდრე მწუხრამდე“⁶⁵.

1545 წელს სოხოისტას ომის მესხთა პრეტენზია მტერზე „ძველთაგანვე მეწინაობად მისლვა... და რამე თუ რიგი ისე და წესი

62 ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 358.

63 იქვე, 499.

64 იქვე.

65 იქვე, გვ. 499—500.

66 იქვე, გვ. 499.

ძულთაგანვე გუაქუსო“⁶⁶. იყო საბაბი, რათა ომის ქარ-ცეცხლს გამოსცლოდნენ, გადამწყვეტ მომენტში მტრისათვის ზურგი ექციათ, არე-დარევა შეეტანათ ქართველთა ჯარში და ამით ხელი შეეწყოთ მტრისათვის. „მესხთა წინა მისვლისათვის ქართველთა, ადრევეს ზურგი და არა მიჰყვენენ ქართველთა“⁶⁷.

სხვადასხვა მკვლევარს სოხოისტას ბრძოლის ველზე მესხთა ლაშქრის მოქმედება სხვადასხვანაირად ესმით. პროფესორ გ. ტიგაძის აზრით ამ დროინდელი სამცხე-საათაბაგოს მესვეურები თურმე პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს გაერთიანების ინიციატივაზე. თითქოს და მათ უნდა ეკისრათ დაშლილი საქართველოს გაერთიანება. ეხება რა 1545 წლის სოხოისტას ომის ამბავს, პროფ. გ. ტიგაძე წერს: „საქართველოს გაერთიანება თუ აუცილებელი იყო გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ათაბაგის აზრით ეს უნდა მომხდარიყო საათაბაგოს ინიციატივით და არა საქართველოს რომელიმე სხვა ნაწილის მეთაურობით, რადგან ისინი თავიანთ თავს, შედარებით საქართველოს სხვა ფეოდალებთან და მეფეებთანაც კი ძლიერად სთელიდნენ და ამ საქმეში პირველობას ჩემულობდნენ“⁶⁸.

ერთ დროს, X საუკუნეში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო — ტაო-კლარჯეთი მართლაც იყო საქართველოს გაერთიანების მუხაბრატზე და სულის ჩამდგმელიც. შესაძლებელია სამცხის ათაბაგებს XVI საუკუნეში ასეთი იდეა ჰქონდათ, მაგრამ სულ სხვა დრო და სულ სხვა შესაძლებლობა იყო ძველად — X საუკუნეში და სულ სხვა — XVI საუკუნეში.

ტაო-კლარჯეთის მესვეურები გამოდიოდნენ საქართველოს გაერთიანების ინიციატორებად და ამ კეთილშობილურ საქმეს თავიცი მოაბგეს, მათ ერთიანი საქართველო შექმნეს. მაშინ სულ სხვა დრო და სხვა ძალები მოქმედებდნენ ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. საქართველოში იმ დროს ფეოდალიზმი აღმავლობისა და განვითარების გზას ადგა. საქართველოს გაერთიანებისათვის პროგრესული მებრძოლი ძალები ქვეყნის შიგნით ძლიერი და მრავალი იყო. გარდა ამისა, საქართველოს გაერთიანებას ხელს უწყობდა იმდროინდელი საგარეო ვითარებაც. საქართველოს მეზობლად მყოფი მტრული ძალები (არაბები, ბიზანტიელები) დასუსტებული იყვნენ. მათ ქვეყნებს შინა ფეოდალური ომები ღრღნიდა. ქვეყნის შიგნით არეულობა და ფეოდა-

⁶⁷ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 358.

⁶⁸ გ. ტიგაძე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში. „მნათობი“, 1947, № 10, გვ. 131.

ლური ომები მტრულ ძალებს არ აძლევდა საშუალებას, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ხელი შეეშალათ.

XVI საუკუნის საქართველოში ფეოდალიზმი დაჩიხული იყო. საქართველოს ამ დროს შინაფეოდალური ქიშპი და ბრძოლები ასუსტებდა, იგი რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ იქნა დაყოფილი და თვით ცალკეულ სამეფო სამთავროებშიც მტრულად განწყობილი ფეოდალთა დაჯგუფებები ფარულად თუ აშკარად იბრძოდნენ განცალკევებისათვის. გზადანუღლი და ეროვნულ შეგნებას მოკლებულნი, შინაგან ბრძოლაში გამარჯვების მისაღწევად არა მარტო ძმათა შორის სისხლს ღვრიდნენ, ერთი მეორესაც აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ, არამედ თავიანთი მიზნის მისაღწევად გარეშე მტრულ ძალებსაც იწვევდნენ. „მოპატიებულ“ ოსმალებს თუ ყიზილბაშებს ქართველი ფეოდალები ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ, რათა მოწინააღმდეგეზე გაემარჯვათ.

XVI საუკუნისათვის პოლიტიკურად დაქუცმაცებულ საქართველოში ქვეყნის საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა დაქვეითების გზაზე იყო დამდგარი, ხოლო საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნები, ირანი თუ ოსმალეთი, განვითარებისა და აღმავლობის გზაზე იდგნენ. საქართველოსათვის ეს ორივე მტრული ქვეყნები თავისი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების ზენიტზე იდგნენ. XVI საუკუნეში ამ ორივე ქვეყანას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო შეექმნათ და მათი მესვეურები, შაჰები თუ სულთნები, ახერხებდნენ ქვეყნის შიგნით დაქსაქსულ და მტრულად განწყობილ ხანების თუ ფაშების გაერთიანებას.

ყოველივე ამის გამო, ცხადია, XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ მესვეურებს არ შეიძლება ამ რთულ საგარეო და საშინაო ვითარებაში პრეტენზია ჰქონოდათ, დაშლილ-დანაწილებულ საქართველოს გაერთიანების მებაირახტრედ ან ინიციატორად გამოსულიყვნენ. პირიქით ამ მხარის მმართველი ათაბაგები, რომლებმაც ეროვნული გრძნობა დაჰკარგეს, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საქართველოს ერთიანობას გამოთიშოდნენ და ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოეყოთ თავიანთი ქვეყანა; მათ ისიც კი მოახერხეს, რომ სამცხე-საათაბაგო არამარტო პოლიტიკურად მოწყვიტეს საქართველოს, არამედ ეკლესიის ხაზითაც ცალკე დროებით მოწყვიტეს მცხეთის საკათალიკოსოს. ამაზე მეტყველებს მზექაბუჯის მოღვაწეობა (1500—1515 წწ.), ამასვე მეტყველებს სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა არა ერთი ფიცის წიგნი საქართველოს კათალიკოსის სახელზე გაგზავნილი.

ჩვენ საესებით ვიზიარებთ მკვლევარის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მ. სვანიძის თვალსაზრისს ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. პატივცემული მ. სვანიძე ეხება, რა პროფ. გ. ტივაძის მიერ წამოყენებულ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, წერს: „ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად პროფ. გ. ტივაძეს მოაქვს შემდეგი ფაქტები: 1545 წ. სოხოისტას ბრძოლაში ოსმალთა წინააღმდეგ მონაწილეობა და ქართლის, იმერეთის, გურიისა და მესხეთის ლაშქარი..... როგორც ჩანს „მეწინავედ მისვლა“ პროფ. გ. ტივაძეს აფიქრებინა ის, რომ ათაბაგი ჩემულობდა პირველობას გაერთიანებაში. ჩვენი აზრით ეს საბუთი არ გამოდგება გამოთქმული დებულების დასამტკიცებლად. დამოწმებულ ცნობაში საუბარია არა სამცხის ინიციატივით საქართველოს გაერთიანებაზე, არამედ ფეოდალური ლაშქრის საბრძოლო წყობის ტრადიციასზე, რომელიც საქართველოში XI—XV სს. არსებობდა“⁶⁹.

ჩვენ ზემოთ შევხებით სოხოისტას ომთან დაკავშირებით ფეოდალურ საქართველოს ლაშქრის საბრძოლო ხერხებსა და ტრადიციებს, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა შემოიღო.

მკვლევარი აკ. კლიმაშვილი, ეხება რა ქართლისა და კახეთის სადროშოების საკითხს, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მთლიანი საქართველოს ლაშქრის განლაგების შესახებ ბრძოლის დროს. იგი წერს: „...საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში (ე. ი. XI—XV საუკუნეებში) სახელმწიფოს ლაშქარი დაყოფილი ყოფილა 4 სასარდლოდ, ანუ სადროშოდ: მეწინავედ, მემარჯვენედ, მემარცხენედ და მეუკანავედ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეწინავე სადროშოს შეადგენდა სამხრეთ საქართველო, მემარჯვენეს—დასავლეთ საქართველო, მემარცხენეს — ჰერეთ-კახეთი, ხოლო მეუკანავეს, ანუ მეფის სადროშოს—შიდა ქართლის და როქის სპა. საბრძოლო წყობილებაში თითოეული სადროშოს თავისი ფუნქციები ჰქონდა: მეწინავე იწყებდა ბრძოლას, ხოლო მეფის სადროშო ამთავრებდა. ეს ფუნქციები, როგორც ჩანს, იმდენად მტკიცედ ყოფილა განაწილებული, რომ მესხები მაგალითად თავის პრივილეგიად სთვლიდნენ ბრძოლის დაწყებას და არავის უთმობდნენ მას“⁷⁰.

როგორც ცნობილია, სოხოისტას ომში მესხთა ლაშქარი ომის და-

69 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVII სს., 1969 გვ. 63. (სადოქტორო დისერტაცია).

70 აკ. კლიმაშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიიდან, იხ. XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 121.

წყებისასვე ქართველ ლაშქარს გამოეთიშა და მტერს ზურგი აქცია. ეს აშქარა ღალატი იყო. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ საქმეში თვით ქაიხოსრო ათაბაგის ხელიც ერია. გამორიცხული არ არის, რომ მან წინასწარ მესხეთის ლაშქარი შეიპირა, რათა ბრძოლის დაწყების შემდეგ მტრისათვის ზურგი შეექცია. ეტყობა ამ დროს მეფე ლუარსაბის ერთგული და საყრდენი ძალები, ჭავჭავთის დიდი ფეოდალები დიასამიძეები და ავალიშვილები ან არ მონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში, ანდა ჯერ კიდევ ჭაყელთა გვარის მხარეზე იყვნენ და მათ შორის შინაფეოდალურ ბრძოლას თავი არ ეჩინა.

სოხოისტას ბრძოლაში მესხების ჭარის მოქმედება აშქარა ღალატი იყო ქართველობისა და სამშობლოსადმი, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალთა გამარჯვება, მტრის მიერ სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეთა ხელში ჩაგდება, ხოლო რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ამდროინდელი სამცხის მესვეურები პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს გაერთიანების მებაიარახტრობაზე, ეს ვარაუდი უსაფუძვლო ჩანს, რადგან გზაბნეული და სამშობლოდან გადახვეწილ მესხეთის მესვეურებს დაშლილი ქარაფული სამეფო-სამთავროების გაერთიანება-შეკავშირების ინიციატორების არც სურვილი ჰქონდათ და არც საამისო შესაძლებლობა. ამდროინდელი სამცხე-საათაბაგო მეტად დასუსტებული და უძლური იყო, მის მთავრებს ამოქმედებდა განკერძოებისადმი მისწრაფება, რის მისაღწევადაც არ იშურებდნენ არაფერს, ამისათვის ხან ოსმალებს ემორჩილებოდნენ და ეპატიებოდნენ თავის ქვეყანაში, ხან კი ყიზილბაშებს.

არაერთხელ სამცხის ათაბაგებმა, თავიანთი უგუნური, სეპარატიზმის კარნახით, საქართველოს დამარცხებაში ყიზილბაშებსა და ოსმალებს შეუწყვეს ხელი, მაგრამ მათ მაინც ვერ მოურიგდნენ, საქართველოსაგან დამოუკიდებლობის ნაცვლად სამცხე-საათაბაგომ ოსმალთა მონობა მოიმიკო.

1543 წ. ქარაღაქისა და 1545 წ. სოხოისტას ომებში ოსმალებს წინ მოუძღოდნენ მესხეთის პოლიტიკური მესვეურები: ყვარყვარე ათაბაგის მემკვიდრე ქაიხოსრო და მესხეთის დიდი გავლენიანი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი; ისინი მტერს ყოველგვარ დახმარებას უწყევდნენ ოღონდა ქართველი მეფეები დაემარცხებინათ და სამცხე-საათაბაგო კვლავინდებურად ჭაყელთა გვარისათვის დაებრუნებინათ. ქაიხოსრო ჭაყელი ოსმალთა ჭარის შემწეობით ცდილობდა იმერეთის მეფე ბაგრათი გაეძევებინა სამცხე-საათაბაგოდან და ათაბაგობა კვლავ დაებრუნებინა.

სოხოისტას ომში ოსმალთა ლაშქრის გამარჯვების შემდეგ ოსმა-

ლებმა სამცხე-საათაბაგოს უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრეები დაიკავეს. ოთარ შალიკაშვილი იმდენად დააბრმავა ფეოდალურმა სეპერატიზმმა, რომ ოსმალთა ლაშქრის სარდლობას ურჩევს სამცხე-საათაბაგოს ციხეთა დაპყრობას: „ხოლო ურუშნი დადგნენ სამცხეს და დაიპყრეს ციხეები სამცხისა განზრახვითა ოთარ შალიკაშვილისათა, ესრეთ ეტყოდა ოთარი: „უკე თუ დაიპყრობთ სიმაგრეთა სამცხისათა, ესე ქუეყანა მკვიდრად თქვენდა იქმნებისო“⁷¹.

ამრიგად, ეროვნულ გრძნობადაკარგული ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი მტრის სარდლობას ქვეყნის მტკიცედ დაპყრობის გარანტიას სავსებით სწორად ციხე-სიმაგრეთა დაცვებით პპირდებდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „არსად საქართველოში მაჰმადიანობას ფეხი არ მოუყიდა, ვიდრე დამპყრობელმა ქვეყანაში ციხე არ ჩადგა (ასე იყო სამცხე-საათაბაგოს, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, კახეთში, იმერეთში): ციხე, დამპყრობელთა მეციხოვნეებით, იყო საშუალო საუკუნეებში ქვეყნის დაპყრობის ნიშანი და ამ დაპყრობის გარანტიაც, ხოლო გამაჰმადიანება-გადაგვარების პროცესი შეიძლებოდა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დაწყებულიყო“⁷².

ამრიგად, საქართველოს მეფეთა საუკუნოვანი ბრძოლები სამცხე-საათაბაგოს შემოსამტკიცებლად, XVI ს-ის შუა წლებში მარცხით მთავრდებდა. ამ შინა ბრძოლაში ჩარეული მესამე ძალა, ოსმალთა დამპყრობლების სახით, საბოლოოდ წყვეტს საკითხს ფეოდალური პარტიკულარიზმის სასარგებლოდ. სამცხე-საათაბაგო არა მარტო საბოლოოდ ჩამოშორდა საქართველოს, არამედ ოსმალთა გავლენის (ხოლო შემდეგ ბატონობის) ქვეშ ექცევა.

71 ბ ბ რ ი ე ვ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 358.

72 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, 1967, გვ. 122—123.

მ. ზონიკოვილი

ქართველი უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე და
პეტრე დიდი

რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდციეხმეისტერი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი — „იმერეტინსკი“¹ დაიბადა 1674 წელს თბილისში². მამა მისი არჩილი კახტანგ V-ის ძე, რომელსაც ირანის შაჰმა კახეთის სამეფო ტახტი წაართვა, მაშინ ამ ტახტს დაბრუნების გეგმებს აწყოზდა. ალექსანდრეს დაბადებისთანავე არჩილი ახალციხის საფაშოში გადავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. მამის გარდაცვალებისთანავე (1676 წ.) არჩილი ქართლს მოვიდა და აქ თავისი ძმის გიორგის გამეფებას ხელი შეუწყო. 1677 წელს ირანის შაჰმა გიორგი XI ქართლის მეფედ აღიარა.

მომდევნო წელს თავადების ერთმა ჯგუფმა არჩილი კვლავ იმერეთის მეფედ დასვა³. იმერეთი თურქეთის ვასალური ქვეყანა იყო. თურქეთის ხელდებულ ქვეყანაში ირანის ქვეშევრდომის გამეფებას შეიქმნებოდა ირან-თურქეთის ურთიერთობის გართულება მოყოლოდა. ამიტომ შაჰმა ქართლის მეფეს გიორგის არჩილის იმერეთიდან გაძევება მოსთხოვა.

ქართლის მეფემ შაჰის ულტიმატუმი არჩილს აცნობა, უკანასკნელმა თურქთა ლაშქართან შებრძოლებისას პირველი დამარცხებისთანავე დასტოვა იმერეთი და დეაღეთში გადავიდა. 1680 წელს არ-

¹ „იმერეტინსკებად“ ან „ცარევიჩ იმერეტინსკი“-ებად იწოდებოდნენ XVII საუკუნის მიწურულსა და უფრო კი გვიან ხანში (XIX საუკუნის დამდეგიდან) იმერეთიდან რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები; აღმოსავლეთ საქართველოდან რუსეთში გადასულები კი — „გრუზინსკი“-ებად.

² Хмыров М. Д., Главные начальники русской артиллерии — Первый генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский. — Артиллерийский журн., 1856, № 1, стр. 31.

³ პირველად იგი იმერეთის მეფედ 1661 წელს დასვეს.

ჩილმა რუსეთის მეფეს — თევდორე ალექსის ძეს ელჩების ხელით წერილი გაუგზავნა, რომლითაც იმერეთში ხანმოკლე გამეფებასთან დაკავშირებულ ამბებს აცნობებდა და ბოლოს სთხოვდა მოსკოვში მიღების და თავშესაფარს, არჩილი ითხოვდა თერგზში ლაშქრის გამოგზავნასაც, ამ ლაშქარს იგი რუსეთში მშვიდობით უნდა ჩაეყვანა⁴.

აღნიშნულ წელსვე არჩილმა რუსეთის საკრებულოს მდივანსაც თითქმის იმავე შინაარსის წერილი გაუგზავნა, სადაც ითხოვდა შუამდგომლობას მეფე თევდორე ალექსის ძის წინაშე, რათა უკანასკნელს მისთვის მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლაზე ნება დაერთო⁵.

1682 წლის 1 სექტემბერს არჩილი თავისი ოჯახითა და თანმხლები პირებით ჩავიდა ასტრახანში, სადაც მეფურად მიიღეს. ასტრახანში არჩილი 1683 წლის მაისამდე დარჩა.

ხსენებულ წლის 20 აპრილს არჩილმა იოანე და პეტრე ალექსის ქეებისაგან მიიღო სიგელი, რის საფუძველზედაც მას რუსეთის ქვეშევრდომობა და თერგზე დასახლების ნებართვა მისცეს: „გიბრძანეთ და მივიჩინეთ შენ, იცხოვრო შენი სახლობით ქალაქ თერგში, გაგიჩინეთ ჯამაგირი და საზრდოო“⁶.

სიგელმა, ერთი მხრივ, არჩილი ძალიან გაახარა, აუსრულდა წადილი; მეორე მხრივ, მან რუსეთის ქვეშევრდომობა კი მიიღო, მაგრამ იგი მოსკოვში ცხოვრებას ითხოვდა და არა თერგში დასახლებას, არჩილი ცოტა არ იყოს განაწყენდა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა მეფემ უარი შემოუთვალა მოსკოვში ცხოვრებაზე.

არჩილი დაუყოვნებლივ მოითხოვდა მოსკოვში გადასვლას თავისი ოჯახითურთ. მან 1683 წელს კვლავ გაუგზავნა თხოვნა იოანე და პეტრე ალექსის ძეებს: — „...ერთი ცოდვილი კაცი ვარ, მე რომ ასე მოვკვდე, მაგათი (იოანე და პეტრე ალექსის ძეები-მ. გ.) ხილვა არ მეღირსოს, ამ საბრალო ჩემს შვილებს ვინდა შემოგაბრალებთ“⁷.

ამ წერილის საპასუხოდ 1684 წელს რუსეთის ხელმწიფეთა გადაწყვეტილებით მეფე არჩილი, მისი მეუღლე, ქალიშვილი და 6 წლის ბატონიშვილი დავითი მდივან ა. პოკრიშკინს საბოლოოდ თერგზე უნ-

⁴ М. Броссе, Переписка грузинских царей с российскими государями с 1639 г. — по 1770 г., СПб, 1861, 106—107.

⁵ იქვე, გვ. 108—109.

⁶ Полное собрание законов Российской империи с 1649 г., т. II, (1676—1688), изд. 1830, стр. 517—518, ст. 1006.

⁷ М. Броссе, დასახლებული ნაშრომი, გვ. 115.—მეფე არჩილის სიგელი იოანე და პეტრე ალექსის ძეებისადმი, 18 მაისი 1683.

და დაესახლებინა. უფროსი ვაჟი, 10 წლის ალექსანდრე და 8 წლის მამუკა თავად ვოლკონსკის მოსკოვში უნდა გადაეყვანა.

არჩილმა თავისი ამალიდან რამდენიმე თანმხლები გამოყო, მათ არჩილის ვაჟები მოსკოვამდე უნდა გაეცილებინათ. 1684 წლის 28 აპრილს ძმები თანხმლები პირებით ასტრახანიდან გავიდნენ, 4 ივნისს სიმბირსკში იყვნენ. 12 ივნისს სიმბირსკიდან დაიძრნენ და 6 აგვისტოს მოსკოვს მიუახლოვდნენ. აქ ვოლკონსკის გადასცეს ხელმწიფის სიგელი. სიგელში ნაბრძანები იყო, არჩილის შვილები მოეთავსებინათ მოსკოვში, პოკროვკაზე, დიდვაჟარ ნიკოლაევის კუთვნილ სასახლეში; რუს ხელმწიფეთა ერთ-ერთი დარბაზობის დროს ქართველმა ბატონი-შვილებმა სათხოვარი მიართვეს ახალგაზრდა მეფეებს. ალექსანდრე არჩილის ძე მოეწონა პეტრე ალექსის ძეს. მალე დამეგობრდნენ ისინი და ერთად მონაწილეობდნენ სამხედრო თამაშ-გართობებში პრეობრაჟენსკოვში⁸. მოსკოვში ქართველი უფლისწული სამეფო კარზე იზრდებოდა.

ალექსანდრეს ფართო შუბლი, მკვეთრად მოხაზული ნიკაპი, განაერი მხარბეკი ჰქონდა, ხუჭუჭა, მუქი წაბლისფერი თმის კულულები მხრებამდე სცემდა. პეტრესთან შედარებით ალექსანდრე სუსტი იყო, მაგრამ უფრო ახოვანი, მოხდენილი და ფიცხი⁹.

1685 წელს არჩილმა მოსკოვში ცხოვრების ნებართვის ასაღებად თავად ვ. გოლიცინთან თავადი ბეჟანი და თავადი ნოდარი გააგზავნა. მათ მოსკოვში ჩასვლას სასურველი შედეგი მოჰყვა: მეფე არჩილს მოსკოვში ცხოვრების ნებართვა მისცეს.

1685 წლის 14 დეკემბერს მეფე არჩილი მოსკოვში ჩავიდა. იგი დიდი პატივით მიიღეს და ბრწყინვალედ გაუმასპინძლდნენ¹⁰.

მოსკოვში არჩილმა ორწელიწადნახევარი გაატარა. ამ დროის განმავლობაში მას მუდმივი კავშირი ჰქონდა თავის ძმასთან — ქართლის მეფე გიორგი მეფერთმეტესთან, საქართველოს კათალიკოს—პატრიარქ ნიკოლაოზთან და თავის ერთგულ კახეთისა და იმერეთის თავადაზნაურობებთან¹¹.

არჩილი რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ დახმარების გაწევისათვის იღწვოდა. ამ მიზნის განსახორციელებლად მან გადაწყვიტა დაახლოებოდა ხელისუფლების სათავეში მდგარ პირებს: განსაკუთრე-

⁸ ვლ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 179.

⁹ იქვე.

¹⁰ არჩილიანი, ტომი II. გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937, გვ. IX.

¹¹ ვლ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

ბით დიდ იმედებს ამყარებდა იგი რუსეთის პატრიარქ იოაკიმზე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის ყველა სახელმწიფო მოღვაწეზე. ამ უკანასკნელთან საქმის მოგვარებას არჩილი საქართველოს პატრიარქის ნიკოლაოზის მეშვეობით ცდილობდა¹². ნიკოლაოზმა ქართლის მეფის გიორგი XI-ის დავალებით სრულიად რუსეთის პატრიარქს იოაკიმს მოსკოვში წერილი გაუგზავნა.

ეს წერილი პატრიარქ იოაკიმს ჩამოუტანა არქიმანდრიტმა ლავრენტიმ 1687 წლის 15 ივლისს. პატრიარქი ნიკოლაოზი სრულიად რუსეთის კათალიკოსს იოაკიმს აცნობდა საქართველოს მდგომარეობას და სთხოვდა, არჩილისათვის უარი არ ეთქვა დახმარებაზე.

არქიმანდრიტმა არჩილს გადასცა ქართლის მეფის გიორგის წადილი, გიორგი XI-ს სურდა არჩილი საქართველოში დაბრუნებულიყო და მუსულმანების წინააღმდეგ შეთანხმებული ძალით ებრძოლათ¹³.

არჩილი თანახმა იყო საქართველოში დაბრუნებაზე; მან რუსეთის მთავრობას ფინანსური დახმარება და ჯარი სთხოვა. ამ ჯარს შხარი უნდა დაეჭირა მისთვის, როცა იგი იმერეთის ტახტის დასაბრუნებლად ბრძოლაში ჩაებმეოდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ არჩილს სამგზავრო ხარჯების გარდა 5000 მანეთი მისცეს, სამხედრო შენაერთის საქართველოში გამოგზავნაზე კი უარი განუცხადეს¹⁴.

არჩილმა გადაწყვიტა ალექსანდრე და მამუკა საქართველოში წამოეყვანა. წარსდგა ხელმწიფის წინაშე თხოვნით: გაეთავისუფლებინათ მისი ვაჟები ღრობით, რათა მათი დახმარებით დაებრუნებინა სამეფო ტახტი.

არჩილის თხოვნა ხელმწიფემ შეიწყნარა. 30 ივნისს „მას და მის შვილებს მაშინდელი კარის დიპლომატიური ეტიკეტის ყველა წესის დაცვით, გაუმართეს საილღუმო აღდიენცია, რომელზედაც იმერეთის მეფეს არჩილს და მის შვილებს ალექსანდრესა და მამუკას სხენებულნი ფულადი დახმარების გარდა სამეფო წყალობა უბოძეს: ოქროს ქსოვილი ხიდთანები სიასამურით გაწყობილი, თასები, ფარჩეულობა, ჰავერდები და ატლასები, ქამხები და ფული სამეფო ხაზინიდან. ამის შემდეგ დიდმა ხელმწიფემ არჩილ მეფე შვილებით ხელზე სამთხვევად მიიხმო და ნება დართო საქართველოში წასულიყვნენ. აღდიენციის შემდეგ მალე არჩილი თავისი შვილებითურთ 1688 წლის 30

¹² М. Броссе. დასახ. ნაშრომი, გვ. 126; Письмо каталикоса Николая к Российскому Патриарху у. Исакиму, 1687 г., 15 июля.

¹³ არჩილიანი, ტ. II, გვ. IX.

¹⁴ იქვე.

ინისს მოსკოვიდან გავიდა გემით. მას აცილებდა სუფრაჯი თავადი ე. დაშკოვი, ე. ტიტოვი და მღვიმის მაგიერი, ასტრახანელი ვადამწერი ივ. სალტანოვი¹⁵.

საქართველოში ჩამოსულ მამა-შვილთ ზიფათი ელოდათ: ქართლის სამეფო ტახტიდან გადაყენებული არჩილის ძმის — გიორგი XI-ის მაგიერ შაჰმა რუსეთში გაზრდილი, იმეამად კი შაჰის კარზე ბედის მაძიებელი არჩილის ცოლის ძმა, ერეკლე I ვაამეფა 1688 წელს.

ერეკლე I-ს, რა თქმა უნდა, შეეშინდა მოსკოვიდან ჩამოსული სიძისა და დისწულებისა. ფიქრობდა, სამეფო ტახტს შემეცილებიანო. ერეკლე I-ის შიში მთლად უსაფუძვლო არ იყო, ვინაიდან შესაძლებელი იყო არჩილს ქართლის სამეფო ტახტიდან შაჰის მიერ გადაყენებული თავისი ძმისთვის დაკარგული ტახტის დაბრუნება ეცადა. ამიტომ ერეკლემ არჩილისა და მისი შვილების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა.

ახლად ჩამოსული მამა-შვილნი ზარამავში შეჩერდნენ. მათ შესაპყრობად ერეკლემ შეიარაღებული რაზმით მდივანბეგი გააგზავნა. მდივანბეგმა ვერ შეასრულა დაკისრებული დავალება. ბატონიშვილებმა დიგორიაში გადასვლა მოასწარეს¹⁶. თვით არჩილი იმერეთიდან თერგში გადასვლის დროს გზაში შეიპყრეს, გაძარცვეს, ყაბარდოს მფლობელმა ყიღჩიყო-მირზამ კინადამ შაჰს გადასცა. არჩილმა მთებს შეაფარა თავი. მის გადასაყვანად თერგში ასტრახანიდან რუსთა შეიარაღებული რაზმი გაიგზავნა¹⁷.

ყოველმხრივ დახმარებას მოკლებულმა არჩილმა საჩქაროდ გადაწყვიტა შვილები კვლავ მოსკოვში გაეგზავნა. როგორც მეფე არჩილის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, ალექსანდრე და მამუკა აღნიშნულ 1690 წლის 6 მაისს მოსკოვის გზას დაადგნენ¹⁸. ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში იმედგაცრუებული არჩილი კი 1699 წელს მოსკოვში გადასახლდა. თან წაიყვანა თავისი ოჯახი: მეუღლე ქეთევანი და მასთან დარჩენილი ორი შვილი—დავითი და დარეჯანი.

ალექსანდრე ბატონიშვილსა და პეტრე დიდს შორის კვლავ აღსდგა მეგობრული ურთიერთობა. ალექსანდრე იმდენად დაახლოებული

¹⁵ Дворцов ъ разр., стр. 386—388, М. Д. Хмыров, д.с.с.б. ნაშრომი, გვ. 36—37.

¹⁶ ვ ა ს უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. თბ., 1913, გვ. 93. იბ. გ. თოვოშვილი, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს. გვ. 113—114.

¹⁷ Акты исторические, Изд. 1842, т. V, № 227.

¹⁸ М. Броссе დ.ს.ს.ბ. ნაშრომი, გვ. 129. Грамота царя Арчила к царям и царевне Софии, 1690, 6 мая.

იყო პეტრე ალექსის ძესთან, რომ 1694 წლის 26 იანვარს — პეტრეს დედის ნატალია კირილეს ასულის დაკრძალვისას, სამგლოვიარო პროცესიაზე უშუალოდ მეფე ივანე ალექსის ძის გვერდით მიაბიჯებდა¹⁹.

1695—1696 წლებში ალექსანდრეს საქმიანობის შესახებ ისტორიული წყაროები და სათანადო ლიტერატურა სდუმს. არ ჩანს მისი მონაწილეობა ხსენებული წლების არც ერთ სამხედრო მანევრსა და ექსპედიციაში; ალექსანდრე ამ პერიოდში მეორედ დაქორწინდა გლოკერია ილია (ელიზბარ) დავითაშვილის ასულზე²⁰.

ალექსანდრე არჩილის ძე მოხსენებულია 1697 წელს ევროპაში პეტრე I-ის მიერ საგანგებოდ მოწყობილ „დიდი ელჩობის“ წევრთა სიაში. ქართველი ბატონიშვილის გვარი რუსეთის სხვა გამოჩენილ პირებს შორისაა დასახელებული.

საელჩო ამალა შედგებოდა 250 სხვადასხვა რიგის მოხელისაგან. მთელი ელჩობა დაყოფილი იყო ათეულებად. ერთ ათეულს თვით მეფე ედგა სათავეში. მხოლოდ ახლა იგი ათისთავ პეტრე „მიხაილოვად“ იწოდებოდა. მეფის სურვილით საელჩო ამალას შეემატენ მეფის ლაღას შვილი თავადი ალ. გოლიცინი, ივანე მიხეილის ძე და ალექსანდრე იმერეტინსკი სამი პირადი მხლებლით.

ბატონიშვილი ალექსანდრე მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, რათა თავისი თვალით ენახა ევროპული ცივილიზაცია, რომლის რუსულ ნიადაგზე დანერგვასაც ცდილობდა პეტრე დიდი²¹.

22 მარტს დიდი ელჩობის წარმომადგენლები ფსკოვში ჩაეიდნენ, 25 მარტს შეედეთის ქალაქ ნიუჰაუზენში იყვნენ, 31 მარტს კი რიგას მიაღწენ.

მიტავაში პეტრე დიდმა 22 აპრილს დატოვა თანმხლებთა ნაწილი და ლიბავისაკენ წავიდა ლიბავაში 25 აპრილს ჩაეიდნენ. პეტრე მკირეირიცხოვანი მხლებლებით სავაქრო გემ „წმინდა გიორგით“ გაემგზავრა კენიგსბერგისაკენ, დანარჩენებს კი კენიგსბერგში ხმელეთით წასვლა უბრძანა.

პეტრე დიდმა კენიგსბერგში მდინარე პრეგელის სანაპიროსთან ორი სახლი იქირავა და დაუწყო ლოდინი „დიდი ელჩობის“ ძირითად შემადგენლობას. პეტრე ძალიან დაინტერესდა საარტილერიო საქმიან და ვაკეეთილების მიღება დაიწყო პრუსიის ციხე-სიმაგრეების მთავარ ინჟინერ-პოლპოლკოვნიკ შტეიტნერ-ფონ-შტერნფელდისაგან. ამ გა-

¹⁹ Дворцовые разряды, 1855, т. IV, стр. 855.

²⁰ პირველად 18 წლის ალექსანდრე არჩილის ძე 1691 წელს დაქორწინდა ბოიარ ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკის ქალიშვილზე.

²¹ М. Д. Хмыров, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 40.

კვეთილებს ესწრებოდა ალექსანდრე არჩილის ძეც. ქართველი ბატონიშვილი ისე ინტერესით მოეკიდა საარტილერიო საქმეს, რომ პეტრე დიდმა იგი საარტილერიო კურსებზე გაგზავნა ჰააგაში.

1 აგვისტოს პეტრემ ქ. ლიუნენში დატოვა „დიდი ელჩობის“ ძირითადი ნაწილი და მეორე დღეს 18 ვოლონტერთან ერთად, რომელთა შორის ალექსანდრე არჩილის ძეც იყო, ამსტერდამისაკენ წავიდა.

პეტრე დიდი და ალექსანდრე მთელი კვირა მუშაობდნენ სარდამში ლისტა როგეს ნავსაშენში. აქ მათ პირველად მოუხდათ თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განეხორციელებინათ. პეტრე და ალექსანდრე არც ჩაცმულობით და არც საქმიანობით არ გამოირჩეოდნენ ხავსაშენის მუშებისაგან.

პეტრე აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ალექსანდრე არჩილის ძემ გაიცნო საფლოტო ტერმინები, პირადად შეისწავლა პატარა კატარდის მართვა²² და ხელი მიჰყო საჭირო წიგნების რუსულიდან ქართულად თარგმნას²³.

15 აგვისტოს მათ სარდამი დატოვეს და ამსტერდამში გადავიდნენ, სადაც „დიდი ელჩობის“ შემადგენლობაში კვლავ თავი მოიყარა.

22 აგვისტოს პეტრე დიდი და მისი თანამგზავრები მიწვეული იყვნენ სპეციალურად მათ გასართობად მოწყობილი საჩვენებელი საზღვაო „ბრძოლის“ სანახავად. ეს სანახაობა ალექსანდრე არჩილის ძეს არ უნახავს, რადგან იგი „ჰააგაში წავიდა საარტილერიო საქმის შესასწავლად“, სწერდა პეტრე დიდი 31 აგვისტოს თავად რომოდანოვსკის²⁴.

ალექსანდრე არჩილის ძე დიდი მონდომებით და სიყვარულით დაეწაფა საარტილერიო საქმის შესწავლას. ვინ იყო ალექსანდრე არჩილის ძის საარტილერიო საქმის მასწავლებელი ჰააგაში, არაა ცნო-

²² М. Д. Хворов, დასახ. ნაშრომი.

²³ ალექსანდრე ბატონიშვილმა თარგმნა რუსული ენიდან:

ა) საარტილერიო წიგნი.

ბ) „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“.

გ) სვიმეონ პოლოცკელის „სიტყუაჲ მიცვალებისათჳს ღმრთის მშობელისა“.

დ) „სიტყუაჲ დღესა ყოვლად წმიდისა ტაძრად მიუვანებისასა“.

ე) მეფის კურთხევის წესი.

ვ) ტესტამენტი.

ზ) „ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულსაგან“. იხ. ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან, ჟურნ. „მაცნე“, №2, 1965, გვ. 164—165.

²⁴ Устрялов, Н. И., История Ц.П.В. т. III, прилож. № 1, СПб., 1858, стр. 426.

13. საქ. ფეოლ. ხანის ისტორიის საკითხები.

ბილი. შესაძლებელია, მისი მასწავლებელი იოჰან გოშკე ყოფილიყო²⁵. გოშკე 1699 წელს რუსეთში მოიწვიეს. რუსეთის არტილერიის პოლკოვნიკის ჩინის მქონე გოშკე 1706 წელს გარდაიცვალა.

თეორიული ცოდნის დაუფლებასთან ერთად ალექსანდრე არჩილის ძე პრაქტიკულად სწავლობდა საარტილერიო საქმეს. ხშირად ათვალიერებდა საარტილერიო პარკს ჰააგაში, იყო მეხელნეშიც, სადაც ინახებოდა თითქმის ყველა დროის სხვადასხვა სახის ზარბაზნები²⁶.

ალექსანდრე ჰააგაში საარტილერიო საქმეს 1699 წლამდე სწავლობდა. იქიდან იგი მამის სანახავად პირდაპირ თერგზე წავიდა. შემდეგ კი მოსკოვს დაბრუნდა.

1700 წლის 19 მაისს პეტრე დიდმა ალექსანდრე არჩილის ძე რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდციეხმეისტერად დანიშნა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „რაც კი საქვემეხო პრიკაზში გასაკეთებელი იყოს, ყველა საქმიანობა განაგოს არტილერიის გენერალმა, ბატონი-შვილმა ალექსანდრე არჩილის ძემ“²⁷.

რუსეთის არმიის რეგულარული არტილერია ახალი ჩამოყალიბებული იყო. იგი შეიქმნა 1695 წელს, როდესაც პრეობრაჟენსკის პოლკთან ჩამოყალიბდა ბომბარდირთა როტა, რომლის კაპიტანი თვით პეტრე დიდი იყო. 1700 წელს რუსეთის არტილერიაში პირველად იქნა შემოღებული გენერალ-ფელდციეხმეისტერის წოდება და თანამდებობაც. ამ თანამდებობაზე პირველად დაინიშნა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი²⁸.

აღნიშნულ წელს ალექსანდრე ჰააგიდან უკვე დაბრუნებული იყო და მოსკოვს იმყოფებოდა²⁹. აქვე იყო იმერეთიდან გამოძევებული მისი მამა მეფე არჩილიც. მამა-შვილს პეტრე დიდის ბრძანებით სასახლის მამულებიდან გამოეყო ნიეგოროდის მაზრაში ტერიუშევის, ბელგოროდისა და ლისკოვის თემები; სულ 3284 კომლი; 20464 ჩეტ-

²⁵ Хмыров М. Д., О. Гошке, Арт. журнал, 1865, № 10.

²⁶ იქვე.

²⁷ Хмыров М. Д. დასახ. ნაშრომი, გვ. 48, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ 1853 წელს გამოცემულ სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონის IV ტომში შეცდომითაა აღნიშნული ალექსანდრე არჩილის ძის ამ თანამდებობაზე დანიშვნის თარიღად—1699 წლის 11 მაისი.

²⁸ ალექსანდრე არჩილის ძეს ტყვეობაში ყოფნისას (1700—1711) არტილერიის ხელმძღვანელის როლს, გენერალ-ფელდციეხმეისტერის წოდების ვარგზე, ასრულებდა ანდრია ანდრიაის ძე ვინიუსი, შემდეგ გენერალი იაკობ ფლიმონის ძე ბრიუსი, რომელსაც გენერალ-ფელდციეხმეისტერის წოდება პეტრე დიდმა მხოლოდ ალექსანდრე არჩილის ძის გარდაცვალების შემდეგ—1711 წელს მიანიჭა.

²⁹ იგი ჰააგიდან 1699 წელს წამოვიდა.

ვერტი სახნავ-სათესი, 41715 ჰექტერტი სათიბი და 3996 მანეთი ყოველწლიური შემოსავალი³⁰.

როდესაც ალექსანდრე არჩილის ძე არტილერიის უფროსად დანიშნეს, რუსეთის არტილერია ძლიერ ჩამორჩენილი იყო. მაშინ რუსეთის არტილერიაში მსახურობდნენ საქმის უცოდინარი პირები. ჰქონდათ მხოლოდ დაძველებული და უვარგისი ზარბაზნები³¹.

დღის წესრიგში კი მორიგ საკითხად შვედებთან ომი იდგა.

პეტრე დიდი შეუდგა ომისათვის მზადებას³². მისი მარჯვენა ხელი ამ საქმეში ალექსანდრე არჩილის ძე იყო. იგი ემსახურებოდა რუსეთს არა იმ 1400 მანეთისათვის, რომელსაც იგი წლიურად იღებდა, როგორც გენერალ-ფელდციხმეისტერი, არამედ იმიტომ, რომ იცოდა—მისი მშობლიური საქართველოსთვის რუსეთის დახმარება აუცილებელი იყო.

ალექსანდრე არჩილის ძე გენერალ-ფელდციხმეისტერის თანამდებობაზე მხოლოდ 6 თვეს მოღვაწეობდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან ვერ მოასწრო რაიმე სერიოზული რეორგანიზაციის მოხდენა ჩამორჩენილ საარტილერიო საქმეში.

1700 წლის 19 აგვისტოს პეტრე დიდმა ომი გამოუცხადა შვეციას. საომარი მოქმედება დაიწყო დანიამაც. დანიის ჯარმა შეტევა დაიწყო შვეციის მოკავშირე პოლშტაინის საჰერცოგოს წინააღმდეგ. დანიის ჯარები შევიდნენ ლიფლიანდიაში და ალყა შემოარტყეს რიგას.

რუსეთის ჯარი თავს იყრიდა ნარვასთან. პოლონეთიც, პეტრე დიდთან მოლაპარაკების თანახმად, შვეციის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, პოლონეთს უნდოდა შვედების მიერ მიტაცებული ტერიტორია დაებრუნებინა. ერთი შეხედვით შვედების წინააღმდეგ თითქოსდა საკმაოდ ძლიერი და მყარი კავშირი იყო შეკრული.

შვეციის ახალგაზრდა მეფემ — კარლოს XII-მ თვითონ წაიყვანა ჯარი დანიის წინააღმდეგ, დაამარცხა დანიის ჯარი, გადავიდა საზღვარზე და კოპენჰაგენს მიაღდა. კოპენჰაგენის დაბომბვა განიზრახა არა მარტო შვეციის, არამედ პოლანდიისა და ინგლისის ფლოტმაც. დანიის მეფემ უარი განაცხადა შვეციის წინააღმდეგ შეკრულ კავშირზე და იმავე 1700 წლის აგვისტოში, ტრავენდალის შეთანხმება დადო შვეციასთან. ამ ხელშეკრულებით დანია გამოვიდა შვეციის საწინააღმდე-

³⁰ Устрялов, Н. И., История царствования Петра Великого, т. I, прилож. № XII, ведомость о раздаточных селах в деревнях из дворцовых волостей, СПб., 1858, стр. 397.

³¹ М. Д. Хмыров, Ласახ. ნაშრომი, გვ. 47.

³² იქვე.

გო კოალიციიდან. ფრიდრიხ III-მ არ შეასრულა პეტრე დიდთან სიტყვიერად დადებული შეთანხმება, პრუსია არ ჩაება შვეციის წინააღმდეგ ომში.

შვეციის სწრაფმა გამარჯვებამ დანიაზე კარლოს XII-ს საშუალება მისცა მთელი ძალები რუსეთის წინააღმდეგ მიემართა.

პეტრე დიდმა მობილიზაცია გამოაცხადა. ნოვგოროდის გუბერნატორს ბრიუსს ებრძანა ჯარებისათვის თავი მოეყარა, შეძლებისდაგვარად საბრძოლველად მოემზადებინა და შვეციის საზღვრებისაკენ გადაეყვანა.

საარტილერიო ნაწილების გამოყვანა ნარვისაკენ სხვადასხვა ქაღაჭებიდან სხვადასხვა დროს დაიწყო. ამან თავიდანვე არევე-დარევა გამოიწვია საბრძოლო მზადებაში. ალექსანდრე არჩილის ძის საერთო ხელმძღვანელობით საარტილერიო ნაწილები ნარვისაკენ დაიძრნენ მოსკოვიდან, ნოვგოროდიდან და ფსკოვიდან. არტილერიამ ერთდროულად ვერ მოიყარა თავი დანიშნულ ადგილას, ამას მალე დიდი უარყოფითი შედეგი მოჰყვა.

ალექსანდრე არჩილის ძე დიდი მონდომებით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მისი უშუალო თაოსნობით ივლისში დამზადებულ იქნა 60.000 ყუმბარა. ალექსანდრე არჩილის ძემ შეათირა მოსკოვის საარტილერიო შენაერთი³³ და მოსკოვიდან 8 სექტემბერს დაიძრა ნარვისაკენ.

უხეირო გზების გამო არტილერია ნელა მიიწევდა წინ. ა. გოლოვინის მიერ პეტრესადმი გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა მოსკოვის არტილერიით 24 სექტემბერს მიიღწია ნოვგოროდს, სადაც შეიერთა ნოვგოროდის საარტილერიო შენაერთი³⁴. ალექსანდრე არჩილის ძემ გზა განაგრძო და 11 ოქტომბერს ნარვასთან შეჩერდა. აქ მას შეუერთდა ფსკოვის არტილერია³⁵.

სამი საარტილერიო შენაერთის: მოსკოვის, ნოვგოროდისა და ფსკოვის შენაერთებში 129 ზარბაზანი და მოკლელუღიანი ქვემეხი, 60000 ყუმბარა და 5000 ფუთი საზარბაზნე დენთი იყო.

არტილერიის დაგვიანება მარტო გზების უვარგისობის და მანძილის სიდიდის ბრალი არ იყო. სწრაფ გადაადგილებას ხელს უშლიდა თვით ზარბაზნები. ძველთაძველ ზარბაზნებს ემტვრეოდათ ბორბლები, ნაწილები. ხშირად მთლიანად იმტვრეოდა ზარბაზანი.

³³ Устрялов Н. И., История царствования Петра Великого, т. IV, часть II, прилож. № VII, Хмыров М. Д., დასახ. ნაშრომ ი, გვ. 49.

³⁴ Устрялов Н. И., დასახ. ნაშრომი, прилож. VI, ведомость III.

³⁵ იქვე.

18 ოქტომბერს ნარვამი გამოსაცდელად ოთხი ბომბი გადააგდეს, 20 ოქტომბერს კი საყოველთაო საარტილერიო ცეცხლი გახსნეს. ორ კვირას უშედეგოდ ისროდნენ. ეს ყოველივე იმიტომ მოხდა, რომ არტილერია იყო ძველი, არტილერიისტები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. იყო სხვა მიზეზებიც.

6 ნოემბერს სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა ექვსი-შვიდი დღის განმავლობაში თითოეული ზარბაზნიდან დღე-ღამეში ორმოცდაათჯერ გაესროლათ. სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან არტილერიის მთავარმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე არჩილის ძემ განაცხადა საბრძოლო მარაგის უკმარობის გამო ხსენებული სამხედრო ოპერაციის ჩატარება შეუძლებელია. ორმოც საარტილერიო ბატარეის საბრძოლო მასალების არსებული მარაგი ნახევრადც კი ვერ უზრუნველყოფდა. ამ მიზეზით ხსენებული ოპერაცია გადაიდო ახალი მარაგის მოტანამდე.

10 ნოემბერს პეტრე დიდის „ერთგული“ კაპიტანი გუმორტი შევდების მხარეზე გადავიდა. ამან დიდი არე-ღარევა გამოიწვია ჯარში.

13 ნოემბერს ცხენოსან მზვერავთა მეთაური შერემეტიევისაგან მოვიდა ცნობა, შევდების 30.000-ანი არმია ნარვისაკენ დაიძრაო.

მთელი კვირა მიმდინარეობდა საომარი პოზიციების დაკავება. ამ ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგეთა ჯარებიც წინ მოიწვედნენ. ახლოვდებოდა უშუალო შეჯახება ორ მოწინააღმდეგეს შორის. ასეთ რთულ ვითარებაში 18 ნოემბერს პეტრე დიდი აუცილებელი საქმეების გამო პოლონეთის მეფესთან—ავგუსტ—II-თან შესახვედრად წავიდა ნოვგოროდში ფელდმარშალ ფ. გოლოვინთან და სერჟანტ მენ-შიკოვთან ერთად. დაბრუნებამდე რუსეთის ჯარის საერთო ხელმძღვანელობა პეტრემ მოხუც ფელდმარშალ დე-კრუსს ჩააბარა.

19 ნოემბერს შევდები მოულოდნელად იერიშზე გადმოვიდნენ. რუსები არ იყვნენ მზად საბრძოლველად. სწორედ ამან გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. რუსმა გენერლებმა თავადმა იაკობ დოლგორუკოვმა, ალექსანდრე არჩილის ძე იმერეტინსკიმ, ავტომონ გოლოვინმა და ივანე ბუტურლინმა შეიტყვეს ფელდმარშალ დე-კრუსის ტყვედ ჩავარდნა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სარდლობამ, რომელიც მეტწილად უცხოელებისაგან შედგებოდა, რუსეთს უღალატა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გენერლები მიწაში მოთავსებულ ბლინდაჟში შეიკრიბნენ, საჩქაროდ მოთათბირების შემდეგ, წავიდნენ შევდების ბანაკში და გადარჩენილი სამხედრო ნაწილების დაუბრკოლებლად უკან დახევის ნებართვა ითხოვეს. კარლოს XII-მ შეასრულა რუსების თხოვნა. გენერლებმა კარლოს XII ხელთგდებული რუსეთის არტილე-

რიის დაბრუნებაც სთხოვეს, მაგრამ ამაზე კარლოსმა უარი განაცხადა.

20 ნოემბერს დილით დაიწყო მოწინააღმდეგეთა მიერ გაძარცვული რუსული სამხედრო შენაერთების უკან დახევა. დილის 11 საათზე შევედების მეფის გენერალ-ადიუტანტმა ტაუბემ კარლოს XII-ს ბრძანებით რუსი გენერლები, ობეროფიცრები და სხვა სამხედრო მოხელეები — სულ 79 კაცი გადაიყვანა ნარვის კომენდანტთან. ისინი სამხედრო ტყვეებად გამოაცხადეს³⁶. ტყვეთა შორის იყო ალექსანდრე იმერეტინსკიც³⁷.

19 ნოემბერს ნარვასთან ბრძოლა რუსეთის ჯარის კაპიტულაციით დამთავრდა. რუსებმა დაკარგეს 8000-მდე კაცი, 20 დროშა, არტილერია, 151 ჯარის სახეობათა ნიშანი. მთავარსარდალი ჰერცოგი დეკრუი, გენერალიტეტი, 8 შტაბისა და 30 ობეროფიცერი ტყვედ ჩაბარდა³⁸.

როცა შევედებმა ყველა ტყვეს ღრობებითი ადგილსამყოფელი მიუჩინეს, ალექსანდრე არჩილის ძეს, როგორც გენერალს, ყარაულად ოფიცერი და ორი შვედი ჯარისკაცი დაუყენეს. ალექსანდრეს ჩამოართვეს ყველაფერი, რაც კი თან ჰქონდა; წერაც აუკრძალეს. რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეობაში მყოფი მ. დოლგორუკი სწერდა თ. გოლოვინს: „ალექსანდრე არჩილის ძე, ავტომონ მიხეილის ძე გოლოვინი, ადამ ადამის ძე ვეიდე, თავადი ივანე იურის ძე ტრუბეცკოი, ივანე ივანეს ძე ბუტურლინი და მე ცოცხლები ვართ. თუ როგორ უბედურად წარიმართა ჩვენი საქმე, ამის შესახებ ჩვენ მოწერის ნება არა გვაქვს... ეხლა ჩვენ ვართ რუგოდეში (ნარვაში), ორი დღე ვიყავით ერთად. შემდეგ დაგვაცალკევეს, ის წყალობაც კი არა გვაქვს, რომ ერთმანეთს ვხედავდეთ, ან ვიცოდეთ ჩვენი ხალხი ჯანმრთელადაა თუ ავადა ვინმე“³⁹.

1701 წლის დასაწყისში ტყვეები ნარვიდან სტოკჰოლმში გადაიყვანეს; სტოკჰოლმში ალექსანდრე სტირნდალის სახლში დააბინავენ. მასთან იყვნენ მისი რვა ჭართველი თანმხლებიც. რუს გენერლებთან ერთად ალექსანდრე არჩილის ძე გამოიყვანეს კარლოს XII-ის მიერ მოწყობილ დამამკირებელ ტრიუმფალურ სვლაში. ბატონიშვილი პო-

³⁶ Хмыров М. Д., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 53.

³⁷ А. С. Пушкин, *История Петра*, п/собр. соч. в шести томах, т. 6, кн. вторая, М., 1946, стр. 92.

³⁸ Хронологический указатель военных действий русской армии и флота. т. I (1695—1800), СПб., 1908, стр. 47.

³⁹ Н. И. Устрялов, *დასახელებული ნაშრომი*, ტ. IV, ნაწ. II, დამატება № II, გვ. 48. Хмыров М. Д., *დასახ. ნაშრ.* გვ. 53—54.

ლონეთის ელჩის გვერდით მიაბიჯებდა მწკრივის თავში პეტრე განა-
ჩისხა ალექსანდრესა და სხვათა შეურაცხყოფამ და კარლოს XII-ს
სამაგიერო გადაუხადა: გამოიყვანა შვედი ტყვეები და შვეციის ელჩის
მეთაურობით მოსკოვის ქუჩები შემოატარა.

შვეციაში პრუსიის წარმომადგენლის შუამდგომლობის წყალო-
ბით რუს ტყვეებს აგვისტოს ბოლოდან უფრო თავაზიანად ეპყრობო-
დნენ⁴⁰.

1702 წლის დასაწყისში გადაწყვიტეს ალექსანდრე არჩილის ძე
ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ. სტოკჰოლმში გაგზავნეს სპეცია-
ლური წარმომადგენელი, რომელმაც ჩამოიტანა ცნობა, შვედები ალე-
ქსანდრე არჩილის ძის გამოსასყიდად 10 კასრ ოქროს თხოულობენო.

შვედებს დიდი საფასურის მიღების იმედი ჰქონდათ, ვინაიდან მათ
იციოდნენ, რომ ფელდცეიხმეისტერი პეტრე დიდის პირადი მეგობარი
იყო.

ალექსანდრე არჩილის ძის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს 1779
წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში მოთავსებული სტატია „ბრძოლა
ნარვის ველზე“, სადაც მოწინააღმდეგეთა ზარალის აღწერის შემდეგ
საუბარია შვედების მიერ ხელში ჩაგდებულ ტყვეებზე. ტყვეთა შორის
მხოლოდ ფელდმარშალი დე-კრუი და არტილერიის გენ. ფელდ ცეიხ-
მეისტერი ალექსანდრე არჩილის ძეა გვარებითა და წოდებით მოხსე-
ნიებული. „იმ დღეს (1700 წლის 19 ნოემბერი) შვედებმა 1300 ჯა-
რისკაცის დაღუპვის ფასად ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგეთა არმიის
გენერალისიმუსი ჰერცოგი დე-კრუი, პრინცი გრუზინსკი და შვიდი
სხვა გენერალი“⁴¹.

ალექსანდრე არჩილის ძისა და სხვა ტყვეთა გამოსყიდვა ვერ მო-
ხერხდა. 1703 წლის 2 მაისს ტყვე გენერლებმა: ვეიდემ, ტრუბეცკოიმ
და ბუტურლინმა ტყვეობიდან გაქცევა სცადეს, მაგრამ მათი ცდა უშე-
დეგოდ დამთავრდა.

ტყვეთა გაქცევის ცდამ კიდევ უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა. თუ რომელიმე მათგანი აუცილებელი საჭიროებისათვის სადმე
გავიდოდა, ყარაული იარაღით თან დაყვებოდა. ტყვეთა აუტანელ პი-
რობებზე მეტყველებს სტოკჰოლმში იმჟამად ტყვეობაში მყოფი თავა-

⁴⁰ Устрялов Н. И., *დასახ. ნაშრომ., დამატება № II*, გვ. 90.

⁴¹ Энциклопедия или голковский словарь наук, искусств и ремесл. Состав-
лен, приведен в порядок и издан Г. Ридеромом и Г. Д'аламбером, т. 7, Берн-
Лозанна, 1779.

დი ხილკოვის⁴² 1703 წელს 24 ივლისს თ. გოლოვინისადმი მოწერილი წერილი: „...უმჯობესია თურქებთან ტყვედ ყოფნა, ვინემ შევდებთან, აქ რუსებს არაფრად აგდებენ, აგინებენ უნაშუსოდ და დასცინიან“⁴³. ტყვეობის აუტანელმა პირობებმა თავისი დალი დაასვა ალექსანდრე არჩილის ძეს, იგი ტყვეობის პირველსავე წლებში დაავადდა.

1703 წლის 6 დეკემბერს ალექსანდრე არჩილის ძე სწერდა თ. გოლოვინს: „ჩემო ხელმწიფევ, თედორე ალექსის ძევ, დიდება უფალს, ჯერ ცოცხალი ვარ, თუმცა ძალიან ავად ვარ, ამიტომ გულით ვთხოვ, ჩემო ხელმწიფევ, ვინმე მადლიანი მღვდელი გამომიგზავნო, რომ ქრისტიანული წესით სიკვდილის ღირსი გავხდე.

იცოცხლე და მარად იღვგრძელე ჩემო ხელმწიფევ!

ალექსანდრე, უფლისწული ივერიისა, დეკემბრის 6“⁴⁴.

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ შეარყია ალექსანდრე ბატონიშვილის ჯანმრთელობა სამი წლის განმავლობაში სკანდინავიის მკაცრმა ჰავამ და ცუდმა პირობებმა. 1705 წელს პეტრე დიდმა შვედი ტყვეების ციმბირში გადასახლება დაიწყო. ამ ამბავმა შვეციის მთავრობა აღაშფოთა. შვედი ტყვეების გადასახლებას სტოკჰოლმში მყოფ რუს ტყვეთა მდგომარეობის კვლავ გაუარესება მოჰყვა.

1705 წლის ოქტომბერში იგივე ხილკოვი პეტრე დიდს აცნობებდა: „ჩვენ გადაგვიყვანეს სხვადასხვა ქალაქებში და გყავართ მკაცრ, სასტიკ ტყვეობაში, არსად არ გვიშვებენ და არავის ნახვის უფლებას არ გვაძლევენ. მხოლოდ ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძეს აქვს უფლება გაისეირნოს ყარაულთა თანხლებით. ვეიდეს სარდაფში ამყოფებენ. სენატმა გამოგვიცხადა, როცა შევდ ტყვეებს მოსკოვში დააბრუნებენ, თქვენც (რუს ტყვეებს მ. გ.) სტოკჰოლმში მამინ დაგაბრუნებთო. აქ სინამდვილის საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებენ ხალხში: თითქოს შევდ ტყვეებს ცემენ მათრახითა და ჯოხით. ამ ტყუილებით უნდათ აღაშფოთონ ხალხი ჩვენს წინააღმდეგ“⁴⁵.

თვით ალექსანდრე არჩილის ძე სწერდა 1706 წლის 19 ნოემბერს პეტრე დიდს თავის უმწურო მდგომარეობის შესახებ. უფლისწულს პე-

⁴² შევდებთან ომის დაწყების წინ ხილკოვი სტოკჰოლმში იქნა გაგზავნილი რეზიდენტად. საომარი მოქმედების დაწყებისთანავე შვეციის მთავრობამ იგი დააპატიმრა და იმყოფებოდა სტოკჰოლმში როგორც ტყვე, სადაც გარდაიცვალა 1719 წელს.

⁴³ Устрялов Н. И., *დასახ. ნაშრომი*, ტ. IV, ნაწ. II, დამატება №11, გვ. 230.

⁴⁴ Эсадзе С. Б., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 10.

⁴⁵ Хмыров М. Д., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 55.

რიც კი არ ჰქონდა საკმარისი, ვალებში ჩაეარდა, მამისაგან ფულს ვერ იღებდა, ვინაიდან, მამამისს ნაწყალობები სოფლიდან იმდენი შემოსავალიც კი არა ჰქონდა, რომ ოჯახი დაეკმაყოფილებინა. ალექსანდრე პეტრეს თხოვდა დახმარებას, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო⁴⁶.

პეტრე დიდის ბრძანებით ალექსანდრე არჩილის ძეს სშირად ევაზავნებოდა ფული სომეხი ვაჭრებისა და სხვათა ხელით⁴⁷. ალექსანდრეს ფულს უგზავნიდა მისი მამაც ხან თავისი შემოსავლიდან, ზოგჯერ პეტრე დიდის მიერ მიცემული ფულადი დახმარებიდან. იმერეთის მეფე არჩილს თავისი ვაჟის ალექსანდრეს ვალების გადასახდელად 1706 წლის 19 მარტს მიეცა 300 მანეთი⁴⁸.

ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ფულის გადაცემას შედეგით მთავრობა ვანგებ აბრკოლებდა. ეს იყო მიზეზი, რომ გაგზავნილი ფული არ მიდიოდა დანიშნულებისამებრ ალექსანდრემდე.

ფულადი დახმარების პარალელურად პეტრე დიდი ცდილობდა ყველა ტყვის და, პირველ რიგში ალექსანდრე ბატონიშვილის გამოსყიდვას. მაგრამ მეფის მრავალგზის ცდებს შედეგი არ უჩანდა.

ალექსანდრეს გათავისუფლებაზე ფიქრი არჩილის ყოველდღიური საზრუნავი იყო. როცა დარწმუნდა, რომ შვილის განთავისუფლება ძალიან რთული საქმე იყო, 1706 წლის 2 თებერვალს არჩილმა ვრცელი წერილი მისწერა შვეციის მეფეს კარლოს XII-ს. წერილში აღნიშნულია კარლოს XII-ს დიდება და, რაც მთავარია, თხოვნა ალექსანდრე ბატონიშვილის გათავისუფლების შესახებ. ეს წერილი და მისი ვრცელი მიმოხილვა აკადემიკოსმა მ. ბროსემ 1854 წელს დაბეჭდა⁴⁹.

ეს წერილი ბერმა ბაგრატ სოლოლაშვილმა ჩაიტანა სტოკჰოლმში. თუმცა სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნის მიზეზი არჩილის თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ არჩილი კვლავ განაგრძობდა გზების ძებნას, ცდილობდა მოეხერხებინა შვილის ტყვეობიდან განთავისუფლება. მან რამდენჯერმე მიმართა დახმარებისათვის პეტრე დიდსაც, რომლისადმი მიწერილ ერთ-ერთ უთაროდ წერილში იგი წერდა: „ჩემი შვილი, ბატონიშვილი ალექსანდრე სტოკჰოლმიდან იტყობინება, რომ მას გამოუცხადეს მეფის ბრძანებულება: მეფე თანახმაა გაცვალოს იგი (ალექსანდრე, მ. გ.) 20 კაპიტანსა, 20 პორუჩიკსა და 20

⁴⁶ Устриялов Н. И., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 529.

⁴⁷ Эсадзе С. Б., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 18.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ Ученые записи ИАН по первому и третьему отделениям, т. II, вып. IV, СПб., 1854

პროპორციკზე⁵⁰. მეფე არჩილი სთხოვდა პეტრე დიდს გაეცვალათ ტყვეები და მოთხოვნილი 60 კაცის შერჩევას⁵¹.

ამგვარი გაცვლის შესახებ თავის დროზე პეტრე დიდმა მიმართა ალექსანდრე ბატონიშვილს და სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი.

ალექსანდრე არჩილის ძემ 1710 წლის 6 სექტემბერს წერილი გაუგზავნა პეტრე დიდს, სადაც ხსენებული შეკითხვის საპასუხოდ სწერდა: „არც მითქვამს და გონებაშიც არ გამივლია, რომ სახელმწიფოსათვის რაიმე ზიანი მიმეყენებინა, არა მარტო ჩემი მიზეზით, არამედ ათასჯერ უკეთესნიც, რომ ყოფილიყვნენ. ჩვენ მხოლოდ ამისათვის ვართ მოწოდებულნი: მოვითმინოთ და დავიხოცოთ ხელმწიფისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის“⁵². იმავე წელს გადაწყდა ალექსანდრე ბატონიშვილისა და თავად ტრუბეცკოის გაცვლა გრაფ პიპერზე, ხოლო თავად ი. დოლგორუკოვისა და ა. გოლოვინისა კი ფელდმარშალ რენშელდზე.

ხსენებული ტყვეები წამოიყვანეს სტოკპოლმიდან, მაგრამ ალექსანდრე არჩილის ძეს არ ეწერა სამშობლოში დაბრუნება. იგი გზაში გარდაიცვალა.

თავადი იაკ. დოლგორუკოვი წერდა: — „ზამთრის დამდეგს, როცა ჩვენ შემოგვატარეს მთელი ბოტნიის ყურე, მე დამტოვეს იაკობ-შტადტში. უფლისწული ალექსანდრე კი გარდაიცვალა გზაში...“⁵³ ეს მოხდა 1711 წელს 20 თებერვალს. ათი წლის ტყვეობის შემდეგ განაწამები და დასუსტებული ალექსანდრე გზაზე—რიგაში გარდაიცვალა.

პეტრე დიდის პატივისცემა და კეთილი დამოკიდებულება ალექსანდრე ბატონიშვილისადმი ტყვეობაშიც კი იმდენად დიდი იყო, რომ ხმები გავრცელდა: პეტრე დიდმა ტყვეობიდან დახსნის შემდეგ ალექსანდრე არჩილის ძე თავის სამშობლოში, სამეფო ტახტზე უნდა დასვასო, „...აქ ხმა დადის, რომ როცა შევდებთან ომი დასრულდება პეტრეს უნდა ასტრახანისაყენ წავიდეს, იქ მან ფლოტის აშენება გადაწყვიტა და კასპიის ზღვით უნდა საქართველოსთან ახლო მივიდეს. განზრახული აქვს იმერეთის პრინცის (რომელიც ქართველებმა და

⁵⁰ М. Броссе, «О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XI, от 2 февраля 1706 года», Ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям, т. II, вып. IV, СПб., 1854, стр. 547—549.

⁵¹ Устрялов Н. И., *დასახ. ნაშრომი*, ტ. IV, ნაწ. 11, დანართი № 2, § 45, გვ. 445.

⁵² იქვე, ნაწ. 1, გვ. 66, Хмыров М. Д., *დასახ. ნაშრ.*, გვ. 55—56.

⁵³ Устрялов Н. И., *დასახ. ნაშრ.*, ტ. IV, ნაწ. 1, გვ. 66, გვ. 57.

სპარსელებმა თავისი ქვეყნიდან გამოდევნეს და რომელიც ასლა ტყვედ იმყოფება შვეციაში) ტახტზე დასმა მის სამშობლოში⁵⁴.

უკანასკნელი იმედიც გამოეცალა ხელიდან ისედაც ყოველმხრივ იმედგაცრუებულ არჩილ მეფეს, რომელიც შვილის გარდაცვალების შემდეგ წერდა: „ოჰ ჩვენ ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულ საცოდავებს მოგვტაცა სიკვდილმა შვილი ჩვენი ალექსანდრე, ჩვენ კი მწარე სიბერეში გვიმზადებს მწუხარების გზას სამარისაკენ... ჩემი შვილის ძვლები მაინც ვადმოეტანათ მოსკოვში“⁵⁵.

არჩილის უკანასკნელი ნატვრა ასრულდა. ალექსანდრეს ნეშტი რიგიდან მოსკოვში⁵⁶ ვადმოიტანეს. იგი დასაფლავეს დონის მონასტერში⁵⁷. რამდენიმე დღის შემდეგ ნოვოდევიჩის მონასტრიდან დონის მონასტერში ვადმოასვენეს ალექსანდრე ბატონიშვილის პირველი ცოლის თეოდოსია ივანეს ასულ მილოსლავსკაიასა და არჩილის ორი უმცროსი ვაჟის—დავითისა და მამუქას ნეშტებიც.

პეტრე დიდმა პატივი დასდო ალექსანდრე ბატონიშვილს და ტყვეობაში ყოფნისას შეუწარჩუნა გენერალ-ფელდციეხმეისტერის წოდება, რის გამოც მას როგორც მამულის მქონე გენერალს, ტყვეობაშიც ენახებოდა ჯამაგირის ნახევარი—700 მანეთი წელიწადში⁵⁸.

მეფე არჩილს მესამე ვაჟის მემკვიდრის (ეს იყო გვარის უკანასკნელი განმგრძობი) გარდაცვალებასთან ერთად დაეკარგა საქართველოში დაბრუნების იმედიც.

სამშობლოდან შორს გადახვეწილი არჩილისათვის აუწყრელი უბედურება იყო სამივე ვაჟის გარდაცვალება. მას დარჩა მხოლოდ უსაზღვროდ დამწუხრებული მეუღლე ქეთევანი და ერთადერთი ასული დარეჯანი, არჩილს უნდოდა თავისი ასული რომელიმე დიდგვარო-

⁵⁴ Устрялов Н. И., История царствования Петра Великого, т. IV, 83-571.

⁵⁵ იქვე, ნაწ. 1, გვ. 64, გვ. 57.

⁵⁶ ალექსანდრე არჩილის ძეს დასაფლავების ადგილის შესახებ მ. ი. ხშიროვი თვის სტატიაში, — „1-й Генераль-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский,“ რომელიც მან 1866 წელს არტლერის კურორტის № 1-ში გამოაქვეყნა, 57-ე გვ. შეცდომით წერს: „Кости царевича Александра, зловно, невзлани я шведлами, навсегда остались в чужой земле, далекой отродной царевичу Грузии“.

⁵⁷ Эсадзе С. Б., «Первый генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии при Петре Великом царевич Имеретинский Александр Арчилович, СПб., 1913, стр. 28.

⁵⁸ Полное собр. законов рос. имп., т. IV, № 2335.

ვან პირზე გაეთხოვებინა და ამით თავისი მემკვიდრისათვის (ასულის
ხაზით) საქართველოზე გამგებლობის უფლება შეენარჩუნებინა, მაგ-
რამ მიზანს ვერ ეწია⁵⁹.

ბ. ჩხატარაიშვილი

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობის“ რუსული
თარგმანის გამო

დიდმა ქართველმა მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ სულხან-საბა ორბელიანმა, უკვე მსკით შემკულმა, 1713—1716 წლებში საქართველოს კეთილდღეობისათვის გრძელი და ხიფათით სავსე გზა განვლო: მან დიპლომატური მისიით იმოგზაურა საფრანგეთში და იტალიაზე გამოვლით საქართველოში დაბრუნდა. საბას დიპლომატურ მისიას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამ მოგზაურობას ქართველი ხალხისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია.

საბამ დაწერილებით აღწერა უცხოეთში ყოფნა და უკან დაბრუნება. „მოგზაურობა ევროპაში“ (ამ სახელითაა ცნობილი საბას დღევანდელი, რომლებმაც ჩვენამდე ნაკლოვანი სახით მოაღწია) ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია, როგორც შინაარსობრივად, ისე თავისი სტილით და ენითაც. საბას იშვიათი სიზუსტით აღწერია მის მიერ ნახული ყოველი მხარე, დასახლებული პუნქტი, სიძველენი, ხელოვნების ძეგლები და სხვ. მკვლევართა ერთიანი აზრით, „მოგზაურობა“ უდიდესი მნიშვნელობის ცნობებს იძლევა, როგორც საქართველოს, ისე ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, სტატისტიკისა და სხვ. დარგებისათვის.

„მოგზაურობა ევროპაში“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს კულტურულ ვითარებაზეც. იგი თვალწინ გვიშლის იმდროინდელი ქართველი განათლებული პირის სულიერ სამყაროსა და განათლების დონეს. მოგზაურობა გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს არა მარტო ქართველ, არამედ ევროპელ და სხვა სპეციალისტთა და რიგით მკითხველთათვის.

„მოგზაურობა ევროპაში“ პირველად გ. ერისთავმა გამოაქვეყნა 1852 წელს „ცისკრის“ № 1—4-ში (განყოფილებაში „ქსწავლა“ (ე. რ.

მეცნიერება, ქ. ჩ.) და ხელოვნება“) სათაურით: „საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“. „მოგზაურობა“ მეორედ გამოიცა ცალკე წიგნად 1940 წელს ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით (ეს გამოცემა ტექსტოლოგიური და სამეცნიერო აპარატის თვალსაზრისით, როგორც დაერწმუნდით, მომდევნო გამოცემაზე ბევრად მალა ღვას). მესამედ გამოიცა „მოგზაურობა“ 1959 წელს (სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის 1 ტომში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, საძიებელი და შენიშვნები დაურთო რევაზ ბარამიძემ).

XVIII ს. დასაწყისის ქართველი დიპლომატის — საბა ორბელიანის დღიურები დღემდე არ იყო თარგმნილი რუსულ ან რომელიმე სხვა ენაზე. ამიტომ არ შეიძლებოდა არ მივსალმებოდით ქართული მწერლობის ამ შესანიშნავი ძეგლის და მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროს რუსული თარგმანის გამოცემას (რევაზ ბარამიძის რედაქციითა და ბოლოსიტყვაობით, გამომცემლობა „მერანი“, 1969 წ.), რომ გამოცემული თარგმანის ხარისხი ოდნავ მაინც შეეფერებოდეს „მთელი საქართველოს მიერ მამად მიჩნეულ“, „სიბრძნით ორბების ზე ასულ“ სულხან-საბას ნაწარმოებს.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „მოგზაურობა“, ცხადია, ისე ადვილი სათარგმნელი არაა, როგორც რომელიმე თანამედროვე მხატვრული ნაწარმოები. მასში ზოგჯერ არის საკმაოდ რთული გრამატიკული კონსტრუქციები. ზოგიერთი ლაკონური წინადადების აზრი გასაგები ხდება მხოლოდ წინამავალი ან მომდევნო თხრობის გათვალისწინებით. ასევე საკმაო შრომას მოითხოვს ტექსტში გაფანტული უამრავი ტერმინის (უმთავრესად რელიგიური ხასიათისა) შესატყვისობათა მოძებნა, მაგრამ „მოგზაურობის“ არც ერთი ადგილი არაა ისე ძნელად გასაგები, რომ იგი რუსულად ზუსტად ვერ ითარგმნოს.

„მოგზაურობის“ რუსული თარგმანი, როგორც გარეგნული სახით, ისე შინაარსობრივად ორიგინალს დიდად სცილდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელს (ფ. თვალთვაძეს) არც კი უცდია გამოეყენებია „მოგზაურობის“ გამოცემებზე დართული ლექსიკონები (რომლებშიაც უნეში შეცდომები იშვიათია), სულხან-საბას „სიტყვის კონა“ ან დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონები. თარგმნისას დაშვებულია ისეთი მიუტევებელი შეცდომები, რომლებიც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ თარგმნის პროცესში გათვალისწინებული არ ყოფილა ისტორიული სიტუაცია, რომელშიაც „მოგზაურობა“ იქმნებოდა; როგორც ჩანს, თარგმანი მზადდებოდა სახელდახელოდ, ტექსტზე თვალის ერთი გადავლებით. ასე რომ არ იყოს, ცხა-

დია, თარგმანში არ იქნებოდა ისეთი კუროზები, როგორცაა მაგ., მალტის ორდენის მეთაურად „ახალგაზრდა ხანის“ (!) გამოცხადება და სხვ.

თარგმანის ყოველი გვერდი სავსეა შეცდომებით, ზოგი მათგანი ძირეულად ცვლის დედნის შინაარსს, ზოგიერთი აბნელებს დედნის ნათელ გამოთქმებს, ზოგი კი აშკარა ლაფსუსს წარმოადგენს. თარგმანის ყველა უზუსტობის ჩამოთვლა საჭიროდ არ მიგვაჩნია. ქვემოთ ვაჩვენებთ მხოლოდ ზოგიერთს, უფრო თვალსაჩინოსა და დამახასიათებელს (მითითებულია 1940 წ. გამოცემისა და მისი რუსული თარგმანის შესაბამისი გვერდები).

დედანშია:

- გვ. 8. „(გენუის) დუკას ორს წლამდინ დასმენ, მერმე გამოცვლიან. პოპლიკი (ე. ი. რესპუბლიკა, ქ. ჩ.) ეწოდება ამ გამოცვლისათვის“.
- გვ. 11. „აქ (სასწაულთმოქმედთა) დიად გამოწულილვა იციან. მრავალს თავადსა და მოძღურებს უჩხრეკიათ: ეშმაკური არა იყოს რაო...“
- გვ. 14. ქანდაკების აღწერა: „ოთხი ოსმალი ტყვივისა...“ (ე. ი. ტყვიისა. ქ. ჩ.)
- გვ. 14 — 15. ნავსადგურ ლივორნოს შესახებ: „არა ჰქონდა ზღვის პირი... ზღვის პირი მეკობრეთაგან საშიში იყო და ვერავინ დასახლებულიყო“.
- გვ. 23. „რომის წყალის გაღმა ქალაქი დაილევა, ერთი პირადმართი აიარს“.
- გვ. 28. (და სხვაგან ხშირად) „...ფრენციფის წალკოტში.. დიდი ფრენციფეა...“ (იტალიუ-

თარგმანშია:

- გვ. 27. „... Смена эта называется попликом“ (?!).
- გვ. 28 „Здесь обычно строго проверяют пастырей и священников“. (საბა კი ამბობს: თავადები და მოძღვრები ამოწმებენ სასწაულთმოქმედთა—შარლატანები არ იყვნენ).
- გვ. 31. „Четыре пленных османна“.
- გვ. 31 „Ливорно... не на морском берегу“. (ნავსადგური არ შეიძლება ზღვის ნაპირას არ იყოს. საბა ამბობს: ლივორნოს ზღვისპირი (побережье) მეკობრეთა შიშით დაუსახლებელია).
- გვ. 37. „Город Рим кончается за рекой“.
- გვ. 40. (და სხვაგანაც) „принципал“, „знатный принципал“.

- რად პრინციპე მთავარს ან
თავადს ნიშნავს, ქ. ჩ.)
- გვ. 28—29. ...ირმები ხზოიანები
მრავალი, მავრამ მოწლო ირ-
მები იყო. („სიტყვის კონიო“:
„მოწლო—ცოტად წვრილი“ ე. ი.
ტანმორჩილი).
- გვ. 38. „სხვა სახლი ცის მზომე-
ლობის“ (ე. ი. ობსერვატორია
ქ. ჩ.).
- გვ. 48. საბა ათვალეგრებს იეზუ-
იტთა მონასტრის „კუნსტკამე-
რას“: „...ზღვის მომცრო ცხო-
ველები სულ მთელ მთე-
ლი იყო“.
- გვ. 67. „რასაც ასაქმებენ, ოთხი
მონასტრისაა, ერთი თავეთი“
(ე. ი. ნაწარმის 4/5 მონასტრი-
საა, 1/5 მუშა ქალებისა).
- გვ. 71. რომაელებს მზის ღმერ-
თის ტაძარი „აწ სიმართლის
მზის (ე. ი. ნამდვილი მზის ანუ
ქრისტეს ქ. ჩ.) დედის ეკლე-
სიად ეკურთხებიანთ“.
- გვ. 74. „ყოვლად წმიდის ამაღ-
ლების ხატები“ (ამაღლება —
вознесение)
- გვ. 89. (ქალაქი) „ლორე(ნ)ტო
ოხერი (ე. ი. უშენი, დაუ-
სახლებელი, ქ. ჩ.) ყოფი-
ლა“.
- გვ. 101. „ერთი რისალაც რქა...
ერთი მხარი და ნახე-
ვარი (ეს ზომაა, ქ. ჩ.) იქ-
ნებოდა, შავი და მოხრილი“...
- გვ. 102. (ერთი არქიტექტორი)
„ოცი წლისა თუ იყო, ან ცო-
ტად მეტი, ან ნაკლები, მავრამ
- გვ. 40. „Много молодых годо-
валых оленей!
47. „Еще была палата по из-
мерению неба“ (!)
- გვ. 53. „... морские моллюски,
живые“.
- გვ. 66. „Все что они делают
принадлежит четырем мона-
стырям, а одна часть им самим“.
- გვ. 68. „Теперь он освящен.
как храм матери света исти-
ны“.
- გვ. 71. „... иконы успения пре-
святой“ . (успение—მიძინება).
- გვ. 80. „Лоренцо... оказался бе-
счастливым“ (ქალაქი პიროვნებად
იქცა! თანაც სხვა სახელით!).
- გვ. 88. „...одна сторона была
черная...“
- გვ. 89. „... видно что он из
знатного рода“.

გვარიანს რასმე გვან-
და“ (გვარიანი — კარგი, მოსა-
წონი რამ).

გვ. 110. „ერთი ეპისკოპოსის
ადგილს მყოფი
ხუცესი იყო მათი თავი“.

გვ. 117. „თავში (ე. ი. ზემო
მხარეს ქ. ჩ.) დიდი წყარო
გამოსდიოდა“.

გვ. 120. „ბასილიანთ (ე. ი. წმ.
ბასილის ორდენის ბე-
რებმა) თავეთი ნაწილები
გვიჩვენეს“.

გვ. 123. (სიცილიაში) „ადგილი
ხირხატი, ქვიანი, ნახიდუ-
რის და აღმართების
(ადგილებია საქართვე-
ლოში, ქ. ჩ.) მსგავსი იყო“.

გვ. 124. „ნავით წაგვიყუანეს.
ზღვის ვალმა შაქრის ლერწამი
გვაჩვენეს. მრავალი იდგა,
ერთს წელიწადს ერთს
მხარეს, მეორეს წელი-
წადს, წვერების (ე. ი. ნერ-
ვის, ჩითილის, ქ. ჩ.) დარგვა
უნდა თურმე, მეორეს მხა-
რეს დარგვენ“.

გვ. 129. „რა გათენდა, ეცნათ
ერთმანეთი. დაეშინათ. ის არა-
ბის ნავი მთლივ დანტქმუ-
ლიყო. ხარბაზნები წყო-
ბით (ე. ი. ზალპად, ქ. ჩ.)
ეკრათ“.

გვ. 129. საბა ესაუბრება მალ-
ტელ რაინდებს: „მათი ახალ-
ხანის (ე. ი. ახალი დროის,
ამასწინანდელი, ქ. ჩ.) ომები
მრავალი მიამბებს“.

14. საჭ. ფეოდ. ხანის ისტორიის საკითხები.

გვ. 94. „Начальником над ним
был один епископ“.

გვ. 98. „Из ее головы бьет боль-
шая струя воды“.

გვ. 100. „...показывали нам гла-
вные мощи Базилия“ (აქ მეორე
შეტდომაცაა; „თავეთი“ ე. ი.
თავიანთი მთავარის მნიშვნელო-
ბითაა გაგებული).

გვ. 101. „Местность вся изры-
та, камениста, наслоенная ил-
ом и неровная“.

გვ. 102. „Сажать этот тростник
следует, оказывается, обрат-
ной стороной, головкой“. (სა-
ბა, ცხადია არ ამბობს, რომ ჩი-
თილს ისე რგავენ, რომ ფოთ-
ლები მიწაში იყოს, ხოლო ფეს-
ვები მიწის ზემოთ!).

გვ. 105. Поутру они напа-
ли друг на друга и стали
обстреливать. Арабский кора-
бль спусками, стоящи-
ми в ряд, затонул“.

გვ. 105. „Много рассказывали
о войнах, которые ведет их
молодой хан.“ (ამრიგად, მალ-
ტის ქრისტიანული ორდენის
სარდალი ახალგაზრდა ხანი
ყოფილა!).

33. 134. (ხატზე) „პირველ ეს მალთისეულნი როდოსს მდგარან და იმის მთაში უპოვნიათ“.
33. 148. „ერთი ჭანეთის ათინელი რეიზი (ე. ი. კაპიტანი, ქ. ჩ.) იშოვეს“...
33. 148. „მე... დაბლა ზომალდის ფსკერში ჩემს პაქსიმალზე ვიჯდი და ვიწვი (ე. ი. ვიწვი, ქ. ჩ.)“.
33. 149. ათინას მოსულმა რეისმა „უკან ტრაპიზონის ფაშას შეატყობინა, წინ გონიის სანჯახსა...“ (ათინა ტრაპიზონსა და გონიას შორისაა!).
33. 149. ჭანებმა „ტყუილად მებაჟეობა იჩემეს...“ (ე. ი. იტრუგეს, თავი მებაჟეებად გაასაღეს).
33. 150. „მე მითხრა: შენ შენი ბარგი გადააარჩიეო“...
33. 152. საბას ქართლში დაბრუნებისას „ასრე სრვა განშირებულყო, მრავალი სული ამოეწყვიტა და თბილისიც აყრას და ხიზენას აპირობდა (ლაპარაკია ცნობილ ქამიანობაზე, ქ. ჩ.; „სიტყვის კონით“: „სრვა — სენი მომსრველი“).
33. 6. „მუგუთის მსგავსი ალაგები“ (მუგუთი ადგილია აღმ. საქართველოში, ლიახვზე).
33. 147. „კაი შილინგი იქნა“ („სიტყვის კონით“: „შილინგი — ესე არს სასიხარულოსა საქმესა ზედა ზარბაზანთა და თოფთა სროლანი“ (ე. ი. შედლული, სალუტი).
33. 108. „Она, оказывается, найдена мальтийцами в городах Родоса“.
33. 117. „Нашли одного жителя Атина, который совершал рейсы на корабле в Чанеты“.
33. 118. „Я... сидел на своем мешке с сухарями и томился в горести“ („ვიწვი“ ე. ი. ვიწვი, გაგებულაია, როგორც „ვიწვოლი“).
33. 118. „Раньше он известил Трапезундского пашу, а затем и Санджака Гонию“. (ადგილზე მითითება დროზე მითითებად იქცა).
33. 119. „Они оказались таможенными досмотрщиками“.
33. 119 „Он обратился ко мне: ты, мол, спасай (!) свои вещи...“.
33. 121. „В нашей стране участились убийства, он (!) уничтожил, оказывается, множество народа. Даже Тбилиси готовился подняться с места (?), чтобы укрыться в горы“.
33. 25. „Местность напоминала Гегути“.
33. 117. Устроилиль большой парад“. აქვე შილინგი თარგმნილია როგორც „торжества“.

გვ. 158. „სულ ჩ ა ხ ჩ ა ხ ე ბ დ ა“.

გვ. 158. გენუაში „რიღებაც ეთქვათ ქალებისა“ (ე. ი. გენუელი ქალები რიდიანი არიანო).

გვ. 188. „ორმოცამდე ზარბაზანი გაავდეს“ (ე. ი. დაახლ. 40-ჯერ გაისროლეს.)

გვ. 193. „ხატი იყო ყოვლადწმიდისა. ქრისტე ექირა და მარტინას (მის) წინ ეჩოქა“ (ე. ი. ყრმიანი ღვთისმშობლის წინ დაჩოქილია მარტინა).

გვ. 196. „ყოვლადწმიდის მარჯვენით ღვთის დადგომისათვის ბერძნულად იქადაგა“ (ე. ი. ქადაგების თემა: „ღვთისმშობლის ღვთის მარჯვნივ დგომისათვის“).

გვ. 205. „სხალნარი დიდგორი რომ არის“ (სხალნარი დიდგორი ადგილია აღმ. საქართველოში).

გვ. 209. ქ. პერუჯაში „მისი ვაივავა მოვიდა, კარდინალის რიგში რომ მისცემენ“ (ე. ი. პერუჯას გამგებელს კარდინალის მსგავსი პატრივით ექცევიან).

გვ. 231. „ქრისტეს აკვნის ნატეხი“

და ა. შ.

გვ. 29. „Трясется вся“ (უნდა იყოს: сияла...).

გვ. 29. „Они берегут даже женщин“.

გვ. 61. „Выстрелили из пушек, которых там было до сорока штук“. მსგავსი შეცდომა ორჯერაა დაშვებული თარგმნის 23-ე გვერდზე.

გვ. 67. „Икона богоматери с Христом на руках, коленопреклонной перед Мартиной“ (?!).

გვ. 70. „Он произнес проповедь по гречески о младенце—Христе, стоящем одесную пресвятой девы“. (აბსოლუტური გაუგებრობაა!).

გვ. 79. Дидгорские пахотные земли“ (სხალნარი წაკითხულია როგორც სახნავი).

გვ. 84. „...Воевода, которого собиравались возвести в сан кардинала“ (გამოდის, რომ სამოქალაქო პირი კარდინალად უნდა აკურთხონ).

გვ. 109. „Кусок гроба господня“.

И Т. Д.

თარგმანში გენუის მახლობლად მდებარე ქ. ალასიო (საბა წერს: არასიო) ქ. აიაჩოდ იქცა და მოხუცი საბა, რომელიც საქართველოსკენ მოუთმენლად ისწრაფოდა, მთარგმნელის „წყალობით“ იძულებულია კუნძულ კორსიკაზეც იმოგზაუროს. ქ. სავონა ქ. სავონულ იქცა. ქალ. ფინი (ფინალე) — პიზად, ყალიონი — გალიონად, თეოდორა —

ფედორედ, ანესა — ანისიად, თორმეტი მტკაველი — 20 მტკაველად, აწელი თეთრი (ფული) — ძველ ტანსაცმელად („თეთრი“ თეთრეულადაა გაგებული) (!) ხატები — სურათებად, სსალნარი დიდგორი (აღვილია საქართველოში) — დიდგორის სახნავ მიწებად, ხვანთქარი — ფაშად, წყარო—შადრევნად, სამოცი მილი—6-10 მილად. 140 ათასი — 160-ად, სტვირის „სათითები“ — კლავიშებად, სინის (საბას მიხედვით: ფოლადის) როდინი — თუნუქის როდინად, ქახრაკი—საფქვავე ქვად, წყარო — მდინარედ, ქვაბი (გამოქვაბული) — ღრმულად (впадина), 57053 (სული) — 57063 სულად, ციხე ფორტო—ლონგონე (კუნძულ ელბაზე) — კუნძულ ფორტო — ლონგონად, საფრანგეთის ელჩი — კათოლიკეთა ელჩად. ისპანის (ისპაჰანის) ზანდუცი თურმე ესპანეთისა ყოფილა, სამწირველო (часовня) ყველგან საკურთხევლადაა თარგმნილი (Алтарь), რაც კურიოზულ გაუგებრობებს იწვევს. მთარგმნელს თუ დაეუჯერებთ, პირამიდი და სვეტი ორივე колонна ყოფილა, ქ. არტანი — ქ. არტანუჯი, წართმევა — დაკარგვა, პალნიანი ცხენი — შეუკაზმავი (უბელო) ცხენი; „დაფენილი ფანჯარა“ (საგამოფენო ვიტრინა) ასეა თარგმნილი: „застекленная рама на полу“ (!); „სამტერო (ე. ი. საშიში!) ადგილი — убежище от врагов“ (!). კაცი ლეთისა—человек бегоносен“ „თათარი“ ე. ი. მაჰმადიანი, არაბია- ის თურქი თუ სპარსელი, ყველგან турок-ადაა თარგმნილი. ორიოდ, სამიოდ, ათიოდ... თარგმანში „დაზუსტებულიადა“ მოცემული: ორი, სამი, ათი... და ა. შ. მრავალ სხვა შემთხვევაში შეცვლილია მიმართულებანი (ქვეყნის მხარეები), სქესი, რიცხვი, თარიღი და სხვ.

ამნაირი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა (სულ ჩვენ მიერ თარგმანის 98 გვერდზე აღრიცხულია ორასამდე ასეთი უზუსტობა, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ნაკლებად საჩოთირო შეცდომებზე, რომელთა რიცხვი ბევრად მეტია), მაგრამ საბოლოოდ კიდევ მხოლოდ ორ მაგალითს მოვიტანთ. საბას იტალიაში მოგზაურობისას ყურადღება მიუქცევია ვენახების სიმრავლისათვის. თარგმანში ნათქვამია, რომ ამ ვენახებში ველური ვაზი ყოფილა გაშენებული (!). რუსული თარგმანის მკითხველი არ შეიძლება არ გაოცდეს, — სად ნახა საბამ იტალიის ვენახებში, რომლებიც მას ძალიან მოსწონებია, ველური ვაზები. დედანში წერია: „ვენახოვანი. ხან ბაბილო, ხან ხარდანი“. მთარგმნელს რომ საბას „სიტყვის კონაში“ ჩაეხედა, წაიკითხავდა, რომ ბაბილო „მალალი ვენახია“ და საბასაც იტალიაში ზოგან მალლარი, ზოგან დაბლარი ვენახი უნახავს. ასეთივე კურიოზულად მოჩვენება

თარგმანის მკითხველს საბას განცხადება, რომ რომში ზოგიერთ ქანდაკებაზე ხურმის (хурма) ფოთოლია გამოსახული. საბას განმარტებითი ხურმა „დანაკის კულია“ (ე. ი. პალმის ერთ-ერთი სახეობა) და თარგმანშიც „пальмовый лист“ უნდა ყოფილიყო.

თარგმანში დაკარგულია საბას თხრობის თავისებურება, გაუფერულებულია მისი ენაშქვერობა და ნათქვამის ხატოვანება. თარგმანი სტილისტურად დაუხვეწელი და გასამართავიც ჩანს. ბევრი ადგილი თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია.

სიტყვა რომ არ გვაგარძელოთ, თარგმანის მიხედვით მკითხველს საბა წარმოუდგება გაუნათლებელ, ქარაფშუტა და, ასე წარმოიდგინეთ, სასულიერო საკითხებშიაც კი გაუთვითცნობიერებულ ადამიანად, რომელიც ერთნაირი სერიოზულობით იწერდა დღიურში რეალურ ამბებსა და ანეგდოტებსაც; ისეთი მკითხველი, რომელიც არ იცნობს საბას—შწერალსა და ლექსიკოგრაფს, ღვთისმეტყველსა და გეოგრაფს, თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლების მქონე მეცნიერს, არ გაიკვირვებს საბას დიბლომატური მისიის წარუმატებლობას; აბა რა წარმატებისათვის უნდა მიეღწია ისეთ ადამიანს, რომელიც ზოგჯერ მარცხენასა და მარჯვენას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა (ასეა ზოგჯერ მისი „მოგზაურობის“ თარგმანში!).

სამწუხარო შეცდომებითაა გადატვირთული „მოგზაურობის“ კომენტარებიც, აი ზოგიერთი მათგანი („კომენტარების“ კომენტარის გარეშე):

«Одиши — «изменная часть Западной Грузии и побережья Черного моря».

«Артануджи — город в южной провинции, древний центр культуры...».

«Артანი — город в южной провинции...».

«Абоци — город к юго-западу от Тбилиси, на территории Армянской ССР».

«Имеретия — княжество в Западной Грузии, в XVII веке независимое царство».

«... В XVII веке Картли — отдельное царство».

«Кангари (თურქული წონის ერთეულია, ქ. ჩ.) — одна из чаш на весах».

«Туман — денежный знак, равный 10 рублям».

თუ ყოველივე ამას დავემატებთ, რომ „მოგზაურობის“ თარგმანი გამოცემულია საძიებლების გარეშე, თვალნათლივ დაეინახავთ, რომ განსახილველი თარგმანი თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს.

ასიოდე წლის წინათ ნ. ნიკოლაძე ასე აფასებდა „წიგნი სიბრძნე სიცრუისას“ ალ. ცაგარლისეულ თარგმანს.

«... Перевод сделан из рук вон плохо. Для того, чтоб понимать его, необходимо знать грузинский язык и перевести вновь на этот язык русские фразы. Едва ли подобные переводы могут приохотить публику к знакомству с грузинской литературой... Переводчик... не в достаточной степени проникся требованиями современной науки от такого рода переводов» («Обзор», 1878 г., № 181, «Библиография»).

გავიდა ასოდე წელი და ძველი ამბავი ახლა უფრო უარესი ფორმით გამეორდა. ბედკრულ საბას არც XX ს. 60-იან წლებში აღმოაჩნდა შესაფერისი მთარგმნელი.

აღნიშნული მთარგმანის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „С уверенностью можно сказать, что осуществление русского перевода с не меньшим интересом будет встречено и за рубежом» „მოგზაურობის“ მთარგმანი რომ მკითხველთა ფართო საზოგადოების ინტერესს გამოიწვევს, ეს ცხადია, მაგრამ დასაინანია, რომ საზოგადოებას მიაწოდეს ქართული მწერლობის ამ შესანიშნავი ძეგლის ასეთი მანკერი მთარგმანი. იგი 100.000-იანი ტირაჟითაა გამოცემული.

АННОТАЦИИ

К. А. ЧХАТАРАИШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ВНЕШНИХ СНОШЕНИЙ ГРУЗИИ

(Первая четверть XVIII века)

В начале XVIII века западногрузинские политические единицы (Имеретинское царство, Одишское, Гурийское и Абхазское княжества) находились в сфере политического влияния Турции и признавали верховную власть султана. Эта зависимость выражалась в ежегодных подношениях («кртами») султану.

В 1702 году правители Западной Грузии (за исключением Абхазского владетельного князя) прекратили посылку «кртами» султану, чем открыто выступили против турецкого засилья. В ответ на это турецкие полчища летом 1703 года вторглись в Зап. Грузию и только случай (смена султана) спас страну от турецкого ига.

Как выясняется, вышеописанные события были тесно связаны с внешнеполитической ориентацией Грузии, в частности, с политическими связями с Россией. Турки подозревали, что в будущей войне с Россией (предполагалось, что Россия начнет войну с Турцией в 1702 г.) грузины выступят на стороне русских. Многочисленные исторические источники показывают, что это подозрение не было лишено оснований.

Прямыми показаниями источников (письмо иерусалимского патриарха Досифея, сообщения турецкого историка Рашида, приписки ваниседского «Часослова» и кинклоса шемокмедского «Гулани» — сборника церковных чтений и молитв на целый год) устанавливается несомненная дата захвата турками южной части Гурийского княжества — Батумского края — летом 1703 года.

А. К. БАКРАДЗЕ

МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ СФРАГИСТИКИ (ПЕЧАТИ КАТОЛИКОСОВ)

В статье собраны и рассмотрены печати католикозов Грузии, встречающиеся в фондах исторических документов XV—XVIII вв. института Рукописей АН СССР.

По своему характеру печати католикозов Восточной Грузии делятся на две группы: именные печати, легенды которых содержат имена их владельцев (первая именная печать 1612 г.). К другой группе относятся печати т. н. общего характера, легенды которых содержат текст из четвероглавия. Впервые такая печать встречается в 1470 г. и ею пользуются все католикосы до конца XVIII века. Печать эта четвероугольная и ставится в документах, как правило, в конце текста, а с конца XVII века эта печать круглая и встречается в документах в начале текста, как символ высшего суверенитета католикозов в своей сфере.

Т. Д. БОЦВАДЗЕ

НАРОДЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА В РУССКО-ГУЗИНСКИХ ВЗАИМОТНОШЕНИЯХ В XVI—XVIII ВВ.

На рубеже XV—XVI вв. историческое развитие Грузии предопределило два важных явления: раздробление страны на отдельные царства и княжества и ее изоляция от внешнего мира враждебными силами (Турция, Крымское ханство, Иран).

Казалось, что прорив враждебного окружения Грузия могла осуществить, по крайней мере, тремя средствами: собственными силами, вассальством Турции, Ирана или принятием протектората России или одной из стран Западной Европы.

В сложившихся исторических условиях только Россия оказалась той силой, которая в основном отвечала внутренним и внешнеполитическим интересам Грузии.

Грузии для непосредственного установления и развития связей с Россией необходимо было наладить определенные отношения с теми социально-политическими единицами Северного Кавказа (Адыгея, Черкесия, Карачаево-Балкария, Кабарда, Сев. Осетия, Чечено-Ингушетия и Дагестан), которые непосредственно были расположены на тех дорогах, при помощи которых Грузия могла поддерживать сношения с Россией.

Помимо этого фактора, сам характер взаимоотношений Грузии с политическими единицами Северного Кавказа, в особенности с Кабардой и Дагестаном, определял также, только под разными углами, необходимость сближения Грузии с Россией.

Указанные факторы, наряду с другими, в частности, с усилением Турции и Ирана, в целом обусловили внешнеполитическую ориентацию Грузии в XVI—XVIII вв.

Так как судьба Грузии и политических единиц Северного Кавказа в результате сложившейся конкретно-исторической ситуации оказалась в зависимости от России, Турции и Ирана, то это обстоятельство во многом повлияло не только на взаимост-

ношения между кавказскими народами, но и России, Турции и Ирана.

В сложившейся в результате стечения ряда обстоятельств конкретно-исторической ситуации Кабарда оказалась тем мостом, при помощи которой Грузия смогла вырваться из враждебного окружения и установить политические и культурно-экономические отношения с Россией, а через нее с Западной Европой.

К. А. ЧХАТАРАИШВИЛИ

ПО ПОВОДУ РУССКОГО ПЕРЕВОДА «ПУТЕШЕСТВИЯ» СУЛХАН-САБА ОРБЕЛИАНИ

В статье критически разобран русский перевод ценного литературно-исторического памятника начала XVIII века — «Путешествия в Европу», автором которого является известный грузинский ученый и писатель Сулхан-Саба Орбелиани.

В переводе «Путешествия» допущены многочисленные ошибки и неточности, которые сильно искажают смысл оригинала и делают невозможным использование этого перевода, как исторического источника.

შინაარსი

გ. ჭიბლაძე, სიტყვანი ქებისანი და სინანულისანი	5
მ. დუმბაძე, აკადემიკოსი სიმონ ჭანაშვია (დაბადების 70 წლისთავის გამო)	11
М. Д. Лордкипанидзе, Из истории Грузино-Византийских взаимоотношений на грани X—XI вв.	31
ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი)	43
А. Г. Пирихалайшвили, Царевич Паата* (сын царя Вахтанга VI-го)	71
ლ. ტუხაშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში	91
ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის (საქათალიკოსო ბეჭდები)	109
თ. ბოცვაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (XVI—XVIII სს)	120
Р. С. Мелисашвили, Архитектурные памятники Кударо	141
ა. ხოსიტაშვილი, XV—XVI სს. სამცხე-საათაბაგოს პოლტიკური ისტორიიდან	162
ზ. გონიკიშვილი, ქართველი უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე და პეტრე დიდი	187
ქ. ჩხატარაიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობის“ რუსული თარგმანის გამო	205
Аннотации	215



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
ტექრედაქტორი ლ. ჭვებენაძე
კორექტორი დ. ერისთავი

გადაეცა წარმოებას 23.8.1971; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.7.72;
ქაღალდის ზომა 70 X 108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 15.63; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14.49; უე 01043; ტირაჟი 1000; შეკვეთა 2017;
ფასი 1 მან. 43 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060; Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН ГССР, Тбилиси 380060, Кутузова, 19

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОЙ ЭПОХИ

